არსებობს მეწყერთა კლასიფიკაცია სიმძლავრის მიხედვით. განასხვავებენ **მცირე სიმძლავრის** -10 ათასი მ<sup>3</sup> მოცულობის მდგრადობადაკარგული გრუნტისა და ქვა-ღორღის მასით, **საშუალო სიმძლავრის** - 10-100 ათასი მ<sup>3</sup> მოცულობის და **დიდი სიმძლავრის** - 100-1000 ათასი მ<sup>3</sup> მოცულობის. საკონტაქტო ზედაპირს, რომლის გასწვრივაც სრიალებს მეწყერი **სრიალის ზედაპირი** ეწოდება [3-4]. სრიალის ზედაპირის დახრილობის მიხედვით, განასხვავებენ მთიანი რეგიონის მეწყერებს, როგორც **მცირედ დახრილი 5°-15°** და **ციცაბო დახრილობის 15°-45°**. სრიალის ზედაპირის განლაგების სიღრმის მიხედვით განასხვავებენ: **ზედაპირული განლაგების** - 1მ-ზე ნაკლები სიღრმით; **მცირე** - 5მ-დე სიღრმის და **ღრმა** 20მ-მდე სიღრმის მეწყერებს. მდგრადობადაკარგული გრუნტისა და ქვა-ღორღის მასა, ეშვება ქანობზე გრავიტაციული ძალის გამო და მთიანი რეგიონის მოსახლეობისათვის ქმნის დიდ უხერხულობას. ხშირად, მთელი სოფლები რჩება სახლ-კარის გარეშე და წარმოიქმნება სოციალური პრობლემები. ასევე, თუ მეწყერი ჩამოწვა მდინარის ქანობზე, მაშინ შეიძლება მან გადაკეტოს მდინარის კალაპოტი და გამოიწვიოს დიდი დამანგრეველი ძალის მქონე სელური ნაკადი. აქედან გამომდინარე, მეწყერის მოძრაობის დინამიკის შესწავლას, დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. მეწყერების კლასიფიკაცია სიჩქარეების მიხედვით იხილეთ 1-ელ ცხრილში [4].

**ცხრ.1**


სიჩქარე	მეწყერის სიჩქარის შეფასება
3 მ/წმ	განსაკუთრებულად სწრაფი
0,3 მ/წთ	ძალიან სწრაფი
1,5მ/დღე-ღამეში	სწრაფი
1,5 მ/თვეში	საშუალო სისწრაფის
1,5 მ/წელიწადში	ძალიან ნელი

**2. მეწყერის მათემატიკური მოდელის აგება**

მეწყერი წარმოადგენს გრუნტისა და ქვა-ღორღის ერთიან მასას, რომელიც მოწყდება ქანობის უფრო მკვრივ და მდგრად ზედაპირს და მოცურავს ამ სრიალის ზედაპირის გასწვრივ, როგორც ერთიანი მასა, დინება შეიმჩნევა მხოლოდ საკონტაქტო ზედაპირის სასაზღვრო ფენაში,

ა) **პირველ მიახლოებაში**, მეწყერი შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც დახრილ სიბრტყეზე მოსრიალე მყარი *M* მასის სხეული [5], რომლის საკონტაქტო ზედაპირთან ხახუნის კოეფიციენტია  $\mu$ . მაშინ გვექნება

ნახ. 1, სადაც  $R$  საკონტაქტო ზედაპირის რეაქციის ძალაა, ხოლო  $\psi$  ქანობის დახრილობის კუთხე ჰორიზონტის მიმართ. თუ, სიმძიმის ძალას დავშლით ორ მდგენელად, სადაც ერთი მდგენელი მიმართულია მეწყერის მოძრაობის მიმართულებით, ხოლო მეორე - ზედაპირის პერპენდიკულარულად, მივიღებთ, რომ ჩამომსრიალებელი ძალაა  $Mg \sin \psi$ , ხოლო ხახუნის ძალა -  $F_{\text{ხახ.}} = \mu R = \mu Mg \cos \psi$ .



ნახ.1. მეწყერის დინამიკის სქემა

რაც იმას ნიშნავს, რომ ნიუტონის მეორე კანონის თანახმად, მეწყერისათვის გვექნება დინამიკის შემდეგი განტოლება:

$$Ma = Mg \sin \psi - \mu Mg \cos \psi. \quad (1)$$

ამ განტოლებიდან, ცხადია რომ თუ  $\mu = \tan \psi$ , მაშინ აჩქარება ნულის ტოლია ანუ მეწყერი მოძრაობს თანაბრად და წრფივად, ან არამდგრად წონასწორობაშია; ხოლო თუ  $\mu < \tan \psi$ , მაშინ მოძრაობა აჩქარებულია და აჩქარება გამოითვლება შემდეგი ფორმულით:

$$a = g(\sin \psi - \mu \cos \psi). \quad (2)$$

შესაბამისად, რადგან  $a = \frac{dv}{dt}$ , მეწყერის სიმძიმის ცენტრის მოძრაობის სიჩქარე იქნება

$$v = g(\sin \psi - \mu \cos \psi)t + v_0. \quad (3)$$

სადაც  $v_0 = 0$  მოძრაობის საწყისი სიჩქარეა. მაშინ, თუ მოძრაობის საკონტაქტო ზედაპირის გასწვრივ ათვილი კოორდინატს ავღნიშნავთ  $x$ -ით, გვექნება, რომ მოძრაობის კანონს აქვს შემდეგი სახე:

$$x = \frac{g(\sin \psi - \mu \cos \psi)t^2}{2} + x_0. \quad (4)$$

სადაც  $x_0 = 0$  სიმძიმის ცენტრის სწყისი კოორდინატაა.

**P.S.** ამ მოდელიდან გამოდის, რომ მეწყერმა შეიძლება ნებისმიერ სიჩქარეს მიაღწიოს, რაც არარეალურია. ამიტომ, განვიხილოთ მოდელის დაზუსტების გზები. როგორც ვხედავთ, ეს მოდელი მეტისმეტად გამარტივებლია, რადგან ხახუნის კოეფიციენტი სინამდვილეში ქანობის გასწვრივ მუდმივი არაა, ასევე, საკონტაქტო ზედაპირიც არაა საზოგადოდ, წრფივი და მუდმივი დახრილობის. მოდელის დასაზუსტებლად, განვიხილოთ მეორე და მესამე მიახლოება.

ბ) **მეორე მიახლოებაში**, გავითვალისწინოთ რომ მაღალი სიჩქარის მიღწევი-სას, მნიშვნელოვანი ხდება დამატებითი, ჰაერის წინაღობის ძალა, რომელიც მოძრაობის სიჩქარის კვადრატის პროპორციულია ანუ  $f_{\text{ჰაერ}} = cv^2$ . მაშინ გვექნება დინამიკის განტოლება შემდეგი სახით:

$$Ma = Mg \sin \psi - \mu Mg \cos \psi - cv^2, \quad (5)$$

სადაც განზომილებათა თეორიიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ  $c = \eta \frac{M}{h}$ . აქ  $\eta$  უკვე უგანზომილებო კოეფიციენტი, ხოლო  $h$  სიმძიმის ცენტრის საწყისი სიმაღლეა ჰორიზონტთან შედარებით. მაშინ დინამიკის განტოლებას ექნება შემდეგი სახე:

$$Ma = Mg \sin \psi - \mu Mg \cos \psi - \eta \frac{M}{h} v^2. \quad (6)$$

დინამიკის განტოლება (6) შეგვიძლია გადავწეროთ შემდეგი სახით:

$$a = g(\sin \psi - \mu \cos \psi) - \frac{\eta}{h} v^2. \quad (7)$$

სიჩქარის საპოვნელად, გავიხსენოთ რომ  $a = \frac{dv}{dt}$ , მაშინ გვექნება დიფერენციალური განტოლება განცალკევადი ცვლადებით:

$$\frac{dv}{dt} = g(\sin \psi - \mu \cos \psi) - \frac{\eta}{h} v^2, \quad (8)$$

რომლის ამონახსნსაც აქვს შემდეგი სახე:

$$v = \frac{\sqrt{\frac{\xi}{\lambda}(1+e^{2\xi\lambda t})}}{e^{2\xi\lambda t}-1}, \quad \xi = g(\sin \psi - \mu \cos \psi), \quad \lambda = \frac{\eta}{h}. \quad (9)$$

ამონახსნიდან ჩანს, რომ  $\lim_{t \rightarrow \infty} v = \sqrt{\frac{\xi}{\lambda}}$  ანუ გადის მუდმივ სიჩქარეზე, რაც რეალობასთან ახლოსაა.

გ) **მესამე მიახლოებაში**, ჩავთვალოთ რომ მეწყერი მოძრაობს სრიალის სტოქასტიკურ  $y = f(x)$  წირზე, რომლის დახრილობაც შესაბამისად, იცვლება  $\psi(x) = \arctan[f'(x)]$  კანონით, მოცემულ  $[m; n]$  საზღვრებში, ხოლო ხახუნის კოეფიციენტი  $\mu(x) = \varphi(x)$  არის  $[0; 1]$  შუალედში ნორმალურად განაწილებული შემთხვევითი სიდიდე. მაშინ, შეგვიძლია ვთქვათ რომ, მოდელი კიდევ უფრო ახლოსაა რეალობასთან, რადგან სრიალის ზედაპირი ბუნებაში არაა ერთგვაროვანი სტრუქტურის და მაშასადამე, ხახუნის კოეფიციენტიც იცვლება მეწყერის გადაადგილების პროცესში. ამ შემთხვევაში, მეწყერის დინამიკის მათემატიკური მოდელი ჩაიწერება შემდეგნაირად:

$$\frac{d^2x}{dt^2} = g(\sin \psi(x) - \mu(x) \cos \psi(x)) - \frac{\eta}{h} \left(\frac{dx}{dt}\right)^2, \quad (10)$$

$$x(0) = 0, \quad \dot{x}(0) = 0. \quad (11)$$

ეს ამოცანა არაწრფივია და მისი ამოხსნისათვის გამოვიყენებთ Mathcad-ზე შემუშავებულ პროგრამას.

მოცემულ რეგიონში, მოსალოდნელი მეწყერის მოცულობისა და სიჩქარის პროგნოზირებისათვის, უნდა მოხდეს ამ რეგიონის ჰიდროგეოლოგიური შესწავლა. განსაზღვრული უნდა იყოს ზედაპირული ქანების სტრუქტურული შემადგენლობა, ტენიანობა, ნაშალი, შესუსტებული შეჭიდულობის მასალის სიღრმე, ქანობის გეომეტრია, მასალის შიდა ხახუნის კუთხე, გრუნტის შეჭიდულობის კოეფიციენტი და ა.შ. ამის შემდეგ, უნდა მოხდეს ქანობის ზღვრული წონასწორული მდგრადობის ანალიზი [6-8].

თუ აღმოჩნდება, რომ რეგიონში მოსალოდნელია დამეწყვრა, მაშინ უნდა მოხდეს დამატებითი გეოლოგიური კვლევა და დაზუსტდეს მოსალოდნელი მეწყერის სიღრმე ქანობის გასწვრივ სხვადასხვა წერტილში. მიღებული შედეგები საშუალებას მოგვცემს, მოვახდინოთ სრიალის ზედაპირის ქანობის გასწვრივ  $y = f(x)$  წირის, ანალიზური აპროქსიმაცია უმცირეს კვადრატთა გაუსის დისკრეტული ნორმით, ისე რომ, თეორიული და ექსპერიმენტული შედეგები ახლოს იყვნენ, როგორც ფუნქციის ასევე, მისი წარმოებულისათვის. ამის შემდეგ კი, ვხსნით (10), (11) ამოცანას და ვანგარიშობთ განმსაზღვრელი პარამეტრების დინამიკას.

განვიხილოთ კონკრეტული მაგალითი. ვთქვათ, გეოლოგიურმა გამოკვლევა-ამ აჩვენა, რომ მოსალოდნელია მეწყერის წარმოქმნა და მოგვცა მოსალოდნელი მეწყერის სიღრმეების დისკრეტული მნიშვნელობები ქანობის გასწვრივ, რაც შეესაბამება სრიალის ზედაპირის ქანობის გასწვრივ არსებული  $y = f(x)$  წირის გრაფიკის ცხრილურ მოცემას (ცხრილი 2).

ცხრ.2

y	y <sub>1</sub>	y <sub>2</sub>	...	y <sub>n</sub>
x	x <sub>1</sub>	x <sub>2</sub>	...	x <sub>n</sub>

ამის შემდეგ, ვხსნით დისკრეტულად მოცემული  $y = f(x)$  ფუნქციის აპროქსიმაციის ამოცანას. რადგან ქანობის გასწვრივ არსებული სრიალის ზედაპირის დახრილობა, როგორც წესი, დიდი სიხშირით იცვლება, მიზანშეწონილია, შესაბამისი წირის აპროქსიმაცია, ვაწარმოოთ **ვეივლეტ-ფუნქციებით** [9-10] ანუ გამოვიყენოთ ფუნქციის წარმოდგენა შემდეგი სახით:

$$f(x) \sim \sum_{j=-\infty}^{+\infty} \sum_{k=-\infty}^{+\infty} c_{jk} \cdot 2^{\frac{j}{2}} \cdot \psi(2^j \cdot x - k), \quad (12)$$

სადაც  $\psi(x) = (x^2 - 1)e^{-\frac{x^2}{2}}$  მარის დედა-ვეივლეტია, ხოლო  $c_{jk}$  გაშლის საძიებელი კოეფიციენტებია, რომლებსაც ვეძებთ შესაბამისი უმცირეს კვადრატთა მეთოდით გაუსის დისკრეტული ნორმით [8].

აპროქსიმაციის ამოცანის ამოხსნის შემდეგ, ვხსნით შესაბამის კოშის (10), (11) ამოცანას.

გათვლის შედეგები პრაქტიკული სიზუსტით ემთხვევა, არსებული მეწყერების რეალურად უკვე რეალიზებულ შედეგებს.

**ლიტერატურა - References – Литература:**

1. Mirtskhulava Ts.E. (1988) Fundamentals of physics and mechanics of an erosion of courses. - L.: Publishing house Gidrometeoizdat (in\_ru)
2. Morgan R.P.C. (2005). Soil erosion and conservation. 3rd ed, National Soil Resources Institute, Cranfield University
3. Kuznecov M., Smiths S., Glazunov G.P. (1996). The Erosion and protection of soils: Textbook. -M.: iz-in MSU (in\_ru)
4. Obgadze T.A. (2006). Kurs of mathematical modeling (continuous mathematical models), v.I, under A.I. Prangishvili's edition. GTU, Tbilisi (in\_geo)
5. Mashchenko A.V., Ponomarev A.B., Sychkina E.N. (2014). Special sections of mechanics of soil and mechanics of rocky soil, manual, Perm (in\_ru)
6. Grebenkin S.S., Gavrish N.N. (2004). Mekhanika rocks. manual, Donetsk (in\_ru)
7. Obgadze T. (2017). Mathematical modeling. Monograph. GTU, Tbilisi (in\_geo)
8. Diakonov V.P. (2002). From the theory to practice. Wavelets. Moscow (in\_ru)
9. Daubechies I. (1992). Ten lectures on wavelets, CBMS-NSF conf. series in applied mathematics. SIAM Ed.

## **Mathematical modeling of dynamics of a landslide**

**Prangishvili Archil, Obgadze Tamaz, Kuloshvili Naida**

Georgian technical university

a\_prangi@gtu.ge, t.obgadze@gtu.ge

### **Summary**

In work it is considered the technogenic and exogenous reasons of emergence of a landslide. The existing classifications of landslides by depth, volume and on *скоростям* are given. Mathematical models of dynamics of a landslide are under construction and limits of their applicability are given. As a first approximation, the body of a landslide is considered as the solid body moving on the inclined plane of sliding in the presence of friction. The corresponding formulas for the defining movement parameters are given. In the second approach, additional resistance quadratic on speed is considered and the relevant decisions which describe real dynamics more adequately are received. In the third approach, the friction coefficient as normally distributed random variable on a sliding surface in an interval [0; 1] stochastic change of a bias of a surface of sliding in an interval, characteristic for this district, is also considered. On the basis of Mathcad the program of calculation of the defining parameters is developed and the corresponding results are given.

## **SYSTEM MATRIX IDENTIFICATION AT MODELLING OF LINEAR DYNAMIC SYSTEMS WITH VARIABLE PARAMETERS**

Prangishvili A., Shanshiashvili B., Tsveraidze Z.

Georgian Technical University,

a\_prangi @ gtu.ge, besoshan @ hotmail.com, tsveraidze @gtu.ge

### **Abstract**

The problem of parameter identification of linear dynamic systems with variable parameters is considered. Stated is the problem of parameter identification as, in a certain sense, an inverse problem of Cauchy's problem for ordinary differential equations with variable coefficients. Under some restrictions on the system's parameters, and input and output variables the existence theorem of such interval, in which a continuous matrix of coefficients is identified, is formulated and proved. The parameter estimation algorithm,

and also the question of the model validation are investigated on the example of the second order system identification.

**Keywords:** dynamic systems, identification, variable, parameter, estimation, differential equations

## 1. INTRODUCTION

It is known (e. g. Brown (2007), Guts et al (2000)) that dynamic models can be used for modelling of social processes in the form of the ordinary differential equations. At a priori known differential equation, describing dynamics of social process, in most cases it is necessary to estimate unknown variable coefficients of the equation. Methods of one of mainstreams of the control theory - system identification can be used for solving this problem.

Existing methods of identification of systems with variable parameters, which can be divided into two principal parts, i.e. approximating and direct methods (*Kleiman* and *Mochalov (1994)*), for the estimation of unknown parameters basically use recurrent algorithms and procedures of the methods of the least squares, Kalman filter, the determined and stochastic optimization and etc. (e.g. Bertha and Golinval (2017), Gaishun (2008), Ferranti and Rolain (2017), Li et al. (2014), Lorito (1995), *Niedwiecki* (2012)).

In some works (Shanshiashvili (1998), Salukvadze and Shanshiashvili, (2004)) the problem of parameter identification of linear dynamical systems with variable parameters is considered as inverse problem of Cauchy's problem for ordinary differential equations. The system of the linear ordinary differential equations of a normal kind is considered as a structure of model of the linear dynamical systems. It is supposed that there is a possibility of direct measurement of an input vector and state vectors at different initial conditions of system. In the work (Shanshiashvili (2015)) the case, when direct observation of the state vector of system is not possible, is considered.

In the given work more complex structure of linear dynamical system with variable parameters is considered, than previously discussed, at the determined input influences, when direct observation of the state vector of system is not possible.

The problem of parameter identification is set as inverse problem of Cauchy's problem, in certain sense, for linear ordinary differential equations with variable coefficients. It is supposed that by the results of the observation of the system's input-output, the input vector and the output vectors, which are the solutions of the matrix differential equation at different initial conditions, are known. It is required to determine unknown system matrix. Thus, it is meant that fundamental matrix of the solutions of homogeneous system which corresponds to non-homogeneous system of equations, is unknown.

The developed algorithm of parameter estimation and the question of the model validation are investigated on the example of the second order system identification.

In the work the following designations are used:  $R$  - set of real numbers;  $I = [a, b]$  ( $a, b \in R$ ) - the closed interval;  $R^n = R \times R \times \dots \times R$  ( $n$ -time) -  $n$ - dimensional Euclidean space;  $R^{n \times n}$  - space of  $n$ -dimensional square real matrices;  $C(I, R^n)$  - set of continuous vector functions  $x: I \rightarrow R^n$ ;  $C^k(I, R^n)$  - set of  $n$ - dimensional vector functions, which components are  $k$  times continuously differentiable functions;  $X^{-1}(t)$  - inverse matrix of  $X(t)$  matrix.

## 2. PARAMETER IDENTIFICATION

Let's consider the observable dynamic system which is described by system of linear ordinary differential equations represented in state-space form

$$\dot{\mathbf{x}} = \mathbf{A}(t)\mathbf{x} + \mathbf{B}(t)\mathbf{u}(t), \quad (1)$$

$$\mathbf{y} = \mathbf{C}\mathbf{x}, \quad (2)$$

where

$$\begin{aligned} \mathbf{u}(t) &= (u_i(t))_{i=1}^n, \quad \mathbf{x}(t) = (x_i(t))_{i=1}^n, \quad \mathbf{y}(t) = (y_i(t))_{i=1}^n, \\ \mathbf{A}(t) &= (a_{ik}(t))_{i,k=1}^n, \quad \mathbf{B}(t) = (b_{ij}(t))_{i,j=1}^n, \quad \mathbf{C} = (c_{ik})_{i,k=1}^n. \end{aligned} \quad (3)$$

and  $\mathbf{A}(t)$  is system matrix,  $\mathbf{B}(t)$  is input matrix,  $\mathbf{C}$  is output matrix,  $u_i$  and  $y_i$  ( $i=1,2,\dots,n$ ) are input and output variables of the systems, correspondingly,  $x_i$  ( $i=1,2,\dots,n$ ) are state variables,  $a_{ik} : I \rightarrow R$ ,  $b_{ij} : I \rightarrow R$  ( $i, j, k=1,2,\dots,n$ ) - variable coefficients and  $c_{ik}$  ( $i, k=1,2,\dots,n$ ) - constant coefficients.

If  $\mathbf{C}$  is nonsingular matrix, then

$$\mathbf{x} = \mathbf{C}^{-1}\mathbf{y}. \quad (4)$$

Considering (4) in (1), we shall receive:

$$\dot{\mathbf{y}} = \mathbf{A}^*(t)\mathbf{y} + \mathbf{B}^*(t)\mathbf{u}(t), \quad (5)$$

where

$$\mathbf{A}^*(t) = \mathbf{C}\mathbf{A}(t)\mathbf{C}^{-1}, \quad (6)$$

$$\mathbf{B}^*(t) = \mathbf{C}\mathbf{B}(t). \quad (7)$$

It is known, that for system identifiability it is necessary system controllability and observability, therefore it is natural to admit that a priori are known input  $\mathbf{B}(t)$  and output  $\mathbf{C}$  matrixes and by observation of the system's input – output are known: the input vector  $\mathbf{u} : I \rightarrow R^n$  and the output vectors  $\mathbf{y}_k : I \rightarrow R^n$  ( $k=1,2,\dots,n$ ) which are the solutions of the system (5) at different initial conditions. It is required to determine an unknown system matrix  $\mathbf{A} : I \rightarrow R^{n \times n}$ . Thus, it is meant that fundamental matrix of the solutions of homogeneous system which corresponds to non-homogeneous system (5)

$$\dot{\mathbf{y}} = \mathbf{A}^*(t)\mathbf{y} \quad (5_0)$$

is unknown.

As  $\mathbf{y}_k : I \rightarrow R^n$  ( $k=1,2,\dots,n$ ) - the solution of the equation (7), we have:

$$\dot{\mathbf{y}}_k = \mathbf{A}^*(t)\mathbf{y}_k + \mathbf{B}^*(t)\mathbf{u}(t) \quad (k=1,2,\dots,n). \quad (8)$$

We shall compose a matrix  $\mathbf{Y}(t)$ , columns of which are  $\mathbf{y}_k(t)$  ( $k=1,2,\dots,n$ ):

$$\mathbf{Y}(t) = (y_{k,i}(t))_{k,i=1}^n \quad (9)$$

and a matrix  $\mathbf{U}(t)$ :

$$\mathbf{U}(t) = (u_{ik}(t))_{i,k=1}^n, \quad (u_{ik}(t) = u_i(t)). \quad (10)$$

Then the system (8) can be rewritten as the matrix algebraic equation:

$$\dot{\mathbf{Y}}(t) = \mathbf{A}^*(t)\mathbf{Y}(t) + \mathbf{B}^*(t)\mathbf{U}(t). \quad (11)$$

For determining  $\mathbf{A}(t)$  from (11) it is enough, that  $\mathbf{Y}(t)$  matrix be non-singular.

**Theorem.** If  $\mathbf{u} \in C(I, R^n)$ ,  $\mathbf{y}_k \in C(I, R^n)$  ( $k=1,2,\dots,n$ ), there exists interval  $I_0 \subset I$  such that  $\det \mathbf{Y}(t) \neq 0 \quad \forall t \in I_0$ , and in  $I_0$  the matrix  $\mathbf{A}(t)$  is determined single-valued, in particular

$$\mathbf{A}(t) = \mathbf{C}^{-1} [(\dot{\mathbf{Y}}(t) - \mathbf{C}\mathbf{B}(t)\mathbf{U}(t))\mathbf{Y}^{-1}(t)]\mathbf{C}, \quad \forall t \in I_0. \quad (12)$$

**Proof.** Let's admit that  $\mathbf{y}_k(t)$  ( $k=1,2,\dots,n$ ) is the solution of system (7) at initial conditions:

$$\mathbf{y}_k(t_0) = \mathbf{c}_k, \quad t_0 \in I_0, \quad \mathbf{c}_k \in R^n \quad (k=1,2,\dots,n). \quad (13)$$

It is known (Kiguradze (1997)) that the solution of the problem (5), (13) is defined by Cauchy's formula:

$$\mathbf{y}_k(t) = \mathbf{C}(t, t_0)\mathbf{c}_k + \int_{t_0}^t \mathbf{C}(t, \tau)\mathbf{B}^*(\tau)\mathbf{u}(\tau)d\tau, \quad (14)$$

where the matrix function  $\mathbf{C}: I \times I \rightarrow R^{n \times n}$  is Cauchy's matrix of the system (5).

As constants  $\mathbf{c}_k$  ( $k=1,2,\dots,n$ ) we shall take linearly independent vectors, in particular

$$\mathbf{y}(t_0) = \mathbf{c}_k = \mathbf{e}_k \quad (k=1,2,\dots,n), \quad (15)$$

where

$$\mathbf{e}_k = (\delta_{ik})_{i=1}^n \quad (k=1,2,\dots,n), \quad (16)$$

$\delta_{ik}$  is Kronecker's symbol.

Taking into account definition of Cauchy's matrix, we shall receive:

$$\det \mathbf{Y}(t_0) = \det \mathbf{C}(t_0, t_0) = \det \mathbf{E} = 1 \neq 0, \quad (17)$$

where  $\mathbf{E}$  is unity  $n \times n$  matrix.

Because  $\mathbf{Y}(t)$  is continuous matrix, and a determinant of a continuous matrix is continuous function, therefore there exists such interval  $I_0 \subset I$ , such that  $t_0 \in I_0$ ,  $\det \mathbf{Y}(t) \neq 0$ ,  $\forall t \in I_0$ . Therefore, for  $\forall t \in I_0$  there exists inverse matrix  $\mathbf{Y}^{-1}(t)$ , and the matrix  $\mathbf{A}(t)$  can be determined by the formula (12), and this definition will be single-valued because Cauchy's problem (5), (13) for  $\forall k \in \{1,2,\dots,n\}$  has unique solution according to uniqueness and existence theorem.

The algorithm of identification of variable parameters of the linear dynamic systems described by the system of equations (1), (2) consists in the following:

- we approximate experimental data received, by the results of the observation of the system's input – output, by continuous and continuously differentiated functions;
- we make vectors  $\mathbf{u}(t)$ , and  $\mathbf{y}_k(t)$  ( $k=1,2,\dots,n$ );
- we compose matrix  $\mathbf{Y}(t)$  as (9), and matrix  $\mathbf{U}(t)$  as (10);
- we calculate a determinant of the matrix  $\mathbf{Y}(t)$  and we determine an interval  $I_0$ , where  $\det \mathbf{Y}(t) \neq 0$ ;
- we determine a matrix of variable coefficients  $\mathbf{A}(t)$  in  $I_0$  by the formula (12).

### 3. INVESTIGATION OF IDENTIFICATION ALGORITHM

Let's consider peculiarities of the parameter identification by the developed algorithm on the example of a system of the second order.

Assume that a system with two inputs and two outputs is described by the following system of the differential equations:

$$\begin{aligned} \dot{x}_1 &= a_{11}(t)x_1 + a_{12}(t)x_2 + b_{11}(t)u_1(t) + b_{12}(t)u_2(t), \\ \dot{x}_2 &= a_{21}(t)x_1 + a_{22}(t)x_2 + b_{21}(t)u_1(t) + b_{22}(t)u_2(t), \end{aligned} \quad (18)$$

$$\begin{aligned} y_1 &= c_{11}x_1 + c_{12}x_2, \\ y_2 &= c_{21}x_1 + c_{22}x_2. \end{aligned} \quad (19)$$

Here

$$\mathbf{u}(t) = \begin{pmatrix} u_1(t) \\ u_2(t) \end{pmatrix}, \quad \mathbf{x}(t) = \begin{pmatrix} x_1(t) \\ x_2(t) \end{pmatrix}, \quad \mathbf{y}(t) = \begin{pmatrix} y_1(t) \\ y_2(t) \end{pmatrix},$$

$$\mathbf{A}(t) = \begin{pmatrix} a_{11}(t) & a_{12}(t) \\ a_{21}(t) & a_{22}(t) \end{pmatrix}, \quad \mathbf{B}(t) = \begin{pmatrix} b_{11}(t) & b_{12}(t) \\ b_{21}(t) & b_{22}(t) \end{pmatrix}, \quad \mathbf{C} = \begin{pmatrix} c_{11} & c_{12} \\ c_{21} & c_{22} \end{pmatrix}.$$

Suppose that after system's input - output observation it is received

$$\mathbf{u}(t) = \begin{pmatrix} 3t^3 - \frac{1}{2}t^2 - \frac{1}{2}t \\ -3t^3 + 2t + 3 \end{pmatrix}, \quad (20)$$

$$\mathbf{y}_1(t) = \begin{pmatrix} 1+t \\ t+t^2 \end{pmatrix}, \quad \mathbf{y}_2(t) = \begin{pmatrix} 2t \\ 1+t^2 \end{pmatrix}, \quad (21)$$

and a priori is known:

$$\mathbf{B}(t) = \begin{pmatrix} \frac{1}{t} & 1 \\ \frac{1}{t^2} & \frac{1}{2t} \end{pmatrix}, \quad \mathbf{C} = \begin{pmatrix} 3 & 2 \\ 4 & 3 \end{pmatrix}. \quad (22)$$

Form matrix  $\mathbf{Y}(t)$ :

$$\mathbf{Y}(t) = \begin{pmatrix} 1+t & 2t \\ t+t^2 & 1+t^2 \end{pmatrix}. \quad (23)$$

Its determinant is

$$\det \mathbf{Y}(t) = (1+t)(1-t^2). \quad (24)$$

It is clear, that

$$\det \mathbf{Y}(t) \neq 0, \text{ when } t \neq \pm 1. \quad (25)$$

Thus

$$I_0 = ]-\infty, -1[ \cup ]-1, 1[ \cup ]1, +\infty[. \quad (26)$$

Using the formula (12), as a result of some calculations, we receive, that:

$$\mathbf{A}(t) = \begin{pmatrix} \frac{6-t}{1-t^2} & \frac{5}{1-t^2} \\ -\frac{7}{1-t^2} & -\frac{6+t}{1-t^2} \end{pmatrix}. \quad (27)$$

Thus, the required system has the following form:

$$\dot{x}_1 = \frac{6-t}{1-t^2} x_1 + \frac{5}{1-t^2} x_2 + \frac{1}{t} u_1(t) + u_2(t), \quad (28)$$

$$\dot{x}_2 = -\frac{7}{1-t^2} x_1 - \frac{6+t}{1-t^2} x_2 + \frac{1}{t^2} u_1(t) + \frac{1}{2t} u_2(t),$$

$$y_1 = 3x_1 + 2x_2, \quad (29)$$

$$y_2 = 4x_1 + 3x_2.$$

The non-homogeneous system (5) under conditions (20) – (22) has the following form:

$$\begin{pmatrix} \dot{y}_1(t) \\ \dot{y}_2(t) \end{pmatrix} = \begin{pmatrix} -\frac{t}{1-t^2} & \frac{1}{1-t^2} \\ \frac{1}{1-t^2} & -\frac{t}{1-t^2} \end{pmatrix} \begin{pmatrix} y_1(t) \\ y_2(t) \end{pmatrix} + \begin{pmatrix} 1 \\ t \end{pmatrix}. \quad (30)$$



The homogeneous system of the differential equations corresponding to the non-homogeneous system (30) has the fundamental matrix:

$$\mathbf{Y}_0(t) = \begin{pmatrix} 1 & t \\ t & 1 \end{pmatrix}. \quad (31)$$

Since

$$\det \mathbf{Y}_0(t) \neq 0, \quad \forall t \in I, \quad (32)$$

therefore

$$I = ]-\infty, -1[ \cup ]1, +\infty[. \quad (33)$$

In this case

$$I_0 \subset I. \quad (34)$$

Thus, the mathematical model of the non-stationary dynamic system, the model's structure of which is defined by the system of equations (18), (19) and input and output variables – by expressions (20) - (21), is represented by the system of linear ordinary differential equations with variable coefficients (28) and by the system of algebraic equations (29).

#### 4. INVESTIGATION OF A QUESTION OF MODEL VALIDATION

The model can be confirmed by some methods (Ljung (1999)). The principal method among them is comparison of output signals of the system and of the model, and introduction of a certain formal measure of the received mistake when the same signal influences on the inputs of system and on the model.

In the given work, on the basis of the developed algorithm, the model of the non-stationary system of the second order at the certain input and output variables of the system have been constructed. With a view to confirm the model we shall determine output variables of the constructed model at the same input signals acting on the system.

We shall solve Cauchy's problem for the equation (36) by the method of arbitrary constants variation at initial conditions:

$$\mathbf{y}(t_0) = \mathbf{c}_0, \quad \mathbf{c}_0 \in \mathbb{R}^2. \quad (35)$$

The solution of this problem is defined by Cauchy's formula:

$$\mathbf{y}(t) = \mathbf{C}(t, t_0)\mathbf{c}_0 + \int_{t_0}^t \mathbf{C}(t, \tau)\mathbf{C}\mathbf{B}(\tau)\mathbf{u}(\tau)d\tau, \quad (36)$$

where matrix function  $\mathbf{C}(t, t_0)$  is Cauchy's matrix of the homogeneous system, which corresponds to the non-homogeneous system (30).

It is known, that

$$\mathbf{C}(t, \tau) = \mathbf{Y}_0(t)\mathbf{Y}_0^{-1}(\tau), \quad (37)$$

where the fundamental matrix  $\mathbf{Y}_0(t)$  is defined as (31).

Since

$$\det \mathbf{Y}_0(t) = 1 - t^2 \quad (38)$$

and  $\det \mathbf{Y}_0(t) \neq 0, \forall t \in I$ , therefore  $I$  is defined by (33) and input and output variables are determined in the interval (33).

Substituting expression (37) in (38), we shall receive:

$$\mathbf{y}(t) = \mathbf{Y}_0(t)\mathbf{Y}_0^{-1}(t_0)\mathbf{c}_0 + \int_{t_0}^t \mathbf{Y}_0(t)\mathbf{Y}_0^{-1}(\tau)\mathbf{CB}(\tau)\mathbf{u}(\tau)d\tau. \quad (39)$$

Taking into account, that  $\mathbf{c}_0 = \begin{pmatrix} c_1 \\ c_2 \end{pmatrix}$ , from (39) after series of calculations, we shall receive:

$$\mathbf{y}(t) = \begin{pmatrix} c_1 + c_2t + t \\ c_1t + c_2 + t^2 \end{pmatrix}. \quad (40)$$

Determining output vectors of the model (28) w, (29) ith the help (40) at initial conditions

$$\mathbf{y}(0) = \begin{pmatrix} 1 \\ 0 \end{pmatrix}, \quad \mathbf{y}(0) = \begin{pmatrix} 0 \\ 1 \end{pmatrix}, \quad (41)$$

we shall receive, that they are defined by the expressions (21).

To the expressions (21) of output vectors corresponds expressions of state vectors:

$$\mathbf{x}_1(t) = \begin{pmatrix} -2t^2 + t + 3 \\ 3t^2 - t - 4 \end{pmatrix}, \quad \mathbf{x}_2(t) = \begin{pmatrix} -2t^2 + 6t - 2 \\ 3t^2 - 8t + 3 \end{pmatrix}. \quad (42)$$

Thus, the output vectors of the model (28) (29), at the matrix of coefficients (27), at the input vector (20), at the initial conditions (41), are defined by the expressions (21) and exactly coincide with the output vectors of the system when giving on the system and the model one and the same input signals.

## 5. INVESTIGATION BY MEANS OF COMPUTER MODELING

Investigation of the algorithm of the parameter estimation, and a question of model validation was carried out as analytically, as well as by means of the computer modeling based on using MATLAB.

Assume that a system with two inputs and two outputs concerning output vector is described by the following system of the differential equations:

$$\begin{aligned} \dot{y}_1 &= \frac{1-2t^2}{t(1-t^2)}y_1 + \frac{1}{1-t^2}y_2 + t, \\ \dot{y}_2 &= \frac{1}{1-t^2}y_1 + \frac{1-2t^2}{t(1-t^2)}y_2 + t^2. \end{aligned} \quad (43)$$

The solution of a problem (43), (41) received by means of the program, has a following form:

$$\begin{aligned} Y1 &= [t^* (-13/6 + 4/3*t) \quad Y2 = [t^* (-5/3 + 5/6*t) ] \\ &[t^* (-1/6 + t^2 - 5/3*t) ] \quad [t^* (1/3 + t^2 - 13/6*t) ], \end{aligned}$$

On the basis of use of data of an input-output of system (43) calculated by the program made according to the identification algorithm, a matrix of coefficients of model (5), has a following form:

$$\begin{aligned} A^* &= [ (-1 + 2*t^2) / t / (-1 + t^2), \quad -1 / (-1 + t^2) ] \\ &[-1 / (-1 + t^2), \quad (-1 + 2*t^2) / t / (-1 + t^2) ]. \end{aligned}$$

and precisely coincides with value  $A^*(t)$  of the equation (43).

## 6. CONCLUSIONS

The submitted method of parameter identification systems with variable parameters, as a model's structure of which is considered a system of linear non-homogeneous ordinary differential equations of a normal kind, which is represented in the state space equations form, does not demand knowledge of the fundamental system of solutions of the corresponding system of homogeneous equations.

The problem of parameter identification is set, as in the certain sense, an inverse problem of Cauchy's problem for linear ordinary differential equations. At a continuity of parameters and input variables of the system, and continuous differentiability of output variables of the system the existence theorem of such interval, where a continuous matrix of coefficients is identified, is proved.

Application of the algorithm of parameter identification, made by the developed method, for systems with variable parameters of the second order and investigation of the question of the model validation has shown, that at the existence of the exact information on input and output variables of the system, the output signals of the system and of the model coincide when the same signals are given on their inputs.

When using this method of parameter identification in practice, accuracy of parameter estimation depends on accuracy of the mathematical processing of the experimental data.

For getting acceptable results it is necessary to use noise immunity methods, for example, the method of the least squares and its modifications, at approximation input and output variables of the system continuous and continuously differentiated functions, and at numerical differentiation - the methods based on regularization method (Tikhonov and Arsenin (1979)).

### ლიტერატურა - References – Литература:

1. Bertha, M. and Golival, J.-C. (2017). Identification of non-stationary dynamical systems using multivariate ARMA models. *Mechanical Systems and Signal Processing*, vol. 88, pp. 166-179.
2. Brown Courtney (2007). *Differential Equations: A Modeling Approach*. In Volume 150 in the Quantitative Applications in the Social Sciences series. Sage Publications. Inc.
3. Gaishun, I. V. (2008). Identification of linear nonstationary systems from their responses to generalized controls. *Differential Equations*, vol. 44, no. 3, pp. 312-318.
4. Guts A.K., Korobitsin V.V., Laptev A. A., Pautova L.A., Frolova J.V. *Mathematikal models of social Systems*. Omsk state university. Omsk, 2000. Text-book.
5. Ferranti, F. and Rolain, Y. (2017). [A local identification method for linear parameter-varying systems based on interpolation of state-space matrices and least-squares approximation](#). *Mechanical Systems and Signal Processing*, vol. 82, pp. 478-489.
6. Kiguradze, I. (1997). *Initial and boundary value problems for systems of ordinary differential equations*, I. Metsniereba, Tbilisi (in Russian).
7. **Kleiman**, E.G. and **Mochalov**, I.A. (1994). Identification of time-varying objects. *Avtoatika and Telemekhanika*, no. 2, pp. 3-22 (in Russian).
8. Li J., Zheng, Y. and Lin, Z. (2014). [Recursive identification of time-varying systems: Self-tuning and matrix RLS algorithms](#). *Systems & Control Letters*, vol. 66, pp. 104-110.
9. Ljung, L. (1999). *System identification: Theory for the user*. Prentice Hall, New Jersey.
10. Lorito, F. (1995). Dynamical properties of the recursive maximum likelihood algorithm for frequency estimation. *Proc. 5th IFAC Symp. on Adaptive Systems in Control and Signal Proc*, vol. I, pp. 143-148.
11. **Niedzwiecki**, M. (2012). Locally adaptive cooperative Kalman smoothing and its application to identification of nonstationary stochastic systems. *Signal Processing, IEEE Transactions on*, vol. 60, no. 1, pp. 48-59.
12. Salukvadze, M.E. and Shanshiashvili, B.G. (2004). Parameter identification of a certain class of non-stationary linear dynamic systems. *Proceedings of the III International Conference "System Identification and Control Problems" SICPRO '04, V.A. Trapeznikov Institute of Control Sciences*, Moscow, pp. 1520-1527 (in Russian).
13. Shanshiashvili, B.G. (1998). On identification of linear multidimensional non-stationary systems. *Bulletin of the Georgian Academy of Science*, vol 158, no. 3, pp. 482-484.

14. Shanshiashvili, B. G. (2015). Parameter identification of one class of non-stationary dynamic systems. *Proceedings of the X International Conference "System Identification and Control Problems" Sicpro'15. V.A. Trapeznikov Institute of Control Sciences*, Moscow, pp. 887-895.

15. Tikhonov, A.N. and Arsenin, V.Y. (1979). *Solutions of ill posed problems*. Nauka, Moscow (in Russian).

## სისტემის მატრიცის იდენტიფიკაცია ცვლადპარამეტრებიანი წრფივი დინამიკური სისტემების მოდელირებისას

ფრანგიშვილი არჩილ, შანშიაშვილი ბესარიონ, წვერაიძე ზურაბ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
რეზიუმე

განხილულია წრფივი ცვლადპარამეტრებიანი დინამიკური სისტემების პარამეტრული იდენტიფიკაციის ამოცანა. პარამეტრული იდენტიფიკაციის ამოცანა დასმულია როგორც წრფივი ჩვეულებრივი ცვლადკოეფიციენტებიანი დიფერენციალური განტოლებების კომპის ამოცანის გარკვეული აზრით შეზღუდული ამოცანა. სისტემის პარამეტრებზე, შესავალ და გამოსავალ ცვლადებზე ზოგიერთი შეზღუდვების დროს ფორმულირებულია და დამტკიცებული თეორემა ისეთი ინტერვალის არსებობის შესახებ სადაც კოეფიციენტების უწყვეტი მატრიცა იდენტიფიცირებადია. პარამეტრების შეფასების ალგორითმი და მოდელის დადასტურების საკითხი გამოკვლეულია მეორე რიგის სისტემების იდენტიფიკაციის მაგალითზე.

## მასობრივი ინფორმაციის საშუალებები სახელმწიფოს მართვაში ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების პროცესში

ივანე ჯაგოდნიშვილი, ოთარ შონია, თემურ ჯაგოდნიშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
i.jagodnishvili@gtu.ge, o.shonia@gtu.ge, t.jagodnishvili@gtu.ge

რეზიუმე

განხილულია მასობრივი ინფორმაციის საშუალებების („მის“) ფუნქციონირების თავისებურებები და მათი როლი სახელმწიფოს მართვაში ინფორმაციული ტექნოლოგიების ინტენსიური გამოყენების პროცესში. აღნიშნულია, რომ ტრადიციულად მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ინფორმაციის გავრცელების მონოპოლიის უფლებით სარგებლობდნენ და შუამავლების როლს ასრულებდნენ სახელმწიფო ხელისუფლებასა და მოსახლეობას (მასობრივ აუდიტორიას) შორის. მითითებულია, რომ საბაზრო ეკონომიკის პირობებში მოგებაზე ორიენტაციამ არსებითად შეცვალა მათი როლი, გამოიწვია ერთიანი ინფორმაციული სივრცის დარღვევა, სათავე დაუდო ინფორმაციისა და ინფორმაციით მანიპულირებას, ინფორმაციულ ექსტრემიზმსა და ინფორმაციულ აგრესიას. ამის გამო ინფორმაციის ხელშეუვალობის დაცვასთან ერთად უმწვავეს ამოცანად იქცა მანიპულირებული ინფორმაციისაგან, ინფორმაციული ექსტრემიზმისა და ინფორმაციული აგრესიისაგან დაცვის ტექნოლოგიების დამუშავება.

**საკვანძო სიტყვები:** ინფორმაცია, მანიპულირება, ინფორმაციული სივრცის რღვევა, ინფორმაციული ექსტრემიზმი, ინფორმაციული აგრესია.

## 1. შესავალი

ინფორმაციულ საზოგადოებაში „მის“ ეკისრებათ მოსახლეობის ინფორმირება სახელმწიფო ხელისუფლების სტრუქტურების საქმიანობის შესახებ. ამასთან „მის“ მონოპოლისტების უფლებებით სარგებლობენ სამთავრობო გადაწყვეტილებების მასობრივი აუდიტორიისათვის გაცნობიერებაში. უფრო მეტიც, სამთავრობო ორგანოების კანონები, ბრძანებულებები, დადგენილებები, უმეტესწილად, მხოლოდ „მის“ მიერ გამოქვეყნების შემდეგ შედის ძალაში. ასე რომ, „მის“-ები ტრადიციულად შუამავლები არიან სახელმწიფოს ხელისუფლებასა და მოსახლეობას შორის. ამასთან მონოპოლიურობის უფლებით სარგებლობენ ხელისუფლების საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მოპოვებისა და გავრცელების თვალსაზრისით. უნდა აღინიშნოს, რომ თავად სახელმწიფო ორგანოებს არ გააჩნიათ კანონმდებლობით მინიჭებული საკუთარი საქმიანობის მოსახლეობის უშუალოდ ინფორმირების უფლება. „მის“ არსებითად შუამავალი რგოლია ინფორმაციის გავრცელებაში სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებიდან და სტრუქტურებიდან მოქალაქეთა მასობრივ ფენებში.

ეს გარემოება „მის“-ს უქმნის ინფორმაციის მიზნობრივი ფორმატირებისა და ამგვარი ინფორმაციით მანიპულირების საშუალებას. გასათვალისწინებელია, რომ თუ „მის“ (კერძო იქნება თუ სახელმწიფოს კუთვნილი) ძლიერ არიან დამოკიდებულები საკუთარი კომერციული პროექტების მომგებიანობაზე, მაშინ ხელისუფლების ორგანოებიდან მომდინარე ინფორმაციით მანიპულირებას უპირველესად საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე ახორციელებენ, ანუ იმ საფინანსო-სამრეწველო ჯგუფების ინტერესების შესაბამისად, რომელთაც ეს „მის“-ები განეკუთვნებიან მთლიანად ან ნაწილობრივ.

## 2. ძირითადი ნაწილი

ცნობილია, რომ არც თუ იშვიათად ფინანსურ-სამრეწველო ჯგუფების ინტერესები საკმაოდ დაცილებულია, ან საერთო არაფერი აქვთ სახელმწიფოს ინტერესებთან. ამის გამო ინფორმაციული ექსტრემიზმის რეალიზების შესაძლებლობები კიდევ უფრო იზრდება. ამიტომ ინფორმაციული საზოგადოების სამოქალაქო ცხოვრებაში განსაკუთრებულ (თუ არა გადამწყვეტ) მნიშვნელობას იძენს, ერთი მხრივ, ინფორმაციის დაცვის, ხოლო, მეორე მხრივ, მანიპულირებული (მიზნობრივად გადაფორმატირებული, შეფუთული) ინფორმაციისაგან თავდაცვის პრობლემები და ტექნოლოგიები. ინფორმაციის მანიპულირება არსებითად ინფორმაციულ ექსტრემიზმს წარმოადგენს.

ესაა ინფორმაციული აგრესიის გამოხატულება, რადგან ამგვარად ფორმატირებული ინფორმაციის მიზანი ადრესატისათვის უპირველესად ინტელექტუალური ზიანის მიყენებაა (დაზარალება), ხოლო შემდეგ მატერიალური ზარალისა. თუ ინფორმაციით მიყენებული მატერიალური ზარალი ანაზღაურება-დია (მეტ-ნაკლებად), ინტელექტუალური ზარალი აუნაზღაურებელია (ანაზღაურებას არ ექვემდებარება), რადგან ცნობიერებაზე ზემოქმედებს, ყალბი ღირებულებების შეჩეჩებით ადრესატს აეჭვებს, უნგრევს მეტალობით ღირებულებით სისტემას და უცხო, ყალბი ღირებულებების რწმენას უნერგავს.

ინფორმაციულმა საზოგადოებამ თითქოს მოაგვარა ინფორმაციის მანიპულირებისა და ამ გზით ინფორმაციული ექსტრემიზმის (ინფორმაციული აგრესიის) პრობლემები სახელმწიფო ხელისუფლების ინსტიტუტების საიტების შექმნით, რასაც „ელექტრონული მთავრობა“ დაერქვა. როგორც არ უნდა დაემახინჯებინა „მის“-ბებს ინფორმაცია, სინამდვილისადმი ამ ინფორმაციის შესაბამისობის (ინფორმაციის სანდოობის) ხარისხის შემოწმება, ერთი შეხედვით, ხელისუფლების კონკრეტული ინსტიტუტის საიტზე არანაირ სირთულეს არ წარმოადგენს. აქედან გამომდინარე გაჩნდა აზრი „მის“-თა ახალი კონკურენტის გაჩენის შესახებ, რომელიც მასობრივი ინფორმაციის კერძო საშუალებათა წინააღმდეგ მოქმედებისა და მათზე ზემოქმედების მნიშვნელოვან მექანიზმს წარმოადგენს.

მართალია, ინფორმაციულ საზოგადოებაში ე. წ. „ელექტრონული მთავრობის“ ფენომენის გაჩენამ „მის“-ების ინფორმაციული საქმიანობის მონოპოლია მინიმუმამდე შეამცირა, რადგან ხელისუფლების ორგანოებისა და სახელმწიფოს მართვის სისტემაში ინფორმაციულ-ტელეკომუნიკაციური ტექნოლოგიების დანერგვით სახელმწიფოს მართვის ორგანოებს მოსახლეობასთან ინფორმაციული ურთიერთობის

პირდაპირი (უშუამავლო) კავშირის არხი გაუჩნდა, რითაც გაუქმდა „მის“-ის აუცილებლობა, მაგრამ ინფორმაციით მანიპულირების რისკები და ინფორმაციული აგრესიის გამოვლენის ტექნოლოგიები ამით მაინც ვერ აღმოიფხვრა.

ინფორმაციის უსაფრთხოების თეორეტიკოსების (ა. ვ. მანოილო, ი. პეტრენკო, დ. ბ. ფროლოვი, 2007 და სხვები) მტკიცებას, თითქოს სახელმწიფო ხელისუფლებისა და მისი მართვის სისტემიდან მომდინარე ინფორმაციით მანიპულირების შესაძლებლობები „მის“-ის გამოცალათო, უსაფუძვლო აღმოჩნდა. უმთავრესი მიზეზი აღმოჩნდა სახელმწიფო ხელისუფლების ინსტიტუტებისადმი სკეპსისი მოსახლეობის მხრიდან და ობიექტური ინფორმაციის მიწოდების ფორმა – გაზვიადება და დაუფარავი პიარი, მოსახლეობის წინაშე კოპწიაობა. მიზეზები, რასაკვირველია, სხვაც ბევრი არსებობს. ერთი ასეთი მიზეზია სოციალური ქსელების გაჩენა, რომლებმაც ინფორმაციულ ველში ახალი და ყოვლის წამლეკავი მოთამაშეები გააჩინა ნაირგვარი ბლოგერების, ფრილანსერების და ა. შ. სახით.

სოციალური ქსელები ფართო შესაძლებლობებს უქმნის ადამიანების თანდაყოლილ (გენეტიკურ) თვისებებს, ერთი მხრივ, სასურველის რეალობად გასაღების მისწრაფებას (რასაც ჭორი და ჭორიკნობა ჰქვია), ხოლო, მეორე მხრივ, „საქმის კურსში ყოფნის“ მოთხოვნილებებს, რასაც, თავის მხრივ, ინფორმაციის ნაირგვარი ინტერპრეტაციების გავრცელება მოსდევს. ეს ყველაფერი კი საბოლოო ჯამში სახელისუფლებლო ინსტიტუტების საიტებზე განთავსებული ინფორმაციის სანდოობისადმი სკეპსისის გაძლიერებას უწყობს ხელს, რაც არაიშვიათად ინფორმაციულ ექსტრემიზმშიც გადაიზრდება. არადა თუ რა მასშტაბები შეიძლება შეიძინოს განსაკუთრებით სტრატეგიული მნიშვნელობის ინფორმაციულ-კომუნიკაციურ პროცესებში მიზანმიმართულმა ჩარევამ, ინფორმაციულმა ექსტრემიზმმა და ინფორმაციულმა აგრესიამ უკანასკნელი დროის აშშ-რუსეთის ინფორმაციულ-ტექნოლოგიურმა ომმაც ცხადყო.

სოციალური ქსელები სერიოზულ კონკურენციას უწევენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებსაც და მასობრივი კომუნიკაციის ტექნოლოგიებსაც. ამას განაპირობებს ინფორმაციული საზოგადოების წიაღში გაჩენილი მოვლენა – ობიექტური ეკონომიკური და ტექნიკური მიზეზებით გაჩენილი ტენდენცია, რაც „მის“-ში ძალაუფლების თანდათანობით თავმოყრაში გამოიხატება.

ჩვენს თანამედროვეობაში მთელს მსოფლიოში შეინიშნება ჭიდილი მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა სფეროში გავლენის მოპოვებისა და გაძლიერებისათვის. ამასთან დაკავშირებით, მაგალითად, ევროპის ქვეყნებში დაწესებულია კონტროლი „მის“-ების შერწყმასა და საგამომცემლო ბაზარზე საერთო ტირაჟის წილზე. ასე, მაგალითად, გერმანიაში დადგენილია საერთო ტირაჟის ხვედრითი წონის ზედა ზღვარი. შვედეთში ტარდება წვრილი და საშუალო სიმძლავრეების გამომცემლობების მხარდაჭერის პოლიტიკა, ხოლო საფრანგეთში 1984 წელს მიიღეს კანონი „ბეჭდვის საწარმოთა კონცენტრაციის შეზღუდვისა და ფინანსური სიცხადისა და პლურალიზმის უზრუნველყოფის შესახებ“.

„მის“-ების ხელმისაწვდომობა და ინფორმაციის მანიპულირება, ფარული ზრახვების, მიზნების რეალიზება იმის გამო იოლდება, რომ თავად „მის“-ები სულ უფრო გამოდიან არა მარტო ინფორმაციის მომძიებელ-გამავრცელებლებად, არამედ ინფორმაციის პოლიტიკისა თუ იდეოლოგიის შემქმნელებად (შემომქმედებად). ხოლო იმის გამო, რომ რეალობის ჩვენეული ცოდნა „მის“-ების მიერ არის გაშუალებული, ანუ მათი აღქმითა და ხედვით გვეძლევა, „მის“-ების პროდუქციის გამორჩევა ასასახავი მოვლენისაგან უაღრესად ძნელდება. ის, რაც ხდება, პუბლიცისტურ, ანუ საზოგადოებრივი ჟღერადობის მოვლენად მხოლოდ თავისი ასახვის მეშვეობით ხდება. მთავარი კი ამ შემთხვევაში ისაა, რომ ამ ასახვის პროცესში მომხდარში უამრავი „კორექტივის“ შეტანის შესაძლებლობა იქმნება, მათ შორის ინფორმაციული ექსტრემიზმისა თუ აგრესიის.

ცნობილია, რომ „მის“ საქმიანობას საბაზრო კონკურენცია ისეთი პრინციპებით ფუნქციონირებას აიძულებს, როგორებიცაა: საქმიანობის საფუძვლად მაქსიმალური მოგება ორიენტირება; პრიორიტეტული თემატიკის არჩევა მოგების მიღებისა და აუდიტორიაზე საჭირო ზემოქმედებისათვის; სენსაციური მათ შორის ნეგატიური ხასიათის ინფორმაციისადმი მიდრეკა; პოლიტიკური ლიდერების, პოლიტიკური წარმატებების, რეიტინგების ჩვენების პრიორიტეტებად დასახვა პროფესიულ საქმიანობაში;

საზოგადოებისათვის მაღალი საზოგადოებრივი სტატუსის პერსონათა – „ცნობადი სახეების“ წარდგენების სიხშირე; „მის“-ების ხელმძღვანელობა „უბრალო“ ადამიანისათვის; ინფორმაციული ექსტრემიზმის რეალიზება მიზნობრივად ფორმატირებული (შეფუთული თუ შეუფუთავი) ინფორმაციის მრავალჯერადი დემონსტრირებით (მაგალითად, სარეკლამო ტექსტები, ვიდეორგოლები), რომლებიც მასობრივი აუდიტორიის ცნობიერებაზე წყლის წვეთის პერმანენტულობით კლდის გახვრეტის პრინციპით აღიბეჭდება; ინფორმაციის ტექსტებში ფარული ქვეტექსტურობების ჩართვა, რაც ადრესატის (მასობრივი აუდიტორიის) არაცნობიერზე ზემოქმედებს და ადრესატში თავსმოხვეული ინფორმაციის საკუთარ ნააზრევად, ღირებულებით ელემენტად აღქმა-გაცნობიერების ილუზიას ქმნის. მთავარი (და სავალალო) კი ის არის, რომ ადრესატის შემეცნება არაცნობიერის ფუნქციონირების სპეციფიკის გამო ამ ილუზორულობას ვეღარ აფიქსირებს და თავგამოდებით იწყებს ინფორმაციული ექსტრემიზმის პროდუქტის დაცვას. „მის“-ების მიერ ამჟამად გამოყენებადი ინფორმაციული ექსტრემიზმისა და ინფორმაციული აგრესიის ანუ მანიპულირებული ინფორმაციის რეალიზების პრინციპები (და ფსიქოლოგიური ტექნოლოგიები), ცხადია, ამით არ ამოიწურება.

ამ პრინციპების რეალიზება ართულებს სინამდვილის ადეკვატურ აღქმას, ფაქტებისა და მოვლენების სიღრმისეული მიზეზების, პროცესების მიზეზ-შედეგობრიობის გამომჟღავნებას. იგივე პრინციპები ამის გამო აადვილებს „მის“-ების ჩათრევას ინფორმაციულ-ფსიქოლოგიურ კონფლიქტებში.

განსაკუთრებით აღსანიშნავია „მის“-ების ემოციური ზემოქმედება მასობრივი აუდიტორიის ცნობიერებაზე. სწორედ ემოციის გადამდებობა განაპირობებს „მის“-ების მიერ ინფორმაციით მანიპულირებისა და ინფორმაციული ექსტრემიზმის მაღალ ეფექტურობას – ადამიანების შემეცნების და ქცევის ფარულ მართვას ხშირად საკუთარი ნება-სურვილის საწინააღმდეგოდ. ამგვარი ეფექტურობის საფუძველი მასობრივი აუდიტორიის მხრიდან მანიპულირებისა და ექსტრემიზმის მოუხელთებლობაა (დაუნახაობა, შეუმჩნეველობა).

ინფორმაციული ექსტრემიზმი განაპირობებს ილუზორული იდეების, მითების თავსმოხვევას, თანაც რაციონალური გააზრება-გაცნობიერების გარეშე.

აღნიშნული იდეებისა თუ მითების დამკვიდრებისათვის ლინგვისტიკური მანიპულირების და შემოქმედების უამრავი მეთოდი და ხერხია დამუშავებული მასობრივი ფსიქოლოგიის ბუნების გათვალისწინებით. ერთ-ერთი შედეგიანი და საყოველთაოდ გავრცელებული მაგალითია **იმიჯმეიკინგი** – სახე-ხატის შექმნის ტექნოლოგიები.

„მის“-ების მონოპოლიზაცია, მძლავრი ნაციონალური და ტრანსნაციონალური კორპორაციების შექმნა, რომლებიც აკონტროლებენ საინფორმაციო სივრცეს, ტრანსნაციონალურ ან ადგილობრივ დაჯგუფებების ხელეშში თავმოყრა, რომელთათვისაც უცხოა სახელმწიფოებრივი თუ საერთო ეროვნული ინტერესები, აადვილებს უცხოური საინფორმაციო კორპორაციების ექსპანსიას ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ინფორმაციული ომის მეთოდებისა და საშუალებების დანერგვით. ამის გამო უმწვავეს შინაარსს იძენს უცხოური ინფორმაციული საშუალებების ექსტრემიზმისაგან (თუნდაც ინფორმაციული დომინირების ფორმით) ეროვნული ინტერესების დამცველი „მის“-ის ხელშეუხებლობის პრობლემები. უცხოეთის მხრიდან ინფორმაციული ექსტრემიზმის, ეროვნული მასობრივი აუდიტორიის შემეცნებით მანიპულირების პრობლემების მოგვარების ერთი გზაა ეროვნულ სინამდვილეში არაადეკვატური მოთხოვნილებებისა და ღირებულებითი ორიენტირების ფორმირება.

„მის“-ებების ეროვნული კონცეფციის არსებობას, ცხადია, შესწევს საერთო ეროვნული იდეის სამსახურში ჩაყენების, ამით საჭიროების შემთხვევაში გარეშე ინფორმაციული ზეწოლის, ექსტრემიზმის წინააღმდეგობის უნარი, რაც ინფორმაციულ-ფსიქოლოგიური აგრესიის ეფექტური საწინააღმდეგო საშუალებაა. ამ ამოცანის გათვალისწინებით ეროვნულ „მის“-ებს (განსაკუთრებით ტელევიზიას) შემდეგი მოთხოვნები წაყენება: **ტექნიკურად** მოსახლეობის მაქსიმალურად სრული დაფარვის უზრუნველყოფა; **პოლიტიკურად** – რეგიონების ინტერესებისაგან განუყოფლობა, გარესამყაროთი და მასში საკუთარი

ქვეყნის ადგილითა და როლით დაინტერესება; **შემოქმედებითად** – კულტურის წყაროების გამომზეურება, პროპაგანდა.

„მის“-ებების ფინანსურ დაჯგუფებათა მონოპოლიზების პროცესებთან ერთად ამჟამად მიმდინარეობს ერთიანი საინფორმაციო სივრცის რღვევაც. ცენტრალური პრესა, მაგალითად, პოსტსაბჭოურ ქვეყნებში, კარგავს წამყვან პოზიციებს, მკვეთრად მცირდება ტირაჟები, იცვლება ერთიანი ეროვნული კანონიკური (სალიტერატურო ენად წოდებული) ენის ნორმები, ლექსიკა-ფრაზეოლოგია, პუბლიცისტიკის ფუნქციური სტილის პრინციპები და მოთხოვნები. ერთიანი საინფორმაციო სივრცის რღვევას განაპირობებს უცხოეთის მიერ ფინანსირებადი არასამთავრობო ორგანიზაციების ფუნქციონირება.

სერიოზულ შემფოთებას იწვევს სიტყვის თავისუფლების ბოროტად სარგებლობის, ჟურნალისტების მოსყიდვის, საზოგადოებრივი აზრით მანიპულირების მცდელობების, ძალადობის, დაუნდობლობის, რასობრივი და ნაციონალური გამორჩეულობის, შეუწყნარებლობის, პორნოგრაფიის, მოქალაქეთა პირად ცხოვრებაში ჩარევის ფაქტების გახშირება და ა. შ.

### 3. დასკვნა

ტელეკომუნიკაციური და კომპიუტერული ტექნოლოგიების განვითარების შედეგად თანამედროვე დონეზე იურიდიულ და ფიზიკურ პირთა სულ უფრო დიდი წრისათვის ხდება ხელმისაწვდომი ისეთი საკომუნიკაციო-ტექნიკური საშუალებები, რომლებსაც იძლევიან „მის“-ების (რადიოს, ტელევიზიის, ჟურნალ-გაზეთების, კომპიუტერული ქსელების პროვაიდერული კვანძების,...) საბაზო კონფიგურაციების შექმნის საშუალებას. ამასთან დაკავშირებით ჩნდება (ინფორმაციის დაცვაზე უფრო მეტად) მიზნობრივი ინფორმაციის, ინფორმაციული ექსტრემიზმისა და ინფორმაციული აგრესიის გავრცელების რეალური საშიშროება, რაც ეროვნული ინტერესებისათვის ზიანის მოტანის დიდ რისკებს შეიცავს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში.

#### ლიტერატურა – References – Литература:

1. თ. ჯაგოდნიშვილი, ი. ჯაგოდნიშვილი, ვერბალური კომუნიკაციები, თბილისი, 2009;
2. თ. ჯაგოდნიშვილი, ი. ჯაგოდნიშვილი, კომუნიკატორის ენობრივი პიროვნება, თბილისი, 2017;
3. Макрей Р., Психологические войны, Нью-Йорк, 1984;
4. Манойло А. В., Петренко А. И., Фролов Д. Б., Государственная информационная политика в условиях информационно-психологической войны, Москва, 2007;
5. Почепцов Г. Г., Как ведутся тайные войны. Психологические/информационные операции, Харьков, 1999; Ровно, 1999;
6. Прокофьев В. Ф., Тайное оружие информационной войны, Москва, 1999.

## MODES OF MASS INFORMATION IN THE PROCESS OF USING INFORMATION TECHNOLOGIES IN COUNTRY MANAGEMENT

Jagodnishvili Ivane, Shonia Otari, Jagodnishvili Temur

Georgian Technical University

### Summary

Discussed are the peculiarities of functioning of the Modes of Mass Information (“MMI”), and their role in the process of intensive usage of Information Technologies in the management of the country. It is mentioned, that the modes of mass information traditionally were a monopoly in the spread of information and acted as a mediator between state government and citizenry (mass audience). It is pointed out, that in the environment of market economy their role was totally changed by putting a stronger accent on profiting, which caused the decomposition of the united informational space, started the practice of manipulating people with the information and manipulating the information itself, and informational extremism and aggression. Because of this, the main goal, along with the protection of the inviolability of the information, became to develop technologies for protection from manipulative information, informational extremism, and informational aggression.




# OPTIMIZATION POTENTIALS IN PUBLIC AND RAIL TRANSPORT ORGANISATIONS BY ITS

Prof. Dr.-Ing. Herbert Sonntag - TH Wildau,  
 Prof. Dr. rer. nat. Ralf Borndörfer - FU Berlin,  
 Dr. Claus Dohmen - IVU Traffic Technologies AG  
 herbert.sonntag@th-wildau.de

## Summary


Public transport in passenger transport is increasingly becoming in the focus of traffic systems in large cities and conurbations around the world. This is due to the need for efficient mass transport design in large cities while avoiding a traffic collapse due to motorized private transport. In addition, the environmental problems of traffic safety, air pollution and noise pollution are increasingly coming to the fore for the development of environmentally friendly urban public transport. A social cost-benefit analysis therefore requires the effective use of an attractive public transport system (Figure 1).




**Fig.1. Planning and Operations stages Public Transport**

The planning, operation and control processes of public transport involve a number of optimization problems with regard to user-attractive and cost-effective transport system design. Quantitative approaches and algorithms of the Operations Research are part of the solution of these decision problems.

The first structural stage is the long-term planning process. The overview presents various demand oriented optimization approaches for the line network design of S-Bahn, U-Bahn, tram and bus. Objective is minimization of travelling time of users regarding the restrictions of capacity of resources and budget. Further steps are efficient approaches to the financing and tariff structure of a network of public transport systems (Fig.2).



**Fig.2. Tariff Structure: a political and operational Problem**




**Fig.3. Optimization of Stress Fields in Operational Planning**

information technology, applications in the real-time control of public transport come in the third stage into consideration. This concerns the efficient fleet management by IT-supported software systems for rolling stock resources. Reasons are versatile disturbance aspects in the traffic flow. This also applies to fast and secure ticketing by passengers via chip cards, smartphones or other systems (Fig.5). Finally, the actual navigation systems for the optimal route of passengers includes the real time data of dynamic traffic flows.

In the second stage, optimization approaches in the operational planning of public transport are in the focus (Fig.3). This concerns timetable planning for securing connections between transport lines and transport systems. The optimization of the circulation of wagons – block optimization - in order to achieve maximum operating performance with the resources of the transport systems (Fig.4). A further important step in operational planning and operational organization is the optimization of services and personnel with a minimum of unproductive times in compliance with the collective agreement and statutory operating times and rules.

Particularly due to the development of



**Fig.4. Optimization Techniques in the Public Transport Planning Process**



An attractive public transport system is a necessity for a city and conurbation in terms of quality of life and economic success. In order to achieve a sustainable effect, as many population groups as possible of the city must be inspired to use the system.

**Fig.5. PAD Information for Staff: Technological Innovation**

## ОПТИМИЗАЦИОННЫЕ ПОТЕНЦИАЛЫ В ОБЩЕСТВЕННЫХ И ЖЕЛЕЗНОДОРОЖНЫХ ОРГАНИЗАЦИЯХ

Проф. Д-р. Герберт Зоннтаг - TH Wildau,  
Проф. Д-р. Ральф Борндорфер - FU Berlin,  
Д-р Клаус Дохмэн - IVU Traffic Technologies AG  
herbert.sonntag@th-wildau.de

### Резюме

Общественный транспорт в пассажирском транспорте все чаще становится центром транспортных систем в крупных городах и городах во всем мире. Это связано с необходимостью эффективного проектирования массового транспорта в крупных городах, избегая обвала трафика из-за моторизованного частного транспорта. Кроме того, экологические проблемы безопасности дорожного движения, загрязнения воздуха и шумового загрязнения все чаще выходят на первый план развития экологически чистого городского общественного транспорта. Поэтому социальный анализ затрат и выгод требует эффективного использования привлекательной системы общественного транспорта.

Процессы планирования, эксплуатации и управления общественным транспортом связаны с рядом проблем оптимизации в отношении привлекательной и экономически выгодной конструкции транспортной системы. Количественные подходы и алгоритмы исследования операций являются частью решения этих проблем.

Первым структурным этапом является процесс долгосрочного планирования. В обзоре представлены различные подходы, ориентированные на оптимизацию спроса на проектирование линий сети S-Bahn, U-Bahn, трамвай и автобус. Целью является минимизация времени пребывания пользователей в отношении ограничений пропускной способности ресурсов и бюджета. Дальнейшие шаги - это эффективные подходы к финансированию и *тарифной структуре* сети систем общественного транспорта.

На втором этапе в центре внимания находятся подходы к оптимизации в оперативном планировании общественного транспорта. Это касается планирования расписания для обеспечения связи между транспортными линиями и транспортными системами. Оптимизация циркуляции вагонов - оптимизация блоков - для достижения максимальной операционной эффективности с ресурсами транспортных систем. Еще одним важным шагом в оперативном планировании и оперативной организации является оптимизация услуг и персонала с минимальными непроизводительными сроками в соответствии с коллективным договором и установленными законом сроками и правилами.

В частности, в связи с развитием информационных технологий приложения в режиме реального времени контролируют общественный транспорт. Это касается эффективного управления флотом с помощью программных систем, поддерживающих ИТ, для ресурсов подвижного состава. Причинами являются разносторонние аспекты нарушения в потоке трафика. Это также относится к быстрой и безопасной продаже билетов через чип-карты, смартфоны или другие системы. Наконец, фактические навигационные системы для оптимального маршрута пассажиров включают в себя данные динамических потоков трафика в реальном времени.

Привлекательная система общественного транспорта является необходимостью для города и города с точки зрения качества жизни и экономического успеха. Чтобы добиться устойчивого эффекта, как можно больше групп населения, как город, должно быть вдохновлено использовать систему.

# კომუნიკაციის ცნების დინამიკა და კომპიუტერული კომუნიკაცია

თემურ ჯაგოდნიშვილი, ივანე ჯაგოდნიშვილი, ასმათ ფიფია

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
t.jagodnishvili@gtu.ge, i.jagodnishvili@gtu.ge, a.pipia@gtu.ge

## რეზიუმე

განხილულია კომუნიკაციის ფენომენის არსის გამოხატვის, ინტერპრეტირების საკითხები და ტერმინოლოგიური დეფინიციების განვითარება-დაზუსტების დინამიკა მარტივიდან და უზოგადესიდან კომპიუტერული კომუნიკაციის ფორმებამდე. მითითებულია, რომ კომუნიკაციის უზოგადესი (და უმარტივესი) ფორმა არის ორი სუბიექტის (ადრესანტისა და ადრესატის) გაშუალებული და მიზანმიმართული ურთიერთქმედება და უმთავრესად ოთხი ტიპისაა. ესენია: მატერიალური, გენეტიკური, ფსიქიკური და სოციალური. სოციალურს განეკუთვნება კომპიუტერული კომუნიკაცია, რომელიც წარმოადგენს მნიშვნელობათა მოძრაობას დროსა და სივრცეში, რასაც სოციალურ მეხსიერებასაც უწოდებენ. კეთდება დასკვნა, რომ კომუნიკაციის აქტი ხორციელდება კოდის (ტექსტის) მეშვეობით და იგი დინამიკური მოვლენაა, ვინაიდან ცვალებადია როგორც ინფორმაციის ფორმა (ფაქტურა), ისე კომუნიკაციის აქტის მონაწილეთა ფუნქციები.

**საკვანძო სიტყვები:** კომუნიკაცია. კომპიუტერული კომუნიკაცია. მატერიალური. გენეტიკური, ფსიქიკური, სოციალური კომუნიკაციები.

## 1. შესავალი

ცნობილია, რომ ინფორმაციის ცნების აქტუალიზაცია კომუნიკაციის პროცესში ხდება. ინფორმაცია იმდენად არსებობს, რამდენადაც არსებობს კომუნიკაციის აქტი.

კომუნიკაცია ზოგადად ორი სუბიექტის გაშუალებული და მიზანმიმართული ურთიერთქმედებაა. დროსა და სივრცეში კომუნიკაციის ოთხ ტიპს გამოყოფენ: მატერიალურს, გენეტიკურს, ფსიქიკურსა და სოციალურს. სამი უკანასკნელი აზრობრივი კომუნიკაციის კლასს ქმნის. სოციალური კომუნიკაციის განეკუთვნება კომპიუტერული კომუნიკაცია. იგი წამოადგენს მნიშვნელობათა მოძრაობას დროსა და სივრცეში, ხოლო ეს მნიშვნელობები ადრესანტიდან ადრესატისაკენ მოძრაობენ და ცოდნას, უნარებს, სტიმულებსა და ემოციებს წარმოადგენენ.

სოციალური სივრცე ხალხის მიერ ინტუიციურად აღქმული სოციალური ურთიერთდამოკიდებულებაა. სოციალური დრო ინტუიციურად აღქმული სოციალური ცხოვრების მდინარეებაცაა და სოციალური ცვლილებების ინტენსივობაზეა დამოკიდებული.

ვინაიდან სოციალური კომუნიკაცია არის მნიშვნელობათა მოძრაობა სოციალურ დროსა და სივრცეში, შესაძლებელია კომუნიკაციური მოღვაწეობისა და მნიშვნელობათა მოძრაობის სოციალურ დროში გამიჯვნა, რასაც სოციალურ მეხსიერებას უწოდებენ. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ კომუნიკაციური მოღვაწეობა და სოციალური მეხსიერება კომუნიკაციის ფენომენის ორ მხარეს ქმნის.

## 2. ძირითადი ნაწილი

კომუნიკაციური მოღვაწეობა კომუნიკაციური მოქმედებებისგან შედგება და იგი სამი ძირითადი ფორმით (მიბაძვა, მართვა და დიალოგი) ვლინდება.

კომუნიკაციური მოღვაწეობის სუბიექტები და ობიექტები, როგორც წესი, არიან **ინდივიდუალური პიროვნება, სოციალური ჯგუფი, მასობრივი აუდიტორია**, მთლიანად საზოგადოების, როგორც ადამიანების ერთიანობის სახით. ცნობილია, რომ პირველ შემთხვევაში ადგილი აქვს მიკროკომუნიკაციას, მეორეში – მიდიკომუნიკაციას, ხოლო მესამეში – მაკროკომუნიკაციას. ურთიერთობის დონეს პირველ შემთხვევაში პიროვნებათშორისი, მეორე შემთხვევაში – ჯგუფური, ხოლო მესამე შემთხვევაში – კომუნიკაციის მასობრივი დონეები ეწოდება. ისიც ცნობილია, რომ დიალოგი შესაძლებელია მხოლოდ ერთი დონის

სუბიექტებს შორის, მართვა და მიბაძვა ყველა დონის სუბიექტებს შორის ხდება. სოციალური მნიშვნელობების შენახვას განაპირობებს ინდივიდუალური და კოლექტიური, ანუ სოციალური მეხსიერება. პირველისთვის დამახასიათებელია ფსიქიკური ქრონოტოპი (ფსიქიკური დრო და სივრცე). არამატერიალური სოციალური მეხსიერება სოციალურ ქრონოტოპში (სოციალურ დროსა და სივრცეში) არსებობს, ხოლო მატერიალური სოციალური მეხსიერება მატერიალურ კულტურას განეკუთვნება და იგი ფიზიკურ ქრონოტოპში – (ასტრონომიულ დროსა და სამგანზომილებიან გეოგრაფიულ სივრცეში) ვლინდება.

მეხსიერების ყველა სახის ერთიანობა იმაში ვლინდება, რომ ყველა მათგანი ერთსა და იმავე მნიშვნელობების შენახვასა და გადაცემას უზრუნველყოფს. ესენია: ცოდნის უნარები, ემოციები და სტიმულები. განსხვავებას ქმნის სხვადასხვა ქრონოლოგიური შკალის, განსხვავებული ენებისა და კოდების, აზრის მატერიალური მატარებლის არაერთგვაროვნება.

კულტურული და სოციალური კომუნიკაციები მხოლოდ ურთიერთკავშირში კი არ ვითარდება, არამედ ერთმანეთს ესადაგება, ვინაიდან, კომუნიკაცია კულტურის ორგანულ ნაწილს წარმოადგენს და სოციალური კომუნიკაციების განვითარების სტადიები კულტურის განვითარების სტადიებს ემთხვევა.

**არქეოკულტურას მიკროკომუნიკაციას უკავშირებენ. პალეოკულტურა** მიკროკომუნიკაციასთან ერთად მიდიკომუნიკაციას წარმოქმნის. **ნეოკულტურა** მაკროკომუნიკაციის ეტაპს უკავშირდება. წარმოიქმნება მასობრივი კომუნიკაციისთვის აუცილებელი ტექნიკური საშუალებები, შესაძლებელი ხდება საეთაშორისო კულტურული თანამშრომლობა, წარმოებს ინფორმაციული ომები, ხორციელდება კომუნიკაციური სისტემის გლობალიზაცია.

კომუნიკაციური პარადიგმებისა და ახალი კომუნიკაციური არხების გაჩენა სერიოზული ბრძოლის ფონზე მიმდინარეობდა. ასე, მაგალითად, დამწერლობამ დაარღვია მიმართება ინდივიდუალურ მეხსიერებასა და საზოგადოებრივ ცოდნას შორის, მანუფაქტურულმა წიგნიერებამ განაპირობა დამწერლობის დესაკრალიზაცია და ა. შ. ნეოკულტურის სტადიაზე ისეთი სპეციალური დისციპლინები წარმოიშვა, რომლებიც სხვადასხვა კომუნიკაციურ მოვლენებს სწავლობენ, მათ შორის უაღრესად აქტუალურია მასობრივი კომუნიკაციის თეორია.

კომუნიკაციის თეორია განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს შემეცნების მეთოდოლოგიურ პრინციპს, რომელსაც ინფორმაციული მიდგომა ეწოდება და, რომელიც ობიექტებსა და მოვლენების შესწავლაში მდგომარეობს. დღეისათვის სულ უფრო დაჟინებით მიუთითებენ ინფორმაციული მიდგომის გამოყენების რეჟიმზე: ერთს უწოდებენ კორექტულს ანუ ისეთს, როდესაც ინფორმაციული მოდელი და რეალური სინამდვილე ერთმანეთისგან გამიჯნულია, მეორეს – არაკორექტულს ანუ ისეთს, როდესაც ინფორმაცია გაიგივებულია რეალურ ობიექტებთან (სიგნალებთან, ცოდნასთან, სტრუქტურასთან და ა. შ.). არაკორექტული მიდგომა საკმაოდ გავრცელებულია მეცნიერებასა და პრაქტიკაში, რადგანაც სასარგებლო ნომინაციური, კონსტრუქციული, აღწერილობითი ფუნქციების განხორციელება შეუძლია.

**ინფორმაციული მეცნიერებები, რომლებიც ინფორმაციის და ნაირსახეობებს** (სოციალურს, სამეცნიეროს, ეკონომიკურს, ესთეტიკურს და ა. შ.) შეისწავლიან, არაკორექტულ საინფორმაციო მიდგომას იყენებენ. ინფორმაციის მოძრაობა სოციალურ დროსა და სივრცეში განპირობებულია სოციალური მოთხოვნებით, რომლებიც პირად, ჯგუფურ და საზოგადოებრივ დონეზე ხორციელდება. კომუნიკაციური მოთხოვნილება სუბიექტთა ფუნქციურ თვისებას წარმოადგენს და მისი მიზანია აქტიური რეაგირება ცნობიერების არსებული და ნორმალური მდგომარეობის შეუთანხმებლობაზე.

სოციალური კომუნიკაციის მემკვიდრით ორი აბსოლუტური კომუნიკაციური მოთხოვნილება რეალიზდება. ერთია მნიშვნელობების სოციალურ სივრცეში გადაცემის სურვილი, მეორე – მნიშვნელობების დროში გადაცემის მოთხოვნილება.

კომუნიკაციის უმაღლეს ფორმას ელექტრონული (კომპიუტერული) კომუნიკაცია წარმოადგენს. ელექტრონული კომუნიკაციის თეორეტიკოსი მარშალი მაკლუენი მიუთითებდა, რომ კაცობრიობის სულიერი და მატერიალური პროგრესი არც შრომის იარაღებითა და ბუნების ათვისებით განისაზღვრება,

არც ეკონომიკით, პოლიტიკითა და კულტურით, არამედ სოციალური კომუნიკაციის ტექნოლოგიით. ეს ავტორი კაცობრიობის ისტორიაში ოთხ ეტაპს გამოყოფს:

1. „**დამწერლობამდელი ბარბაროსობის ეპოქას**“, რომლის მწვერვალია დანაწევრებული მეტყველება, „მსმენელი ადამიანის“ ჩამოყალიბება, რომელიც ღია აკუსტიკურ სივრცეში ცხოვრობდა და პირადად იყო დაკავშირებული გარემოს მოვლენებთან;

2. „**წერილობითი კოდიფიკაციის ეპოქას**“, როდესაც სმენითმა მხარემ გაბატონებული ადგილი დაუთმო მხედველობითს;

3. „**გუტენბერგის ეპოქას**“, როდესაც ბეჭდვითმა სიტყვამ ადამიანებს საშუალება მისცა უპიროვნო მასისათვის, ანუ მასობრივი აუდიტორიისთვის მიმართვის, „მსმენელი ადამიანის“ ნაცვლად, გაჩნდა „მაყურებელი ადამიანი“, რომელსაც დახშული ჰქონდა ყველა სენსორული არხი-სმენა, ყნოსვა, შეგრძნება, გემო, მაგრამ ჰიპერტროფირებული ჰქონდა მხედველობა. მასობრივი პოლიტიკური და რელიგიური მოძრაობები, სისხლიანი რევოლუციები და მსოფლიო ომები – ბეჭდვითი ორგანოების ჰიპნოზური ზეგავლენის შედეგი გახდა.

4. „**თანამედროვე ეპოქას**“, რომლის არსებით მახასიათებლად მიჩნეულია „მსმენელი ადამიანისა“ და „მაყურებელი ადამიანის“ სინთეზი. კავშირის ელექტრონული საშუალებები კაცობრიობის ისტორიაში კომუნიკაციურ რევოლუციას წარმოადგენს. თანამედროვე კომუნიკაციის საშუალებების თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ისინი მოქმედებენ არა გრძნობის ცალკეული ორგანოებზე, არამედ მთლიანად ადამიანის ნერვულ სისტემაზე. გარესამყარო კვლავ ცოცხალ კონკურენციაშია და ადამიანს მიმდინარე მოვლენებში მონაწილეობის ილუზია ექმნება. ელექტრონული კომუნიკაცია ახალ ტექნოლოგიურ საფუძველზე აღადგენს „კოლექტიური ცნობიერების“ პირველყოფილ სინკრეტულობას და ჩვენს პლანეტას ერთიან „გლობალურ სოფლად“ აქცევს. ამ „სოფელში“, მარშალ მაკლუენის მიხედვით, **ადგილი არ ექნება ინდივიდუალიზმსა და ნაციონალიზმს, განზე გადადგომასა და აგრესიულობას**. მომავალი მსოფლიო ცივილიზაციას, ჰარმონიული კომუნიკაციის ეპოქას ეკუთვნის. XX საუკუნის 60-იან წლებში, როდესაც ჯერ არ იყო მომხდარი კომპიუტერული რევოლუცია, არ იყო ინტერნეტი, მან შეძლო ჰიპერმედიის პროგნოზირება, რამაც სამართლიანად მოუტანა მას „ელექტრონული კომუნიკაციის წინასწარმეტყველის“ სახელი. თუმცა რეალობა სხვას ცხადყოფს. გლობალიზაციამ ძირფესვიანად შეცვალა მ. მაკლუენის მიერ ნაწინასწარმეტყველი ჰიპერმედიის პარადიგმა. ახალი პარადიგმა ეგოცენტრისტული გახდა. „მე“ და „ჩვენ“ მსოფლმხედველობრივად დაუპირისპირდა „შენ“-სა და „სხვებს“ და ინდივიდუალიზმს, ნაციონალიზმს, განზე გადადგომას და აგრესიულობის ზეობას დაუდო სათავე. აგრესიულობა და ექსტრემიზმი ლამის ცხოვრების ნორმა გახდა.

თანამედროვე კომუნიკაცია ზეპირი, დოკუმენტური და ელექტრონული სახითაა წარმოდგენილი. განსაკუთრებით დიდია კონკურენცია ხელოვნურ სოციალურ-კომუნიკაციურ სისტემებს შორის. თუ სატელევიზიო კომპიუტერულ სისტემას სოციალური ფუნქციის შესრულება უკეთ შეუძლია, ვიდრე დოკუმენტურ-კომუნიკაციურ სისტემას და, ამასთანავე, კომუნიკაციური ბარიერები შემცირდა, დოკუმენტური ინფორმაცია დაკარგავს თავის სოციალურ-კულტურულ პრიორიტეტებს და სოციალური კომუნიკაციების პერიფერიაზე გადაინაცვლებს. რაც შეეხება ზეპირ კომუნიკაციას, მისი პოზიციები ყოველთვის შეურყეველი იქნება, ვინაიდან, იგი ბუნებრივ კომუნიკაციურ არხებს – ვერბალურს და არავერბალურს ეფუძნება. ელექტრონულ კომუნიკაციას შეუძლია დოკუმენტური კომუნიკაციის ფუნქციებიც შეასრულოს, თანაც უკეთ. ამასთანავე, მხედველობაში მისაღებია ის გარემოება, რომ ელექტრონული კომუნიკაციის პოტენციალი ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე გააზრებული. გარდაუვალია ხელოვნების სატელევიზიო-კომპიუტერული ნაირსახეობების წარმოშობა. წარმოიქმნება მასობრივი აუდიტორია, რომელიც მულტიმედიის ატმოსფეროში აღიზრდება, ელექტრონულ კომუნიკაციას თვისი კომუნიკაციური ბარიერები გაუჩნდა. ესენი არიან ჰაკერები და კომპიუტერული ბანდიტები. ამას ფსიქიკურ პლანში ის ნეგატიური შედეგებიც მოჰყვა, რომელიც თან ახლავს სატელევიზიო ტექნიკასთან მუდმივ ურთიერთობას (ყურადღების დაქვეითება, **ინტელექტუალური აღქმის დაქვეითება**, ანუ

აზრობრივი სიზარმაცე, ინდივიდუალური მეხსიერების ასოციაციურობა, რაც მიღებული ინფორმაციის აღქმის ფრაგმენტულობაში ვლინდება).

ელექტრონულ კომუნიკაციას სოციალური ბარიერებიც აქვს. საქმე ისაა, რომ ერთიანი და უნიფიცირებული ზოგადკაცობრიული კულტურა ეროვნული კულტურის განვითარებისათვის პირდაპირ საფრთხეს წარმოადგენს. სწორედ აქედან მომდინარეობს ეროვნულ ინტერესებზე ორიენტირებული ინტელიგენციის სკეპტიკური დამოკიდებულება „ღია საზოგადოების“ ლოზუნგების მიმართ, კოსმოპოლიტიზმისა და ინტერნაციონალიზმის მიუღებლობა და მათ წინააღმდეგ ბრძოლა.

ამასთან დაკავშირებით, დგება კროსკულტურული კომუნიკაციის პრობლემა, რომელიც ეროვნულ კულტურაში ზოგადსაკაცობრიო კულტურული ღირებულების სისტემის ელემენტებს ავლენს..

ელექტრონული კომუნიკაცია კაპიტალდაზანდების საკმაოდ მიმზიდველი სფეროა.

ელექტრონულ კომუნიკაციას, აღნიშნულ მინუსებთან ერთად, დადებითი მხარეებიც მოეპოვება, რაც, უპირველეს ყოვლისა, „ინტერნეტს“ უკავშირდება. ინტერნეტი გლობალური საკომუნიკაციო კომპიუტერული ქსელია, რომელიც განკუთვნილია პირადი და ჯგუფური კომუნიკაციური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, ტელესაკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების გზით.

ქსელის სოციალურ-კომუნიკაციური არსი განპირობებულია კომუნიკაციურ-სივრცითი და კომუნიკაციურ-დროებითი ფუნქციებით, ე. ი. მნიშვნელობათა სოციალურ დროსა და სივრცეში მოძრაობის შესაძლებლობის უზრუნველყოფით. იგი არსებობს არა მთელი საზოგადოების, არამედ ცალკეული პირებისა და სოციალურ ჯგუფების კომუნიკაციური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.

მსოფლიო ქსელის ფენომენების მეტათეორიული გააზრება ფილოსოფიურ-ისტორიული, ორგანიზაციულ-მართვითი, ეთიკურ-სამართლებრივი, სოციალური და ფსიქოლოგიური ასპექტების განზოგადებას საჭიროებს.

ელექტრონული კომუნიკაციის ფილოლოგიური და თარგმანმცოდნეობითი კუთხით ანალიზი ჩვენში ჯერ არ გაკეთებულა. იგი, უპირველეს ყოვლისა, უკავშირდება კომპიუტერული ტექსტისა და კომპიუტერული კომუნიკაციის ოპერატიული ერთეულის პრობლემას.

### 3. დასკვნა

ინფორმაციის მნიშვნელობა ადამიანთა პრაქტიკულ საქმიანობისათვის განაპირობებს მისი შენახვის, გადამუშავების და გავრცელების მექანიზმების ჩამოყალიბებას. ინფორმაციული რევოლუციები, ფაქტობრივი საკომუნიკაციო (სამეტყველო) ფაქტურის დინამიკას ასახავენ მარტივიდან (ზეპირი მეტყველება) ურთულეს ფორმებამდე (კომპიუტერული კომუნიკაცია).

ინფორმაციის ფორმას შესაბამისი კოდი ანუ ტექსტი წარმოადგენს, რომელიც გლობალური-საინფორმაციო სისტემის ნაწილია. კოდის, როგორც საინფორმაციო ერთეულის, არსებობას განაპირობებს კომუნიკაციის პროცესში ჩართვის საჭიროება, ვინაიდან ინფორმაცია არსებობს მხოლოდ კომუნიკაციის აქტში ანუ იქ, სადაც ხდება მისი ინტერპრეტაცია.

კომუნიკაციის აქტი, რომლის კლასიკური მოდელი ადრესანტისა და ადრესატის ურთიერთობას ახორციელებს კოდის (ტექსტი) მეშვეობით, დინამიკური მოვლენაა, ვინაიდან იცვლება როგორც ინფორმაციის ფორმა (ფაქტურა), ასევე კომუნიკაციის აქტში მონაწილეთა ფუნქციები.

### ლიტერატურა – References – Литература:

1. ჯაგოდნიშვილი თ., ჯაგოდნიშვილი ი. (2009). ვერბალური კომუნიკაციები, თბილისი
2. ჯაგოდნიშვილი თ., ჯაგოდნიშვილი ი. (2017). კომუნიკატორის ენობრივი პიროვნება, თბილისი,
3. სუმბაძე ნ., მახარაძე თ. (2010). ინტერპერსონალური კომუნიკაცია (მომსახურების სფერო), თბ.
4. <http://komunikac.blogspot.com/2012/06/blog-post.html>
5. Шилина М.Г. Интернет как коммуникативный феномен, <http://www.mediascope.ru/node/1081>
6. <http://www.tabula.ge/ge/story/64297-makluenis-gakvetilebi>

## THE DYNAMICS OF THE TERM “COMMUNICATION”, AND COMPUTER COMMUNICATIONS

Temur Jagodnishvili, Ivane Jagodnishvili, Asmat Pipia  
Georgian Technical University  
t.jagodnishvili@gtu.ge, i.jagodnishvili@gtu.ge, a.pipia@gtu.ge

### Summary

Discussed in the resume are the issues of the expression and interpretation of the meaning of the phenomenon that is communication, and the dynamics of development/specification of the definitions of terminology from simple and general to computer communication forms. It is specified, that the most general (also, the simplest) form of communication is the direct and purposeful interaction of two subjects (the addressee and the recipient), and it comes in four types, which are: material, genetic, mental, and social. Computer communication, being the traffic of values in time and space, falls under the category of social interaction, and is often referred to as social memory. It is concluded, that the act of communication is realized using a code (a text) and it's a dynamic event, because both the form of the information and the functions of the participants of the act of communication are variable.

## ALP (Active Learning Platform) ტექნოლოგიების ინოვაციური გამოყენება უმაღლესი საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზებისას

თამარ ლომინაძე, ლელა პაპავა, ქეთევან მამათელაშვილი, ლადო ხუნდაძე  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
t.lominadze@gtu.ge

### რეზიუმე

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევა, რომელსაც წარმატებით უნდა გაართვას თავი თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემამ, არის უმაღლეს საგანმანათლებლო ინსტიტუციებში საინფორმაციო სისტემებისა და ტექნოლოგიების დანერგვა. დღეს უკვე აუცილებელი გახდა საუნივერსიტეტო სასწავლო პროცესის გამდიდრება ახალი ტექნოლოგიებით, რაც კიდევ უფრო მიმზიდველი და საინტერესო იქნება თანამედროვე "ტექნოლოგიური" სტუდენტებისა და მასწავლებლებისთვის. წარმოდგენილ ნაშრომში განხილულია თუ რა პროცესები მიმდინარეობს დღეს წამყვან ამერიკულ და ევროპულ უნივერსიტეტებში ამ მიმართულებით და როგორ შეიძლება მათი გამოცდილების გაზიარება და გადმოტანა ქართული უმაღლესი განათლების სისტემის მოთხოვნებისა და თავისებურებების გათვალისწინებით.

**საკვანძო სიტყვები:** ტექნოლოგიაზე დაფუძნებული სწავლება. ინფორმაციული ტექნოლოგები. უმაღლესი განათლება.

### 1. შესავალი: საინფორმაციო ტექნოლოგიები უმაღლეს განათლებაში

*„თქვი რამე, რომ დაგინახო“ - სოკრატე*

*„შეუძლებელია სრულყოფილად გაიცნო სტუდენტი და მისი შესაძლებლობები ისე, რომ მას თვალეში არ ჩახედო“ - ფილოსოფოსი სავლე*

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევა, რომელსაც წარმატებით უნდა გაართვას თავი თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემამ, არის უმაღლეს საგანმანათლებლო ინსტიტუციებში საინფორმაციო სისტემებისა და ტექნოლოგიების დანერგვა. ახალი ტექნოლოგიები, ინტერნეტი, მობილური



მოწყობილობები ცხოვრების განუყოფელ და ჩვეულ ნაწილად იქცა, განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობისთვის, ვინც საუნივერსიტეტო განათლების მთავარი მონაწილეა. ამიტომ, დღეს უკვე აუცილებელი გახდა, რომ საუნივერსიტეტო სასწავლო პროცესი გამდიდრდეს ახალი ტექნოლოგიებით და კიდევ უფრო მიმზიდველი და საინტერესო გახდეს თანამედროვე "ტექნოლოგიური" სტუდენტებისა და მასწავლებლებისთვის.

ეს პრობლემა ქართულ საგანმანათლებლო სივრცეშიც მეტად აქტუალურია. ამიტომ, ძალიან საინტერესოა შესწავლა, თუ რა პროცესები მიმდინარეობს დღეს წამყვან ამერიკულ და ევროპულ უნივერსიტეტებში ამ მიმართულებით და როგორ შეგვიძლია ჩვენ მათი გამოცდილების გაზიარება და გადმოტანა ჩვენი მოთხოვნებისა და თავისებურებების გათვალისწინებით.

ევროკომისიის ვიცე-პრეზიდენტმა, რომელიც პასუხისმგებელია ევროკომისიის ე.წ. ციფრული განვითარების დღის წესრიგზე (Digital Agenda on the European Commission) არსებული პრობლემა შემდეგნაირად შეაჯამა: "ჩემი ოცნებაა 2020 წლისთვის ყველა საკლასო ოთახი "ციფრული" გახდეს. განათლება აუცილებლად უნდა იყოს დაკავშირებული რეალურ ცხოვრებასთან, ეს არ შეიძლება იყოს ორი პარალელური სამყარო. ახალგაზრდა თაობას სურს ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება ცხოვრების ყველა ასპექტში. მათ სჭირდებათ ციფრული უნარები სამსახურის მისაღებად. ჩვენი ყველა სკოლა და უნივერსიტეტი - და არამხოლოდ ზოგიერთი მათგანი, უნდა ასახავდეს ამ რეალობას".

## 2. აქტიური სწავლების პლატფორმა (ALP)

ტერმინი „აქტიური სწავლება“ სხვადასხვანაირად შეიძლება იყოს განმარტებული სხვადასხვა გარემოში და, შესაბამისად, შეიძლება მოიცავდეს სხვადასხვა ტიპის აქტივობებს. ყველაზე ზოგადი განმარტებით, აქტიური სწავლება განმარტება როგორც:

„სასწავლო კურსთან დაკავშირებული ნებისმიერ აქტივობა, დაკვირვების, მოსმენის და ჩანაწერების გაკეთების გარდა, რაშიც ყველა სტუდენტი უნდა იყოს ჩართული“ [3]. მაგალითად, სწრაფი შეკითხვები და პასუხები, სვარჯიშოები, ზოგჯერ მდებარეობის შეცვლა საკლასო ოთახში და სხვა.

აქტიური სწავლების პლატფორმები (ALP) საშუალებას იძლევა სასწავლო პროცესში აქტიური სწავლების სხვადასხვა ინსტრუმენტი იყოს ჩართული და მათი გამოყენების შედეგი იყოს მეტად ეფექტური. ფართოდ გამოიყენება ისეთი აქტივობები, როგორცაა გაუგებარი საკითხის შესახებ მასწავლებლის მეყსეულად ინფორმირება და მისგან (ან მისი ასისტენტისაგან) განმარტებების მიღება, შეკითხვის დასმა და მასზე პასუხის მეყსეულად მიღება; შენიშვნებისა და ჩანაწერების გაკეთება და მეყსეული გაზიარება სასწავლო პროცესის სხვა მონაწილეებისთვის და სხვა. ძირითადი აქცენტი ასეთი მიდგომისას კეთდება სასწავლო პროცესის მონაწილეებს შორის ინფორმაციის მეყსეულ ტრანსფერზე და უკუკავშირის მრავალფეროვანი და ეფექტური სისტემის აგებაზე.

ALP პლატფორმები სტუდენტებს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების „პოზიტიურად“ გამოყენებისაკენ უბიძგებს. იმ მოწყობილობების მეშვეობით, იქნება ეს კომპიუტერი, ნოუტბუქი, მობილური თუ ტაბლეთი, რითიც სტუდენტები საკლასო ოთახში მოდიან, ისინი ერთგვრიან სასწავლო მასალის განხილვასა და გააზრებაში. სხვა საკლასო ოთახებისაგან განსხვავებით, სადაც მობილურების, ტაბლეთებისა და ა.შ. გამოყენება აკრძალულია, ALP ტექნოლოგიით აღჭურვილ ოთახებში სტუდენტებს მოუწოდებენ მოვიდნენ თავისი მოწყობილობებით და აქტიურად ჩაერთონ სასწავლო პროცესში.

სასწავლო პროცესში აქტიური მონაწილეობა თანამედროვე სტუდენტების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოთხოვნაა. დღევანდელ სტუდენტს სჭირდება დიალოგი პროფესორ-მასწავლებლებთან, მათთან თანამშრომლობა სასწავლო პროცესში და არა დირექტივების მიღება და მათი განუხრელად შესრულება. შესაბამისად, მცირდება ინტერესი და მოთხოვნა მონოლოგის რეჟიმში მიმდინარე სასწავლო პროცესისადმი და აქცენტი ლექციის მსვლელობისას სტუდენტის მხრიდან უკუკავშირის მიღებაზე კეთდება. მიჩიგანის უნივერსიტეტში ჩატარებული კვლევების მიხედვით, სტუდენტების 75% გამოთქვა მოსაზრება, რომ ისინი გაცილებით უფრო ყურადღებით იქნებოდნენ საკლასო ოთახში, თუ მათ ექნებოდათ ლექციის განმავლობაში, რეალურ დროში, შეკითხვის დასმისა და შეკითხვაზე პასუხის მიღების


შესაძლებლობა, ყველა მათთვის გაუგებარ საკითხზე. გარდა ამისა, სტუდენტების 65 პროცენტმა აღნიშნა, რომ შესაძლებლობის შემთხვევაში, ისინი აუცილებლად ისარგებლებდნენ ლექციები ვიდეო-ჩანაწერით, განსაკუთრებით გამოცდების წინ [1].

რა თქმა უნდა, როგორც ყველა ტექნოლოგიურ სიახლეს, ALP პლატფორმის დანერგვასაც გარკვეული სირთულეები ახლავს თან, განსაკუთრებით, პროფესორ-მასწავლებლების მხრიდან. რიგის სტოკჰოლმის ბიზნეს-სკოლაში ჩატარებული კვლევების თანახმად, სკოლის მასწავლებლების უმეტესობა თვლის, რომ ასეთი ტექნოლოგიების გამოყენება საკლასო ოთახში სტუდენტებს მეტად გაუფანტავს ყურადღებას, თუმცა სიამოვნებით გამოიყენებდნენ პლატფორმის სხვადასხვა ფუნქციას სტუდენტებთან უფრო ინტენსიური და გაუმჯობესებული კომუნიკაციისთვის. გარდა ამისა, თანამშრომლების 90 პროცენტი შიშობდა, რომ ლექციების ვიდეო-ჩანაწერების არსებობა მნიშვნელოვნად შეამცირებდა საკლასო ოთახში მოსული სტუდენტების რაოდენობას. მაგრამ, მეორეს მხრივ, თუკი სტუდენტები ლექციის ვიდეო-ჩანაწერს ნახავდნენ რეალური ლექციის დაწყებამდე, საკლასო ოთახში მოსვლის წინ, ეს ხელს შეუწყობდა ახალი მასალის უკეთ გაგებასა და ათვისებას.

განსაკუთრებით საინტერესო პროფესორ-მასწავლებლებისთვის იყო ALP პლატფორმის მეშვეობით სტუდენტებისაგან შეკითხვების რეალურ დროში მიღებისა და მათზე პასუხის გაცემის შესაძლებლობა. მათი აზრით, ეს ხელს შეუწყობდა სასწავლო მასალის საფუძვლიან ათვისებას [1].

დღესდღეობით მრავალი ALP პლატფორმა არსებობს. მათ შორის ერთ-ერთი მოწინავე არის Echo360, რომელიც მეტად მოქნილ, ინტერაქტიულ და სხვადასხვა ეფექტური ინსტრუმენტებით აღჭურვილ ALP პლატფორმას გვთავაზობს. Echo360 ALP პლატფორმის გამოყენებით სტუდენტების ჩართულობა სასწავლო პროცესში შემდეგი კრიტერიუმებით შეიძლება შეფასდეს (ნახ.1):

- ✓ დასწრება;
- ✓ საკლასო ოთახში შეკითხვებზე გაცემული პასუხების რაოდენობა;
- ✓ საკლასო ოთახში შეკითხვაზე სწორად გაცემული პასუხების რაოდენობა;
- ✓ ლექციის მსვლელობისას გაკეთებული ჩანაწერების მოცულობა;
- ✓ ლექციის მსვლელობისას გაკეთებული ჩანაწერების რაოდენობა;
- ✓ ლექციის მსვლელობისას დასმული შეკითხვების რაოდენობა;



ნახ. 1 დამოკიდებულება გამოცდის საშუალო შეფასებასა და მასზე მოქმედ სხვადასხვა ფაქტორებს შორის. მონაცემები ანალიზისთვის მიღებულია Echo360 ALP პლატფორმის გამოყენებით [4]

### 3. პროგნოზირება APL ტექნოლოგიის გამოყენების შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე

რამდენად საჭირო და აუცილებელია პირისპირი (ე.წ. F2F - Face-to Face) კონტაქტი სტუდენტსა და პროფესორს შორის? შეიძლება თუ არა ონლაინ შეხვედრებმა სრულად ჩანაცვლოს რეალური კომპუნიკაცია? რა არის ის ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორი რაც რეალურ დროში ონლაინ კომუნიკაციას პირისპირ რეალური შეხვედრებისაგან განასხვავებს?

დოქტორი ნოდარ ლომინაძე – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წამყვანი პროფესორი, თავისი დარგის გამორჩეული პროფესიონალი და ერთ-ერთი ყველაზე პროგრესული ადამიანი ვინც კი შეგვხვდებოდა (ავტორთა ჯგუფის შენიშვნა) – ხშირად ამბობს, რომ შეუძლებელია სრულყოფილად გაიცნოს სტუდენტი და მისი შესაძლებლობები ისე, თუ მას თვალეზში არ ჩახედე.


საკმაოდ დიდხანს ვთვლიდით, რომ ეს ტრადიციული, ჩვენს საუნივერსიტეტო გარემოში დამკვიდრებული სწავლების სტილის მიმართ დამოკიდებულების გამოხატულება იყო. თუმცა, რაც უფრო მეტად გავეცანით წამყვანი ამერიკული და ევროპული უნივერსიტეტების გამოცდილებას, რომლებიც წარმატებით იყენებენ ტექნოლოგიაზე დაფუძნებულ სწავლებას თავის სასწავლო პროცესში, მით უფრო მეტად დავრწმუნდით, რომ მართლაც, სტუდენტის თვალეზში ჩახედვა, თუნდაც გარკვეული პერიოდულობით, მეტად მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ ის, როგორც პიროვნება ისე დაინახოს და შეაფასოს.

მიჩიგანის უნივერსიტეტში ჩატარებული კვლევები ამის ძალიან კარგი და ნათელი დადასტურებაა. უნივერსიტეტის პროფესორების თქმით, ყველაზე კარგად იმის დანახვა, გაიგო თუ არა კლასმა ახალი მასალა, სტუდენტების თვალეზში შეიძლება.

ამავე უნივერსიტეტის პროფესორის, პერი სამსონის მოსაზრებით, შორს არ არის ის დრო, როდესაც სასწავლო კომპიუტერები სპეციალური სკანერებით აღიჭურვება და მათი დახმარებით შესაძლებელი იქნება განისაზღვროს როგორ და, რაც მთავარია, როდის გაიგო სტუდენტმა ესა თუ ის კონცეფცია [5]. ცხადია, ეს მომავლის პროგნოზია და შეიძლება ბევრს უტრირებულად კი მოეჩვენოს, მაგრამ თუნდაც ამ მაგალითიდან ჩანს, რომ *განსაკუთრებით ტექნოლოგიაზე-დაფუძნებულ სასწავლო პროცესში განსაკუთრებით პროირიტეტულია ადამიანის, როგორც პიროვნების – თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეებით, სწავლის სტილით და თვისებურებებით – გაცნობა და განვითარება*. პროფ. სამსონის აზრით, საუნივერსიტეტო განათლებაში ალბათ დადგება დრო, როდესაც კომპიუტერები სტუდენტების თვალის ირისის სკანირებით მესყუელად დაადგენენ რამდენად გაიგო თითოეულმა მათგანმა ესა თუ ის საკითხი. მართალია, ეს მომავალი კვლევების საგანია, თუმცა ადაპტური და ინდივიდუალიზებული სწავლების პროცესში ასეთი ტექნოლოგია ალბათ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და სერიოზული გარღვევა იქნებოდა.

თუმცა, დღესდღეობით, სტუდენტის ცოდნის და მის მიერ მასალის აღქმის შემოწმების ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური გზა შეკითხვების დასმა და მათზე პასუხების მიღებაა. თუმცა, ალბათ რთულია იმის მტკიცება, რომ ამ გზით მიღებული ინფორმაციის საფუძველზე უტყუარად შეიძლება დავადგინოთ, რამდენად კარგად გაიგო სტუდენტმა ესა თუ ის საკითხი. მრავალი პრობლემა არსებობს – ობიექტური თუ სუბიექტური – რომელიც, მთელ რიგ შემთხვევებში, რეალობის დამახინჯებულ სურათს წარმოგვიდგენს. ჩატარებული კვლევების მიხედვით – სტუდენტის სწავლების სტილის თავისებურებები, სწავლების ენა, კლასში სტუდენტების კონტიგენტი და მათი ერთგვაროვნება, წინარე მოსწრება (GPA) – არის იმ ფაქტორების არასრული სია, რაც ართულების იმის შეფასებას, რამდენად აღიქვა სტუდენტმა ახალი მასალა. ზოგჯერ, პრობლემას საკუთარი მოსაზრების ღიად დაფიქსირებაც წარმოადგენს. ხშირად, სტუდენტებს ურჩვნიათ საერთოდ არ დასვან კითხვა ან უპასუხონ შეკითხვას აუდიტორიაში, სხვა სტუდენტების თანდასწრებით.

აქტიური სწავლების ინსტრუმენტების გამოყენება ამ პრობლემების აღმოფხვრის ერთ-ერთ ეფექტური იარაღია. ასეთი ინსტრუმენტები მრავალგვარია, დაწყებული ონლაინ სასწავლო პლატფორმებით, დასრულებული გამოკითხვის ე.წ. ოფლაინ ინსტრუმენტებით (კლიკერები). ასეთი ინსტრუმენტები აღჭურვილია სტუდენტებისათვის ისეთი ტიპის შეკითხვების დასმის შესაძლებლობით, როგორცაა მრავალი არჩევანი, თავისუფალი პასუხები, რიცხვითი და მულტიმედია შეკითხვები. სტუდენტებს დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემა შეუძლიათ როგორც საკლასო ოთახში, ასე მის ფარგლებს გარეთ, ანონიმურად. მხოლოდ მასწავლებელს შეუძლია დაინახოს ვინ რა კითხვა დასვა, ან ვინ როგორ უპასუხა მის, ან სხვა სტუდენტის მიერ დასმულ შეკითხვას.



ნახ. 2 დამოკიდებულება გამოცდების საშუალო ქულასა და კლასში შეკითხვებზე სწორად გაცემულ პასუხებს შორის. მონაცემები ანალიზისთვის მიღებულია Echo360 ALP პლატფორმის გამოყენებით [5]

### 3. დასკვნა

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი დასკვნა, რაც შეიძლება იქნას გამოტანილი ამ კვლევიდან, არის ის, რომ სტუდენტების მიერ დასმულ შეკითხვებზე კლასში სწორად გაცემული პასუხების რაოდენობა საკმაოდ მჭიდრო კავშირშია გამოცდაზე მათ მიერ მიღებულ შედეგთან.

ეს შედეგი, სტუდენტებზე დაკვირვების სხვა შედეგებთან ერთად, ეფექტურად შეიძლება იქნას გამოყენებული იმ სტუდენტების წინასწარ იდენტიფიცირებისთვის, ვინც, სავარაუდოდ, ვერ შეძლებს კურსის წარმატებით დასრულებას და მოითხოვს პროფესორის მხრიდან დამატებით ძალისხმევასა და დახმარებას. საუნივერსიტეტო განათლებაში ამ პროცესის სწორად დაგეგმვასა და განხორციელებას (სხვადასხვა ინსტრუმენტის: დამატებითი ინდივიდუალური კონსულტაცია, დავალებები, სტუდენტების სამუშაო ჯგუფების ორგანიზება, სხვა) ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

### References - literatura - Литература:

1. Adoption of the Echo360 Active Learning Platform MAP 2015. (2015). Ross School of Business, University of Michigan Spring/Summer
2. Global Higher Education M-Learning Market. Technavio: n. pag. Rpt. in Technavio Insights. N.p.: Infiniti Research Limited, n.d. N. pag. Print
3. ACTIVE LEARNING: AN INTRODUCTION. (2009). Richard M. Felder Hoechst Celanese Professor Emeritus of Chemical Engineering North Carolina State University Rebecca Brent President, Education Designs, Inc. Cary, North Carolina, ASQ Higher Education Brief, 2(4), August
4. Perry Samson. (2015). Promoting Engagement in Larger Classes. EducauseREVIEW, September/October
5. Perry Samson. (2014). Predicting Student Success in a Large Class. <http://www.sageonstage.com>, April,

## INNOVATIVE USAGE OF ALP (ACTIVE LEARNING PLATFORM) TECHNOLOGY IN HIGHER EDUCATION

Lominadze Tamar, Papava Lela, Mamatelashvili Ketevan, Khundadze Lado

Georgian Technical University

t.lominadze@gtu.ge

### Summary

One of the most urgent challenges facing modern educational system nowadays is introduction and implementation of Information Systems and Technology in Higher Education institutions. Introduction of so called High-Tech to the University education makes it even more attractive and interesting for modern "technological" students and teachers. In the represented paper there are considered the main processes taking place in leading American and European universities and possibilities of their adoption for Georgian Higher Education institutions, in accordance with requirements and peculiarities of the learning audience.

## АВТОКОРЕЛЯЦИОННАЯ ФУНКЦИЯ ЧИСЕЛ ВОЛЬФА В МОДЕЛИРОВАНИИ СОЦИАЛЬНЫХ ПРОЦЕССОВ

Филер З.Е., Украина, Центральноукраинский ГПУ им. В. Винниченко,  
zalmenfilier3319@gmail.com

Дреев А.Н., Украина, Центральноукраинский НТУ, drey\_sanya@ukr.net

### Резюме

Рассмотрено явление периодичности изменения солнечной активности и использование найденных периодичностей для построения прогнозов. Отмечено наличие коррелированности солнечной активности и социальных процессов, что позволяет на основе прогнозирования солнечной активности уточнять прогнозы моделирования социальных процессов.

**Ключевые слова:** корреляция, автокорреляционная функция, солнечная активность, социальные процессы, прогноз, экстрополяция, квазигармонический, тригонометрический полином.

### 1. Введение

Коэффициент корреляции (КК), как известно, показывает статистическую линейную зависимость между двумя наборами величин. Однако низкий коэффициент ещё не означает, что такой зависимости нет. Например, два колебания  $\sin(t)$  и  $\cos(t)$  при реализации выборки значений дадут коэффициент корреляции равный нулю, при этом функциональная зависимость между рядами очевидна. Для учёта подобных сдвигов фаз или запаздываний во времени используют корреляционные функции.

Для колебаний с разными частотами коэффициент корреляции будет довольно близок к нулю независимо от начальных фаз колебаний. На рис. 1 приведён пример двух колебаний с циклическими частотами 15 и 5, при этом их амплитуды составляют 2,5 и 7 соответственно. Фазы этих колебаний тоже сдвинуты на  $\pi/3$  и  $\pi/6$ .




Рис. 1. Коэффициент корреляции колебаний с разными частотами близок к нулю:  $КК=6,2 \times 10^{-17}$

Несколько иная картина наблюдается для колебаний с одинаковой частотой, но с разными амплитудами и фазами. Тут КК зависит только от разности фаз между колебаниями и в точности равен  $\cos(\varphi_1 - \varphi_2)$ , где  $\varphi_1$  и  $\varphi_2$  – начальные фазы колебаний (рис. 2). В этом примере использованы два колебания с циклической частотой 5, амплитудами 2,5 и 7 и начальными фазами  $\pi/3$  и  $\pi/6$ .

Указанные особенности корреляционного анализа диктуют необходимость учитывать фазы колебаний и смещения во времени реализации сигналов. В противном случае вероятность ошибочного отклонения признания зависимости двух процессов значительно возрастает.

Авторы уже не одно десятилетие строят прогнозы изменений солнечной активности и используют эти прогнозы для выводов о социальной активности народных масс. Эти прогнозы позволили предугадать целый ряд социальных угроз, однако игнорирование предупреждений политическими силами не дало возможности их избежать или, по крайней мере, ослабить последствия.




Рис. 2. Коэффициент корреляции зависит только от разности фаз колебаний  
 $KK = \cos(\pi/3 - \pi/6) = 0,8660$

В связи с этим, совершенствование методов экстраполяции квазистационарных процессов и огласка их результативности применения в социальной и других сферах, является актуальной задачей.

## 2. Основная часть

Применение прогнозирования солнечной активности имеет смысл, если доказать её связь с некоторыми Земными процессами. К этой задаче можно подойти разными методами и их комбинациями. Одним из способов есть независимое отыскание периодичностей в солнечных и земных процессах. При наличии значимых периодичностей с рамными частотами (или близкими, по причине плохой стационарности процессов, фазы и амплитуды сигналов постоянно меняются), можно принять наличие взаимосвязей. Для солнечной активности известны длинные периоды в 11 и 22 года. Также имеются «короткие» периоды, которые определяются не только процессами пятнообразования, но и вращением Солнца вокруг своей оси. При этом группы пятен скрываются за диском Солнца, а потом выходят вновь. Если учитывать, что солнечные пятна преимущественно находятся в полосе от 10 до 35 градусов широт, то короткий период изменения солнечной активности должен быть близок к 28 Земным суткам, который примем как условный «месяц». 13 таких «месяцев» будут формировать период в 364 суток – условный «год».

Приведём иллюстрацию применения метода наложения эпох к найденному циклу изменения солнечной активности в 11 лет. Исходные данные для поиска зависимости показаны на рис. 3 (количество опубликованных страниц описывает тёмносиняя кривая).




Рис. 3. Среднегодовые числа Вольфа и количество опубликованных страниц 57 авторами-учёными и писателями  $KK=0,394$

Для этого цикл солнечной активности был разбит на фазы по одному году (рис. 4). Для каждой фазы солнечной активности было взято из каждого цикла значения числа Вольфа и отмечено их среднее арифметическое красной кривой на графике рис.4. Параллельно с этим аналогичное усреднение было произведено с количеством напечатанных страниц, тёмносиняя кривая на графике рис.4. Для полученных кривых не только наблюдается схожесть, но и коэффициент корреляции составляет 0,795, что есть значимым для выборки из 11 элементов с надёжностью 99,5%.




Рис. 4. Солнечная и творческая активности

Таким образом, метод наложения эпох позволил подтвердить наличие связи между значением солнечной активности и количеством опубликованных страниц печатной продукции. В качестве вывода можно отметить, что в годы активного солнца авторы издают на треть больше работ.

Однако метод наложения эпох тоже имеет недостатки. Например, в предложенном примере не все годы равнозначны, наиболее влиятельны годы с 1950 по 1980 (рис.3). Для того чтобы устранить этот недостаток, можно рассматривать относительные приросты количества печатной продукции. При переходе к относительным изменениям, гарантированно получается сдвиг фаз при наличии колебательных явлений, что приводит к дополнительному усложнению анализа результатов – непосредственно подсчёт коэффициента корреляции уже не даст результатов, но подойдёт поиск максимума корреляционной функции.

Для демонстрации более глобального влияния солнечной активности на социум приведём график на рис.5 [1], который демонстрирует относительные приросты экономического показателя индекса Доу-Джонса на фоне чисел Вольфа. Примечателен этот график тем, что указанные максимумы приростов индекса Доу-Джонса находятся за несколько лет до максимума солнечной активности, что вызывало шуточные предположения, что индекс Доу-Джонса управляет солнечной активностью. Однако, как было сказано ранее, при переходе на относительные приросты, мы получаем информацию скорее о скорости изменения величины – её производной, что для колебательных процессов равносильно изменению фазы колебаний. Но в этом случае имеет место также гипотеза, что на скорость изменения индекса Доу-Джонса (ДИА) больше влияет скорость изменения солнечной активности.

Индекс ДИА описывает развитие наиболее влиятельной экономики Мира. Его последний максимум приходится на 2007 год, после чего в 2008 году наступил мощный мировой кризис.

Опережение по изменению, это есть зависимость по скорости или первой производной от солнечной активности  $\frac{dW}{dt} = A_1 \omega \sin(\omega t)$ . Сила влияния СА на экономику может быть оценена как

$$KK\left(\frac{dW}{dt}, DJIA\right) = (\sin(\alpha), \cos(\alpha + \theta)) = \int_0^T 0,5 \text{sign}(A_1 A_2) \sin(-\theta) dt / (0,5T).$$




Рис.5. Относительные изменения индекса Доу-Джонса и числа Вольфа. Стрелками обозначены пики развития экономики. Вертикальные линии дают время минимума развития экономики.

Таким образом,  $KK = -\text{sign}(A_1 A_2) \sin \theta$ . Если опережение  $\theta$  мало, то  $\sin \theta \approx \theta$  и  $KK \approx \theta$ . Из рис. 5 видно, что опережение составляет около 1 года на этапе увеличения СА, и 1,5 года в максимуме – 0,23 часть одиннадцатилетнего периода СА.

Были построены графики автокорреляционной функции  $g(\tau) = KK(f(t), f(t - \tau))$  для ежедневных чисел Вольфа без использования сглаживаний на данных с 1850 года. На графике автокорреляционной функции по дневным смещениям от 0 до 40 лет видим (рис. 6), что колебания автокорреляции очень слабо затухают, что означает возможность вероятностного прогнозирования чисел Вольфа по крайней мере на 40 лет. Первый локальный максимум в 10,5 года подтверждает наличие значимого 11-ти летнего цикла СА. Однако на этом графике затруднён анализ наличия кратковременных периодов.





Рис. 6. Автокорреляционная функция среднесуточных чисел Вольфа для поиска длинных периодов

Поэтому был построен следующий график на рис.7, в котором показаны смещения от 0 до 100 суток. На этом графике выделяется основной коротко периодический цикл в 27 дней, что согласуется с указанным в начале статьи 28- дневным периодом, который получен другими методами (спектральный анализ суточных чисел Вольфа и предположение на основе собственного вращения Солнца).





**Рис.7. Автокорреляционная функция чисел Вольфа для поиска коротких периодов**

### 3. Заключение

В результате проведённого анализа на присутствие устойчивых периодических изменений СА и социально-экономических процессах были получены близкие периодичности со смещением фаз, что приводит к более низкому значению взаимной корреляции, оставляя эти значения на границе 90% значимости. Однако, при учёте сдвига фаз или при применении метода наложения эпох, значимость связи резко возрастает, что говорит о возможности практического применения прогнозирования изменений СА для уточнения модельных прогнозов для экономических и социальных процессов.

### ლიტერატურა - References – Литература:

1. Sunspots, GDP and the stock market. (2007). Theodore Modis /Growth-Dynamics, Via Selva 8, Massagno, 6900 Lugano, Switzerland. Received 6.05; accepted 13.06.07 [<http://astrocycle.net/PDF-/sunspots.pdf>]
2. Чижевский А.Л. (1976). Земное эхо солнечных бурь. 2-е изд. – М.: Мысль.
3. Філер З.Ю., Дреєв О.М. (2009). Стан сонячної активності, її наслідків та їх прогноз.- Кіровоград: Поліграф-сервіз
4. Максишко Н.К., Перепелица В.А. (2006). Анализ и прогнозирование эволюции экономических систем. Моногр. Запорожье: Полиграф.
5. Филер З.Е. (2007). Катастрофы и Солнце. Вестник Межд. Академии проблем Человека в авиации и космонавтике, № 3(26). Москва-Кировоград: ООО “Код”, 19-32.

## AUTOCORRELATION FUNCTION OF VOLF NUMBERS IN MODELING OF SOCIAL PROCESSES

Filer Z.E. - Central Ukrainian State Pedagogical University  
Dreev A.N. - Central Ukrainian National Technical University

### Summary

The article considers the phenomenon of the periodicity of the change in solar activity and the use of the found periodicities for the construction of forecasts. The presence of correlated solar activity and social processes is noted, which makes it possible to refine forecasts of the modeling of social processes on the basis of solar activity forecasting.

# სფერული ფორმის არაბალანსირებული რობოტის მართვა ზოგიერთ ტრაექტორიაზე

მიხეილ კაკოჩაშვილი, გოჩა დალაქიშვილი  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
mikheil.kakochashvili@iliauni.edu.ge, gocha.dalakishvili@yahoo.com  
რეზიუმე

განხილულია სფერული ფორმის არაბალანსირებული რობოტის თეორიული მექანიკური მოდელი. სფეროს შიგნით განლაგებულია მქნევარები. მოდელის მნიშვნელოვანი თავისებურება არის ის, რომ სფეროს მასის ცენტრი და გეომეტრიული ცენტრი ერთმანეთს არ ემთხვევა. აღწერილი კონსტრუქციის დანიშნულებაა სხვადასხვა ტრაექტორიაზე სფეროს მოძრაობის მართვა. ნაშრომში გამოკვლეულია მოძრაობა და მართვა წრფეზე და მრუდწირულ ტრაექტორიაზე.

**საკვანძო სიტყვები:** რობოტი. სფერული რობოტი. მექანიკური მოდელი. მოძრაობის მართვა.

## 1. შესავალი

მობილური რობოტების განსაკუთრებულ კლასს მიეკუთვნებიან სფერული ფორმის რობოტები. არასტანდარტული ფორმა ემთხვევა რობოტებს წინააღმდეგობის გადალახვაში და რაც მნიშვნელოვანია. ასეთი კონსტრუქციის აპარატებს აქვთ მაღალი(დიდი) ჰერმეტიულობა და ავტონომიურობა. ასეთი რობოტები ძალზედ საინტერესონი არიან თეორიული სამუშაოებისთვის, რადგანაც ასეთი აპარატებისათვის მართვის აგება და დინამიკის შესწავლის ამოცანები დაიყვანება მექანიკის ფუნდამენტალურ ამოცანებამდე სიბრტყეზე სფეროს მოძრაობისა.

მოცემული კვლევა წარმოებს ისეთი სფერული ფორმის რობოტს, რომლის შიგნით მოთავსებულია სამი მქნევარა, რომელთა ღერძები ურთიერთ-პერპენდიკულარულია. ასეთი სახის კონსტრუქცია განხილული იყო [1] ნაშრომში, სადაც შესწავლილი იყო დინამიკა და აგებული იქნება მართვის ალგორითმები ასეთი რობოტებისათვის იმ შემთხვევაში როცა მოძრაობა ხორციელდება აბსოლიტურად ხორკლიან სიბრტყეზე და აგრეთვე სიბრტყეზე რომელსაც აქვს კულონის მშრალი ხახუნი. [2] ნაშრომში გადაწყვეტილი იქნება დინამიკის უკუ ამოცანა რობოტებისათვის რომლებიც გადაადგილდებიან სიბრტყეზე, რომელთაც აქვთ ორპარამეტრიანი ხახუნი. ყველა აღნიშნულ კვლევებში იგულისხმებოდა, რომ სისტემის მასის ცენტრი ემთხვევა სფეროს გეომეტრიულ ცენტრს. ამ მხრივ მოცემულ ნაშრომში არის [2] კვლევის გაგრძელება.


კონტაქტური ურთიერთქმედების მოდელად განხილული იქნება რობოტოტექნიკაში პოპულარული მოდელი აბსოლიტურად ხორკლიანი სიბრტყის. ამ შემთხვევაში აგებული იქნება მართვა სფეროს ალფავიტურ მარტივ მოძრაობებისათვის.

## 2. რობოტი-სფეროს დინამიკა და მართვა

### 2.1. მოდელის აღწერა. მოძრაობის განტოლება

განვიხილოთ  $Sxy$  უძრავ სიბრტყეზე  $R$  რადიუსიანი სფერო ცენტრით  $O$  წერტილში. სფერული გარსის შიგნით სამ ურთიერთმართობულ ღერძზე მოთავსებულია სამი ერთნაირი დისკი-მქნევარა  $m$  მასით და  $r$  რადიუსით. დაშორება ორთოგონალური მქნევარების გადაკვეთის  $G$  წერტილიდან თითოეული მქნევარის ცენტრამდე (წერტილი  $A_j$ ) ტოლია.  $\alpha$  მქნევარების ცენტრები მდებარეობენ სფეროს ეკვატორულ სიბრტყეზე. სფეროს მასა მქნევარების მასის გაუთვალისწინებლად არის -  $M$ . შემდეგ ვგულისხმობთ, რომ რობოტის მასის ცენტრი არის  $O$  წერტილში. ე.ი. ემთხვევა სფეროს გეომეტრიულ ცენტრს.  $OO'/R^1$  ვექტორი ავღნიშნოთ  $\zeta$  საშუალებით.

შემოვიღოთ მოძრავი  $O'e_1e_2e_3$  კოორდინატა სისტემა ცენტრით  $O'$  წერტილში, მისი ბაზისური ვექტორები  $e_i$  ითვლება რომ თანამიმართლები არიან მქნევარების ღერძების ( $GA_i$ ). გადასვლის  $D$  მატრიცაში, მოცემული  $SO(3)$ - ზე. სამი კუთხური სიჩქარე მქნევარების ბრუნვისა თავისი ღერძების გარშემო ავლნიშნოთ  $\alpha_i$ . შემდეგ გადავიდეთ უსასრულო კოორდინატებზე  $x' = \frac{x}{R}, y' = \frac{y}{R}, z' = \frac{z}{R}$ , ხოლო რადიუსის ვექტორი და სიჩქარის ვექტორი ავლნიშნოთ  $r' = (x', y', z')^T$  და  $v = d/dt(r')$  შემდგომში ფიზიკური მახასიათებლების ქვეშ, როგორც არის ძალა, სიჩქარე და ა.შ. იგულისხმება უსასრულო სიდიდეები, თუ წინასწარ არ გვექნება აღნიშნულის საწინააღმდეგო.



ნახ.1. სფეროს ფორმის რობოტის მოდელი

უნდა ჩავთვალოთ, რომ სფეროს ცენტრის სიჩქარის პროექცია ვერტიკალურ ღერძზე არის ნულის ტოლი, რომელსაც მივყავართ თანაფარდობასთან

$$(v - [w; \zeta]; e_z) = 0$$

სისტემის კინეტიკური მომენტი წარმოვადგინოთ, მოძრავ კოორდინატა სისტემაში შემდეგი სახით.

$$k = Iw + Ca$$

მოცემულ გამოსახულებაში პირველი შესაკრები წარმოადგენს სისტემის კინეტიკურ მომენტს „როგორც მთელი“, ხოლო მეორე შესაკრები უზრუნველყოფს მქნევარის ბრუნვას თავისი ღერძის მიმართ.  $C$  მატრიცა არის დიაგონალური მატრიცა, რომელიც შედგება მქნევარების ინერციის მომენტებისგან მათი ღერძების მიმართ, ხოლო  $I$  შეესაბამება სისტემის ინერციის ტენზორს. შევნიშნოთ, რომ ყველა ინერციული მახასიათებლები გაყოფილია რაიმე  $J$  ინერციის მომენტზე.

დინამიკის ზოგადი თეორემის გამოყენებით მივიღებთ:

$$\begin{aligned} \frac{dv}{dt} &= f - \frac{g}{R} e_z \\ \frac{dk}{dt} &= \mu^0 - b[\zeta + e_z; f] \end{aligned}$$

სადაც  $f$  არის კონტაქტური ურთიერთქმედების ძალა,  $\mu^0$  არის კონტაქტში წარმოშობილი დამატებითი მომენტი. გარე ძალების სრული ვექტორი მომენტისათვის  $\mu$  სამართლიანია, რომ  $\mu = \mu^0 - b[\zeta + e_z; f]$ , სადაც  $b = (M + 3m)R/J$ .

The report is devoted to the problems connected with language consciousness and the image of the universe, along with the problems of intercultural communication, multiculturalism and ontogenesis of the speech. The article deals with influence of multilingual society on political correctness, which is considered as one of the forms of intercultural communication and all the problems, which this process is characterized with – communicational conflicts, misunderstanding among partners, heterophobia and confrontation in positions – are in this or that form reflected in it. As the special communicative strategy making a multiculturalism basis we consider a political correctness phenomenon. Political correctness strategy enables us not only receive the information about the other culture and try to find similarities in the ethno-linguistic consciousness of different cultures and the ways of their harmonization, but also facilitates to the process of understanding within the culture itself.

**Key words:** political correctness. Multiculturalism. Communicative ethnostyle. World view.

## 1. Introduction

The complexity of global multilingualism, and the challenges of language planning, can be appreciated in relation to the fact that there are an estimated 5000 languages spoken in the world's 200 or so sovereign states and about two-thirds of all children in the world grow up in a bilingual or multilingual environment (Crystal, 1997).

The term multiculturalism has a range of meanings in the contexts of sociology, of political philosophy, and of colloquial use. In sociology and in everyday usage, it is a synonym for "ethnic pluralism", with the two terms often used interchangeably, for example, a cultural pluralism in which various ethnic groups collaborate and enter into a dialogue with one another without having to sacrifice their particular identities.

Multiculturalism promotes maintaining the distinctiveness of multiple cultures and often contrasts to other settlement policies such as social integration, cultural assimilation and racial segregation. Multiculturalism has been described as a "salad bowl" and as a "cultural mosaic"- in contrast to a "melting pot".

## 2. Basic principles of research

Global changes in modern life have stimulated practical attitudes towards the priorities in cross-cultural communication.

Research on the nature of linguistic and cultural similarities and differences can play a positive and constructive role in harmonization of intercultural communications. Human self-reflection invariably leads to inquiry into the **human condition** and the essence of humankind as a whole. A worldview describes a consistent (to a varying degree) and integral sense of **existence** and provides a framework for generating, sustaining, and applying **knowledge**.

A **comprehensive world view** (or **worldview**) is the fundamental cognitive orientation of an individual or society encompassing the entirety of the individual or society's knowledge and **point-of-view**, including natural philosophy; fundamental, existential, and normative postulates; or themes, values, emotions, and ethics. It is a concept fundamental to **epistemology** and refers to a *wide world perception*. Additionally, it refers to the framework of ideas and beliefs through which an individual, group or culture interprets the **world** and interacts with it.

Experience of a research of multiculturalism shows need of accounting of specifics of ethnostyles of communication in which the main principles of interaction with representatives of other cultures are reflected.

In the modern world, where problems of globalization is very topical, important and at the same time very tense, because the case involves national cultural values to a new paradigm in the understanding of the need, it is essential to interaction of an optimal model of development, which, on the one hand, provides universal values in understanding - while, on the other hand - Ethno - National values and identity preservation. Intercultural Communication covers the whole spectrum of human relations, but the problem is diverse in its various segments of the acute variety. It is connected to a logic-oriented communication, such as, for example, scientific relationships are less tied to the world of a national icon.

It's a generally recognized fact that the development of the modern world has extensively been determined by the information revolution; formation of the information society can be considered to be the logical outcome of the latter. Globalization of the informational space put forward the problem of intercultural communication, which in the first place is connected with the smooth engagement of different cultures in this space and in the second place, with the problem of preserving the cultural identity.

Intercultural communication is no longer an option, but a necessity. The importance of studying mentality differences has practical implications. A person, being aware of mentality differences, could avoid many cross-cultural and sub-cultural conflicts, which will lead to further international cooperation. A lingual model of mentality expresses major concepts of the nation's philosophy, intuition, world outlook, folk culture, which are in the nation's collective sub-consciousness in the form of stereotypes, images, symbols, metaphors, comparisons, etc. To disclose and study them is most important and indispensable. Research on the nature of linguistic and cultural similarities and differences can play a positive and constructive role in harmonization of intercultural communications. Human culture, social behavior and thinking cannot exist without language. Being a social and national identity, and a means of human communication, language cannot help bearing imprints of ethnic and cultural values as well as the norms of behavior of a given language community. All is reflected in the deontology of the culture in particular in communicative strategies. *According to Kenan Malik, "Multiculturalism undermines diversity...However, as a political process, multiculturalism describes a set of policies whose purpose is to manage diversity by putting people in ethnic boxes, identifying individual needs and rights by virtue of boxes to which people are put, and using these fields to form public policies. This is not for open borders and minds, but for protecting borders, whether physical, cultural or imaginary (Kenan Malik,2010,12).*

It is of great interest to study language and mentality. A man is determined as a definite national mentality carrier. Along with all the other data the language is essential in the process of mentality formation.

The problems connected with language consciousness and the image of the universe, along with the problems of intercultural communication and ontogenesis of the speech, occupy one of the significant places in the contemporary studies. **Political correctness** is considered as one of the forms of interpersonal and intercultural communication and all the problems, which this process is characterized with – communicational conflicts, misunderstanding among partners, heterophobia and confrontation in positions – are in this or that form reflected in it. The term political correctness is used to describe language, policies, or measures that are intended to avoid offense or disadvantage to members of particular groups in society. Since the late 1980s, the term has come to refer to avoiding language or behavior that can be seen as excluding, marginalizing, or insulting groups of people considered disadvantaged or discriminated against, especially groups defined by sex or race. In public discourse and the media, it is generally used as a pejorative, implying that these policies are excessive.

**Political correctness** strategy enables us not only receive the information about the other culture and try to find similarities in the ethno-linguistic consciousness of different cultures and the ways of their harmonization, but also facilitates to the process of understanding within the culture itself. In this respect **political correctness** strategy, for the intercultural communication and conflictology, represents historically formed empirical basis, assumed as the basis for the achievement of the unity of ethno-linguistic consciousness. There is a substantial heuristic potential in the study of **political correctness** phenomena, as it represents an empirical basis for the comparative analyses, typology and cross-cultural studies, enables us to observe the interactions of ethnic consciousness and the selection process of cultural-esthetic values.

The concept of political correctness corresponds to the idea that in language, manners of behavior it is necessary to avoid everything that can offend someone's political feelings (as, for example, in questions of a floor or race (Allen,1983,80)

Here it is important to note that this phenomenon is considered in the scientific environment differently: on the one hand scientists, generally linguists, **define political correctness as the language phenomenon, on the other hand – as the cultural phenomenon**, the political tool and means of manipulation with public consciousness through mass media.

Smooth inclusion of different cultures in the intercultural communication of the global informational space and on the other hand studying the problems of the maintenance of cultural identity should be accomplished on the basis of ethno-specific texts, as modeled reality given in those texts depicts the cultural-historical values and vision of the universe. Choosing media texts as the object of studies is preconditioned by the fact, that it clearly demonstrates human consciousness of representatives of this or that culture or ethnic group and their personal vision of the facts.

We consider political correctness strategy as the “historical function for regulation of intercultural relations. Analysis of the **political correctness** strategy **phenomenon** is based on the information and communication theory and linguistic achievements of the text, which gives us the possibility to study the given problem in a wider context and reveal the signs, which is impossible to register through traditional analysis.

Practical value of the given work is connected with the possibility to use the results of the research in such spheres as negotiation theory, intercultural communication, ethno-psycholinguistics, informatics, theory of communication, theory and practice of translation, linguistics of the text and etc. Results received while studies can be used for the establishment of possible intercultural conflict zones, delivery of special courses and workshops.

Here are a few points of view, reflecting different interpretations of the concept “political correctness”. Materials of researches of V.V. Panin (Panin 2004,14) who identifies the two most important aspects of political correctness: the cultural-behavioral aspect (closely connected with ideology and politics, especially in the field of education) and the language aspect of political correctness (manifested in the search for new means of language expression and adjustment of the language code).

With a position of our research, it is advisable to us to consider the political correctness phenomenon in language aspect. The political correctness of the language is expressed in the desire to find new ways of expressing language in return for those that hurt the feelings and dignity of the individual, etc .; language correctness is a very positive effort not to offend, not to offend the feelings of a person, to preserve his dignity, good mood, health, life " (Asante, 1993,185).

**Beliakov** notes that "political correctness is a cultural, behavioral and linguistic tendency aimed at replacing established terms that can affect a person's feelings and dignity, by emotionally neutral and / or positive euphemisms" (Beliakov,2009,42)

N.G. Komlev defines political correctness as "the concept slogan approved in the USA showing the liberal orientation of the American policy dealing not so much with contents, how many with symbolical images and correction of a language code" (Komlev, 2006).

Bill Lind considers that the ideology of political correctness has arisen under the influence of neomarxism. According to him, the political correctness is "neither less, nor more than Marxism transferred from the economic plane to cultural terminology" (Lind, 2008, 43).

N.A.Ushakova notes that the term "political correctness" "refers to the practice of such a substitution of words in political judgments which would be modeled perception of the political situation in the way in which the speaker is beneficial (eg. war> conflict, the bombing of> air support)".For example, in order to present the war in Afghanistan in a certain light, it was called "international aid" (Ushakova,2018).

The relationship of human beings with their environment, as well as with each other, is mediated through language.

Despite the fact that the word political correctness acquires a terminological meaning in the 80th years of the last century, in the linguistic arsenal of different peoples there was such a phenomenon as euphemisms.

In the arsenal of the language means promoting realization of strategy of political correctness, a specific place is held by euphemisms.

In fact, euphemisms were a language mechanism regulating interpersonal relations , therefore, it is not surprising that they played a major role in the linguistic support of the political correctness strategy.

We consider euphemisms as an expressions intended by the speaker to be less offensive, disturbing, or troubling to the listener than the word or phrase it replaces, or in the case of doublespeak to make it less troublesome for the speaker.

When a phrase is used as a euphemism, it often becomes a metaphor whose literal meaning is dropped. Euphemisms are often used to hide unpleasant or disturbing ideas, even when the literal term for them is not necessarily offensive. This type of euphemism is used in public relations and politics, where it is sometimes disparagingly called doublespeak ( So, for example, in order to present the war in Afghanistan in a certain light, it was called "international aid"). There are also superstitious euphemisms, based (consciously or subconsciously) on the idea that words have the power to bring bad fortune (for example, not speaking the word "cancer"; see Etymology and Common examples below) and religious euphemisms, based on the idea that some words are sacred, or that some words are spiritually imperiling (taboo; see Etymology and Religious euphemisms below). Here are some examples of the euphemisms which have found broad application in the American society and reflecting various aspects of estimated judgments :

*is fat, they're obese.*

*is a slut, they're promiscuous.*

*is crippled, they're handicapped.*

*is deaf, they're hearing impaired.*

*is blind, they're visually impaired.*

*is retarded, they're mentally challenged.*

*is short, they're vertically challenged.*

*is stupid, they're academically challenged*

*is old, they're elderly senior citizens.*

*is gay, they're homosexual.*

*is poor, they're in poverty.*

*is black, they're African American.*

*is white, they're Caucasian.*

As we know, the word "Caucasian" is used in the U.S. to describe white people, but it doesn't indicate anything **real**. Carol Mukhopadhyay, has written an article, "[Getting Rid of the Word 'Caucasian,'](#)" that is still relevant today for how it challenges us to critically examine the language that we use. It's obvious that language shapes how we perceive and see the world. And we know how powerful the concept of race is and how the use of words related to the notion of race has shaped what we call the U.S. racial worldview. So why do we continue using the word "Caucasian"?

Answering that question Carol Mukhopadhyay notes: “ it is helpful to understand where the term came from and its impact on our society. The term “Caucasian” originated from a growing 18th-century European science of racial classification. German anatomist Johann Blumenbach visited the Caucasus Mountains, located between the Caspian and Black seas, and he must have been enchanted because he labeled the people there “Caucasians” and proposed that they were created in God’s image as an ideal form of humanity”( Mukhopadhyay,2008,12)

It should be noted that the issues studied in the work were interpreted on the basis of the euphemisms borrowed from the American press.

In recent decades, within the framework of socio- and psycholinguistics, interest has increased in the study of human speech (communicative) behavior from the point of view of both interpersonal and intercultural communication. Speech behavior, being a stereotyped, automated speech manifestation, is regulated by social hierarchy, national culture, civility class and speech etiquette.

Political correctness is directly connected with speech etiquette, the main regulator of speech behavior, and implemented in the framework of politeness strategies, the use of which helps the interlocutors to establish contact, establish mutual understanding, create a favorable psychological environment and maintain communication in a certain key in accordance with the social roles of its participants.

Known first as “cross-cultural communication”, this field was in the fifties affiliated with anthropology, then in the 80’s and 90s it became dominated by the comparative and positivist paradigms of cross-cultural psychology, in which culture is defined solely in terms of nationality and one culture is compared with another using some generalized constructs (e.g. Hofstede 1991; Triandis 1990).

Although communicative performance presupposes both linguistic competence (the knowledge of the rules of the language in question) and sociolinguistic competence (the knowledge of the sociocultural and sociolinguistic rules governing the appropriacy of an utterance in context) (Hymes, 1972; Canale & Swain, 1980).

### 3. Conclusion

Summing up the result of the aforesaid, it is possible to draw a conclusion that the political correctness represents the multidimensional cultural, public, political and language phenomenon which has arisen in the eighties the 20th century in the USA and widely adopted in public life of the western countries since 90th. In its linguistic expression, political correctness is represented by the replacement by euphemization of certain words and expressions that affect the feelings and dignity of the individual or infringe on his human rights with respect to age, sexual orientation, race and sex, social status, appearance, etc.

The relation of language and culture in Linguistics is inseparable from the issues surrounding the use of language technologies and stimulates the increased questioning and politicization of cultural reality, the increased interdisciplinary nature of research, the growing importance of reflexivity, and the noticeable convergence of intercultural communication studies and applied language studies in the study of language and culture.

#### ლიტერატურა - References – Литература:

1. Allen I.L. (1983). The Language of Ethnic Conflict. Columbia University Press.
2. Asante M.K. (1993). Multiculturalizm without Hierarchy. Debating America’s Cultural Standards. Prometheus Books, Buffalo, NY
3. Canale M.& Swain M. (1980). Theoretical Bases of Communicative Approaches to. Second Language Teaching and Testing Applied Linguistics, Volume I, Issue 1, 1 March
4. Crystal David. (1997). English as a global language. Cambridge University press
5. Hofstede Geert H. (1984). Culture’s Consequences: International Differences in Work-Related Values. Beverly Hills CA: Sage Publications
6. Holder R.W. (1995). Dictionary of Euphemisms. Oxford University Press

7. Hymes, D.H. (1972). On Communicative Competence In: J.B. Pride and J. Holmes (eds). Sociolinguistics. Selected Readings. Harmondsworth: Penguin
8. Malik Kenan. (2010). Multikulturalizm undermines diversity. The Gardian. London (2010-03-17).
9. Mukhopadhyaya Carol. (2008). **Getting Rid of the Word "Caucasian"**. In Pollack, Mica, ed. **Everyday Antiracism: Getting Real About Race in School**. NY: The New Press
10. Triandis, H.C. (1990). Cross-cultural studies of individualism and collectivism. In J. Berman (Ed.)
11. William S. Lind (2008). "What is Cultural Marxism". Maryland Thursday Meeting.
12. Warren B. (1992). What Euphemisms Tell Us About the Interpretation of Words // Studia Linguistics N46, № 2. 128-145
13. Беляков А.В., Матвейчев О.А. (2009). Большая актуальная политическая энциклопедия. М.: Эксмо
14. Комлев Н.Г. (2006). Словарь иностранных слов. Более 4500 слов и выражений. -М.
15. Панин В. (2004). Политическая корректность как культурно-поведенч. языковая категория: дис.канд. филол. Наук. ТГУ. Тюмень,
16. Ушакова Т.А. Политкорректность: игра во что или кем? [Эл.ресурс]. <http://www.listos.biz/> главная/библиотека/ушакова-т-а-политкорректность-игра-во-что-или-кем/ (дата обр.08.2018).

## მულტიკულტურალიზმის პრობლემა „გლობალურ სოფელში“ და პოლიტიკორექტულობის რეალიზაციის ენობრივი მექანიზმები

გიორგი გოცირიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

[gotsogio@yahoo.com](mailto:gotsogio@yahoo.com)

### რეზიუმე

გადმოცემულია პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ენობრივი ცნობიერებისა და სამყაროს ხატის გააზრებასთან და განიხილავს აგრეთვე, კულტურათშორისი კომუნიკაციის, მულტიკულტურალიზმის და მეტყველების ონტოგენეზის საკითხებს. სტატიაში განხილულია მულტილინგვალური საზოგადოების გავლენა პოლიტიკორექტულობაზე, რომელიც განიხილება, როგორც კულტურათშორისი კომუნიკაციის ერთ-ერთ ფორმა და დაკავშირებულია ყველა იმ პრობლემასთან, რომელიც ამ პროცესს ახასიათებს - საკომუნიკაციო კონფლიქტები, პარტნიორებს შორის გაუგებრობა, ჰეტეროფობია და კონფრონტაცია- და ამა თუ იმ ფორმით აისახება მასში. სპეციფიკურ კომუნიკაციურ სტრატეგიას, რომელიც მულტიკულტურალიზმის საფუძველს ქმნის წარმოადგენს პოლიტიკორექტულობის ფენომენი. პოლიტიკორექტულობის სტრატეგია საშუალებას გვაძლევს არა მარტო მივიღოთ ინფორმაცია სხვა კულტურის შესახებ, მოვიძიოთ მსგავსება სხვადასხვა კულტურების ეთნო-ლინგვისტურ ცნობიერებასთან და დავსახოთ მათი ჰარმონიზაციის გზები მსგავსების მოძებნა, არამედ უფრო გავამარტივოთ გაგების პროცესი თვით კულტურის შიგნით.

## მედიის გლობალური ტრანსფორმაცია და მისი ხელახალი გააზრება ციფრიზაციის ეპოქაში

გიგლა გობეჩია

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

[gigla\\_gigla@mail.ru](mailto:gigla_gigla@mail.ru)

### რეზიუმე

ჟურნალისტიკა მთელ მსოფლიოში განიცდის გლობალურ და უწყვეტ ტრანსფორმაციას მრავალი მიმართულებით. ყოველივე ამან ახალი რეალობები გააჩინა გლობალურ მედიასივრცეში. ასევე, ინტერნეტმა დაასრულა ჟურნალისტების თითქმის ოთხსაუკუნოვანი მონოპოლია კონტენტის წარმოებასა და გავრცელებაზე. რადიკალურად შეიცვალა მედია ორგანიზაციათა ფუნქცია-ორგანიზების სისტემა. შეიცვალა მოთხოვნები ახალ მედია რეალობაში ჟურნალისტთა მომზადების მხრივაც. ჟურნალისტებს გაუჩნდათ ახალი შესაძლებლობები კონტენტის მონეტიზაციის თვალსაზრისითაც, რამაც დამატებითი სტიმული გააჩინა პროფესიაში ახალი საკადრო შევსების თვალსაზრისით.

**საკვანძო სიტყვები:** ჟურნალისტიკა. მედიის ტრანსფორმაცია. ახალი მედია. მულტიმედია. მედია-აუდიტორია. მედია-დისტრიბუცია.

## 1. შესავალი

გაეროს მონაცემებით, პლანეტა დედამიწის მოსახლეობის ყოველი მე-3-4 ადამიანი ჩართულია ინტერნეტში. მათი აბსოლუტური უმრავლესობა, ნებით თუ უნებლიეთ, ხდება იმ საყოველთაო პროცესის მონაწილე, რომელსაც „ავტორობის განთავისუფლება“ ჰქვია. ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარების გამო, მასობრივი სენი გახდა მთელ მსოფლიოში. თავის მხრივ, ეს მომენტი დამატებით სირთულეებს უჩენს ინფორმაციული ტექნოლოგიების გლობალურ მომხმარებელს, რომელსაც უჭირს გაერკვეს ფაქტის, მოვლენის რეალობაში, მის მიზნულ-შედეგობრივ კავშირებში.

## 2. ძირითადი ნაწილი

მსოფლიოში ტელემედიის წარმოშობისთანავე ფრანგმა ფილოსოფოსმა გი დებორმა 1967 წელს სავსებით მახვილგონივრულად შენიშნა, რომ „საზოგადოება ემორჩილება სპექტაკლს“ - „La societe du spectacle.“ [1] მოგვიანებით მან ეს თეზისი უფრო განავრცო და მთელი ოცწლიანი დაკვირვების შემდეგ დაასკვნა, ეს მორჩილება საზოგადოებას უკვე სისტემაში გადაეხარდა. [2]

დღევანდელი გადასახედიდან ეს დასკვნა აქსიომა გახდა. შეიძლება ითქვას, ეს აღმოჩენა დებორამდე ბევრად ადრეც შეიძლებოდა გაკეთებულიყო, მაგრამ ამაზე არავის უფიქრია. უფრო ლაკონურად რომ ვთქვათ, თანამედროვე სოციალური არის „სპექტაკლის საზოგადოება“ და ის ამ მდგომარეობამდე მიიყვანა მედიამ. მედიის ტრადიციული სისტემებიდან კი ტელევიზიამ, რომელსაც მეორე მედიამკვლევარი „შუშის საწოვარას“ უწოდებს. [3]

ეს ტერმინი თავისუფლად შეიძლებოდა ყოფილიყო სამეცნიერო მიმოქცევაში ტელევიზიის ბრწყინვალეების ეპოქაში, მაგრამ ახლა ამ „შუშის საწოვარას“ მე „ტრანსნაციონალურ საწოვარას“ ვუწოდებდი. სამწუხაროდ, მედიას გლობალიზაციისა და ციფრიზაციის ეპოქაში სხვა ფუნქციათაგან ყველაზე მეტად საწოვარას ფუნქცია განუვითარდა. ხოლო მისი დანარჩენი ფუნქციები ერთგვარად ატროფირდა.

ტელესაწოვარას ეპოქა, შეიძლება ითქვას, დიდხანს არც გაგრძელდებოდა. ინტერნეტის გაშვებამ მიმოქცევაში გლობალური აუდიტორია ავტორობის უფლებით დააჯილდოვა. გაეროს სტატისტიკით, პლანეტა დედამიწის თითქმის 7 მილიარდიანი მოსახლიდან 2 მილიარდზე მეტი ჩართულია ქსელში და მათი აბსოლუტური უმეტესობა ქმნის ინფორმაციულ ტექნოლოგიას. ფაქტობრივად, დღეს ყველას შეუძლია დამოუკიდებლად შექმნას კონტენტი და იგი ინტერნეტით წარუდგინოს მსოფლიო აუდიტორიას.

ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარების გამო, მედიის ერთი კარგად შენიღბული თვისება. მედია, როგორც მკვლევარი ანდრეი მირომანიჩენკო შენიშნავს, „გახდა ტროსი ცხენი“ და ცერემონიის მასტერი (Master Ceremone). მედიამასალებით ინფორმაციულ სპექტაკლს წამყვანი მედია ორგანიზაციები დგამდნენ. ინტერნეტამდე MC-ს შემკვეთის როლში ხან სახელმწიფო ინსტიტუტები, ხან ოლიგარქიატი, ხანაც საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციები გვევლინებოდნენ. ეს ზღვარი დღემდე დაუდგენელია და სადავო.

ინტერნეტმა, განსაკუთრებით web 2.0-მა, მალევე გაასრულა ჟურნალისტიკა თითქმის ოთხ საუკუნოვანი ტრადიციული მონოპოლია კონტენტის მოძიება-მოპოვებაზე, მის წარმოებასა და გავრცელებაზე. ციფრიზაციის ეპოქაში ნებისმიერი ადამიანი საკუთარი ინფორმაციის სრული ბატონ-პატრონია. ნებისმიერს შეუძლია მიიღოს ან მოიპოვოს ინფორმაცია, შექმნას მისგან კონტენტი და მოახდინოს მისი დისტრიბუცია web-სივრცეში. მეტიც, სათანადო ცოდნისა და კომპეტენციის შემთხვევაში საკუთარი ჟურნალისტიკური მასალისაგან ფინანსური სარგებელიც მიიღოს. მოკლედ რომ მოვჭრათ - სარფიანად გაყიდოს კონტენტი სცენარის, პიესის, სთორის ან კლიპის სახით. ესეც გლობალური ტრანსფორმაციის ნაწილია და ხელახალ სათანადო გააზრებას მოითხოვს.

მასშტაბური ცვლილება შეეხო მედიაკომუნიკაციის კიდევ ერთ ასპექტს. გუტენბერგის ეპოქიდან მოყოლებული ინტერნეტამდე ინფორმაციის გავრცელების კლასიკური ერთრიგაანი გადაცემის პროცესუალური ჯაჭვი ასე გამოიყურებოდა: კომუნიკატორი-მესიჯი-მედიარეზი-აუდიტორია.

ამ ჯაჭვში ყველაზე სუსტი და მოწყვლადი რგოლი აუდიტორია გახლდათ. დიდხანს არ არსებობდა ისეთი მექანიზმი, რომლითაც შესაძლებელი გახდებოდა აუდიტორიის პულისის გასინჯვა კონტენტის მიღების შემდეგ. მისი ქცევის ან კონტენტის ადეკვატურად გაგების კოეფიციენტის განსაზღვრა. აუდიტორია, რომელიც ინტერნეტამდე მხოლოდ ლოკალურ სივრცეში იყო დაბუდებული, გახლდათ კონტენტის მიღების ბოლო პუნქტი. საიდანაც, როგორც წესი, კონტრკონტენტი არ ბრუნდებოდა.



ფაქტობრივად, აუდიტორია გახლდათ „კოჭლი ცხვრის“ ამპლუაში, რომელიც ინფორმაციული ფარის სათავეში მყოფებს ნაკლებად აინტერესებდათ. მათთვის მთავარი იყო „კოჭლ ცხვრებს“ ინფოსაკვები მიეღოთ. ხოლო რამდენად და როგორ შეითვისებდნენ ისინი ამ საკვებს, აწყენდათ თუ არგებდათ, ეს ნაკლებად ანაღვლებდათ. ამგვარი მიდგომა, ამგვარ კალაპოტში ინფორმაციის დინება გუტენბერგის გამოგონებიდან ინტერნეტის გამოგონებამდე გაგრძელდა. უფრო კონკრეტულად კი ტიმ ორეილის მიერ შექმნილი web 2.0-ის ეპოქამდე. თარიღებში კი ეს ასე გამოისახება -1555-2005 წლები.

გავიხსენოთ, 1555 წელს გენიალური გერმანელი გამომგონებლის იოჰან გუტენბერგის საბეჭდი დანადგარი შეიქმნა და მსოფლიომ იჩუქა წიგნი, 2005 წელს ჟურნალმა "კომპიუტერამ" ოქტომბრის ნომერში დაბეჭდა ტიმ ორეილის-ჰოლანდიული წარმომავლობის ამერიკელი მკვლევარის წერილი სათაურით - რა არის ვებ 2.0? (what is web 2.0?) და მსოფლიომ იჩუქა ავტორობის განთავისუფლებისა და, როგორც ზემოთ ვთქვი, „კოჭლი ცხვრის“ სათავეში მოქცევის, ანუ ფარის შემობრუნების პროცესის სადავეები.

მოხდა ჯერ კიდევ ბოლომდე შეუფასებელი რამ - მარტივად რომ ვთქვათ, მედია გახალხურდა [ტერმინი ეკუთვნის მანუელ კასტელს]. ინფორმაციის მდინარემ პრაქტიკულად კალაპოტი იცვალა და, ხატოვნად თუ ვიტყვით, აღმა დინება დაიწყო, თანაც ანგარიშგასაწევი დინება.

პრაქტიკულად მივიღეთ მედიის ტრანსფორმირების სიღრმისეული პროცესი, რომელიც დღითიდღე უფრო ღრმავდება ახალ-ახალი ტექნოლოგიების დახმარებით. მოკლედ, ჟურნალისტიკის დიდი მდინარე მოულოდნელად განიტოტა. ახლა იგი ერთდროულად მდინარებს ორ კალაპოტში - ტრადიციულ, ანუ კლასიკურში და ახალი მედიის ფორმატში. ტრადიციულში იგულისხმება ისეთი მედია სისტემები, როგორცაა - გაზეთი, ჟურნალი, რადიო, ტელევიზია და ახალში - ყველა ერთად აღებული და ყველა ცალ-ცალკე, ოღონდ ინტერნეტფორმატში.

ამ ამკარა, ჩვენს თვალწინ მიმდინარე და უსწრაფესად ფორმირებადმა პროცესებმა სულ სხვა რეალობის წინაშე დააყენა ცივილიზებული სამყარო. კერძოდ, ახალმა ინფორმაციულმა ნაკადებმა და ავტორობის მკვეთრად განთავისუფლების პროცესებმა ხელი შეუწყო ინტერნეტის გადაქცევას ინფორმაციის საგანმურად. დღეს ინტერნეტში ყველასა და ყველაფერზე მოიპოვება ყველანაირი ინფორმაცია, მაგრამ საქმეც ის არის, რომ ყველაფრის ნდობა არ შეიძლება. ინფორმაციის მკვეთრმა მატებამ ინფორმაციული ნაგავის დიდი მასის დაგროვება გამოიწვია. ამან კი ე.წ. „განთავისუფლებულ ავტორ-აუდიტორიას“ სხვა საგონებელი გაუჩინა - ინფორმაციის, კონტენტის ვერიფიკაციის, ანუ სანდოობის. ამ პროცესებმა მთლიანად გააშიშვლა როგორც ინფორმაციის მასშტაბური პროფიციტი, ისე ინფორმაციის გლობალური პროფანაციაც.

ფაქტია, არასანდო ინფორმაცია არასათანადო გადაწყვეტილების მიღების საფუძველი ხდება. იგი არასაჭირო მიმართულებით ფიქრის, აზროვნების გაფაქიზებას იწვევს, რის გამოც ფართო აუდიტორია, ასეულ ათასობით, ზოგჯერ კი მილიონობით ადამიანი ხდება მანიპულაციის, ფიქვის მსხვერპლი. რაც საბოლოო ჯამში ადამიანის ფსიქიკური ენერჯის გამოფიტვას და ინფორმაციული გადაღლილობის სინდრომს იწვევს. ევროპაში ამის აღსაკვეთად რაღაც ნაბიჯების გადადგმისთვის მზადება უკვე დაიწყო. მაგალითად, საფრანგეთში, სადაც პრეზიდენტ ემანუელ მაკრონის მხარდაჭერით მისმა პარტიამ პარლამენტში განსახილველად შეიტანა კანონპროექტი „ფიციკნიუსების“ შესახებ. პრეზიდენტ მაკრონის ინიციატივას ფრანგული მედია ხიშტით შეხვდა. [4] ჩაითვალა, რომ ეს ცენზურის ახალი ფორმა გახდებოდა. შესაძლოა, ეს ასეც არის, მაგრამ „ფიციკნიუსების“ პროფიციტიც სერიოზულ მიხედვას საჭიროებს.

ჟურნალისტიკის თეორეტიკოსებისაგან განსხვავებით, შედარებით მშვიდად უყურებენ მედიის გლობალური ტრანსფორმაციის ზოგიერთ ასპექტს პრაქტიკოსი ჟურნალისტები. მაგალითად, სიტუაციას საგანგაშოდ არ მიიჩნევენ თანამედროვეობის ერთ-ერთი უდიდესი ჟურნალისტი იური როსტი, რომელიც სავსებით მართებულად წერს: „მე ვფიქრობ, ჟურნალისტიკა თანდათან დაუბრუნდება იმ მდგომარეობას, როცა მთავარი იყო წერილი, ფრაზა, ტექსტი და არა მხოლოდ ინფორმაცია“ [5].

მართალია, იური როსტმა ეს სიტყვები ჯერ კიდევ web 2.0-ის ეპოქამდე, ანუ ინფორმაციული ჟურნალისტიკის ზეობის ხანაში იწინასწარმეტყველა, მაგრამ დღეს ყველასათვის ცხადია, რომ ნებისმიერი გონიერი მომხმარებელი ინფორმაციის სანდოობას და სიღრმისეული ანალიზს არა ახალ მედიაში, არამედ ტრადიციულ მედიაში ეძებს. როგორც ჩანს და ეს პრაქტიკამაც დაადასტურა, რომ უკუტრანსფორმირების ეს პროცესიც შეუქცევადი გახდა. ამის მიზეზი ძალიან მარტივია. ადამიანს ინფორმაციის სისწორეში დასარწმუნებლად სჭირდება ისეთი ფორმატი, ისეთი სტრუქტურა, სადაც მის უტყუარობაზე ვიღაცა პასუხისმგებელი. ასეთი ვინმე, ასეთი რამე ახალ მედიაში მწელად თუ მოიძებნება. რა თქმა უნდა, აქ იგულისხმება არა სოლიდური ინტერნეტ მედიაორგანიზაციები, არამედ თავისუფალი ბლოგერი, ან

რომელიმე სოციალური ქსელში ჩაბუდებული მომხმარებელი, რომელსაც გასაგები მიზეზების გამო, დიდი აუდიტორია ვერანაირ პასუხს ვერ მოსთხოვს ინფოფიკისთვის. ტრადიციული მედიისა და ახალი მედიის ორგანიზებულ სტრუქტურულ და იურიდიულ ჩარჩოებში მოქცეული მედია საშუალებები კი, როგორც წესი, ოფიციალურად აგებენ პასუხს ფიკისთვის, მანიპულაციისთვის, პროპაგანდისთვის.

მედიის წყალგამყოფი მე-20 საუკუნის ბოლო 10-15 და 21-ე საუკუნის დასაწყისის 10-15 წლებზე მოდის. მეოცე საუკუნემ თითქმის მთლიანობაში ჩაიარა როგორც სიტყვის, სიტყვათქმედობის, სიტყვით ძერწვის ჟამად. მეოცე ასწლეულში მთავარი საშენი ინფომასალა იყო სიტყვა. სიტყვებისგან იქმნებოდა წინადადებები, წინადადებებში იკითხებოდა აზრი და საზოგადოებაც უფრო სწორად, მისი გონიერი ნაწილი ერთვებოდა გამოწახნაგებული საზოგადოებრივი აზრის მდინარეებში. 21-ე ასწლეული დაიწყო და მდინარეებს ციფრებში. სამყარო უკვე ციფრების ენაზე საუბრობს. ყველა სისტემა ციფრიზაციას განიცდის და ბოლომდე ექვემდებარება მას. ამიტომ თანამედროვე ჟურნალისტს უპირველესად მოეთხოვება ციფრთან მუშაობის უნარი, ინფორმაციის უზარმაზარი ციფრული ნაკადის მიღება, ვერიფიკაცია, აგრეგაცია და წარმოება.

დღეს სწორედ ასეთ ჟურნალისტებზეა მოთხოვნა, მაგრამ არის კიდევ ერთი ტენდენცია, რომელზეც ყურადღება გამახვილა მედიამკვლევარმა და პრაქტიკოსმა ამერიკელმა ჟურნალისტმა არონ პილპოფერმა. ის არის „ნიუ-ორკ ტაიმის“ ინტერაქტიული ჟურნალისტიკის განყოფილების რედაქტორი. მან 2013 წელს მოსკოვში ჩატარებულ ჟურნალისტთა მესამე საერთაშორისო ფორუმზე - „მომავლის მედია“ სიტყვით გამოსვლისას ნიუსსექტორები უწოდა იმ ადამიანებს, რომლებიც თავიანთი ნება-სურვილით უგზავნიან მსხვილ რედაქციებს, ტელე და რადიო კომპანიებს მცირე მასალებს, სახალისო ან ყურადსაღებ ინფორმაციებს ამა თუ იმ ფორმატში [5].

ასეთ მოხალისეებს „ნიუ-ორკ ტაიმის“ საიტიდან ეგზავნებათ შეკითხვა - შეუძლია თუ არა რედაქციას ისარგებლოს მათი შეტყობინებით და თანხმობის შემთხვევაში აუცილებლად ითხოვენ საკონტაქტო მონაცემებს. პილპოფერას თქმით, ამერიკაში ნიუსსექტორები ლამისაა გაუთანაბრონ მასმედიის თანამშრომლებს. [8]

ეს ტენდენციაც უწყვეტი ტრანსფორმაციის შემადგენელი ნაწილი გახდა და მის მნიშვნელობას ხაზი გაუსვა კიდევ ერთმა საინტერესო პერსონამ თანამედროვე მსოფლიო ჟურნალისტიკაში. ეს გახლავთ ამერიკელი მილიარდერი ჯეფ ბეზოსი, რომელმაც 2013 წელს გაზეთი „ვამინგტონ პოსტი“ შეიძინა. პირველი, რაც ახალმა მეპატრონემ რედაქციაში მისვლისთანავე გააკეთა, ბევრისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა. მან დაიქირავა ის ადამიანები, რომელთაც პოპულარულ სოციალურ ქსელებში ათეული და ასეულ ათასობით მომხმარებელი ჰყავდათ.

ჯეფ ბეზოსის მახვილგონივრულმა გათვლამ შედეგი მყისვე გამოიღო - „ვამინგტონ პოსტს“ აუდიტორია მნიშვნელოვნად გაეზარდა. გაზეთის მეპატრონის გადაწყვეტილება უფრო გამრავალფეროვანა მის მიერ „ვამინგტონ პოსტის“ მოწვეულმა რედაქტორმა ემილიო გარსია-რუიზმა. ის მოითხოვდა - „ყველა მასალამ თვეში მილიონი ნახვა უნდა დააგროვოს. ზოგმა ეს თამასა ერთ კვირაში დამლია. ისინი უფრო ანალიტიკოსები იყვნენ“. (მიაქციეთ ყურადღება-ანალიტიკოსები და არა ნიუსმენები, ან რეპორტიორები, რომლებიც მთელ მსოფლიოში მეტწილად თხრობა-აღწერით არიან დაკავებული, გ. გ.).

მედიის ტრანსფორმაციის შედეგია კიდევ ერთი თავისებურება, რომელიც ინტერნეტმა მოიტანა. ტრადიციული მედიის პერიოდში ნებისმიერი ჟურნალისტი მიჯაჭვული იყო არხზე. მედია არხი, იქნებოდა ეს ბეჭდური თუ ელექტრონული, თავის დაღს ასვამდა, თავის კალაპოტში აქცევდა ჟურნალისტს კონტენტის დისტრიბუციის თვალსაზრისით.

### 3. დასკვნა

დღეს ჟურნალისტი თავისუფალია. მას შეუძლია თვითონ გახდეს საკუთარი ნამუშავედის დისტრიბუტორი ყოველგვარი შუამავალი რგოლებისა და გამტარი არხების გარეშე. შესაბამისად, ამ ტრანსფორმაციის სიკეთე გამოისახება იმით, რომ ხარისხიანი კონტენტის მთელი ფინანსური უკუგება რჩება ჟურნალისტს. დასავლეთის მედიაში მრავალმა პრაქტიკოსმა გადადგა ეს ნაბიჯი. პოსტსაბჭოთა სივრცეში პირველი, ვინც მედია ორგანიზაციის ხელმძღვანელის პოსტი დატოვა და ინტერნეტის სივრცეში გადაბარგდა, იყო ცნობილი რუსი ჟურნალისტი დიმიტრი სოკოლოვ-მიტრიჩი, რომელმაც მოგვიანებით კიდევ ერთი საინტერესო ნოვაცია განახორციელა [9].

მან სამადლობელო ჟურნალისტიკის მოდელი აამუშავა. ის თვითონვე ქმნიდა საინტერესო კონტენტს სოციალურ ქსელში და მადლიერი მომხმარებლებისაგან ფულად ან სხვა სახის შემოწირულობებს იღებდა.

დიმიტრი სოკოლოვ-მიტრიჩი პირველი იყო პოსტსაბჭოთა სივრცეში, ვინც დიდი ჟურნალისტიკიდან სოციალურ ქსელში გადავიდა და სრულიად ახალი ტიპის ჟურნალისტიკას შეუერთდა. მომავალი ჟურნალისტებისთვის, მით უფრო ანალიტიკოსებისთვის, ეს მაგალითი შესაძლებელია მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღების საფუძველი გახდეს.

ასეთი მიდგომა კარგად ეთანაწყობა დროის მოთხოვნას დასაქმების კუთხით. ცნობილია, რომ დასაქმების კრიტერიუმები სულ სხვა იყო ინდუსტრიულ ეპოქაში და სულ სხვაა პოსტინდუსტრიულში. ახლა ცოდნის ეკონომიკის ეპოქაში ვირტუალური სამუშაო ადგილებია ასათვისებელი. ეს ტენდენცია შეინიშნება ეკონომიკის ყველა სფეროში, მაგრამ აქ, ჩვენს პროფესიაში ჟურნალისტ-ანალიტიკოსებს უდაოდ ჩინებული მომავალი ელით.

### ლიტერატურა - References – Литература:

1. Дебор Г. (1999). Общество спектакля. Пер. с фр. М. логос.
2. გი დებორი (1931-1994 წწ.) - ფრანგი ფილოსოფოსი, კინორეჟისორი, მწერალი.
3. Дебор Г. (1988). Комментарии к „Общество спектакля.“ Avtonom org. Пер. с фр.
4. კუპრაშვილი ნ. (2011). ახალი მედია ძველი მედიისათვის. თბ. გვ. 12;
5. იური როსტის ინტერვიუ. (2003). ჟურნალი „ჟურნალისტი," N5. გვ.30
6. www.fmf.ria.ru/docs (about) mm\_archive, ნანახია 2013.10.07
7. www.rt.com
8. www.Lenta.ru articles/2013/07/01/pilhofer
9. სოკოლოვ-მიტრიჩი დ. (2010). ჟურნალი „რუსსკი რეპორტიორი“.

## THE GLOBAL TRANSFORMATION OF MEDIA AND ITS RETHINKING IN THE ERA OF DIGITIZATION

Gigla Gobechia  
Georgian Technical University  
[gigla\\_gigla@mail.ru](mailto:gigla_gigla@mail.ru)

### Summary

Journalism throughout the world, experiencing global and uninterrupted transformation in many directions. All of this brought new realities in the global media space. Also, the internet has completed almost four hundred minutes of journalists' monopoly on the production and distribution of content. The function and organization of media organizations has changed radically. The demands of journalists have also been changed in the new media reality. Journalists had new possibilities in terms of monetizing content, which gave them additional incentives for filling new jobs in the profession.

## ელექტრონული ლოგისტიკის გამოყენება საავიაციო საკონსულტაციო ჯგუფის საქმიანობაში

ირაკლი ქარქაშაძე  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
[karkashadzeirakli@gmail.com](mailto:karkashadzeirakli@gmail.com)

### რეზიუმე

ინფორმაციული საზოგადოების ფორმირების პროცესიდან გამომდინარე ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება ადამიანის მოღვაწეობის თითქმის ყველა სფეროს მოიცავს. ნაშრომის მიზანია განვიხილოთ მონაცემთა ელექტრონული ლოგისტიკის საკითხები ავიაციის ბიზნესში. იგი მოიცავს თანამედროვე, მაღალი სტანდარტების კონცეფციას და მომსახურების კომპლექსურად დაკავშირებული პროცესებს. ელექტრონულ-ქსელური პროცესები, რომელიც წარმოადგენს მასობრივი მომსახურების სისტემებს შედგება მასში ჩართული სხვადასხვა ფუნქციებისაგან. ნაშრომში ყურადღება

გამახვილებულია ლოჯისტიკის სისტემაში ქვესისტემების საერთო მიდგომების, ცვლილებების ასახვის, მონაცემთა გაცვლის, ქვესისტემებში ინფორმაციის ნაკადის გავრცელების, რესურსების დეფიციტის წარმოშობის საკითხებზე.

**საკვანძო სიტყვები:** ავიაცია. ელექტრონული ლოჯისტიკა. საავიაციო საკონსულტაციო ჯგუფი. ბიზნესი. ავიაკომპანია. ეკონომიკის ინტელექტუალიზაცია.

## 1. შესავალი

საინფორმაციო სისტემების სწრაფმა განვითარებამ არსებითი გავლენა იქონია ეკონომიკის, როგორც ადამიანის მოღვაწეობის ერთ-ერთი ძირითადი დარგის განვითარებაზე. გავლენა ორგვარია: ერთი მხრივ, საინფორმაციო ტექნოლოგიებმა ტრადიციულ ეკონომიკაში შეიტანეს მრავალი სიახლე და დღეს სახეზე გვაქვს ინტელექტუალურ ეკონომიკა. მეორე მხრივ, წარმოიქმნა ახალი ელექტრონულ-ქსელური ეკონომიკა, რომელსაც გარკვეული, მისთვის დამახასიათებელი, თავისებურებები გააჩნია. როგორც ანალიტიკოსები აღნიშნავენ, ინფორმაციის მნიშვნელობის პროგრესული ტემპით ზრდა ინფორმაციული საზოგადოების, ეკონომიური და სოციალური პროგრესის განმასხვავებელი თვისებაა. ჩვენი ინტერესის სფეროა ეკონომიკის ინტელექტუალიზაცია. ეკონომიკა ეყრდნობა ცოდნას, ინფორმაციასთან სწრაფ წვდომას. ზოგადად, აღნიშნული საკითხი ადამიანის საქმიანობის თითქმის ყველა სფეროს ეხება. როგორც ვიცით, გამოყენებითი ინფორმატიკა ფართო სპექტრის მეცნიერებაა და იგი ეყრდნობა თეორიულ, პრაქტიკულ და ტექნიკურ ინფორმატიკათა მიღწევებს. მისი მიზანია მათი პრაგმატულად გამოყენება სხვადასხვა დარგებში. გამონაკლისი არც ავიაციასთან დაკავშირებული ბიზნესია. აქ ინტეგრირებულია ადამიანის საქმიანობის განსხვავებული მიმართულებები. განვიხილოთ ერთ-ერთი, რომელიც დაკავშირებულია საავიაციო საკონსულტაციო ჯგუფის საქმიანობასა და აღნიშნულ ბიზნესში ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებასთან. ვინაიდან მე, კერძო საავიაციო საკონსულტაციო ჯგუფის წარმომადგენელი ვარ, ჩემი ინტერესის სფეროა ელექტრონული ლოჯისტიკის გამოყენების საკითხები [2].

## 2. ძირითადი ნაწილი

ავიაკომპანიის შექმნა, ჩამოყალიბება ფუნციონირება საკმაოდ შრომატევადი და ფუქციურად დატვირთული პროცესია. აღნიშნული ბიზნესი იმდენად მნიშვნელოვანი, სერიოზული და სპეციფიკურია, ამ ბიზნესში შესაბამისი განათლებისა და გამოცდილების გარეშე დაქმიანობის დაწყება წარუმატებელია. გარდა ამისა საჭიროა დიდი მოცულობის ინვესტიცია, თანხები, თუმცა ფაქტია სწორად გამართული ბიზნესი ამ ინვესტიციას ამართლებს, ხოლო არასწორად დაგეგმილი ბიზნესი ხარჯების უკან დაბრუნების საშუალებასაც არ იძლევა. მაგალითისთვის მოვიყვანოთ საჰაერო ხომალდის ბორტის, როგორც მართვის ობიექტის, აღჭურვასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხები. უმნიშვნელოვანესი პროცესია ტრენინგები. სწავლება დიდი მოცულობის ინვესტიციებს ითხოვს. პროცესისთვის საჭირო ერთი ტრენაჟორიც კი ძალიან ძვირია, ასევე ძვირად ღირებულია ბორტის ტექნიკური მომსახურეობა, რომელიც მაღალი სტანდარტების კვალიფიკაციას ითხოვს და მრავალი მსგავსი მაგალითების მოყვანა შეიძლება. თუ ინვესტორი დაინტერესდება ავიაბიზნესით და სურვილი აქვს ძალები მოსინჯოს ავიასფეროში, შეუძლია დაუკავშირდეს საავიაციო საკონსულტაციო ჯგუფს, რომელიც ერთგვარად გვევლინება, როგორც შუამავალი, რომელიც ითვალისწინებს და იცავს დამკვეთის ინტერესებს ავიაკომპანიის შექმნის პროცესში. [4] ისინი თავის თავზე იღებენ ორგანიზების მრავალი მიმართულების საკითხებს. არსებული ავიაკომპანიების დაკვეთით საკონსულტაციო ჯგუფი აწარმოებს ახალი ავიამიმართულებების ანალიზს, რომლის შედეგადაც იდება დასკვნა, თუ რომელი ახალი მიმართულებაა კომერციულად მომგებიანი და საინტერესო. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია ასევე აეროპორტების დაკვეთით საკონსულტაციო ჯგუფის ჩართულობა აკომპანიებთან, ოპერირების დაწყების მიზნით მოლაპარაკებების წარმოებაში. ამ და სხვა საკითხების გადასაწყვეტად საჭიროა მაღალი დონის კვალიფიკაცია მოცემული სფეროს

მიმართულებით. განსახილველი და მოსაგვარებელი საკითხების სირთულე ამის აღნიშვნის დამადასტურებელია.

მაგალითად, სხვადასხვა დაინტრესებული მხარეის დაკვეთით ხდება:

- ✓ ბაზრის ან კონკრეტული საიკთხის ანალიზი, მონიტორინგი და ზედამხედველობა;
- ✓ სხვადასხვა კონცეფციების ან ბიზნეს მოდელების განვითარების გეგმების შემუშავება;

მათ შორის შეგვიძლია გამოვყოთ:

1. ახალი ავიაკომპანიის რეგისტრაციის პროცედურა;
2. ტექნიკური და მატერიალური დოკუმენტაციის მომზადება;
3. საჰაერო ხომალდის შერჩევა მოთხოვნისა და გეგმების შესაბამისად;
4. შესყიდვის პროცედურები;
5. პროცედურული დოკუმენტაციის მომზადება და წარდგენა სამოქალაქო ავიაციის სააგენტოსათვის.
6. საჰაერო ექსპლუატანტის სერთიფიკატის აღება;
7. აეროპორტების ფუნქციონირების ძირითადი ინდიკატორების მონიტორინგი. (მგზავრების

გადაზიდვა, საჰაერო ხომალდების მომსახურება და ა.შ.)

ინვესტორის სურვილის შემთხვევაში კომპანია ახორციელებს ავიაკომპანიის ტექნიკურ, კომერციულ ან სრულ მართვას.

ზემოთ ჩამოთვლილი პროცესების მართვა ხდება კომპიუტერული სისტემების გამოყენებით და მასში ჩართულია სპეციფიური პროგრამული უზრუნველყოფა, მონაცემთა ბაზები/სერვერები და სხვა. მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის აეროპორტები იმართება თანამედროვე, მაღალი სტანდარტების კონცეფციისა და წარმოდგენილი მომსახურების კომპლექსურად დაკავშირებული პროცესებით. აეროპორტის ფუნქციონირების მნიშვნელოვანი მიმართულებაა თანამედროვე ტექნოლოგიები და პროგრესული, მოქნილი ინფორმაციული ლოჯისტიკა. იგივე, ელექტრონული ლოჯისტიკა. ფაქტობრივად, ეს არის ერთგვაროვანი, მძლავრი საკომუნიკაციო და ინფორმაციულ-ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურა და ელექტრონული ლოჯისტიკის კონცეფცია, რაც გულისხმობს მასობრივი მომსახურების სისტემის კოორდინირებული ფუნქციონირების, სხვადასხვა მეთოდებისა და სისტემების ინტეგრაციის მაღალ დონეს. მოთხოვნათა ნაკადი, რომელიც დაკავშირებულია ჩამოთვლილ პროცესებთან, უნდა შესრულდეს მაქსიმალურად სწრაფად, დროულად, რათა დაყოვნების დრომ არ გამოიწვიოს მტყუნება. ცალკეულად განხორციელებული, წარმოებული პროცესები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მთლიან სისტემაზე და ერთმანეთის ეფექტიან ფუნქციონირებაზე.

მონაცემები, რომლებიც საჭიროა პროცესების სამართავი გადაწყვეტილებებისათვის, მიღებული და გადაცემული უნდა იქნას დროულად, საიმედოდ და მტყუნებების გარეშე. სისტემაში წარმოებული პროცესები გათვლილია გადაწყვეტილების სისწრაფეზე, ინფორმაციის ნაკადის დროულად გადამუშავებაზე. ამასთან ერთად, გათვალისწინებულია რესურსების სიმძლავრე და დროის დეფიციტი. აშკარაა, რომ მონაცემთა ნაკადის უწყვეტი, შეფერხების გარეშე მოძრაობა უზრუნველყოფილია მხოლოდ მაშინ, როდესაც ყველა მიმართულება კოორდინირებულია ლოჯისტიკის ქსელში. აეროპორტი ვალდებულია მოახდინოს სისტემის კონცეფციაში გარე პარტნიორის დაკავშირება. ამისათვის, აუცილებელია ლოჯისტიკის სისტემაში ქვესისტემების საერთო მიდგომებით დაკავშირება. წარმოებული ფუნქციების და ცალკეული ორგანიზაციების საქმიანობა უნდა გაერთიანდეს მთლიან კონცეფციაში. ამ გზით მოხდება ცვლილებების ასახვა ერთიან სისტემაში, რაც უზრუნველყოფს გამჭირვალობას და მისაწვდომობას.

საჰაერო ხომალდების დაშვება და გამგზავრების ორგანიზების დროს მიმდინარეობს მნიშვნელოვან და სისტემური პროცესები, რომლების სრულდება განსაზღვრული წესებით ორგანიზებულ დავალებათა ნაკადის საფუძველზე. ამ შემთხვევაში მაღალი დონის მასობრივი მომსახურების ტექნოლოგიური

სისტემები გამოიყენება ლოგიკურად დაკავშირებული პროცესების ავტომატიზირებისა და ინფორმაციის მიზანდასახულად გავრცელებისა და განაწილებისათვის.

ინფორმაციის გაცვლა უნდა იყოს აბსოლუტურად საიმედო, მტყუნების გარშე. შესასრულებელი ოპერაციების და დავალებების ნაკადის სისტემა ეფექტიანად რეალიზდება კარგად სტრუქტურირებული და ოპტიმიზირებული წარმოების პროცესებით. შესასრულებელი ოპერაციების სპექტრი ვრცელდება მონაცემთა გაცვლის ან დაკვეთების შესრულებიდან აეროპორტში ფუნქციონირებადი სამსახურების ორგანიზების პროცესამდე. სისტემა იღებს მონიტორინგის და წარმოშობილ მოთხოვნათა გადაწყვეტის ვლდებულებას, მგრძობიარეა ქვესისტემებში ინფორმაციის ნაკადის გავრცელებაზე, რესურსების დეფიციტის წარმოშობაზე, შემაფერხებელ ფაქტორებზე.

ინფორმაციული მონაცემები და დავალებები შემოდის ქვესისტემების გავლით და იგი რეგულირებულია. საერთაშორისო კომუნიკაცია სისტემას ხდის მტყუნებათა მიმართ მდგრადს და მცდარი გადაწყვეტილების მიღების რისკი დაბლდება. ინფორმაციის გაცვლა მოითხოვს ელექტრონული ლოჯისტიკის მკაცრად და ზუსტად განსაზღვრულ რეალიზაციას, ის უნდა ითვალისწინებდეს მოულოდნელ და განსაკუთრებულ შემთხვევებსაც [1, 4] იმისათვის, რომ მივაღწიოთ ინფორმაციული ლოჯისტიკის მაღალ ხარისხს, უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი პირობები:

- მოცემული, შესასრულებელი დავალებების ლოგიკა უნდა შეესაბამებოდეს დადგენილი სტანდარტების, წესების კონცეფციას;
- შეკუმშვისა და გაფართოების (ინფორმაცია, ტექნოლოგიები) საშუალება;
- სისტემებისა და ქვესისტემების მტყუნებებისადმი მდგრადობა ცენტრალური მოწყობილობის შეფერხების შემთხვევაში;
- ინფორმაციის გადაცემის საიმედოობა;
- სისტემის მზადყოფნა და რეაგირება ტექნოლოგიებთან დაკავშირებულ ცვლილებებისადმი;
- ელექტრონული ლოჯისტიკის სტრატეგიული ფაქტორი;

### 3. დასკვნა

მხოლოდ მონაცემთა სწრაფი და საიმედო გაცვლა საკმარისი არ არის. ინფორმაციის მიღება, აკუმულირება და გადაცემა უნდა მოხდეს მოთხოვნისა და დადგენილი წესების შესაბამისად სისტემაში მუშა პროცესების საიმედოობის უზრუნველსაყოფად. ამ მიზნით გამოყენებულ ცნებებსა და მეთოდებს მოიცავს ინფორმაციული და ელექტრონული ლოჯისტიკა. შექმნილი ავიაკომპანიის უწყვეტი, შეფერხების გარეშე ფუნქციონირების უზრუნველყოფა შესაძლებელია ფართო შესაძლებლობების მქონე ზუსტი და საიმედო მასობრივი მოსახურების სისტემებით, რომელთა დანიშნულებაა ინფორმაციის ნაკადის გაცვლა ერთმანეთთან მოქმედებაში მყოფ ქვესისტემებს შორის და შესაბამისად მთლიანი სისტემის ეფექტურად განხორციელებული მართვა. ზემოდ ასახული პოცესების სისტემატიზირებულად წარმოდგენა ჩვენი განხილვის თემაა და მიზანია კომპლექსურად წარმოვაჩინოთ საავიაციო საკონსულტაციო ჯგუფის საქმიანობაში ინფორმაციული სისტემების გამოყენების როლი.

#### ლიტერატურა - References – Литература:

1. Anant Sahay. (2012). Leveraging Information Technology for Optimal Aircraft Maintenance, Repair and Overhaul (MRO) 1st Edition. ISBN: 9780857091437. Woodhead Publishing
2. Kanki B.G. (2017). Aviation Information Management. ISBN 9781351956338. London
3. Weigang Li, De Barros A., De Oliveira I.R. (2010). Computational Models, Software Engineering and Advanced Technologies in Air Transportation: Next Generation Applications. ISBN 13: 9781605668000. SCOPUS. (University of Brasilia, University of Calgary, Canada)
4. აჩუაშვილი ნ. (2012). საქართველოს ავიასაწარმოების სტრატეგიული მენეჯმენტის პრობლემები და მისი გაუმჯობესების გზები. სადოქტორო დისერტაცია.

## USAGE OF ELECTRONIC LOGISTICS IN AVIATION CONSULTING GROUP

Karkashadze Irakli

Georgian Technical University

[karkashadzeirakli@gmail.com](mailto:karkashadzeirakli@gmail.com)

### Summary

Due to the formation of the information society use of information and communication services is a part of all aspects of human life. The purpose of this paper is to review logistics of electronic information in aviation industry. It consists of complex, interdependent processes that are modern and in accordance to the highest standards. Electrical-network processes that make up the massive service system consists of various functions. In this essay, particular attention is paid to illustrating changes in subsystems of logistical system, exchange of information, spread of informational flows and existence of informational deficit

## პროფესიული კარიერის და ადამიანური რესურსების სტრატეგიული დაგეგმვის ხელშემწყობი საინფორმაციო სისტემის დიდაქტიკა

გურამ ჩაჩანიძე, რამაზან აკბაში

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

[guramchachanidze@yahoo.com](mailto:guramchachanidze@yahoo.com), [akbasramazan@hotmail.com](mailto:akbasramazan@hotmail.com)

### რეზიუმე

9. Gvinepadze G. (2017). Issues of origins and development of languages through the ages and the Wiktionary. Saqartvelos Teqniki Universitetis Shromebi. N3, (505). (in Georgian).

## ON THE ORIGIN OF THE RIVER MTKVARI (KURA) AND THE CONCEPT OF INTERACTIVE SYSTEM FOR ETYMOLOGICAL RESEARCH

Gvinepadze Gela

Georgian Technical University  
gvinepadzegela@gmail.com

### Summary

The main purpose of the article is to suggest new, different and more convincing etymological version of the origin of the name of Mtkvari River (Kura) based on the researches conducted by the author. Due to the analysis of conducted research results we can conclude that some methods used in this regard can be successfully applied to the study of the origins of other rivers' names as well. Herewith such approach to an issue has revealed the prospect of the development of new direction in computer linguistics in the form of interactive system determining the etymology of words. At the same time was developed appropriate concept of this system to computerize the process of determining the etymology of words, transforming worldwide popular wiktionary website from the collection of interesting articles into the modern interactive research expert system. Moreover some specific features of the object (river) environment are to be considered for the efficiency of the process.

## გიორგი სააკაძის ევროპული ორიენტაცია

ვაჟა ოთარაშვილი, ეკა კვანტალიანი

გიორგი სააკაძის ფენომენის კვლევის ცენტრი

### რეზიუმე

წარმოდგენილია დიდი ქართველი მხედართმთავრის და პოლიტიკური მოღვაწის გიორგი სააკაძის, იგივე დიდი მოურავის ურთიერთობა ევროპელ მისიონერებთან და დიპლომატებთან. მისი ევროპული ორიენტაციები ქვეყნის განვითარების სამეურნეო და სამხედრო სტრუქტურებისათვის და სახელმწიფოს მართვისათვის. მისივე ინიციატივები XVII საუკუნის პირველ მეოთხედში, საქართველო - ევროპის ანტიმაჰმადიანი კოალიციის შექმნის თაობაზე. გიორგი სააკაძის პიროვნების ევროპული ორიენტაცია და დადებითი დამოკიდებულება რომის პაპის ურბან VIII-ის მიმართ იმ დროინდელი ევროპელი მისიონერების და დიპლომატების: არქანჯელო ლამბერტის, პიეტრო დელა ვალეს, ქრისტეფორო დე კასტელის, ფეხშიშველა კარმელიტების ორდენის, პიეტრო გრიტის და სხვ. წერილებიდან საუკეთესოდ დასტურდება.

**საკვანძო სიტყვები:** გიორგი სააკაძე. დიდი მოურავი. ქართველი მხედართმთავრები. ევროპელი მისიონერები. რომის პაპი ურბან-VIII.

### 1. შესავალი

გიორგი სააკაძე XVI-ის ბოლოსა და XVII-ის პირველი ნახევარის უდიდესი სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე იყო. მის მსოფლიო დონის საბრძოლო ხელოვნებას დღესაც აღტაცებაში მოჰყავს მკვლევარები, ისტორიკოსები, პოლიტოლოგები. არც ერთ ქართველ გამოჩენილ პიროვნებაზე იმდენი არ დაწერილა და თქმულა, ჩვენშიც და საზღვარგარეთაც, რამდენიც საქართველოს ეროვნულ გმირზე გიორგი სააკაძეზე, დიდ მოურავად წოდებულზე. მასზე დღესაც სწერს, როგორც ქართული, ისე უცხოური მედია.

დღევანდელი ცნობილი ამერიკელი და ევროპელი მკვლევარები, წამყვანი უნივერსიტეტების პროფესორები თუ პოლიტოლოგები, გამოჩენილი ისტორიოგრაფები: დონალდ რეიფილდი, რონალდ გრიგორ სუნი, კიტ ჰიჩინსი, როჯერ სეივორი, ჯიორჯიო როტა, პიოტრ ჩმიელი, რუდოლფ მათეი, კეროლან ფინკელი, ჰიროტაკე მაედა და სხვ. ერთხმად აღნიშნავენ, რომ გიორგი სააკაძე იყო ანტიმაჰმადიანური კოალიციის მეთაური კავკასიაში, რომ მისმა თავგანწირულმა ბრძოლამ, ირანის შაჰთან მძევლად დატოვებული მისი შვილის სიცოცხლის საფასურად 1625 წ. 7 აპრილს მარტყოფის ველზე გრანდიოზული გამარჯვებით იხსნა აღმოსავლეთ საქართველო გამაჰმადიანებისაგან და გადაშენებისაგან, ხოლო დიდი მოურავის 1625-1626 წწ. შაჰ-აბასის წინააღმდეგ უმაღლესი სამხედრო

ხელოვნებით ჩატარებულმა ბრძოლებმა, ყიზილბაშთა რჩეული არმიის 70 000- მდე ირანელი ჯარისკაცი გაანადგურა, რითაც მან იხსნა კავკასია ირანულ-შიიტური ექსპანსიისაგან.

ასევე აღსანიშნავია დიდი მოურავის უფრო ადრეული, კერძოდ 1609 წ. ზაფხულის დასაწყისში მოგებული სხერტა-ტაშისკარის ომები, ოსმალთა-თათარხანთა 60 000 ათასიანი ლაშქრის წინააღმდეგ, საიდანაც მხოლოდ თურქთა რამდენიმე ათეული ჯარისკაცი გადარჩა, გიორგი სააკაძის მიერ მაღალი ოსტატობით დაგეგმილი სამხედრო ოპერაციის შედეგად.

ზემოთ მოყვანილმა უმნიშვნელოვანესმა საბრძოლო გამარჯვებებმა დიდ მოურავს უდიდესი სახელი და პოპულარობა მოუტანა, არა მარტო სამშობლოში საქართველოში, არამედ მთელს მცირე აზიაში და განსაკუთრებით ევროპელ მისიონერებსა და დიპლომატებს შორის.

## 2. ძირითადი ნაწილი

გიორგი სააკაძეს თავისი სამხედრო პოლიტიკური მოღვაწეობის 35 წლოვანი პერიოდის განმავლობაში ბევრ მისიონერთან, სახელმწიფოს უმაღლესი რანგის პირებთან, დიპლომატებთან და უცხოელ საეკლესიო მოღვაწეებთან ჰქონდა შეხება. იგი წლების განმავლობაში ურთიერთობდა, როგორც ქართლ-კახეთის სამეფო კართან, ასევე 1612-1629 წწ. ირან - ოსმალეთის სამეფო კარის მაღალ მოხელეებთან, მათ შორის შაჰთან და სულთანთან.

თუ განვიხილავთ გიორგი სააკაძის მოღვაწეობას, პოლიტიკური ორიენტაციის კუთხით, რაც სამწუხაროდ დღემდე ასეთნაირად არავის განუხილია, დავინახავთ, რომ იგი ცალსახად ევროპული ორიენტაციის არის და ეჭვის თვალთა უყურებს 1600 წლიდან დაწყებული რუსეთ-საქართველოს ურთიერთობას, რადგანაც ამას რეალური შედეგი არ მოაქვს ერთმორწმუნე ივერიისათვის.

სპარსეთში შაჰის სამეფო კარზე გადახვეწილი სააკაძე, მხოლოდ გარეგნულად ატარებს მაჰმადიანობას, თორემ შინაგანად იგი ქრისტიანია და ევროპელ დიპლომატებთან და მისიონერებთან ერთად, რომლებიც 1615 – 1625 წლებში მრავლად იმყოფებოდნენ შაჰის კარზე, მათთან ერთად დადის სეფიანთა ირანში არსებულ კათოლიკურ ეკლესიებში სალოცავად, რადგანაც სამწუხაროდ, არცერთი მართლმადიდებლური ტაძარი არ არსებობდა იმ დროს სპარსეთში, ხოლო სომხურ ეკლესიაში შესვლის კატეგორიული წინააღმდეგი იყო იგი, როგორც ამას ფეხშიშველა კარმელიტების ორდენის წარმომადგენელი მამები აღნიშნავენ.

შაჰ-აბასის თუ თურქეთის სულთნის კარზე მყოფი გიორგი სააკაძე მეგობრობს მხოლოდ ევროპელ მისიონერებთან და დიპლომატებთან, დახმარების ხელს უწყდის მათ, როცა ისინი გაჭირვებაში არიან ჩავარდნილები და სიკვდილის საფრთხე ემუქრებათ მუსულმან ხელისუფალთა მხრიდან (მაგალითად, ეხმარება იტალიელებს, ფრანგებს...), ამასთან იგი ინტერესდება რომის პაპის ურბან VIII-ის პიროვნების მიმართ და კეთილად არის მისდამი განწყობილი.

დიდი მოურავი ევროპელ მისიონერთა და დიპლომატთა დახმარებით დეტალურად ეცნობა ევროპის ქვეყნების სახელმწიფო მოწყობის წესს, მათ სამხედრო შეიარაღების თავისებურებებს, მმართველობის სისტემებს, ეკონომიური განვითარების პრინციპებს. ის ცდილობს, ევროპული სახელმწიფოს მართვის მოდელი და სამოქალაქო კანონმდებლობა საქართველოში გადმოიტანოს და დანერგოს.

გიორგი სააკაძე პროგრესულად მოაზროვნე ევროპელის დარად იქცევა და მუსულმანურ სამყაროში ჩავარდნილი, მისი ფენომენალური ნიჭისა და მოხერხებულობის წყალობით ინარჩუნებს ქრისტიანობას, არის უადრესად გულისხმიერი და კეთილგანწყობილი ევროპელი მისიონერებისა და დიპლომატების მიმართ, რაც თავის მხრივ მტკიცდება თვით სეფიანთა ირანსა და ოსმალეთში მოღვაწე ისეთი გამოჩენილი ევროპელი პიროვნებების წერილებით და აღწერილობებით, როგორებიც არიან: დონ ქრისტოფორო დე კასტელი, პიეტრო დელა ვალე, პიეტრო ავია ტაბალე, მამა ამბროზიო დუშ ანჟუში, სწავლული ბერი ხური დონ მიქელე მოსკო, ბ. ფერო, ჯიოვანი ტადეო დე სან ელიზეო, კარმელიტი მამა ვინცენტი ჰურმუზი, არქანჯელო ლამბერტი, პიეტრო გრიტი (ალეპოს ვენეციელი კონსული ოსმალეთის იმპერიაში გიორგი სააკაძის გარდაცვალების მომსწრე და ამ ამბის ცნობების ერთ-ერთი აღმწერელი), და სხვ.

უფრო მოგვიანებით კი გიორგი სააკაძეზე წერს დადებითად ასევე, ბელშიორ დუშ ანჟუში, შარდენი, იოზეფ ფონ ჰამერ პურგშტალი და სხვანი. ხაზგასასმელია, რომ გიორგი სააკაძე 1627-1629 წლებში, თურქეთში (კონსტანტინეპოლში) ყოფნისას უცხოელ დიპლომატებს, მისიონერებს, ვაჭრებს თავს აცნობს საქართველოს ელჩად, მეფე თეიმურაზ I-ის დიპლომატიურ წარმომადგენლად, რასაც სხვათაშორის თვით თეიმურაზ I-იც ადასტურებს, ისტორიულ წყაროთა თანახმად (მაგალითად, მოსკოვში რუსეთთან მოლაპარაკებების დროს).



მოვიყვანოთ ციტირება, რაც სიახლეა ქართული ისტორიოგრაფიისათვის, მისიონერი პიეტრო ფოსკარინი (Pietro Foscari) დამწებებული წერს, პიეტრო ჩმიელის ნაწარმოებში: „ქართული პოლიტიკური ხედვა ვენეციურ დიპლომატიურ დოკუმენტებში (1573-1645 წწ.)“, გვ 97-109, (პოლონეთი, ვარშავა, 2017 წ.): „ალეპოში 1629 წელს დიდებულ ქართველ თავადს, მამაც მებრძოლს Bascià Magrul-ს თავი მოჰკვეთეს, როგორც აჯანყების მოთავეს...“. სავარაუდოდ ფაშა მაგრულ, ანუ გიორგი სააკაძეზე საუბარი, აგრეთვე მისიონერი კონტარინი (Contarini -1612წ.) ამბობს, რომ „გიორგი სააკაძე ანუ მაურო, ის ცნობილი ქართველი მთავარსარდალია, რომელმაც ხუან ფერნანდეს პაჩეკოს შვილის - პრინც ესკალონივით იძულებული შეიქმნა ფორმალურად მიეღო მუსულმანობა, ხოლო ქრისტიანობისთვის არასოდეს არ უღალატნიაო... ქართველები საოცარი ხალხია, ნამდვილი ე.წ. „კრიპტოქრისტიანები“ ანუ ეს სიტყვა ნიშნავს ადამიანებს, რომელთაც საიდუმლოდ შეუნახავთ ქრისტიანობა და არ უარუყვიათ თავიანთი ქრისტეს სჯულისთვის...“

საყურადღებოა გიორგი სააკაძის ტრაგიკული აღსასრულის შემდეგ მისი იერუსალიმში წმინდა მიწაზე ჯვრის მონასტერში დაკრძალვის ვერსიაც, რომლის ოსმალეთიდან გადასვენებასაც ევროპელ მისიონერებს უკავშირებენ, ხოლო ერთ-ერთი ვერსიით, დიდი მოურავი კონსტანტინეპოლის ბერძნულ კვარტალში არსებულ 12 მოციქულის სახელობის ეკლესიის გვერდით, სამეფო სასაფლაოზეა დაკრძალული, რომელიც ასევე მომავალში კვლევის საგანია.

სწორედ ევროპელი მისიონერები, რომლებმაც პირველებმა შეაფასეს გიორგი სააკაძის, როგორც პროგრესულად მოაზროვნის ნიჭი და დამსახურება, ადარებენ მას თავისი დრამატული ბედით ევროპელ გენერალსიმუსს და ფლოტის ადმირალს, გამოჩენილ მთავარსარდალს და ჰერცოგს - ალბრეხტ ვენცელ ოისებიუს ფონ ვალდშტაინს (ვალენშტაინს), რომელიც მოღვაწეობდა გიორგი სააკაძის პერიოდში ევროპაში, წარმოშობით იყო ჩეხი ბოჰემიის მხარიდან.

იტალიურ თეატინელთა წყაროებში წერენ გიორგი სააკაძეზე, როგორც ქართლის დიდ რეგენტზე (1619-1625 წწ.) და აღნიშნავენ 1614-1615 წლებს, დიდ მოურავს ახასიათებენ, როგორც უპლიერეს ქართველ მხედართმთავარს, რომელსაც ანგარიშს უწევდა მისი ეპოქის ირანის სეფიანთა და ოსმალეთის ოტომანთა ორი უდიდესი იმპერია - „არქიტექტურული კულტურა აღმოსავლეთში თეატინელთა ორდენის მისიებში და გუარინო გუარინის არქიტექტურა“, 2017 (იტალ.ენაზე) - „LA CULTURA ARCHITETTONICA NELLE MISSIONI TEATINE IN ORIENTE E L'ARCHITETTURA DI GUARINO GUARINI“, (2017); გუარინო გუარინი - იყო მე-17 საუკუნის გამოჩენილი არქიტექტორი, მათემატიკოსი და თეოლოგი, თეატინელთა ორდენის მისიონერთა ერთ-ერთი ხელმძღვანელი.

უცხოელი მისიონერები, მოგზაურები, დიპლომატები, ერთხმად აღნიშნავენ, რომ სწორედ, გიორგი სააკაძის და მისი დარი მამულიშვილების მძლავრი მარჯვენის წყალობით, საქართველოს მოსისხლე მტრებმა - თურქებმა და სპარსელებმა, ვერ შეძლეს არა მარტო ივერიის, არამედ მთლიანად კავკასიის დაპყრობა, რადგანაც ამ დროს დღევანდელი აზერბაიჯანი ერთ-ერთი სახანოს სახით შედიოდა სეფიანთა ირანის შემადგენლობაში, ხოლო სომხეთი, როგორც სახელმწიფო, უკვე აღარ არსებობდა. აზერბაიჯანიდან და სომხეთიდან შაჰ-აბასის მიერ 400 000 - მდე მოსახლე იქნა აყრილი და გადასახლებული ირანის პერიფერიებში. ვერაგმა შაჰ- აბასმა მსგავსი შემზარავი ფაქტი 1616 - 1620 წლებში, აღმოსავლეთ საქართველოში, კახეთში განახორციელა.

როგორც კასტელი აღნიშნავს, გიორგი სააკაძეს გარეშე მტრების მოგერიების საქმეში, მხოლოდ ევროპული სახელმწიფოები ესახებოდა. მისი აზრით ევროპელები ქრისტიანული მოტივით სამხედრო დახმარებას გაუწევდნენ პოლიტიკურად და ეკონომიკურად გაჭირვებულ, მტრებისგან დაქანცულ საქართველოს.

თურქეთში ჩასულმა სააკაძემ პირდაპირი გეზი ევროპისაკენ აიღო. იგი დაუკავშირდა კონსტანტინეპოლიდან ვენეციის სენატს, რამეთუ ცდილობდა ვენეციის რესპუბლიკის ძალების გამოყენებას თურქეთის წინააღმდეგ. იმდროინდელი ყველა ევროპული წყარო ერთხმად აღნიშნავს გიორგი სააკაძის დიდ მხედართმთავრულ ნიჭს, სამხედრო სტრატეგიულ შორსმჭვრეტელობას, გონიერებას და ფიზიკურ ძალას. ამასთან ყველა უცხოელი ავტორი ხაზს უსვამს დიდი მოურავის ტრაგიკულ ბედს.

### 3. დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ევროპელი მისიონერები და დიპლომატები, სეფიანთა ირანისა და თურქეთის სამეფო კარზე მყოფი იტალიელები, ფრანგები, ინგლისელები, ესპანელები, პორტუგალიელები, ჰოლანდიელები, გერმანელები და ა. შ. ერთხმად აღნიშნავენ, რომ გიორგი სააკაძე დაინტერესებული იყო ევროპით, სთხოვდა მათ ევროპელ მეფეებსა და რომის პაპს ურბან

VIII- ს სამხედრო დახმარების ხელი გაეწოდებინათ პატარა, მაგრამ უძველესი ქრისტიანული ქართული სახელმწიფოსთვის. დიდი მოურავი გამოდიოდა ინიციატორად, რომ შექმნილიყო საქართველო - ევროპა ანტიმაჰმადიანური (ანტიოსმალური და ანტიირანული) კოალიცია, რომლის პლაცდარმი კავკასიაში იქნებოდა საქართველო და ევროპა - საქართველო ერთობლივი ძალით შეძლებდნენ მუსულმანური ტალღის შეჩერებას, რომელიც უკვე ევროპის კონტინენტსაც აზანზარებდა და რა თქმა უნდა საქართველოშიც ბოხოქრობდა, რაც საშუალებას მისცემდა ევროპის ქვეყნებს აბრეშუმში, ღვინო და სხვა ნედლეული საქართველოზე გამავალი სავაჭრო უმოკლესი გზებით მიეწოდებინა დასავლეთისათვის.

გიორგი სააკაძის გამორჩეული პოლიტიკური, სამხედრო თუ ეკონომიური თვალსაზრისი იყო აშკარად პროევროპული. თვით ყველაზე თვალსაჩინო მაგალითი მოგებულ იმებისა, ევროპულ საბრძოლო დაგეგმის სისტემას ემყარება, რასაც ერთხმად აღნიშნავენ, როგორც ქართველი, ასევე უცხოელი სამხედრო ექსპერტები.

სამწუხაროდ, გიორგი სააკაძის ამ ნოვატორულ აზროვნებას წინ ეღობებოდა ქართლ- კახეთის კონსერვატიულად მოაზროვნე ამპარტავან ფეოდალთა ფენა და ირან - ოსმალეთის მძლავრი აგენტურული ქსელი, ხოლო ევროპელთა მხრიდან გულგრილი დამოკიდებულება და პოლიტიკური სიტუაციათა და ისტორიულ მოვლენათა ზერელე შეფასება.

ამასთან ამ პერიოდში თვით ევროპულ სახელმწიფოებს შიგა პრობლემები ჰქონდათ მოსაგვარებელი, რაც ხელს უშლიდა სწორი საგარეო პოლიტიკის აქცენტების გაკეთებაში. გიორგი სააკაძეს კი სურდა ჯერ სეფიანთა ირანის, ხოლო შემდეგ ოსმალური ძალის გამოყენებით და ევროპელების დახმარებით გაერთიანებინა საქართველო დავით აღმაშენებლის დარად და ევროპული ოჯახის წევრი გაეხადა იგი, რაც საუბედუროდ სუბიექტურ და ობიექტურ მიზეზთა გამო 1629 წელს თოხათის ციხეში დიდი მოურავის ვერაგული სიკვდილით დასრულდა.

#### ლიტერატურა - References – Литература:

1. ტაბაღლა ი. (1986). საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნთსაცავებში. ტ. II, თბ.
2. კარმელიტების ქრონიკა საქართველოზე XVII-XVIII საუკუნეები. (1999). ქ. პავლიაშვილის რედაქციით. თბ.
3. Martini P.I. (2010). ლათინურ-კათოლიკური ეკლესიის მოკლე ისტორია საქართველოში. კამელიების ორდენი. ტურინი-თბილისი. (იტალ.ენაზე).
4. გაბაშვილი ვ. (1958). ქართული ფეოდალური წყობილება XVI-XVII საუკუნეებში. თბ.
5. ჯამბურია გ. (1964). გიორგი სააკაძე. თბ.
6. იოსელიანი პ. (1973). დიდი მოურავი, გიორგი სააკაძის ცხოვრება.
7. ფურცელაძე ა. (1911). ბრძოლა საქართველოს მოსასპობად და საქართველოს შესაერთებლად, ანუ გიორგი სააკაძე და მისი დრო“, თბ.
8. ფირცხალაიშვილი რ. (1978). იოსებ თბილელი და მისი დიდმოურავიანი. თბ.
9. ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში. (1975).
10. დონ ქრისტეფორო დე კასტელი. (1976). ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ. თბ. ილისი
11. Piotr Chmiel. (2017). Un contributo allo studio della visione dei Georgiani in documenti creati nell'ambiente diplomatico veneziano 1573-1645. pp.97-109. Uniwersytet Warszawski, Polska
12. Donald R. (2012). Edge of Empires: A History of Georgia. London, pp. 188-196.
13. Suny, Ronald Grigor. (1994). The Making of the Georgian Nation. 2nd edition, pp. 50-53 ; Indiana University Press.
14. Hitchens Keith. (2007). Georgia : History of Iranian-Georgian relations. Encyclopædia Iranica Columbia University; Vol. X, Fasc. 4. pp. 464-470.
15. Giorgio Rota. (2005). A New Date for the Death of Giorgi Saakadze. Eurasian Studies, IV, 1 Paris. Vol. 28; pp. 19-27.
16. Maria Szuppe. (2007). Histoire médiévale et moderne Iran et Asie centrale. Vol. 28. pp. 167-207. PARIS \_SORBONNE.
17. David Blow. (2009). Shah Abbas: The Ruthless King Who became an Iranian Legend. London, UK: I. B. Tauris & Co. Ltd. (2009) pp. 174.

18. Rudi Matthee. (2011). Persia in Crisis: Safavid Decline and the Fall of Isfahan. I.B.Tauris. pp. 1–371. New York.
19. Iran and the World in the Safavid Age. (2012). Edited by Willem Floor, Edmund Herzig; Iran Heritage Foundation. New York, pp 463 – 492.
20. Allen W.E.D. (1932). A History of the Georgian People“, London, 1932.
21. LA CULTURA ARCHITETTONICA NELLE MISSIONI TEATINE IN ORIENTE E L’ARCHITETTURA DI GUARINO GUARINI“, 2017
22. HISTIRIA DE LA TURQUIA. M. JOSE MARTA JOUANIN, MR. JULIO VAN GAVER, BARCELONA, 1840.
23. Geschichte des osmanischen Reiches, by Joseph von Hammer. Purgstall, 1833. Publisher C.A. Hartleben, Book from the collections of Oxford University (Language German).
24. ТОРИЯ ВОСТОКА. (2000). Восток на рубеже средневековья и нового времени XVI-XVIII вв .” том III .Москва.
25. История Османской империи. (2010). Видение Османа. Турецко-Персидская война 1603- 1618, Кэролайн. Финкель. Москва. АСТ

## EUROPEAN ORIENTATION OF GIORGI SAAKADZE

Otarashvili Vazha, Kvantaliani Eka  
TRC Phenomenon of Giorgi Saakadze  
phmouravi@gmail.com

### Summary

The paper presents the relations with the European missionaries and diplomats of the great Georgian military commander and the politician Giorgi Saakadze, who is the Great Mouravi. Its European orientation for the development of the country's economic and military structures and government and his initiatives in the first quarter of the XVII century, the creation of the Georgian-European anti-Muslim coalition. European orientation and positive attitude of the person Giorgi Saakadze to Pope Urban VIII and European missionaries and diplomats at the time: Arcangelo Lambertini, Pietro Della Valle, Cristoforo de Castelli, Pietro Gritti and others confirmed from their letters.

## „საგნების ინტერნეტის“ განვითარების ტენდენცია

ირინე ხომერიკი, ელენე კამკამიძე  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
[i.khomeriki@gtu.ge](mailto:i.khomeriki@gtu.ge), [e.kamkamidze@gtu.ge](mailto:e.kamkamidze@gtu.ge)

### რეზიუმე

ტერმინი „საგნების ინტერნეტი“ გამოიყენება, როგორც ქოლგა საკვანძო სიტყვებისთვის, რომლებიც მოიცავს ინტერნეტისა და Web-ის გავრცელებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა ასპექტებს ფიზიკურ გარემოში. ეს ხდება ფართოდ გავრცელებული მოწყობილობების საშუალებით, წინასწარ ჩაშენებული იდენტიფიკაციით, რომელთაც აქვთ ამოცნობის და/ან მოქმედების შესაძლებლობები. „საგნების ინტერნეტი“ გულისხმობს მომავალს, როდესაც შესაბამისი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით შესაძლებელი იქნება ციფრული მოწყობილობების და ფიზიკური პირების დაკავშირება. ამით შესაძლებელი გახდება სრულიად ახალი აპლიკაციებისა და სერვისების შექმნა. სტატიაში წარმოდგენილია „საგნების ინტერნეტის“ კონცეფციის, გავრცელების, მოთხოვნების, საკვლევი ამოცანების, გამოყენების შესაძლებლობების მიმოხილვა.

**საკვანძო სიტყვები:** იფორმაციული ტექნოლოგიები. BigData, IoT-ტექნოლოგია, LTE ინფრა-სტრუქტურა, LPWAN ქსელი.

### 1. შესავალი

ტექნოლოგიების გავლენა კაცობრიობაზე უსაზღვროა. ტექნოლოგიების თანამედროვე განვითარების ტალღის ეპიცენტრში უდაოდ დგას „საგნების ინტერნეტი“, მისი ფართო ტექნიკური, სოციალური და ეკონომიური მნიშვნელობით. ტექნოლოგიების უწყვეტი განვითარების და მიღწევების ფონზე „საგნების ინტერნეტის“, ინოვაციური პოტენციალი, გლობალური გამოთვლითი ქსელის მსგავსად ფართოვდება. ასეთ ქსელში ყველა და ყველაფერი მიერთებული იქნება ინტერნეტთან [1]. „საგნების ინტერნეტი“ მუდმივად ვითარდება და იგი წარმოადგენს კვლევის აქტუალურ თემას უაღრესად ფართო შესაძლებლობებით. ფანტაზიის დონემდე მისული შესაძლებლობები ამჟამინდელ ინტერნეტს მოდიფიფიცირების და ინტეგრირების ზღვარზე აყენებს. ინტერნეტ მომსახურების მომხმარებელი მოწყობილობების რაოდენობა, რომლებიც სადენიან ან უსადენო კავშირს იყენებენ, ყოველდღიურად იზრდება. ეს კი, ინფორმაციის სულ უფრო მძლავრი წყარო ხდება. როგორც დასახელებიდანაც ჩანს, „საგნების ინტერნეტი“ გულისხმობს მიდგომას, რომლის შედეგადაც ხდება განსხვავებული სახის საგნებიდან მიღებული მონაცემების დაახლოება გარკვეულ ვირტუალურ პლატფორმასთან არსებულ ინტერნეტ სტრუქტურებში [2]. „საგნების ინტერნეტი“ საშუალებას იძლევა ყოველდღიური ცხოვრების სხვადასხვა საგნების პროექტირება წარმოებდეს ინტერნეტთან მიერთებით და მონაცემთა ანალიზის ფუნქციების მეშვეობით. ეს კი თავის მხრივ გამოიწვევს არსებული ცხოვრების, მუშაობის და გართობის წესის შეცვლას. ტერმინი „საგნების ინტერნეტი“, უკვე საკმაოდ დამკვიდრდა თანამედროვე ცხოვრებაში, მაგრამ ბევრმა როდი იცის თუ რას წარმოადგენს „საგნების ინტერნეტი“ და რამდენად შორს შეგვიყვანს მომავალში მისი განვითარება. სტატის მიზანია „საგნების ინტერნეტის“ არსის, აღმოცენების და განვითარების თავისებურებების, კონცეფციის, გამოყენების სფეროების განხილვა.

## 2. ძირითადი ნაწილი

**„საგნების ინტერნეტის“ აღმოცენების ისტორია.** „საგნების ინტერნეტის“ (Internet of Things, შემოკლებით IoT) ისტორია უკავშირდება ნიკოლა ტესლას სახელს. 1926 წელს მეცნიერი ირწმუნებოდა, რომ მომავალში ყველა საგანი საერთო სისტემის ნაწილი გახდებოდა, ხოლო მოწყობილობები, რომელთა მეშვეობითაც ეს განხორციელდებოდა, იმდენად პატარა ზომის იქნებოდა, რომ ჯიბეში ჩაეტეოდა. 1990 წელს ამერიკელმა ჯონ რომკიმ, შექმნა მსოფლიოში პირველი ინტერნეტ-საგანი - ქსელთან მიერთებული ტოსტერი. მან შეძლო მისი დისტანციურად ჩართვა და გამორთვა.

ტერმინი „საგნების ინტერნეტი“ დაკავშირებულია XX საუკუნესთან, მაგრამ ამ კონცეფციამ რეალიზაცია და განვითარება მხოლოდ დღევანდელ ერაში ჰპოვა. „საგნების ინტერნეტის“ კონცეფცია 1999 წელს ჩამოაყალიბა კევინ ემტონმა. „საგნების ინტერნეტი“ ჩაისახა მასაჩუსეტის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტში, სადაც 1999 წელს ემტონმა ავტომატური იდენტიფიკაციის ცენტრი (Auto-ID Center) დაარსა. ცენტრის საქმიანობა მოიცავდა რადიოსიხშირულ იდენტიფიკაციას (RFID) და ახალ სენსორულ ტექნოლოგიებს. ცენტრი კოორდინირებას უწევდა ოთხ კონტინენტზე განლაგებულ შვიდი უნივერსიტეტის საქმიანობას. სწორედ აქ შემუშავდა „საგნების ინტერნეტის“ არქიტექტურა.

**რას ნიშნავს ტერმინი „საგნების ინტერნეტი“?** „საგნების ინტერნეტი“ (Internet of Things, შემოკლებით IoT) არის ინტერნეტთან დაკავშირებული სენსორებით და ინფორმაციის გადაცემის საშუალებით აღჭირვილი ფიზიკური მოწყობილობების გლობალური ქსელი. ეს მოწყობილობები გაერთიანებულია კონტროლის, მართვისა და დამუშავების ცენტრებთან მიერთების მეშვეობით.

„საგნების ინტერნეტი“ ინტერნეტის განვითარების ახალი სტადიაა. „საგნების ინტერნეტზე“ გადასვლა 2008-2009 წლებში მოხდა, როდესაც მსოფლიო ქსელთან დაკავშირებული მოწყობილობების რაოდენობამ გადააჭარბა მოსახლეობის რაოდენობას პლანეტაზე. IoT ჩვენს გარშემო მყოფ საგნებს აერთიანებს კომპიუტერულ ქსელში. ისინი ინფორმაციას ცვლიან ერთმანეთში, მუშაობენ დროის რეალურ რეჟიმში ადამიანების ჩარევის გარეშე. IoT სისტემები შესდგება ღრუბლოვანი პლატფორმისა და მასთან მიერთებული ჰქვიანი მოწყობილობებისგან. ამას ემატება სენსორების მიერ შეგროვებული მონაცემების შენახვის, გადამუშავების და დაცვის სისტემები.

„საგნების ინტერნეტის“ კონცეფცია დაფუძნებულია მანქანათაშორის ურთიერთობის პრინციპზე. მისი ძირითადი ამოცანაა - ავტომატიზაცია, ოპტიმიზაცია, მატერიალური და დროითი დანახარჯების შემცირება.

*როგორ არის მოწყობილი „საგნების ინტერნეტი“?* „საგნების ინტერნეტი“ შედგება ერთმანეთისგან სუსტად განცალკევებული ქსელებისგან, რომელთაგან თითოეული შემუშავებულია კონკრეტული ამოცანის გადასაჭრელად. მაგალითად, თანამედროვე ავტომანქანებში ერთდროულად ფუნქციონირებს რამდენიმე ქსელი: ერთი მართავს ავტომანქანის ძრავას, მეორე - უსაფრთხოების სისტემებს, მესამე კომუნიკაციას და ა.შ. მრავალი ქსელია დამონტაჟებული საოფისე და საცხოვრებელ შენობებშიც გათბობის, ვენტილირების, კონდიციონერების სისტემის, სატელეფონო კავშირის, განათების მართვისთვის. „საგნების ინტერნეტის“ განვითარებასთან ერთად მრავალი ასეთი ქსელი გაერთიანდება და შეიძენს უფრო ფართო შესაძლებლობას უსაფრთხოების, ანალიზისა და მართვის სფეროში. შედეგად „საგნების ინტერნეტი“ უფრო მეტ შესაძლებლობას შეიძენს რაც კაცობრიობას გაუხსნის ახალ, უფრო ფართო პერსპექტივებს.

2017 წლის ერიქსონ მობილიტის ( Ericsson Mobility) ნოემბრის ანგარიშის [3] მონაცემებზე დაყრდნობით 2017 წლის მეოთხე კვარტალში მობილური აბონენტების საერთო რაოდენობა მსოფლიოში დაახლოებით 7.8 მილიარდს აღწევდა. ფიჭური ინფრასტრუქტურის მომავალ მეხუთე თაობაში (5G), „ინტერნეტ საგნების“ ტრანსმისიები 2025 წლისთვის 7 მილიარდ ერთეულს მიაღწევს [4]. როგორც მარტივი მოწყობილობები, როგორებიცაა სატარებლად გამოსადეგი სენსორები და კამერები, რომლებიც მკაცრი შეზღუდვებით ხასიათდებიან რესურსებზე (მაგალითად, შეზღუდული მეხსიერებით და დამუშავების შესაძლებლობებით), ასევე მაღალმწარმოებლური (მაღალი დონის) მოწყობილობები, აღჭურვილი მაღალი კომპიუტერული შესაძლებლობებით (მაგალითად, ავტონომიური მანქანები, დრონები, რობოტები, ვირტუალური რეალობაზე დაფუძნებული სისტემები) სულ უფრო მეტად შეავსებს IoT [5] ყოველივე ეს ახალი ბაზრის შესაძლებლობებს გახსის მაღალინტეგრირებული IoT-აპლიკაციებისთვის [6].

*„საგნების ინტერნეტის“ სტანდარტებთან დაკავშირებული საკითხები.* მონაცემთა გადაცემის მიზნით, მრავალი პროტოკოლი შემუშავდა. თითოეული მათგანი კონკრეტულ ამოცანაზე იყო ორიენტირებული: ხმის კომუნიკაციისთვის GSM, მობილური ტელეფონების მონაცემთა გაცვლისათვის GPRS, ZigBee - ლოკალური ქსელის შესაქმნელად და „ჭკვიანი“ სახლების სამართავად, ხოლო Wi-Fi უკაბელო ლოკალური ქსელებისთვის მონაცემების მაღალი სისწრაფით გადასაცემად.

მაგალითად, Yandex.Navigator- ს შეუძლია GPRS / 3G / 4G- ის მეშვეობით მუშაობა და ამგვარი აპლიკაციისთვის სხვა კავშირი არ იქნება გამოსადეგი. მაგალითად "ჭკვიანი" სახლში ვერ ითანაცხოვრებენ ავტონომიური GPRS- სენსორები, ორ დღეში მათი ბატარეები დაჯდება. აქედან გამომდინარე, ინტელექტუალურ საცხოვრებელისთვის შესაფერისი იქნება ენერგოეფექტური ZigBee. ის რაც სავსებით მისაღებია ერთი კონკრეტული შემთხვევისთვის, შეიძლება სრულიად გამოუსადეგარი აღმოჩნდეს მეორისთვის.

IoT ესაჭიროება კომუნიკაციის სტანდარტი ფართო ტერიტორიის მოცვით, მაღალი ენერგოეფექტურობით, იაფი ინფრასტრუქტურით და დაბალი საექსპლუატაციო ხარჯებით. ზემოთხსენებული მოთხოვნებისა და შეზღუდვების გათვალისწინებით, პრობლემა გადაიჭრა დაბალი ენერგომანხმარებისა და დიდი სიშორის გადაკვეთაზე არსებული ტექნოლოგიის გამოყენებით. ამან მიიღო სახელწოდება Low-Power Wide-Area Network (LPWAN) დაბალი სიმძლავრის ფართო არეალის ქსელი, ანუ ფართო რადიუსზე მოქმედი ენერგოეფექტური ქსელი. LPWAN არის IoT- ის კონცეფციის მომავალი.

უკაბელო სენსორული ქსელების (WSNs) და უკაბელო მულტიმედიური სენსორების ქსელების (WMSNs) უზარმაზარმა ზრდამ მკვეთრად გაზარდა ენერგოეფექტურ უკაბელო გაფართოების მოთხოვნა [7]. WMSN კლასიფიკაცია ხდება მოთხოვნის ან მონაცემების დინამიური მულტიმედიური ანგარიშის მიხედვით და ერთობლივი გამოყენებით ქსელთან მიერთებულ, მუდმივად ხელმისაწვდომ მოწყობილობებში [8].

არუბას 2017 წლის მოხსენებაში „ინტერნეტ საგნები:დღეს და ხვალ“ [9] წარმოადგენილია საცალო და სადისტრიბუციო ქსელებთან დაკავშირებულ მოწყობილობების ყველაზე პოპულარული კატეგორიები. ასეთებად სახელდება შტრიხკოდების სკანერები, პერსონალური მობილური მოწყობილობები, ასევე, „ჭკვიანი“ დინამიკები, ტელევიზორები, აკუსტიკური სისტემები.

„საგნების ინტერნეტის“ უპირატესობა უდავოა, მაგრამ მისი გამოყენება არ არის მოკლებული საფეთხეს. იმ კომპანიების, რომლებიც უკვე იყენებს IoT, გამოკითხულ წარმომადგენელთა 84% შეეჩება უსაფრთხოების დარღვევას. რესპონდენტთა ნახევარზე მეტი ამ ტექნოლოგიის დანერგვის მთავარ ბარიერს კიბერშეტევაში ხედავს.

*სტანდარტები და არქიტექტურის ეტალონები.* IoT სისტემის შექმნას მიეკუთვნება ოთხი დონე: მოწყობილობები, კავშირი, მონაცემების გადამუშავება და მართვა. თავისი ეტალონური მოდელების შემოთავაზებები აქვთ აშშ-ს, გერმანიას, ევროკავშირს, ჩინეთს. აქტიური მუშაობა IoT პლატფორმის ყველა დონეზე მიმდინარეობს სტანდარტიზაციის მიმართულებით. კოორდინატორები: ტელეკომუნიკაციის საერთაშორისო კავშირი (ITU), IEEE სტანდარტების ასოციაცია, კონსორციუმი Open Interconnect (OIC), W3C და სხვა. ჩასაშენებელი სისტემების ბაზრის სწრაფი განვითარება დიდწილად განპირობებულია IoT სწრაფი განვითარებით. მოსალოდნელია, რომ 2020 წლისთვის 30 მილიარდზე მეტი მოწყობილობა იქნება დაკავშირებული გლობალურ IoT-თან [10].

„საგნების ინტერნეტის“ თანამედროვე კონცეფცია, გულისხმობს, რომ ყველა თანამედროვე მოწყობილობა უნდა არსებობდეს არა დამოუკიდებლად, არამედ პლატფორმისგან დამოუკიდებლად უნდა ჰქონდეთ სხვა მოწყობილობებთან და სერვერებთან ერთობლივად ფუნქციონირების შესაძლებლობა, ერთანი ურთიერთდამოკიდებული ეკოსისტემის შესაქმნელად.

*როგორ განვსაზღვროთ შესაფერისი სტანდარტი?* IoT - ის პროექტები მოწყობილობების კომუნიკაციის ტიპის მიხედვით პირობითად შესაძლებელია დაიყოს ორ ჯგუფად:მასიური (Massive MTC) და კრიტიკული (Critical MTC). თითოეული ტიპს აქვს საკუთარი ამოცანები, და თითოეული მათგანს აქვს საკუთარი მოთხოვნები ქსელის მიმართ. მასობრივი IoT პროექტები ეს არის "ჭკვიანი" სახლები, მრიცხველები, სატვირთო გადაზიდვებზე ან სოფლის მეურნეობაში დაკვირვების გადაწყვეტილებები და სხვა.

ასეთი გადაწყვეტილებები მოიცავს მცირე რაოდენობით მონაცემთა გადაცემას დიდი რაოდენობით სენსორებისგან. გარდა ამისა, ეს გადაწყვეტილებები ხასიათდება არაკრიტიკული გარანტირებული მონაცემების გადაცემით- მიღებით. თუ რამე მიზეზით, ერთხელ ინფორმაცია მრიცხველიდან არ არის მიღებული - ეს არ წარმოადგენს საშიშროებას, რადგან მონაცემები განახლება გადაცემის მომდევნო სეანსის დროს.

მთავარი მოთხოვნები აქ არის მოწყობილობების დაბალი ღირებულება და მათი მინიმალური ენერგომომხმარება. ნაწილობრივ, ასეთი პროექტები შეიძლება განხორციელდეს GSM- ქსელების საფუძველზე, მაგრამ მასობრივი გადაწყვეტილებების უმრავლესობა აგებულია LTE ინფრასტრუქტურის საფუძველზე.

რაც შეეხება გადაწყვეტილებებს "კრიტიკული" მანქანური კომუნიკაციის საფუძველზე, მათ სრულიად სხვა მოთხოვნები აქვთ. უპირველეს ყოვლისა, ეს არის სიგნალი გადაცემის ულტრადაბალი შეყოვნება (5 მწმ-ზე ნაკლები) და ქსელის ულტრა მაღალი საიმედოობა.

ასეთ აპლიკაციებს შეგნებულად უწოდებენ "კრიტიკულს", რადგან მათი განხორციელებისას ქსელის მუშაობაზე დამოკიდებულია მომხმარებლის უსაფრთხოება და სიცოცხლეც კი. ეს გადაწყვეტილებები ჯერ კიდევ პროტოტიპების ან სატესტო ნიმუშების სახით რსებობს, რადგან მათი განხორციელებისათვის საჭიროა შემდეგი თაობის 5G ქსელები.

*„საგნების ინტერნეტის“ გამოყენების სფეროები.* „საგნების ინტერნეტი“ მნიშვნელოვანწილად ახდენს როგორც ცხოვრების პირადი და სოციალური ასპექტების, ასევე ბიზნესის და დარგების

ტრანსფორმირებას. ამ ტექნოლოგიას თანამედროვეობის ზოგიერთი გლობალური პრობლემის გადაწყვეტის პოტენციალი გააჩნია.

*ყოფაცხოვრება.* ტელევიზორი, მაცივარი, პრინტერი, სისტემა "ჭკვიანი სახლი" მთლიანად შეიძლება იყოს ავტომატიზირებული. IoT აკვიატებული აზრებისგან (ხომ არ დაგავიწყდა კარების დახუჭვა ან გაზის გამორთვა) გათავისუფლების საშუალებას იძლევა. მთელი ეს ინფორმაცია შეიძლება დაინახოთ სმარტფონში და დისტანციურად გაუშვათ დაუმთავრებელი ალგორითმი. "ჭკვიანი" მტვერსასრუტი გაცნობებთ, რომ ნაპოვნია ოქროს საყურე, რომელიც ტახტის ქვეშ შეგორდა,

*უსაფრთხოება.* IoT ტექნოლოგიის უსაფრთხოების სისტემაში დანერგვა ფოტო-ვიდეო მონაცემების სკანირების და გადაგზავნის საშუალებას იძლევა, ხოლო ხელოვნურ ინტელექტს ხალხის ამოცნობის და იდენტიფიცირების უნარი ექნება.

*მრეწველობა.* წარმოება ავტომატიზირდება: მონიტორინგის სისტემები გასცემენ შეტყობინებას მოწყობილობებში შესაძლო პრობლემებისა და გაუმართაობის შესახებ, კლიენტს კი შეკვეთის განხორციელება დისტანციურად შეეძლება.

*მედიცინა.* „საგნების ინტერნეტი“ საჭიროა მოწყობილობების პერსონალიზაციისთვის, რომლებიც ხელს უწყობენ ადამიანის სასიცოცხლო მონაცემების შესწავლას და კონტროლს, ხოლო საჭიროების შემთხვევაში უკავშირდებიან ექიმს.

*ტრანსპორტი.* „საგნების ინტერნეტის“ სამყაროში არ იქნება საცობები - სენსორების ქსელი ამოიცნობს დატვირთვას და მოახდენს სატრანსპორტო არხების ოპტიმიზაციას.

*საცალო ვაჭრობა.* ჩვეულებრივი მაღაზიები კვლავ კონკურენციას გაუწევენ ინტერნეტ ბუტიკებს - ჩამოყალიბდება კლიენტის შესახებ ინფორმაციის ავტომატური გადაცემა და ანალიზი.

IoT გამოყენება სამრეწველო ინდუსტრიაში და ტრანსპორტში ამცირებს ხარჯებს, ნედლეულის და გამოყენებული რესურსების დანაკარგის, ავარიულიულობის შემცირების ხარჯზე. IoT უზრუნველყოფს არა მარტო ფინანსების, არამედ დროის ეკონომიასაც. „ჭკვიანი ტრანსპორტი“ მიერთებული სენსორების მეშვეობით შესაძლებელს გახდის ტნსპორტის არხების გადატვირთულობის გაზომვას და ოპტიმიზაციას.

მაგალითად, მობილური ოპერატორის Verizon მიერ გაანალიზდა და დადგინა, რომ დღეს მოწეული მოსავალის 50% არასოდეს აღწევს საბოლოო მომხმარებელს. ეს პრობლემა შეიძლება გადაწყდეს პროდუქტის ლოგისტიკის ავტომატიზირებული სისტემის მეშვეობით. აგრეთვე, მოსავლის 25% -ის შენარჩუნება შესაძლებელია ამინდის ონლაინ მონიტორინგის მეშვეობით. ეს შესაძლებელია, შიმშილის გლობალური პრობლემის მოგვარების ერთ-ერთი კომპონენტი გახდეს.

ინტერნეტი შეიძლება დადებითად აისახოს მოსახლეობის ჯანმრთელობასა და სიცოცხლის ხანგრძლიობაზე. სენსორების მეშვეობით ექიმებს დისტანციურად შეუძლიათ აწარმოონ პაციენტების ჯანმრთელობის მონიტორინგი და შესაბამისი რეაგირება რეალურ დროში. მაგ. აშშ-ში მობილურმა ოპერატორმა AT & T- შეიმუშავა სისტემა, რომელიც განკუთვნილია ხანდაზმულთათვის ერთ-ერთი ყველაზე საშიში პრობლემის მოსაგვარებლად - მოულოდნელი დაცემა. მცირე მოწყობილობა ავტომატურად განსაზღვრავს სხეულის პოზიციის მკვეთრ ცვლილებას და უკავშირდება სასწრაფო დახმარებას დაუყოვნებლივი დახმარების აღმოსაჩენად. IoT ზოგიერთი თანამედროვე აპლიკაცია ისეთი როგორც ტელემედიცინა, ვიდეო მეთვალყურეობა, „ჭკვიანი“ ქალაქები არაორდინალური საშუალებებით მოითხოვენ ხელმისაწვდომი ტექნოლოგიების ჩართვას საბოლოო მომხმარებლისთვის მომსახურების ხარისხის გასაზრდელად [11]. "საგნების ინტერნეტის" კუთხით წარიმართება "სილიკონ ველი თბილისისა" და IBM-ის თანამშრომლობა. პროექტში აქტიურად იქნებიან ჩართული ტექნოლოგიური უნივერსიტეტის სტუდენტები.

### 3. დასკვნა

IoT უკვე ახლა ცვლის თამაშის წესებს სხვადასხვა სფეროებში და აღწევს მანამდე მიუღწეველ სიმაღლეებს. აუმჯობესებს ცხოვრების ხარისხს და ზრდის ბიზნესის ეფექტურობას. IoT ტექნოლოგიები გამოყენებას პოულობს იქ, სადაც ისინი მოხერხებულია ადამიანისთვის და ხელსაყრელია ბიზნესისათვის.

რადგანაც, ფასი სენსორებზე და კავშირზე განაგრძობს შემცირებას, ხელსაყრელი ხდება სულ უფრო მეტი მოწყობილობების დამატება IoT-ში, მაშინაც კი თუ ზოგიერთ შემთხვევებში მომხმარებლისთვის ეს ნაკლებად ხელსაყრელად გამოიყურება. მიერთებული საგნების რაოდენობის ზრდასთან ერთად, ადამიანის ცხოვრების და სამუშაო გარემო ივსება „ჭკვიანი“ პროდუქტით - იმ პირობით, რომ არის მზაობა კომპომისისთვის უსაფრხოებასა და კონფიდენციალურობასთან მიმართებაში. ზოგიერთი მიესაღმება „ჭკვიანი“ საგნების ერას, ზოგი კი იოცნებობს დროზე, როცა სკამი უბრალოდ სკამი იყო.

#### ლიტერატურა – References – Литература:

1. Khan R., Khan S.U., Zaheer R., Khan S. (2012). Future Internet: The Internet of Things Architecture, Possible Applic.and Key Challenges. Proceedings of Frontiers of Information Technology (FIT). 257-260
2. Zeng L. (2012). A Security Framework for Internet of Things Based on 4G Communication. Computer Science and Network Technology (ICCSNT). 1715-1718
3. Ericsson Mobility Report. November 2017 (in Eng)
4. LTE evolution for IoT connectivity white paper. (2016). Nokia White Paper
5. Hahm O., Baccelli E., Petersen H., Tsiftes N. (2016). Operating systems for low-end devices in the internet of things: a survey, IEEE Internet Things J.3(5). 720–734
6. Manufacturing Reengineered: Robots, 5G and the Industrial IoT. (2015). Technical Report, Ericsson Business Review
7. Akyildiz I.F., Melodia T., Chowdhury K.R. (2007). A survey on wireless multimedia sensor networks, Comput. Netw. 51 (4). 921–960 (in Eng)
8. Hoque M.A., Siekkinen M., Nurminen J.K. (2014). Energy efficient multimedia stream- ing to mobile devicesa survey, IEEE Commun. Surv. Tutor. 16 (1). 579–597
9. Hewlett Packard Enterprise Aruba IoT Research report. (2017). The Internet of Things Today and Tomorrow. 20
10. Internet of Things Market to Reach \$1.7 Trillion by 2020: IDC. The Wall Street Journal (Jun 2 2015). By Steven Norton ( in Eng)
11. Afzal B., Alvi S.A., Shah G.A., Mahmood W. (2017). Energy efficient context aware traffic scheduling for IoT applications. Ad Hoc Networks. 62 (2017). 101-115.

### THE DEVELOPMENT TREND OF "INTERNET THINGS"

Irine Khomeriki, Elene Kamkamidze

Technical university of Georgia

[i.khomeriki@gtu.ge](mailto:i.khomeriki@gtu.ge), [e.kamkamidze@gtu.ge](mailto:e.kamkamidze@gtu.ge)

#### Summary

The term “Internet of Things” is used as an umbrella keyword for covering various aspects related to the extension of the Internet and the Web into the physical realm, by means of the widespread deployment of spatially distributed devices with embedded identification, sensing and/or actuation capabilities. Internet of Things envisions a future in which digital and physical entities can be linked, by means of appropriate information and communication technologies, to enable a whole new class of applications and services. The article presents an overview of the concept of Internet of Things, dissemination, demands, tasks, and possibilities.



# IMPROVEMENT OF COMPLEX BUSINESS PROCESSES MANAGEMENT USING PROCESS MINING TECHNOLOGY

Turkia Ekaterine, Stomadova Sophio, Gelovani Valeriane

Georgian Technical University

e.turkia@gtu.ge, stomadova.sophia@gmail.com, vgelovani@gmail.com

## Summary

The Article discusses the issues of improvement and support of workflow management processes and complex business-process management in organizations, which are working with process-oriented architecture. We suggest analysis of business processes-execution correctness based on process mining technology. The purpose of process mining technology is to monitor implemented business-process, perform comparative analysis between real and planned business processes, and discover anomalies, inadequate or hidden shortcomings in workflow management process. As an example of process mining, to show its strengths and weaknesses, a process-mining tool “Disco” by “Fluxicon” is considered. An example of workflow management process is presented using this software.

**Keywords:** Business Process. Process Mining. Process-Oriented Approach. Log Extraction. Event Data. Workflow Management

## 1. Introduction

Process-oriented approach usage has been very successful in an organization management. Process-oriented approach provides for an organization goals achievement through decomposition business processes implementation. Life cycle of a business process as a rule contains composition of operations, steps, procedures, related sub-processes or business processes within framework of a relevant goal implementation [1]. Process-oriented approach information technologies, from point of view of the business process implementation support tools, has been developed in many directions – should it be related to the business process implementation support software applications or the business processes management aspects. Therefore, to fulfill a complete life cycle of a single business process the process-oriented approach has originated many program and instrument means. Analysis of the accumulated information becomes complicated against background of complex program systems. It is necessary to apply various modeling tools to achieve that, which would not allow to see an integral picture.

When managing the business process implementation it is valuable to obtain knowledge not only out of functional data but also orientation to non-functional data and thus management issues improvement. From the point of view of non-functional data obtaining and usage, the data science methods group technology Process Mining is the advanced one, which through knowledge obtaining from log files is directed to processes discovery, monitoring and real processes improvement. Goal of processes intellectual analysis and processing constitutes ability to see the integral and real picture of business processes as well as it allows us to study shortages available in the processes and its weak aspects [2, 3].

In the practice of working with software, the standard indicators of the log file are clients, event fulfillment time, content of the event. To obtain the full picture for the process implementation particulars of the event contents and its enhancement are necessary. As a matter of fact, the main focus of Process Mining technology are the process denoting indicators, universalism of which is hard to achieve. Whereas characteristics are different both from the point of view of each process nature and functionality and proceeding from the process functions and assessment criteria. Therefore, during the software development, it is also necessary to take into account indicators of further process analysis [3].

## 2. Main Part

Process Mining technology, unlike the classical approach of business processes management, which fulfills the processing under “from the top down to bottom” principle (construction of a high-level model with its further decomposition), it makes analysis of the process “from bottom up to top”, basis of processes construction constitutes history of the data available in the implemented software [4].

A popular tools of Process Mining technology is “Disco” product developed by a company “Fluxicon”, which enables through a log-data loading instantly obtain the process visual perception ability and with simulation function applied observe dynamics of the flow [5].

Lets’ consider procurement process example in “Disco” tools, which business process life cycle steps are the following ones: creation of the procurement demand, analysis of the procurement demand order; creation of the pricing analysis; pricing demand analysis; demand sending to the customer, making alterations in the quoting demand; creation of pricing comparison map, selection of the best version; conditions regulation with the supplier; issue of order demand;

confirmation of order demand payment; sending of invoice; issue of the supplier’s invoice; regulation of dispute with the supplier; authorization of the supplier’s invoice payment; invoice payment.

The procurement process software is designed the way to provide detailed storage of the organization business processes non-functional data for further withdrawal of the information from the log-file, which is a priori for Process Mining technology to make possible the process full picture viewing. The non-functional data (log-data) importing to “Disco” tools process stage fragment is given at Figure 1.

Case ID	Start Timestamp	Complete Timestamp	Activity	Resource	Role
1	2011/01/01 00:00:00	2011/01/01 00:37:00	Create Purchase Requisition	Ketevan Nadaraiani	Requester
2	2011/01/01 00:16:00	2011/01/01 00:29:00	Create Purchase Requisition	Irina Lianozova	Requester
3	2011/01/01 02:23:00	2011/01/01 03:03:00	Create Purchase Requisition	Ketevan Nadaraiani	Requester
4	2011/01/01 05:37:00	2011/01/01 05:45:00	Create Request for Quotation	Ketevan Nadaraiani	Requester
5	2011/01/01 06:41:00	2011/01/01 06:55:00	Analyze Request for Quotation	kristine lashvili	Purchasing Agent
6	2011/01/01 08:16:00	2011/01/01 08:26:00	Create Request for Quotation	George Todidze	Requester
7	2011/01/01 08:39:00	2011/01/01 09:00:00	Create Purchase Requisition	Nino Giorgadze	Requester
8	2011/01/01 09:34:00	2011/01/01 09:38:00	Analyze Request for Quotation	kristine lashvili	Purchasing Agent
9	2011/01/01 09:49:00	2011/01/01 10:35:00	Create Purchase Requisition	Elena Gogoladze	Requester
10	2011/01/01 10:16:00	2011/01/01 10:21:00	Amend Request for Quotation	Tamar Tamaradze	Requester
11	2011/01/01 11:15:00	2011/01/01 11:48:00	Analyze Request for Quotation	Magdalena Pkakadze	Purchasing Agent
12	2011/01/01 11:20:00	2011/01/01 11:37:00	Create Purchase Requisition	Tamar Tamaradze	Requester
13	2011/01/01 11:43:00	2011/01/01 12:09:00	Send Request for Quotation to Supplier	kristine lashvili	Purchasing Agent
14	2011/01/01 12:32:00	2011/01/01 16:03:00	Create Quotation comparison Map	Magdalena Pkakadze	Purchasing Agent
15	2011/01/01 12:33:00	2011/01/01 12:39:00	Amend Request for Quotation	Elena Gogoladze	Requester
16	2011/01/01 13:28:00	2011/01/01 13:38:00	Analyze Request for Quotation	kristine lashvili	Purchasing Agent
17	2011/01/01 14:05:00	2011/01/01 15:00:00	Create Purchase Requisition	Elena Gogoladze	Requester
18	2011/01/01 14:27:00	2011/01/01 15:17:00	Create Purchase Requisition	Nino Giorgadze	Requester
19	2011/01/01 15:18:00	2011/01/01 15:40:00	Send Request for Quotation to Supplier	pikria Jokhadze	Purchasing Agent
20	2011/01/01 15:55:00	2011/01/01 16:43:00	Create Quotation comparison Map	kristine lashvili	Purchasing Agent
21	2011/01/01 16:17:00	2011/01/01 16:34:00	Create Purchase Requisition	Tekla Gogsadze	Requester
22	2011/01/01 17:32:00	2011/01/01 17:45:00	Create Request for Quotation	George Todidze	Requester
23	2011/01/01 18:00:00	2011/01/01 18:07:00	Create Request for Quotation	Tekla Gogsadze	Requester
24	2011/01/01 18:39:00	2011/01/01 18:55:00	Analyze Request for Quotation	Magdalena Pkakadze	Purchasing Agent
25	2011/01/01 18:45:00	2011/01/01 18:51:00	Analyze Purchase Requisition	Maria Shavelashvili	Requester Manager
26	2011/01/01 18:56:00	2011/01/01 18:58:00	Create Request for Quotation	Hamlet Gogoladze	Requester Manager
27	2011/01/01 19:04:00	2011/01/01 19:27:00	Analyze Request for Quotation	pikria Jokhadze	Purchasing Agent
28	2011/01/01 19:47:00	2011/01/01 19:55:00	Amend Request for Quotation	Pika Jariashvili	Requester
29	2011/01/01 19:58:00	2011/01/01 20:19:00	Analyze Request for Quotation	pikria Jokhadze	Purchasing Agent
30	2011/01/01 20:21:00	2011/01/01 20:34:00	Amend Request for Quotation	Tekla Gogsadze	Requester
31	2011/01/01 20:55:00	2011/01/01 21:28:00	Analyze Request for Quotation	pikria Jokhadze	Purchasing Agent
32	2011/01/01 21:06:00	2011/01/01 21:14:00	Amend Request for Quotation	Nico Nikoladze	Requester
33	2011/01/01 21:35:00	2011/01/01 22:01:00	Analyze Request for Quotation	Magdalena Pkakadze	Purchasing Agent
34	2011/01/01 22:01:00	2011/01/01 22:24:00	Analyze Request for Quotation	pikria Jokhadze	Purchasing Agent
35	2011/01/01 22:13:00	2011/01/01 22:28:00	Amend Request for Quotation	Anne Jiqia	Requester
36	2011/01/01 22:38:00	2011/01/01 22:48:00	Create Request for Quotation	Pika Jariashvili	Requester

Fig. 1. An example of importing log-data




Fig. 2. fragment of process flow start




Fig. 3. The fragment of the process before the breakdown functionality application (a) and after using it (b)

The process model is generated based on these data. In the model obtained the process steps i. e. activities are denoted with shapes - rectangle, the activities are automatically numbered, which implies frequency of each activity (quantity of flows), visualization of the connection among activities is shown with shapes-arrows (directions), the figure applied to that implies frequency of connections (quantity of flows). In our example all demands related to the process flow begin with the procurement demand, which is depicted at Figure 2.

For the correct perception of the process it is significant to determine level of breakdown correctly, the breakdown functionality is applied to fulfill this activity. It enable us to breakdown the process by granular data, which may be made with change of buttons directions, such activities to be manifested in course of the process such as “change of demand”, which is not expressed till dissolution of the process.

The given example shows that frequencies of connections (within the flow quantity allocation) is an error or shortage. The process shows that the invoice sending 2 activities have been redirected to the the supplier’s invoice payment authorization process. Upon the breakdown function application and dissolution of the process other 4 processes consequence issue is perceptible. Upon the invoice sending 4 processes are redirected to the supplier’s invoice issue, 3 of which are advanced to the

supplier’s invoice payment authorization. The remaining one through regulation of dispute with the supplier is further connected to supplier’s invoice payment authorization process. The above mentioned process is described at figure 3-a, b.

The process before the breakdown functionality application is depicted on figure 3-a, while that upon breakdown functionality applied is depicted on figure 3-b.

Business process may develop in an organization unlike the process preliminarily planned. That may be caused by the human factor, non-serviceability of the system, etc. To detect that Disco product is able based on the functional data identify the business process steps development versions, show percentage indices of their fulfillment statistics and the

business process implementation monitoring. In the given case when advancing to the events division we may see that the first version fulfillment percentage makes up 33.33%.

Figure 4 shows consequence of the activities, which are fulfilled most often as well as monitoring parameters – the process stage succession, time of start, length, appropriate monitoring dashboard. The system capacities include business process fulfillment stage-by-stage monitoring (regularity filter). For example, if the lower limit on the regularity filter is 5 days we may see that 83% orders require longer term for fulfillment than 5 days (Fig. 5).




Fig. 4. A fragment of statistical performance of business process steps




Fig. 5. The fragment of Process monitoring dashboard

Through the filter activation the system is able to visualize the process and detect obstructions/shortages at the business process implementation stage. In the case considered the system detected the time violation planned for the business process implementation, which is shown with dark color at the diagram (Fig. 6).




Fig. 6. An example of visualization of process dynamics

To detect shortages of the process Disco enables through the simulation mechanism (animation) to detect shortages of the process at the flow succession stage. It may be revealed such component of the process, which fails to function, the flow does not bypass it or it requires addition of some point/step. When considering the given example it is evident that the basic problem is recorded at the procurement demand stage; therefore attention should be given to human resources, i. e. to procurement agents. Besides, it should be analyzed is the problem caused with staff members' incompetence or improper operation of the system.

### 3. Conclusion

Process Mining technology for managers and analysts enables to reveal the actual picture of the business process operation, identify latent/invisible problems of the process, facilitate workflow management, to detect at what step of the process alterations are necessary to be made. However, Process Mining technology as out of data knowledge obtaining technology depends to a great extent on exact, full and correct data. Therefore, provision of non-functional data (log-data) proper quality is a significant issue for productivity of this technology.

### ლიტერატურა - References - Литература:

1. Schönig St., Cabanillas C., Jablonski St., Mendling J. (2016). A framework for efficiently mining the organizational perspective of business processes, Decision Support Systems. V. 89, Germany.
2. Turkia E., Stomadova S. (2017). Workflow visualization based on process mining technique, transactions GTU automated control systems, N 2(24), Tbilisi
3. <http://processminingbook.com/reference.html>
4. <https://fluxicon.com/products/>

## კომპლექსური ბიზნესპროცესების მართვის სრულყოფა პროცესების მოპოვების ტექნოლოგიის გამოყენებით

ეკატერინე თურქია, სოფიო სტომადოვა, ვალერიანე გელოვანი  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
e.turkia@gtu.ge, stomadova.sophia@gmail.com, vgelovani@gmail.com

### რეზიუმე

განხილულია პროცეს-ორიენტირებული არქიტექტურის ორგანიზაციებისთვის კომპლექსური ბიზნეს-პროცესების მართვის ხელშეწყობის, სამუშაო პროცესის კოორდინაციისა და გაუმჯობესების საკითხები. ამ თვალსაზრისით, შემოთავაზებულია ბიზნეს-პროცესების გამართულად შესრულების ანალიზი, რომელიც ეფუძნება პროცესების მოპოვების (Process mining) ტექნოლოგიას. ამ ტექნოლოგიის მიზანია მოქმედ ბიზნეს-პროცესზე დაკვირვება, დაგეგმილ და რეალურ ბიზნეს-პროცესებს შორის შედარებითი ანალიზი, სამუშაო ნაკადის მართვის პროცესის სისუსტეების, ანომალიების, ფარული გადახრების აღმოჩენა. Process mining ტექნოლოგიის თვალსაჩინოებისათვის, მისი ძლიერი და სუსტი მხარეების ანალიზისათვის განხილულია აღნიშნული ტექნოლოგიის ერთ-ერთი პროგრამული ინსტრუმენტი „Disco“ (მწარმოებელი „Fluxicon“), რომლის გამოყენებით წარმოდგენილია სამუშაო ნაკადის მართვის პროცესის მაგალითი.

## FORMATION OF BIG DATA RESEARCH CENTER

Surguladze Gia, Kiviladze Giorgi, Kakheli Beka

Georgian Technical University

g.surguladze@gmx.net, gkiviladze@gmail.com, kakhelibeka@gmail.com

### Abstract

Formation of Big Data Research Center - The project consists of three main components: Big Data Generation - IOT, Data Center, Data Science. Big Data Generation - At the first stage the multifunctional IOT device will be created. The device will consist of the following sensors: lux meters, noise, temperature, humidity and air chemical composition sensors. The device will transmit the generated big data through the GSM module to the micro-service, which will store the data in the Data Center. Data Center - The data center designed with modern technologies and approaches will be created for the Big Data. The design will include all the factors required for the "Big Data" data storage, as well as the resources needed for data science. The experience of such organizations as "Google", "Facebook" and "Amazon" will be considered while planning the infrastructure. Data Science – In order to work on the collected or existing data we will use the equipment installed in the data center. The data center will give us the ability to complete data preprocessing and data analysis using testing the results of different complex and resource-consuming algorithms like Linear regression, Random Forest etc. The next phase involves the development of a neural network model, which will help the system classify information and detect anomalous cases.

**Keywords:** Big Data. Research Center. Data storage. Data Science.

### 1. Introduction

In the world of modern technologies, computers, instead of humans, generate the greatest part of information. The information flow increases so rapidly that it becomes necessary to develop new modern methods of information processing.

The exponential growth of information quantity revealed the new challenges for us. The storage and processing of large amounts of data is to be fulfilled in the real-time manner, but it is quite complicated for the databases arranged in the traditional form [1].

“Big Data” technology was invented and is still being developed, in order to solve this problem, giving the possibility to process a great amount of information in the real time. Nowadays, Apache Software Foundation developed the best way to eliminate this problem, named Hadoop, which is open source, Java based platform, aimed to process the big amounts of information flow. The processing of such great amount of information needs different approach, not only from the data center and server infrastructure projects, but also on the software support level [2].

The great amount of accumulated information gives us the opportunity to develop in Machine Learning direction. Back in 1959, American scientist Arthur Samuel explained the Machine Learning to be “field of study that gives computers the ability to learn without being explicitly programmed” [3]. Moreover, nowadays the artificial intellect can fly a plane; the face recognition algorithm is also refined and even more, nearly none of spam letters reach our mail inboxes.

## 2. Discussion

On the primary stage of the project, we plan to establish the research laboratory, which will give the opportunity to use Big Data technology and the artificial intelligence to the interested students from different universities.

The multi-sensor device will be developed and placed in different districts of Tbilisi and then in other cities. In parallel with the analysis of the Big Data from IOT devices, our research team will cooperate with commercial organizations and will offer data processing and analysis using the latest technologies and powerful server resources.

We use a horizontal growth model in our project development, being modern and innovative approach. The above mentioned model considers a consolidation of the servers in order to create a united resource for the information storage and processing. The advantage of the above mentioned model is that, in case of necessity, it is easy to add the resource. In addition, the errors caused by the damage of the equipment are not critical and are easy to improve [4].

For the maximal stability and productivity of the project, we plan to use the most innovative approach, considering the use of Big Data technology and Machine Learning algorithms, at the same time: The cooperation with the Georgian Technical University will also continue, as the existence of such research center will support the Big Data technology and Machine Learning technology development, not only in the University, but also in the whole country.

Progressive Web API, Micro Services and such progressive technologies are to be used in above mentioned system. This product will be able to store and process Big Data and report/visualize the results.

Using the resource of the center will make it possible to offer data storage and processing services to various companies. Infrastructure and technologies created within the project will enable the students to engage in the work process. Students will be able to participate in various commercial projects, which is a lucrative decision for the employer and the way to get practical experience for students.

Within the project "Clean Air in the Cities of Georgia", Tbilisi Open University has installed 27 air measuring sensors in Georgia. They cooperate with AIR QUALITY EGG which produces air-sensor devices. The equipment produced by them checks one element per device that makes harder to check the air on pollution [5]. Our goal is to create our own device which will have MQ-2, MQ-3, MQ-4, MQ-5, MQ-6, MQ-7, MQ-8, MQ-9, MQ125 sensors, lux meter and noise sensor. In case of cooperation with Tbilisi Open University we will be able to track and process the data stream of the data generated by them and reflect the results on our web page.

Georgian government is also actively developing in this direction. The National Environmental Agency of Georgia has already installed three automatic stations with the support of the Japanese Government. Devices will ensure continuous monitoring of pollutants: carbon dioxide (CO), nitrogen shells (NO<sub>x</sub>, NO, NO<sub>2</sub>), sulfur

dioxide (SO<sub>2</sub>), ground ozone (O<sub>3</sub>) and dust fractions [6]. The cost of these devices is about 1 200 000 US dollars, and the equipment we have created will be equipped with mini computers and cheap sensors that will allow us to install the sensors on much more locations and to offer commercial and physical persons to monitor their home or offices.

It is also worth mentioning Georgian company Pulsar AI, working in artificial intelligence, aimed at artificial intelligence to fulfill the tasks which are difficult or impossible to be completed by humans. Pulsar AI's scientific-technological achievements include face recognizing, recognizing Georgian language voices, automating dialogues, analyzing consumer emotions, text conversations and other directions.

### 3. Conclusion

The cooperation of the Universities and the State organizations is a well-known practice in the world and many innovations are being implemented as a result of the researches fulfilled in the Universities. For example, in Finland, the City Hall of Tampere, provides the University with the GPS information of traffic in the city and the research team tries to optimize the work of streetlights, using the appropriate algorithm.

We will organize seminars during our work process and give the interested students the opportunity to participate in commercial projects, fulfill their own researches or develop IOT devices.

Technical University of Georgia, traditionally, enjoyed and enjoys high reputation in international scientific community. Obviously, the academic base of the Informatics and Control Systems Faculty that is based on the traditions of this school and the research experience of the scientists of this school, is perfect for the research center and all of the young scientists who plan scientific work and research in this field.

With the support of Georgian Technical University, interest towards the above mentioned topics will increase among other universities; Our team will organize open seminars and the stakeholders (mainly students) will be given access to the servers, which, on the other hand will have a positive impact on the reputation of the University.

#### ლიტერატურა - References – Литература:

1. Surguladze G., Kiviladze G., Kakheli B. (2016). NoSQL Database Development Perspectives and Problems in Management of Information Systems", GTU "Automated Management Systems". No 2 (22), Tbilisi. 230-239 (in\_Geo)
2. White T. (2012). *Hadoop: The definitive guide*. "O'Reilly Media, Inc."
3. <http://citeseerx.ist.psu.edu/viewdoc/download?doi=10.1.1.368.2254&rep=rep1&type=pdf>.
4. Surguladze G., Kiviladze G. (2017). Introduction to NoSQL Databases (MongoDB). ISBN 978-9941-0-9642-6. Studio "IT-Consulting Center". Tbilisi (in\_Geo)
5. <https://www.slideshare.net/Gentile97/clean-air-for-georgia-sufta-haeri-final-3> (in\_Geo)
6. <http://nea.gov.ge/ge/news/detailed/361/tbilisshi-haeris-monitorings-axali-avtomaturi-sadgurebi-ganaxorcielebs> (in\_Geo).

## Big Data ტიპის მონაცემების კვლევითი ცენტრის ფორმირება

გია სურგულაძე, გიორგი კვილაძე, ბექა კახელი  
[g.surguladze@gmx.net](mailto:g.surguladze@gmx.net), [gkiviladze@gmail.com](mailto:gkiviladze@gmail.com), [kakhelibeka@gmail.com](mailto:kakhelibeka@gmail.com)

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

### რეზიუმე

Big Data ტიპის მონაცემების კვლევითი ცენტრის ფორმირება - აღნიშნული პროექტი შედგება სამი ძირითადი კომპონენტისგან: მონაცემთა გენერირება (Big data generation - IOT), დატა ცენტრი (Data Center), მონაცემთა მეცნიერება (Data Science). მონაცემთა გენერირება - პირველ ეტაპზე შემუშავებულ იქნება მულტიფუნქციური (IOT) მოწყობილობა, რომლის დახმარებითაც შევძლებთ დავაგენერიროთ „Big Data“.



მოცემული მოწყობილობა შედგება შემდეგი სენსორებისაგან: ლუქს მეტრი, ხმაურის სენსორი, ტემპერატურის, ტენიანობისა და ჰაერის ქიმიური შემადგენლობის საზომები. აღნიშნული ხელსაწყო GSM მოდულის საშუალებით გადასცემს დაგენერირებულ მონაცემებს მიკრო სერვისს, რომელიც აღნიშნულ მონაცემებს შეინახავს დატა ცენტრში (Data Center). დატა ცენტრი - აღნიშნულ ეტაპზე „Big Data“ მონაცემებისთვის შეიქმნება საცავი, რომელიც დაპროექტდება თანამედროვე ტექნოლოგიებისა და მიდგომების გათვალისწინებით. პროექტირების დროს გათვალისწინებულ იქნება ყველა ის ფაქტორი, რაც საჭიროა “Big Data” მონაცემების შენახვა-დამუშავებისთვის, აგრეთვე შეიქმნება ისეთი რესურსები რომლებიც საჭიროა მონაცემთა მეცნიერებისთვის. ინფრასტრუქტურის დაგეგმვისას გამოიყენება ისეთი ორგანიზაციების გამოცდილება, როგორცაა „Google“, „Facebook“ და „amazon“. მონაცემთა მეცნიერება - პროექტის ამ ეტაპზე გამოიყენებთ დატა ცენტრში დამონტაჟებულ შესაბამის აპარატურას, რაც მოგვცემს საშუალებას ვიმუშაოთ შეგროვებულ ან არსებულ მონაცემებზე. აღნიშნული დატა ცენტრი საშუალებას მოგვცემს მოვახდინოთ მონაცემების წინასწარი დამუშავება (Data Preprocessing), მონაცემთა ანალიზი სხვადასხვა ალგორითმების გამოყენებით (Linear regression, Random Forest...). შემდეგი ეტაპი გულისხმობს ნეირონული ქსელების მოდელის შემუშავებას, რომლის დახმარებითაც აღნიშნული სისტემა შეძლებს მიღებული ინფორმაციის კლასიფიცირებას და ანომალური შემთხვევების აღმოჩენას.

## მიკროპროცესორული სისტემების დისტანციური მართვა მობილური საშუალებების გამოყენებით

ო. ქართველიშვილი, რ. გასანოვი  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
okartvel@gmail.com

### რეზიუმე

განხილულია მიკროპროცესორული სისტემის დისტანციური მართვის საკითხები მობილური საშუალებების გამოყენებით. ნაჩვენებია სისტემის აგების პროცესი Blynk პროგრამის გამოყენებით, რომელიც მობილურ ტელეფონს ინტერნეტის საშუალებით აკავშირებს ESP8266 მიკროპროცესორული ბაზაზე აგებულ მიკროპროცესორულ სისტემასთან. განხილულია სისტემის აგების აპარატურული და მუშაობის პროგრამული მხარე.

**საკვანძო სიტყვები:** მიკროპროცესორი. სისტემა. დისტანციური მართვა. ინტერნეტი. მობილური მოწყობილობა.

### 1. შესავალი

გამოთვლითი ტექნიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე დიდი პოპულარობით სარგებლობს მიკროპროცესორული სისტემები, რომელთა დანიშნულებაა სხვადასხვა ობიექტების მონიტორინგი და მართვა. მიკროპროცესორული სისტემები შეიძლება აგებული იყოს მიკროპროცესორების ან მიკროკომპიუტერების ბაზაზე. მათი ზომების სიმცირის გამო ისინი შესაძლებელია „ჩაშენებული“ იყოს სხვადასხვა ობიექტებში: საყოფაცხოვრებო ტექნიკაში, ავტომობილებში, საფრენ აპარატებში და სხვ.

მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც დაკავშირებულია მიკროპროცესორული სისტემების დაგეგმარებასთან, არის მათი დისტანციური მართვა მობილური საშუალებების გამოყენებით, რომელსაც ეძღვნება წინამდებარე ნაშრომი.

### 2. ძირითადი ნაწილი

ნაშრომის იდეაა ბაზური მართვის მოწყობილობასთან მიერთებული სხვადასხვა ობიექტის მართვის ორგანიზაცია მობილური ტელეფონის ან სმარტფონის საშუალებით. ბაზურ მოწყობილობად არჩეული იყო პლათფორმა NodeMCU ESP8266 Wi-Fi მოდულით, რომელიც დაბალ ღირებულებასთან

ერთად იძლევა პრაქტიკულად ყველა საჭირო რესურსს პროექტის რეალიზაციისათვის. ამ მოწყობილობის კიდე ერთი დადებითი მხარე არის ის, რომ იგი Arduino თავსებადია. ეს ნიშნავს, რომ აღნიშნული მოდულის გამოყენება შესაძლებელია ნებისმიერ Arduino პროექტში. ასევე შესაძლებელია Arduino-პლათფორმისათვის დამუშავებული პროგრამების რეალიზაცია აღნიშნულ მოდულში. კერძოდ, ამ მოწყობილობისათვის პროგრამის დაწერისა და მისი გაკერვისათვის შესაძლებელია გამოყენებული იყოს კომპილიატორი Arduino ID.

ModeMCU არის პლატა, რომელზეც მოთავსებულია ESP8266 (ჩვენს მიერ არჩეულია ESP32 მოდიფიკაცია) მიკროკონტროლერის მოდული, ჩაშენებული Wi-Fi სქემით.

მოდულის პროგრამირება სრულდება Arduino ID კომპილიატორიდან USB კაბელის საშუალებით. პროგრამის შედგენის დროს შეიძლება ვისარგებლოთ ბრძანებებით, რომლებიც მოთავსებულია კომპილიატორში წინასწარ ჩაწერილ ბიბლიოთეკაში. თუმცა ModeMCU აქვს ბაზური გაკერვა, შესაძლებელია მასში ახალი კოდის ჩაწერა. დისტანციური მართვა ხორციელდება Blyn პროგრამის საშუალებით, რომელიც მოთავსებულია მობილურ ტელეფონში ან სმარტფონში.

Blyn-ი არის ღრუბლოვანი სერვისი, რომელიც მობილურ საშუალებებში გამოყენებული, Android ოპერაციული სისტემის დამატებაა. იგი ორიენტირებულია ზოგიერთი მიკროკონტროლერებისა და მიკროკომპიუტერების მართვისათვის, როგორცაა: Arduino, ESP8266, Raspberry Pi და სხვ. Blyn პროგრამის საშუალებით მობილური მოწყობილობის პანელზე გამოისახება პროექტის გრაფიკული ინტერფეისი.

Blyn მუშაობის პრინციპი შემდეგია: მობილური კავშირის დამყარებისათვის Blyn უკავშირდება ინტერნეტის საშუალებით Blyn-Cloud ღრუბლოვან სერვერს. Blyn-Cloud სერვერი Wi-Fi კავშირის გამოყენებით ურთიერთობს მიკროკონტროლერთან (მაგალითად Arduino, ESP8266). მიკროპროცესორები ასრულებს მათთან დაკავშირებული ობიექტების მართვას ჩაწერილ პროგრამის შესაბამისად.

Blyn-თან მუშაობა სრულდება მობილური მოწყობილობის ეკრანზე თანმიმდევრობით საჭირო მოქმედებების საშუალებით:

1. საჭიროა პროგრამაში სააღრიცხვო ჩანაწერის (Create New Account) და ახალი პროექტის შექმნა პირველ ეკრანზე შესაბამის ღილაკებზე დაჭერით;
2. უნდა შევიყვანოთ პროექტის დასახელება, მაგალითად ESP8266. Hard ware Model ველში ავირჩიოთ ESP8266. ავტომატურად გენერირებული კოდი Auth Token ჩავწეროთ ჩვენ საფოსტო ყუთში. Create ღილაკზე დაჭერით გაიხსნება ცარიელი ველი პროექტირებისათვის;
3. აღნიშნულ ველში დავაჭიროთ ნიშნაკზე "+". გაიხსნება Widget Box პანელი, სადაც მოცემულია სხვადასხვა დანიშნულების ვიდეტების სია;
4. აღნიშნულ სიიდან ცარიელ ველში გადმოვიტანოთ საჭირო ვიდეტი. აქვე შესაძლებელია პარამეტრების შეცვლა და შესაბამისი პროცესისათვის მიკროკონტროლერის გამომყვანი კონტაქტების მინიჭება;
5. ვაყენებთ Blyn-ის ბიბლიოთეკას Arduino ID-ში;
6. ვუბრუნდებით Blyn პროგრამას. მობილური მოწყობილობის ეკრანზე ვაჭერთ პატარა სამკუთხედს. იხსნება ფანჯარა, რომელიც შეიცავს ჩვენს მიერ შექმნილ ღილაკებს (ვიდეტს). ამორჩეული ვიდეტების რაოდენობა შეესაბამება პროექტში გათვალისწინებული ელემენტების გრაფიკულ გამოსახულებას.

დისტანციური მართვის განხილული ვარიანტი გამოყენებული იყო გაზონის მორწყვის სისტემის პროექტში. დისტანციური მართვის განხილული ვარიანტი გამოყენებული იყო გაზონის მორწყვის სისტემის პროექტში.

### 3. დასკვნა

მიკროპროცესორული სისტემების დისტანციური მართვის პრობლემატიკა ძალზედ მნიშვნელოვანი და აქტუალურია მართვის საინფორმაციო სისტემების შექმნისათვის. აღნიშნული პრობლემების გადაწყვეტის საკითხები მობილური ტექნოლოგიებისა და ტექნიკის საშუალებების გამოყენებით რეალურია დღეისათვის და პერსპექტიულიც. ჩვენს მიერ ნაჩვენებია მართვის სისტემის აგების პროცესი Blynk პროგრამის გამოყენებით, რომელიც მობილურ ტელეფონს ინტერნეტის საშუალებით აკავშირებს ESP8266 მიკროპროცესორის ბაზაზე აგებულ მიკროპროცესორულ სისტემასთან. წარმოდგენილია აგრეთვე სისტემის აგების აპარატურული და მისი ფუნქციონირების პროგრამული მხარე.

#### ლიტერატურა - References – Литература:

1. ESP8266. Dokumentacia. <https://arduino-esp8266.readthedocs.io/en/latest/>
2. Blynk dokumentacia. <http://docs.blynk.cc/>
3. <https://www.hacster.io/abhijitbrain/iot-home-automation-node-mcu-blynk-12cc34>
4. <http://www.instructables.com/id/Getting-Started-With-ESP8266.liln-nodeMCU-v3Fflashi/>

### REMOTE CONTROL MICROPROCESSOR SYSTEMS WITH HELP OF MOBILE DEVICES

KartveliSvili O., Gasanov R.  
Georgian Technical University  
okartvel@gmail.com

#### Summary

The work concerns the remote control of microprocessor systems with the help of mobile devices. We show the process of building a system using the Blynk program, which connects the mobile device via the Internet with a microprocessor system based on the ESP8266 microcontroller. The hardware and software side of the system.

### უსადენო ქსელი და მისი გამოყენების სხვადასხვა სფერო

ოთარ შონია, იოსებ ქართველიშვილი  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
o.shonia@gtu.ge, s.kartvelishvili@gtu.ge

#### რეზიუმე

ნაშრომში წარმოდგენილია უსადენო ქსელები და მისი გამოყენების სხვადასხვა სფეროები. ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია იმ გარემოებაზე, თუ როგორი წარმატებით შეიძლება იქნას გამოყენებული უსადენო ქსელები ადამიანის მოღვაწეობის სხვადასხვა სფეროში. აგრეთვე ნახაზების სახით წარმოდგენილია უსადენო ქსელების გამოყენების მაგალითები.

**საკვანძო სიტყვები:** უსადენო ქსელები. გამოყენების სფერო.

#### 1. შესავალი

უკვე რამდენიმე ათეული წელია, რაც ადამიანები იყენებენ კომპიუტერულ ქსელებს, რომლებიც უზრუნველყოფენ კავშირს მომსახურე პერსონალსა და სხვადასხვა კომპიუტერულ მოწყობილობებს შორის. მიუხედავად ამისა, უფრო და უფრო იგრძნობა ტენდენცია იმისა, რომ ფართოდ იქნას გამოყენებული უსადენო ქსელები, რომელიც სწრაფად იქცა ჩვენი ცხოვრების აუცილებელ ნაწილად. ამის

ნათელი დადასტურებაა მსგავსი ქსელების ფართოდ გამოყენება სხვადასხვა სფეროებში, იქნება ეს ოფისი, ბინა, უნივერსიტეტი, აეროპორტები, სასტუმროები თუ სხვა.

უსადენო ქსელებს გააჩნია მხარდაჭერა ისეთი უამრავი სისტემის მიმართ, რომელიც ხელსაყრელია მომხმარებლებისთვის იმით, რომ უზრუნველყოფს მათ მობილურობას და კავშირის მაღალ საიმედოობას, განსხვავებით მავთულიანი სადენების ხარვეზებისაგან. უფრო მეტიც, ბევრ შემთხვევაში უსადენო ქსელების გამოყენება ზრდის შრომის ნაყოფიერებას და ამცირებს იძულებითი უმოქმედობის პერიოდს, რომელიც წარმოიშობა სადენიანი ქსელების გამოყენებისას.

## 2. ძირითადი ნაწილი

უმრავლეს შემთხვევაში უსადენო ქსელი - ეს არის გაფართოება რომელიმე უკვე არსებული სადენიანი ქსელისა. ამ შემთხვევაში მომსახურე პერსონალს შეუძლია შეასრულოს მისთვის განსაზღვრული დავალება ისე, რომ თვითონვე შეარჩიოს მისთვის ოპტიმალური ადგილი ამ დავალების შესასრულებლად და დადგეს არა იქ, სადაც მას აქვს წვდომა სადენიან ქსელთან. მაგალითად, საწყობის მომსახურე პერსონალს შეუძლია გამოიყენოს უსადენო ხელის მოწყობილობა, რათა მოახდინოს სატვირთო ავტომობილიდან გადმოტვირთული ნივთების სკანირება, ნაცვლად იმისა, რომ ამოიწეროს ნივთების ნომრები მის პერსონალურ კომპიუტერში, რომელიც დგას შენობის რომელიმე ადგილას, საწყობიდან მოშორებით, მეტანის მიზნით. რა თქმა უნდა, ასეთი მიდგომა უფრო ეფექტურია.


განვიხილოთ სხვა სიტუაცია - სპეციალიზებული უსადენო ქსელი, რომელიც მთლიანად გამორიცხავს რაიმე სადენის გამოყენების აუცილებლობას. მაგალითად, მაშველ რაზმს, რომელიც მისულია ავიაკატასტროფის ადგილას, შეუძლია სწრაფად გამართოს დროებითი უსადენო ქსელი. მაშველი რაზმის ყველა წევრის კომპიუტერული მოწყობილობა ურთიერთკავშირში იქნება ერთმანეთთან, აქედან გამომდინარე, ნებისმიერ მათგანს ექნება ავიაკატასტროფასთან დაკავშირებულ აუცილებელ ინფორმაციასთან ცენტრალიზებული წვდომის შესაძლებლობა.

სისტემები, რომლებთანაც წვდომა შესაძლებელია უსადენო ქსელების საშუალებით, მომხმარებლებს შეიძლება წარმოუდგეს ინდივიდუალურად ან ღიად. მაგალითად, კომპანიას, რომელიც პირადი მოხმარებისთვის მართავს უსადენო ქსელს, ასეთ ქსელზე დადებული აქვს გარკვეული შეზღუდვები. როგორც წესი, წვდომა აქვთ მხოლოდ კომპანიის თანამშრომლებს. იმისათვის, რომ მხოლოდ ავტორიზებულ მომხმარებლებს ჰქონდეთ წვდომა ასეთ ქსელთან, კომპანიები ყოველთვის იღებენ უსაფრთხოების ზომებს. სხვა მხრივ, საერთო კავშირის მქონე ქსელები უზრუნველყოფს ღია წვდომას თავის რესურსებთან. მაგალითად, ბიზნესმენს შეუძლია გამოიყენოს აეროპორტის უსადენო ქსელი ინტერნეტში შესასვლელად. ასეთი "ცხელი" თავისუფალი წვდომის მქონე ზონები არის ყველა აეროპორტში, სასტუმროში და სხვა ისეთ ადგილებში, სადაც არის ამის აუცილებლობა.

უსადენო ქსელის გამართვის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი არის ის, რომ ერთობლივად იქნას გამოყენებული ერთი მაღალსიჩქარიანი არხი ინტერნეტთან კავშირისათვის. ასეთი სახით დაკონფიგურირებულ ქსელში ყველა ოფისის ან ოჯახის წევრს შეუძლია გამოიყენოს ერთი მაღალსიჩქარიანი კავშირი, რომელიც უზრუნველყოფილია კაბელური მოდემით ან ციფრული სააბონენტო ხაზით (Digital Subscriber Line, DSL). ასეთი პრაქტიკა მიღებულია და ეკონომიას უკეთებს სახსრებს, ვინაიდან უმრავლესობას ერთდროულად შეუძლია ინტერნეტთან კავშირი, მიუხედავად იმისა, თუ ოფისის ან ბინის რა ადგილას იმყოფება მომხმარებელი.

ასეთ სიტუაციაში უსადენო ქსელს გააჩნია ამაღლებული დრეკადობა იმიტომ, რომ ნებისმიერ დროს მასში შეიძლება შევიყვანოთ ახალი სამუშაო სადგური, სადენების გაყვანის გარეშე. ასევე, თავისუფლად შეგვიძლია უსადენო ქსელში ჩართული პერსონალური კომპიუტერების, პრინტერების და სერვერების ერთი ადგილიდან მეორეზე გადაადგილება. კომპანია, რომელსაც გააჩნია უსადენო ქსელი, საშუალებას აძლევს მომსახურე პერსონალს, რომელიც იმყოფება კომპანიის ტერიტორიის გარეთ, აგრეთვე, ოფისში მისულ კომპანიონებს, რომელთაც გააჩნიათ კომპიუტერული მოწყობილობა, სწრაფად ჩაერთონ კომპანიის ქსელში მინიმალური დაკონფიგურირების შედეგად.

ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება ისაა, რომ უსადენო ქსელები უზრუნველყოფს შეტყობინების გადაცემას, განსაკუთრებით ისეთ სიტუაციებში, როცა მომსახურე პერსონალმა მუდმივი კავშირი უნდა



იქონიოს ერთმანეთთან. უსადენო ლოკალურ ქსელს, რომელშიც გათვლილია ხმოვანი კავშირის დამყარების ხელშეწყობა, შეუძლია სრულად შეცვალოს ტრადიციული სატელეფონო სადენიანი სისტემა ერთ დიდ შენობაში. უსადენო ლოკალური ქსელი უზრუნველყოფს ხმოვანი შეტყობინებებისა და მონაცემების გადაცემის სრულ მობილურობას მცირე საექსპლუატაციო ხარჯებით (ნახ. 1).

**ნახ.1. უსადენო ლოკალური ქსელი უზრუნველყოფს შენობაში სატელეფონო კავშირის ინფრასტრუქტურას**

მაგალითად, სავაჭრო ქსელის მომსახურე პერსონალს შეუძლია გაარკვიოს მომხმარებლისთვის საჭირო პროდუქციის ადგილმდებარეობა ან ჩაატაროს ინვენტარიზაცია სპეციალური უსადენო ტელეფონის საშუალებით, რომელიც ჩართულია უსადენო ლოკალურ ქსელში. ასევე, ქსელს უნდა შეეძლოს შტრიხ-კოდების გადაცემის უზრუნველყოფა, რომელიც საჭიროა ინვენტარიზაციის ჩატარების დროს ან ფასის განსაზღვრისათვის უსადენო ხელის სკანერების მეშვეობით. საკმარისია, კომპანიას გამართული ჰქონდეს მხოლოდ ერთი სატელეკომუნიკაციო სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს შეტყობინებებისა და მონაცემების გადაცემას, რომ შესაძლებელი გახდეს საექსპლუატაციო ხარჯების შემცირება.

ანალოგიურად, კომპანიის მფლობელს უსადენო ლოკალური ქსელის გამართვით შეუძლია უზრუნველყოს შიდა სატელეფონო კავშირი. ეს აძლევს მომსახურე პერსონალს იმის შესაძლებლობას, რომ მუდმივად იქონიონ ტელეფონები და შენობის ნებისმიერ ადგილას ყოფნის დროს უპასუხონ სატელეფონო ზარებს.

კომპანიების უმრავლესობა წარმოების პროცესების მართვისათვის წარმატებით იყენებს უსადენო ლოკალურ ქსელებს, რაც ამცირებს საექსპლუატაციო ხარჯებს. ვინაიდან მწარმოებელ მოწყობილობებსა და მთავარ მმართველ სისტემას შორის კავშირი მყარდება სადენების გამოყენების გარეშე, კომპანიას ნებისმიერი ადგილიდან და ნებისმიერ დროს შეუძლია რეორგანიზაცია გაუკეთოს შერჩევის პროცესს.

უსადენო ლოკალური ქსელების დახმარებით ინვენტარიზაციის მონაცემების განახლება მიმდინარეობს რეალურ დროში, რის გამოც შესაძლებელი იზრდება მათი სიზუსტე და ეფექტურობა. სხვადასხვა პროდუქციით ვაჭრობის პირობებში, რომელიმე საქონლის გაყიდვის დროს, უსადენო მართვის სისტემა მაშინვე განახლებს ინვენტარიზაციის მონაცემებს. წარმოების პირობებში, კომპანიის ხელმძღვანელებს რეალურ დროში შეუძლიათ მიიღონ ინფორმაცია ნებისმიერ პროდუქციაზე. კომპანიის მომსახურე პერსონალს უსადენო შტრიხ-კოდების სკანერების დახმარებით შეუძლია შეამოწმოს ან შეცვალოს ფასი ნაწარმზე, აგრეთვე, შეამოწმოს საწყობში მათი რაოდენობა.

ინვენტარიზაციის დროს სიზუსტის ამაღლება, რომელიც მიიღწევა უსადენო ლოკალური ქსელების დახმარებით, იწვევს წარმოების პროცესების გაუმჯობესების ჯაჭვურ რეაქციას. ვინაიდან ინფორმაცია მთავარ კომპიუტერში შეიტანება ხელის სკანერების საშუალებით და გამორიცხულია ქაღალდის გამოყენების აუცილებლობა, მკვეთრად მცირდება პერსონალის შეცდომები, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას ინფორმაციის შეტანის დროს, იზრდება ფინანსური ანგარიშების სიზუსტე. ეს მნიშვნელოვანია კომპანიისთვის, ვინაიდან ზუსტი ფინანსური დოკუმენტაცია საშუალებას იძლევა სწორად იქნას გადახდილი სხვადასხვა გადასახადი.

მაგალითად, საავადმყოფოების უმრავლესობა უსადენო ქსელებს ნერგავს იმ მიზნით, რომ აამაღლოს ექსპლუატაციისა და მოხერხებულობის ეფექტურობა. უმრავლეს შემთხვევაში, ჯან-დაცვის ორგანოები უსადენო ლოკალურ ქსელებს მართავენ ისეთ ზონებში, სადაც მაღალია პაციენტების ნაკადი, მაგ: გადაუდებელი დახმარების ცენტრები, მძიმე ავადმყოფების პალატები, მედდების ოთახები, აგრეთვე ექიმების კაბინეტები და პაციენტების მოსაცდელი (მიმღები) ადგილები. ექიმებისა და მედდების ჯგუფს შეუძლია გამოიყენოს მობილური კომპიუტერული მოწყობილობები, რათა ამაღლებულ იქნას პაციენტების მომსახურების ეფექტურობა.

ჯანდაცვის ცენტრებმა ანგარიშებში ზუსტად უნდა შეიტანონ ავადმყოფის ისტორიები იმ მიზნით, რომ მეტი პასუხისმგებლობის პირობებში ჩატარდეს პაციენტების მაღალხარისხიანი მკურნალობა. უყურადღებობის გამო დაშვებული ერთი შეცდომაც კი შეიძლება სიცოცხლის ფასად დაუჯდეს ვინმეს. აქედან გამომდინარე, ექიმები და მედდები ვალდებული არიან ზუსტად დააფიქსირონ ანალიზის შედეგები, ფიზიკური მონაცემები, ფარმაცევტული ჩანაწერები და ქირურგიული პროცედურები. ასეთი “ქაღალდის” სამუშაო ხშირად ტვირთავს მედპერსონალს, იკავებს რა მათი დროის 50-70%-ს. მონაცემთა შეგროვების უსადენო მობილური მოწყობილობის გამოყენებით ხდება ინფორმაციის გადაცემა ცენტრალიზებულ მონაცემთა ბაზებში, რაც მნიშვნელოვნად ამაღლებს სიზუსტეს და მონაცემთა თვალსაჩინოების ხარისხს იმათთვის, ვისთვისაც აუცილებელია ეს ინფორმაცია.

ექიმები და მედდები, რომლებიც გადაადგილდებიან ერთი პალატიდან მეორეში და ზრუნავენ ავადმყოფებზე, ხდებიან მაქსიმალურად მობილურები. ელექტრონული სამედიცინო რუქების გამოყენება, რომლის საშუალებითაც საავადმყოფოს ნებისმიერი ტერიტორიიდან შესაძლებელია პაციენტების შესახებ ინფორმაციის შეტანა, დათვალიერება და განახლება, ზრდის ინფორმაციის სიზუსტეს და ავადმყოფების მოვლის ოპერატიულობას. ასეთი გაუმჯობესება მიიღწევა იმის წყალობით, რომ თითოეულ ექიმს და ექთანს გაჩნია მინი-კომპიუტერი ან PDA (პერსონალური ციფრული დამხმარებელი, Personal digital assistance), რომელიც უსადენო ქსელის საშუალებით მიერთებულია ცენტრალიზებულ მონაცემთა ბაზასთან, სადაც თითოეული პაციენტის სამედიცინო ისტორია ინახება.

მაგალითად, მკურნალ ექიმს უსადენო მოწყობილობის დახმარებით შეუძლია ლაბორატორიაში გააგზავნოს მოთხოვნა სისხლის ანალიზის აღების შესახებ. ლაბორატორია ელექტრონული სახით იღებს მოთხოვნას და თავის თანამშრომელს გზავნის ავადმყოფთან სისხლის ასაღებად. ანალიზის ჩატარების შემდეგ ლაბორატორიის პერსონალი შედეგებს შეიტანს ავადმყოფის ელექტრონულ სამედიცინო რუკაში, ხოლო მკურნალ ექიმს თავისი კომპიუტერული მოწყობილობის დახმარებით საავადმყოფოს ნებისმიერი ტერიტორიიდან შეუძლია გაეცნოს ანალიზის შედეგებს.

უსადენო ქსელები საავადმყოფოებში აგრეთვე გამოიყენება წამლების მონიტორინგისთვის. მობილური ხელის მოწყობილობის გამოყენებით ხდება წამლების სკანირება, მათი ინვენტარიზაცია, განაწილება, დახარისხება და ვარგისიანობის თარიღის შემოწმება, რისი საშუალებითაც იზრდება ამ ოპერაციების ეფექტურობა და სიზუსტე. აგრეთვე მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ მედპერსონალი დროულად აწვდის საჭირო წამალს იმ პაციენტს, ვისთვისაც ის არის დანიშნული.

სკოლების, კოლეჯების და უმაღლესების უმრავლესობა მიზანმიმართულად თვლის თავის ტერიტორიაზე გამართონ უსადენო ლოკალური ქსელი, რათა პედაგოგებისათვის, მოსწავლეებისა და სტუდენტებისათვის უზრუნველყოფილ იქნას მობილური კავშირი ქსელურ სისტემებთან, რომ მიიღონ და გააგზავნონ ელექტრონული ფოსტა, დაათვალიერონ WEB-გვერდები, გამოიყენონ სპეციალიზებული ქსელური სისტემები, მოიძიონ თავიანთი შეფასებები და გაეცნონ სასწავლო კურსის კონსპექტებს. ყოველივე ეს ამაღლებს სასწავლო პროცესების ეფექტურობას და მოსწავლეებს და სტუდენტებს საშუალებას აძლევს რაციონალურად გაანაწილონ თავიანთი დრო.

უმრავი ქონების აგენტები თავიანთი სამუშაო დღის უმეტეს ნაწილს ოფისის გარეთ, კლიენტებთან ატარებენ. ოფისის დატოვებამდე აგენტი არჩევს რამოდენიმე ობიექტს, რომელიც შემდგომ უნდა ანახოს კლიენტს, ამოებქდავს ინფორმაციას და მიემგზავრება პოტენციურ კლიენტებთან ამორჩეული ობიექტების

შესათავაზებლად. თუ კლიენტს არ მოეწონა არც ერთი მათგანი, უძრავი ქონების აგენტი უნდა დაბრუნდეს ოფისში და შეარჩიოს სხვა ობიექტების სია. როდესაც კლიენტი გადაწყვეტს უძრავი ქონების შეძენას, ისინი უნდა დაბრუნდნენ სააგენტოში, რათა გააფორმონ ხელშეკრულება.

უსადენო ქსელები საშუალებას იძლევა ბევრად დაჩქარდეს უძრავი ქონების გაყიდვის პროცესი. აგენტს შეუძლია გამოიყენოს კომპიუტერული მოწყობილობა ოფისის გარეთ და მიიღოს ინფორმაცია უძრავი ქონების სააგენტოში არსებული ნებისმიერი ობიექტის შესახებ, შემდეგ კი, პორტატიული კომპიუტერისა და პრინტერის დახმარებით შეადგინოს და ამობეჭდოს ხელშეკრულება გარიგების დასადებად.

უსადენო ქსელების გამოყენებისას ჩნდება იმის შესაძლებლობა, რომ განსაზღვროს ადამიანების ან ნივთების ადგილმდებარეობა. მოძრავი ობიექტების თვალთვალი იძლევა რამოდენიმე საინტერესო სისტემის რეალიზების საშუალებას. შესაძლებელია მომხმარებლების კოორდინატების შეტანა იქნას ცენტრალური სერვერის პროგრამაში, რომელიც უზრუნველყოფს ადგილმდებარეობის განსაზღვრაზე დაფუძნებულ სერვისს. მაგალითად, უსადენო ლოკალური ქსელის პროვაიდერს შეუძლია გამოიყენოს ასეთი კონცეფცია იმისათვის, რომ აეროპორტში ან რკინიგზის სადგურში მყოფ უცხოელ ტურისტებს წარუდგინოს ინფორმაცია, რომელიც დაეხმარება მათ უახლოესი სასტუმროს ან რესტორნის მოძებნაში.

საავადმყოფოებში ადგილმდებარეობის განსაზღვრელი სისტემები (Location-based service) შეიძლება გამოყენებული იქნას ექიმებისა და მედდების ადგილმდებარეობის განსაზღვრისათვის ნებისმიერ დროს. ყოველივე ეს დაეხმარება საავადმყოფოს ადმინისტრაციას ექსტრემალური სიტუაციის დროს ავადმყოფს გაუზიაროს შესაბამისი სპეციალისტი. ერთ-ერთ მაგალითს წარმოადგენს თანამედროვე ვიდეოზედამხედველობის სისტემა, რომელიც ასრულებს შემდეგ ფუნქციებს:

- მომხმარებლისა და მოწყობილობის ურთიერთქმედება შესაძლებელია ნებისმიერ დროს ვიდეოგამოსახულების მისაღებად;
- ვიდეოგამოსახულების გადაცემა 1-4 ტელეკამერაზე რეალურ დროში;
- ავტომატური შეტყობინების შესაძლებლობა;
- ვიდეოგამოსახულებისა და ფოტოს ჩაწერა ავტომატურ რეჟიმში

დაშორებული ვიდეოდაკვირვებისას უსადენო IP სისტემებში ვიდეოდაკვირვება მიიღწევა რამდენიმე მეთოდით, მათ შორის არის: ბრანდმაუერის, პაროლებისა და შიფრების გამოყენება. ბრანდმაუერი მუშაობს „საკეტივით“, რომლებიც ატარებენ რეგისტრირებულ აბონენტებს და კრძალავს არაავტორიზებული მომხმარებლის ინფორმაციის გატარებას (ნახ 2).

პაროლების გამოყენება არამარტო ზღუდავს ვიდეოდაკვირვების სისტემაში შეღწევას, არამედ პერსონალში უფლებების განაწილებას და ხელმისაწვდომობის აკრძალვებს ვიდეო კამერებთან, ხოლო ყოველგვარი მცდელობა მონაცემთა Aშიფრის გახსნისა რთულია, რადგანაც ამისთვის საჭიროა მონაცემთა ნაკადის უნიკალური კოდის ცოდნა, რომელიც თავის მხრივ დგინდება სისტემური ადმინისტრატორის მიერ.



ნახ 2. უსადენო IP სისტემებში ვიდეო დაკვირვების სქემა

### 3. დასკვნა

ზემოაღნიშნული მაგალითებიდან ჩანს, თუ როგორი წარმატებით შეიძლება იქნას გამოყენებული უსადენო ქსელები ადამიანის მოღვაწეობის სხვადასხვა სფეროში, თუმცა უსადენო ქსელების

უსაფრთხოების საკითხები სერიოზულ ბარიერს წარმოადგენს მათი ფართოდ დანერგვისათვის. უსადენო ქსელები, ჩვეულებრივ, არ არის დამოკიდებული საოფისე გარემოში არსებულ ტრადიციულ ინფრასტრუქტურაზე, როგორც არის დენის წყარო, მაღალი გამტარუნარიანობა, მუდმივი კავშირი, საერთო ქსელური სერვისი, სტატიკური კონფიგურაცია, სისტემის ადმინისტრირება და ფიზიკური უსაფრთხოება. ადექვატური უსაფრთხოების გარეშე სხვადასხვა ორგანიზაციების უმრავლესობა უარს იტყვის უსადენო ქსელების გამოყენებაზე, სამთავრობო უწყებები აკრძალავენ უსადენო ქსელების გამოყენებას, შესაბამისად, მსგავსი უსადენო ქსელების უსაფრთხოება მნიშვნელოვანი საკითხია, რაზეც უნდა გამახვილდეს ყურადღება, თუკი ასეთი ქსელების გამოყენება ფართოდ დაინერგება.

### ლიტერატურა - References – Литература:

1. შონია ო., ნარეშელაშვილი გ., ქართველიშვილი ი. (2009). უმავთულო ქსელების უსაფრთხოება. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი
2. Shonia O., Kartvelishvili I., Beridze Z. (2012). Journal article. Software Complex of Automated System, Supporting Security of Wireless Networks. Nova Science Publishers, Volume 4, Issues 1,2 in press. [https://www.novapublishers.com/catalog/product\\_info.php?products\\_id=34525](https://www.novapublishers.com/catalog/product_info.php?products_id=34525).

## WIRELESS NETWORK AND ITS USE DIFFERENT SPHERES

Otar Shonia, Ioseb Kartvelishvili  
Georgian Technical University  
o.shonia@gtu.ge, s.kartvelishvili@gtu.ge

### Summary

The paper presents wireless networks and various areas of use. The work focuses on the nature of the success of wireless networks in different areas of human activity. An Examples of use of wireless networks is represented as a drawing.

## უსადენო ქსელები, მასთან დაკავშირებული უსაფრთხოების საკითხები და მათი ანალიზი

მარინა კაშიბაძე, მანია ოხანაშვილი, იოსებ ქართველიშვილი  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
marinakash16@mail.ru, m.okhanashvili@gtu.ge, s.kartvelishvili@gtu.ge

### რეზიუმე

წარმოდგენილია უსადენო ქსელები, მასთან დაკავშირებული უსაფრთხოების საკითხები და მათი ანალიზი, რომელშიც დეტალურადაა განხილული ყველა ფუნქცია და სარგებლიანობა სხვადასხვა სიტუაციაში. აგრეთვე სქემის სახით წარმოდგენილია უსადენო ქსელების მაგალითი. განხილულია უსადენო ქსელების ყველა ტიპი, თითოეული მათგანი დახასიათებულია თავისი თვისებებით, აღწერილია მათი სტრუქტურის თავისებურებები და გამოყენების მეთოდები.

**საკვანძო სიტყვები:** უსადენო ქსელები, უსაფრთხოება, უსადენო ქსელების ტიპები.

### 1. შესავალი

უსადენო ქსელები დღესდღეობით ძალიან დიდ როლს თამაშობს ადამიანების ცხოვრებაში, უადვილებს მათ მუდმივ კავშირში ყოფნას და სამუშაო პირობებისთვის აუცილებლობას წარმოადგენს. მისი მეშვეობით შესაძლებელია სხვადასხვა წერტილებიდან კავშირის დამყარება და ნებისმიერი ზომისა თუ სახის ინფორმაციის მიღება. გამომდინარე მისი მნიშვნელობიდან საჭიროა უსადენო ქსელების მუშაობაში გარკვევა და მისი უსაფრთხოების დაცვა. უსადენო ტექნოლოგიები გავრცელებულია მთელ მსოფლიოში, რათა დააკმაყოფილოს მომხმარებელთა დიდი რაოდენობის საკომუნიკაციო მოთხოვნები.




შეინიშნება ტენდენცია, რომ კაბელურ მოწყობილობებზე და კავშირებზე ხშირად უსადენო ტექნოლოგიები გამოიყენება და ამას თავის მიზეზები აქვს. იგი გაცილებით უფრო მოსახერხებელია თავისი აბსტრაქტული გამოვლინების გამო (არ არის საჭირო კაბელების დიდი რაოდენობა), ამასთან უსადენო მოწყობილობები და მათი ინსტალაციის ღირებულება ბოლო პერიოდში მნიშვნელოვნად შემცირდა, რამაც იგი უფრო ხელმისაწვდომი გახადა მომხმარებლისთვის და კერძო პირები თუ კომპანიები გაცილებით უფრო ხშირად მიმართავენ კავშირის ამ ფორმას, ვიდრე რამდენიმე წლის წინ.

## 2. ძირითადი ნაწილი

უსადენო ქსელი, როგორც ტერმინი გვეუბნება, არის ქსელი, რომელშიც ჩართული ორი ან მეტი ტერმინალი (როგორცაა: ლეპტოპი, კომპიუტერები და სხვა) შეიძლება დაუკავშირდეს ერთმანეთს კაბელის გარეშე. უკაბელო ქსელში, მომხმარებელს შეუძლია დაკავშირებული იყოს მაშინაც კი, როდესაც იგი გადაადგილდება მოცემული გეოგრაფიული არეალის ფარგლებში და სწორედ ამიტომ სიტყვა "მობილობა" ხშირად გამოიყენება მათი განხილვის დროს.

უსადენო ქსელის საშუალებით დამორებული წერტილები უკავშირდებიან ერთმანეთს და მომხმარებელს შესაძლებლობა აქვს შეამოწმონ ელექტრონული ფოსტა, მიიღონ წვდომა სერვერებზე, სადაც განთავსებულია საჭირო ფაილები და ეს ხდება ყოველგვარი სადენების გამოყენების გარეშე (ნახ 1).

უსადენო ქსელები ეფუძნება ელექტრომაგნიტური გამოსხივების კავშირებს (რადიო და ინფრაწითელი), ნაცვლად ჩვეულებრივი კაბელებისა. არსებობს რამდენიმე სხვადასხვა ტექნოლოგია, რომლებიც განსხვავდება სამაუწყებლო სიხშირისა და მათი გადაცემების დიაპაზონითა და სიჩქარით, მაგრამ ყველა უსადენო ქსელის ძირითადი თავისებურებაა ის, რომ კავშირის დამყარება ხდება კომპიუტერულ მოწყობილობებს შორის. ისინი შეიძლება იყოს პერსონალური კომპიუტერები, ლეპტოპები, სერვერები და მრავალი სხვა ელექტრონული ხელსაწყო, რომელსაც გააჩნია ქსელთან დაკავშირებისა და რეაგირების საშუალება. როგორც ჩვეულებრივი ქსელები, რომლებიც დაფუძნებულია სადენების გამოყენებაზე, ასევე უსადენო ქსელებიც, ინფორმაციას გადასცემენ კომპიუტერულ მოწყობილობებს შორის და გადაცემის სახე მრავალგვარია.



ნახ.1. უსადენო ქსელის მაგალითი

ეს შეიძლება იყოს ინტერნეტ გვერდი, ელექტრონული ფოსტა, საზიარო „ფოლდერი“, რომელზეც წვდომა ერთ ქსელში მყოფ პირებს აქვთ თუ სხვა. მომხმარებლების, სერვერებისა და მონაცემთა ბაზების ურთიერთქმედების უზრუნველსაყოფად უსადენო ქსელები, როგორც გადამცემი საშუალება, იყენებს რადიოტალღებს ან ინფრაწითელ დიაპაზონს, რომელიც თავის მხრივ შეუმჩნეველია თვალისთვის. იგივე კომპიუტერების ქსელში დაკავშირებისას ე.წ. „ადაპტერები“ გამოიყენება, რომლებსაც მწარმოებლები აინსტალირებენ მოწყობილობებში და მისი გამოყენება საკმაოდ მარტივია მომხმარებლისთვის.

რადიოსიხშირული სპექტრის რეგულირებისას არსებობს გარკვეული პრობლემები. რადიო ტალღები გადაიცემა მრავალი მოწყობილობით და ისინი იოლად ხდებიან ჩარევის ობიექტი. სწორედ ამიტომ ყველა ქვეყანაში საჭიროა რეგულირება, რათა განისაზღვროს ვისთვის რომელი სიხშირეებია დამკვეთი. ტალღები ადვილად არ შემოიფარგლება შეზღუდული გეოგრაფიული არეალით. ამიტომ ადვილია ამ სფეროში გამოცდილი უცხო პირის მხრიდან ქსელში შესვლა იმ შემთხვევაში თუ მონაცემები არაა დაშიფრული. ამდენად, ზომები უნდა იქნას მიღებული, რათა უზრუნველყოფილი იყოს კონფიდენციალურობის მონაცემებისა უსადენო ქსელების მეშვეობით გადაგზავნის დროს.

უსადენო ქსელები კლასიფიცირდება რამდენიმე კატეგორიად და დამოკიდებულია გეოგრაფიულ არეალზე, რომლის ფარგლებშიც მომხმარებელს შეუძლია ქსელთან დაკავშირება (ე.წ. დაფარვის ზონა). გამოყოფენ მის შემდეგ ტიპებს:

- ✓ უსადენო პერსონალური ქსელი (wireless personal area network, WPAN);
- ✓ უსადენო ლოკალური ქსელი (wireless local area network, WLAN);
- ✓ უსადენო რეგიონალური ქსელი (wireless metropolitan area network, WMAN);
- ✓ უსადენო გლობალური ქსელი (wireless wide-area network, WWAN);

უსადენო პერსონალური ქსელი (WPAN) არის დაბალი რადიუსის უსადენო ქსელი, რომელიც მოიცავს მხოლოდ რამდენიმე მეტრის ფართობს. ეს კი საკმარისია შენობის პატარა ტერიტორიის არეალის დასაფარად. ეს ერთგვარი ქსელი ძირითადად გამოიყენება პერიფერიული მოწყობილობების (როგორცაა პრინტერები, მობილური ტელეფონები და საყოფაცხოვრებო ტექნიკა) დასაკავშირებლად, ან პლანშეტური (PDA) კომპიუტერისთვის, ან ორი მიმდებარე კომპიუტერის დასაკავშირებლად, სადენიანი კავშირის გამოყენების გარეშე. არსებობს რამდენიმე სახის ტექნოლოგია, რომელიც გამოიყენება WPAN-სთვის:

მთავარი WPAN ტექნოლოგია არის Bluetooth, რომელიც გამოიყენა კომპანია Ericsson-მა 1994 წელს. ის სთავაზობს მაქსიმალურ გამტარუნარიანობას 1 Mbps და მაქსიმალური მანძილით დაახლოებით ოცდაათი მეტრი. Bluetooth, ასევე ცნობილია როგორც IEEE 802.15.1, აქვს უპირატესობა, რომ ძალიან ენერგო ეფექტურია, რაც განსაკუთრებით კარგად შეეფერება მცირე მოწყობილობების გამოყენებას.

HomeRF (სახლის რადიო სიხშირე), 1998 წლიდან გამოუშვა HomeRF სამუშაო ჯგუფმა (რომელიც მოიცავს მწარმოებლებს Compaq, HP, Intel, Siemens, Motorola და Microsoft). მას აქვს მაქსიმალური გამტარუნარიანობა 10 Mbps და ინფორმაციის გადაცემის მანძილი 50-100 მეტრია გამამდიერებელის გარეშე. სტანდარტული HomeRF, მიუხედავად Intel-ის მხარდაჭერისა, 2003 წლის იანვარში გაუქმდა, დიდწილად იმიტომ, რომ პროცესორის მწარმოებლებმა დაიწყეს ბორტ Wi-Fi მხარდაჭერა.

ტექნოლოგია ZigBee (ასევე ცნობილი როგორც IEEE 802.15.4) შეიძლება გამოყენებულ იქნას, რათა მოწყობილობები უსადენოდ დაუკავშირდნენ ერთმანეთს ძალიან დაბალ ფასად და მცირე ენერჯის მოხმარებით, რაც განსაკუთრებით მისაღებს ხდის მათ პირდაპირ ინტეგრაციას მცირე საყოფაცხოვრებო ტექნიკაში (როგორცაა საყოფაცხოვრებო ნივთები, stereos და სათამაშოები). ZigBee-ს, რომელიც მუშაობს 2,4 გჰც სიხშირეზე შეუძლია მიაღწიოს გადაცემის სიჩქარეს 250 Kbps-მდე, არეალის მაქსიმალური სპექტრი კი 100 მეტრია.

ინფრაწითელი კავშირები შეიძლება გამოყენებულ იქნას უსადენო კავშირების შექმნისთვის რამდენიმე მეტრში, სიჩქარით, რომელმაც შეიძლება მიაღწიოს რამდენიმე მეგაბაიტს წამში. საბოლოო ჯამში, ის რაც ეფექტურს ხდის უსადენო პერსონალური ქსელების გამოყენებას, არის მისი აპარატურის უმეტესობის კომპაქტური ზომა და მცირე სიმძლავრის საჭიროება.

უსადენო ლოკალური ქსელი (მოკლედ WLAN) არის ბიზნესის ლოკალურ ქსელში ქსელის დაფარვის ექვივალენტური არეალი, დაახლოებით ასი მეტრის მანძილზე. ეს საშუალებას აძლევს ტერმინალებს დაფარვის არეალის ფარგლებში იყოს დაკავშირებული ერთმანეთთან. ამისთვის არსებობს რამდენიმე განსხვავებული ტექნოლოგია და ყველაზე გავრცელებულია WiFi (ან IEEE 802.11), რომელიც მომხმარებელს სთავაზობს მაქსიმალურ გამტარუნარიანობას 54 Mbps რამდენიმე ასეული მეტრის მეტ მანძილზე. იგი უმეტესწილად გამოიყენება პერსონალურ კომპიუტერებს შორის მონაცემთა უსადენოდ გადაცემისთვის

შენობებს შიგნით. გადაცემის სიჩქარე კი საკმაოდ დიდია და შესაბამისად LAN-ის დონის კავშირის დამყარებაა შესაძლებელი გარკვეულ მანძილებზე. ასეთი ქსელების მომხმარებლები ჩვეულებრივ იყენებენ PDA-ებს, ლეპტოპებს და პერსონალურ კომპიუტერებს. ასეთი ქსელები სრულიად აკმაყოფილებს მოთხოვნებს, რომლებიც არსებობს საკმაოდ მძლავრი მოწყობილობების კავშირის უზრუნველსაყოფად, როგორც ერთმანეთთან ისე ინტერნეტთანაც.

დღესდღეობით კომპანიებში ფართოდ გამოიყენება უსადენო ლოკალური ქსელი იმ მიზნით, რომ მან უზრუნველყოს მომხმარებლების წვდომა კორპორატიულ სისტემებზე. ამ შემთხვევაში დიდი ოფისების ნებისმიერი წერტილიდან თანამშრომლებს, გარკვეული დაშვების შესაბამისად, აქვთ წვდომა ქსელურ მომსახურებებზე. შეიძლება ეს იყოს სერვერებზე განთავსებული საზიარო ფოლდერები, პრინტერები, სკანერები თუ სხვა. უსადენო ლოკალური ქსელები თავისი თვისებებით, კომპონენტებით და ოპერაციების შესრულებით ძალიან გავს ტრადიციულ სადენიან ლოკალურ ქსელებს. დღეს უსადენო ლოკალური ქსელების ადაპტერები ყველა კომპიუტერშია ჩაშენებული. უსადენო ლოკალური ქსელებისთვის სტანდარტი არის IEEE 802.11. არსებობს ამ სტანდარტის სხვადასხვა ვერსია, რომელიც ინფორმაციის გადაცემას უზრუნველყოფს 2,4 და 5 გჰ დიაპაზონში. შესაბამისად სხვადასხვა ვერსიის მქონდე მოწყობილობებს ჰქონდათ ურთიერთქმედების პრობლემა. ამისათვის, საერთაშორისო გაერთიანებამ IEEE- (ელექტროტექნიკისა და ელექტრონიკის საინჟინრო ინსტიტუტი) შეცვალა სტანდარტი 1999 წელს და მოიცვა 802.11a და b ყველა შესაბამისი ფუნქცია შეიყვანა ერთ სტანდარტში - სახელწოდებით Wi-Fi (Wireless Fidelity - უკაბელო სიზუსტე). ის არის პროდუქტის თავსებადობის სტანდარტების კომპლექტი უკაბელო ლოკალური ქსელებისთვის (WLAN) და ეყრდნობა IEEE 802.11 მოთხოვნებს. Wi-Fi თავიდან განსაზღვრული იყო მობილური მოწყობილობებისა და შიდა ლოკალური ქსელებისთვის, მაგრამ დღესდღეობით გაცილებით უფრო ხშირად გამოიყენება ინტერნეტთან დასაკავშირებლად. ეს საშუალებას აძლევს პირს, რომელსაც აქვს კომპიუტერი ან პლანშეტი უკაბელო სიხშირეებზე წვდომის ფუნქციით დაუკავშირდეს ინტერნეტს როდესაც იმყოფება დაშვების ზონაში.

Wireless Fidelity არის უკაბელო გზა „გაუმკლავდეს“ ქსელს და ამ ტექნოლოგიის გამოყენებით ჩვენ შეგვიძლია დავუკავშირდეთ კომპიუტერებს სახლში ან ოფისში ხაზების გარეშე. კომპიუტერები უერთდებიან ქსელს რადიო სიგნალების გამოყენებით და ისინი შეიძლება იყოს გადამცემიდან 30 მეტრის დაშორებით. აქედან გამომდინარე, თუ რომელიმე კომპიუტერული მოწყობილობა შეესაბამება სტანდარტს Wi-Fi-ს, მაშინ მათი ურთიერთქმედება გარანტირებულია.

უსადენო რეგიონალური ქსელი (WMAN) ეფუძნება IEEE 802.16 სტანდარტს. მას შეუძლია ეფექტურად მიაღწიოს გადაცემის სიჩქარეს 1 დან 10 Mbps-მდე 4-10 კილომეტრის ფარგლებში. ეს განსაკუთრებით მისაღებია სატელეკომუნიკაციო კომპანიებისთვის. ყველაზე ცნობილი უსადენო რეგიონალური ქსელი არის WiMAX, რომელსაც შეუძლია მიაღწიოს 70 Mbps სიჩქარეს, რამდენიმე კილომეტრის რადიუსში. შესაბამისად მსგავს ქსელებს შეუძლიათ უსადენოდ ერთმანეთთან დააკავშირონ მოცილებული შენობები.

უსადენო გლობალური ქსელი (WWAN) არის ყველაზე გავრცელებული ამ ტიპის კავშირებს შორის, რადგან ყველა მობილური ტელეფონი უკავშირდება უსადენო ფართო ქსელს. ის უზრუნველყოფს ინფორმაციასთან წვდომას ქვეყნისა და მთელი მსოფლიოს მასშტაბითაც კი. ძირითადი ტექნოლოგიებია: GSM (მობილური კავშირგაბმულობის გლობალური სისტემა); GPRS (რადიო მომსახურების საერთაშორისო პაკეტი); UMTS (უნივერსალური მობილური სატელეკომუნიკაციო სისტემა). გამომდინარე კავშირის შეუზღუდავი არეალიდან სატელეკომუნიკაციო კომპანიები ზღუდავენ გამოყენების არეალებს და მხოლოდ შესაბამისი ტარიფებით არის შესაძლებელი მისი სრული გამოყენება მომხმარებლის მხრიდან.

ბოლო დროს უსადენო ქსელების უსაფრთხოებას და მომსახურების ხარისხს ძალიან მნიშვნელოვანი როლი ენიჭება. მაშინ, როცა გაიზარდა ინფორმაციის გადაცემის სიჩქარე და არეალი, როცა უფრო დაიხვეწა ტექნოლოგიები, ასევე განვითარდა კიბერ-კრიმინალი. ადეკვატური უსაფრთხოების გარეშე კომპანიები თავს აარიდებენ უსადენო ქსელების გამოყენებას. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ დღეს მსოფლიოში

უსადენო ქსელების გარეშე ნორმალური კავშირები არ იარსებებს, მისგან თავის არიდება ბიზნესზე უარის თქმას ნიშნავს. სწორედ ამიტომ ქსელების უსაფრთხოების საკითხები მსოფლიოს დიდი გამოწვევაა. ინფორმაციის დაცვა დღევანდელ დღეს კომპანიებისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია, რაზეც მრავალი ფაქტი მიუთითებს მსოფლიო გამოცდილებიდან:

- ✓ ინფორმაციული ტექნოლოგიებთან დაკავშირებული დანაშაული 40%-ია ბრიტანეთსა და აშშ-ში მომხდარ ფინანსურ დანაშაულებათა შორის;

- ✓ გარე ძალების ზემოქმედებით გამოწვეული ქსელის გაუმართაობა საშუალოდ იწვევს დიდ ორგანიზაციებში \$30 მილიონ-ზე მეტ დამატებით ხარჯს წელიწადში;

- ✓ საშუალო და დიდი კომპანიები კარგავენ თავიანთი შემოსავლის 2.2%-ს მხოლოდ ქსელის გათიშვებით, თუ გარე შეტევებით მასზე, რაც იწვევს ძალიან დიდი ოდენობით ზარალს.

სწორედ ზემოთ ჩამოთვლილი მაგალითები მიუთითებს იმაზე, რომ კომპანიას წარმატებით ფუნქციონირებისთვის ესაჭიროება გამართული ინფორმაციული სისტემები, რომელიც თავის თავში გულისხმობს შეუფერხებელ მუშაობას და ამასთან ინფორმაციის დაცულობას. შემოჭრილმა პირმა შეიძლება დაარღვიოს ქსელის მუშაობა ან წაიღოს მნიშვნელოვანი ინფორმაცია. თავდასხმა წარმოადგენს კომპიუტერის უსაფრთხოების კონტროლის მექანიზმების გვერდის ავლის მცდელობას. არასანქცირებული შეღწევის შედეგად შესაძლოა შეიცვალოს, ან გაუქმდეს სისტემაში არსებული მონაცემები. ნებისმიერ სისტემას, რომელსაც დაცვა სჭირდება, გააჩნია სისუსტეები ან ხარვეზები. ამ წერტილებზე თავდასხმა იქნება გარეშე პირის მიზანი, რომელიც ცდილობს უნებართვოდ ინფორმაციის მიღებას. შესაბამისად, სისტემის უსაფრთხოების მექანიზმის შექმნის ერთ-ერთ მიდგომას წარმოადგენს განხილვა იმ საფრთხეებისა და სავარაუდო თავდასხმებისა, რომელთა წინაშე დგას სისტემა, იმის გათვალისწინებით, რომ სისტემას ხარვეზები გააჩნია. უსაფრთხოების მექანიზმებმა უნდა უზრუნველყონ სისტემის უსაფრთხოება მოცემული თავდასხმებისა და ხარვეზების გათვალისწინებით.

უსაფრთხოების პოლიტიკის შემუშავებაში იგულისხმება ქსელურ და სერვერულ აპარატურაში უცხო პირის მხრიდან არასანქცირებული შეღწევისგან თავდაცვა, სერვერებზე განთავსებული მონაცემების დაცულობა, ელექტრონული ფოსტის სისტემისა თუ კომპანიის ვებ-საიტის ხელშეუხებლობა და ა.შ. ამისათვის უნდა იქნას შემუშავებული მთელი რიგი პროცესები, რომელიც უზრუნველყოფენ საერთო დაცულობას. ქსელის უნდა იყოს დამიფრული და უნდა გააჩნდეს დაშვების (ხელმისაწვდომობის) კონტროლის არჩევანის საშუალება. საჭიროა აპარატურის დაცვა რთული პაროლით აპარატურაში აუტენტიფიკაცია AAA\Radius სერვერის საშუალებით. ამ მეთოდში იგულისხმება მოწყობილობაზე აუტენტიფიკაცია მოშორებული სერვერის საშუალებით, სადაც ინახება მომხმარებლების და მათი პაროლების შესახებ ინფორმაცია.

ტრაფიკის ფილტრაცია არის უსაფრთხოების დაცვის ერთ-ერთი ფორმა. გარე ქსელიდან შიდა ქსელში დაშვებული უნდა იყოს მხოლოდ ისეთი ტრაფიკი, რომელიც წარმოშობილია შიდა ქსელის კომპიუტერებიდან. შიდა ქსელში ჩართული უნდა იყოს მხოლოდ ორგანიზაციის კომპიუტერები და არ უნდა მოხდეს უცხო კომპიუტერის ჩართვა. უნდა დაყენდეს ფაიერვოლი (Firewall), რომელიც არის აპარატურული მოწყობილობა (დიდი კომპიუტერული ქსელისთვის) ან პროგრამული უზრუნველყოფა, (პერსონალური კომპიუტერისათვის) რომელიც აკვირდება ქსელის და ინტერნეტის კომუნიკაციას თქვენს კომპიუტერამდე და მის გარეთ. ფაიერვოლი მოქმედებს როგორც ბარიერი და ამოწმებს იმ ინფორმაციის შინაარსს, რომელიც თქვენს პერსონალურ კომპიუტერში იგზავნება ინტერნეტით ან სხვა ქსელით. თქვენი ფაიერვოლის კონფიგურაციაზე დამოკიდებული თუ რა შინაარსის ინფორმაციასთან გექნება ხელმისაწვდომობა და რომელი ინფორმაცია დაიბლოკება. ფაიერვოლი ლებულობს გადაწყვეტილებას პაკეტის გატარების ან დაბლოკვის შესახებ წესების ბაზის საფუძველზე.

უსადენო ქსელების უსაფრთხოება საგრძნობლად განსხვავდება კაბელური ვარიანტის უსაფრთხოებისგან, რის მიზეზსაც გადაცემის ფორმა წარმოადგენს. უსადენო გარემოში კავშირისას გადაცემული და მიღებული სიგნალები ჰაერში მოგზაურობს. შესაბამისად, ნებისმიერ კვანძს, რომელიც

გამგზავნი კვანძის გადაცემის დიაპაზონში მდებარეობს და იცის საოპერაციო სიხშირე და სხვა ფიზიკური დონის ატრიბუტები (მოდულაცია, კოდირება და ა.შ.), პოტენციურად შეუძლია სიგნალის გაშიფვრა იმგვარად, რომ გამგზავნს ან სავარაუდო მიმღებს არაფერი ეცოდინება აღნიშნული შეჭრის შესახებ.

პრობლემის გადაწყვეტა მდგომარეობს იმაში, რომ მოხდეს იმ ინფორმაციის დაშიფვრა, რომელიც გადაეცემა უსადენო მოწყობილობებსა და საბაზისო სადგურებს შორის. დაშიფვრის პროცესის დროს მონაცემთა ბიტები იცვლება საიდუმლო გასაღების დახმარებით. რადგანაც გასაღები საიდუმლოა, ჰაკერს არ შეუძლია მონაცემების ამოშიფვრა. აქედან გამომდინარე, ეფექტური მექანიზმების გამოყენების ხარჯზე დაშიფვრას შეუძლია აამაღლოს მონაცემთა დაცულობა. ინფორმაციის დაცულობის მიზნით შესაძლებელია სხვადასხვა პროტოკოლების გამოყენება. კრიპტოგრაფიული პროტოკოლი წარმოადგენს აბსტრაქტულ ან კონკრეტულ პროტოკოლს, რომელიც განახორციელებს უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ ფუნქციებს და იყენებს კრიპტოგრაფიულ მეთოდებს. პროტოკოლი ცალსახად განსაზღვრავს, რომელი კრიპტოგრაფიული ალგორითმები, როგორ და რა მიმდევრობით უნდა იქნას გამოყენებული მოცემული ამოცანის რეალიზებისათვის. კრიპტოგრაფიული პროტოკოლები ფართოდ გამოიყენება პროგრამულ დონეზე დაცული კომუნიკაციებისათვის და შემდეგი ასპექტებიდან მინიმუმს მაინც მოიცავს: 1) გასაღების ურთიერთშეთანხმებას; 2) აუტენტიფიკაციას; 3) სიმეტრიულ შიფრაციას და შეტყობინების მთლიანობის შემოწმების უზრუნველყოფას; 4) პროგრამულ დონეზე მონაცემების გაცვლის უზრუნველყოფას; 5) უარყოფისგან დაცვის მექანიზმებს;

დაცული პროტოკოლების მაგალითებია: HTTPS, SFTP, SSH, IPSEC და სხვა.

HTTPS - HTTP პროტოკოლის დაცული ვერსია. გამოიყენება ვებ გვერდებზე შესვლისას. როგორც წესი http პროტოკოლი არხში გადის ღია, დაუშიფრავ ტექსტად და მისი წაკითხვა ნებისმიერ პროგრამას შეუძლია. ამ დაცული პროტოკოლით კი საშუალება გვაქვს დავშიფროთ შიდა ინფორმაცია (საიდანაც იღებს მონაცემებს სისტემა) და ისე გადავცეთ მიმღებს. ეს პროტოკოლი ძირითადად გამოიყენება ინტერნეტ საიტებიდან საბანკო ოპერაციების ჩატარებისას, სისტემაში შესვლის დროს, ელექტრონული ფოსტის შემოწმებისას.

SFTP - Secure File Transfer Protocol ეს პროტოკოლიც არის FTP-ს დაცული ვერსია. მისი საშუალებითაც ანალოგიურად ხდება ინფორმაციის დაშიფვრა და სერვერზე ატვირთვა.

SSH - Secure Shell პროტოკოლი გამოიყენება სხვადასხვა ქსელურ და სერვერულ აპარატურაზე კავშირის დასამყარებლად და კონფიგურაციის გასამართად. იგი http-ს მსგავსად დაუშიფრავ ინფორმაციას გზავნის.

IPSEC - Internet Protocol Security ამ პროტოკოლის საშუალებით დგება VPN გვირაბი ორ დაშორებულ ოფისს შორის და მონაცემების გადაცემა ხდება დაშიფრულად. IPsec გულისხმობს IP პროტოკოლის „კაფსულირებას“ და პაკეტის დაშიფვრას ახალ პაკეტად. სხვა პროტოკოლებისგან განსხვავებით იგი მუშაობს OSI მოდელის ქვედა დონეზე (Network layer) და შიფრავს მთლიანად პაკეტს.

კომპანიების უმრავლესობა საკმაოდ მსუბუქად უყურებს უსადენო ქსელების გამართვის პროცესს და ამ დროს იყენებს საბაზისო სადგურების კონფიგურაციას, რომელიც თავიდანვე განსაზღვრული და ვერ უზრუნველყოფს უსაფრთხოების საჭირო ზომებს. შესაბამისად ისინი მალევე ხდებიან ჰაკერების მსხვერპლი და დიდი დანაკარგების შემდეგ ცდილობენ უკვე მოიყვანონ თავიანთი ქსელი დაცულ მდგომარეობაში.

### 3. დასკვნა

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ჩანს, რომ უსადენო ქსელები წარმატებით შეიძლება იქნას გამოყენებული უამრავ სფეროში, თუმცა უსადენო ქსელების უსაფრთხოების საკითხები სერიოზულ ბარიერს წარმოადგენს მათი ფართოდ დანერგვისათვის. უსადენო ქსელები, ჩვეულებრივ, არ არის დამოკიდებული საოფისე გარემოში არსებულ ტრადიციულ ინფრასტრუქტურაზე, როგორც არის დენის წყარო, მაღალი გამტარუნარიანობა, მუდმივი კავშირი, საერთო ქსელური სერვისი, სტატიკური კონფიგურაცია, სისტემის ადმინისტრირება და ფიზიკური უსაფრთხოება. ადეკვატური უსაფრთხოების

გარეშე სხვადასხვა ორგანიზაციების უმრავლესობა უარს იტყვის უსადენო ქსელების გამოყენებაზე, სამთავრობო უწყებები აკრძალავენ უსადენო ქსელების გამოყენებას, შესაბამისად, მსგავსი უსადენო ქსელების უსაფრთხოება მნიშვნელოვანი საკითხია, რაზეც უნდა გამახვილდეს ყურადღება, თუკი ასეთი ქსელების გამოყენება ფართოდ დაინერგება.

#### ლიტერატურა - References – Литература:

1. შონია ო., ნარემელაშვილი გ., ქართველიშვილი ი. უმავთულო ქსელების უსაფრთხოება. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი 2009.
2. Tyler Wrightson. Wireless Network Security, ISBN: 978-0-07-176095-9, U.S.A. 2012. CD-4126.

### WIRELESS NETWORKS, ISSUES RELATED TO SECURITY AND ANALYSIS

Kashibadze Marina, Okhanashvili Maia, Kartvelishvili Ioseb

Georgian Technical University

marinakash16@mail.ru, m.okhanashvili@gtu.ge, s.kartvelishvili@gtu.ge

#### Summary

The paper presents wireless networks, issues related to the security and their analysis. Their functions and benefits in different conditions are discussed in detail. An example of wireless networks is represented as a drawing. All types of wireless networks are discussed, each of them characterized by its properties, describing their structural characteristics and methods of use.

## ვირტუალური კერძო ქსელის (VPN) აგების კონცეფცია, ქსელის ფუნქციები და მათი კლასიფიკაცია

ლუკა შონია, იოსებ ქართველიშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

s.kartvelishvili@gtu.ge

#### რეზიუმე

წარმოდგენილია ვირტუალური კერძო ქსელების VPN (Virtual Private Network) აგების ტექნოლოგია, რომელიც უსაფრთხო კავშირის არხის შესაქმნელად დღეისათვის ერთ-ერთ ყველაზე ოპტიმალურ ვარიანტს წარმოადგენს. ინფორმაციული ტექნოლოგიები გადამწყვეტ როლს თამაშობენ ნებისმიერი კომპანიის ეფექტურად ფუნქციონირებასა და მართვაში. საჭირო ინფორმაციის ოპერატიულად ხელმისაწვდომობის პირობებში შესაძლებელია სწორად შევასაღებოთ მიმდინარე სიტუაცია და მიღებული იქნას დროული გადაწყვეტილება. იმავდროულად, ინფორმაცია ხელმისაწვდომი უნდა იყოს მხოლოდ მათთვის, ვისთვისაც ის განკუთვნილია და დაფარული სხვა უცხო პირთათვის.

**საკვანძო სიტყვები:** ვირტუალური კერძო ქსელი. უსაფრთხო კავშირი. დაცული გვირაბი.

#### 1. შესავალი

მას შემდეგ, რაც სხვადასხვა კომპანიებმა და ორგანიზაციებმა თავიანთ საქმიანობაში აქტიურად დაიწყეს კომპიუტერების გამოყენება, გაჩნდა მოთხოვნილება იმისა, რომ ეს კომპიუტერები, მონაცემთა სწრაფი გადაცემისთვის და ეფექტური ურთიერთქმედებისთვის, გაერთიანებული ყოფილიყვნენ ერთ საერთო ქსელში, ამასთან, ეს კავშირი აუცილებლად უნდა ყოფილიყო საიმედო და დაცული. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ორგანიზაციები დაინტერესდნენ ინტერნეტ არხების გამოყენების შესაძლებლობებით. თუმცა, ინტერნეტის აგების პრინციპები ბოროტმოქმედებს შესაძლებლობას უქმნის, მოიპარონ და განზრახ დაამახინჯონ ინფორმაცია. კორპორაციული და საუწყებო ქსელები, რომლებიც დაფუძნებულია TCP/IP პროტოკოლების ბაზაზე და აგებულია სტანდარტულ ინტერნეტ-დანართებზე (E-mail, Web, FTP), უცხო პირთა შეჭრისგან გარანტირებული არ არის.

## 2. ძირითადი ნაწილი

ბიზნესსა თუ საბანკო სფეროში ქსელური იერიშების წინააღმდეგ ეფექტურად საბრძოლველად და კომპიუტერული ქსელის აქტიური და უსაფრთხო გამოყენების შესაძლებლობის უზრუნველსაყოფად, XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში შეიქმნა და აქტიურად ვითარდება ვირტუალური კერძო ქსელების აგების კონცეფცია – VPN (Virtual Private Network). სიტყვა „ვირტუალური“ VPN ტერმინში ჩართულია იმისათვის, რათა ხაზი გაესვას, რომ ორ კვანძს შორის შეერთება განხილული უნდა იყოს, როგორც დროებითი, რამდენადაც ის არ არის მუდმივი (მყარი) შეერთება და არსებობს მხოლოდ ღია ქსელში ინფორმაციული ნაკადების გადაცემის დროს. ვირტუალური კერძო გვირაბებისა და ქსელების ტექნიკური რეალიზაცია ისტორიულად მიმდინარეობდა ორი მიმართულებით:

- ვირტუალური არხების ორგანიზაციის ჩამოყალიბებული მექანიზმების გამოყენების გზით, ქსელის საერთო ინფრასტრუქტურის ორ წერტილს შორის შეერთების შერწყმის აგება (frame relay), რომელიც იზოლირებულია სხვა მომხმარებლებისგან;

- გვირაბის შექმნის ტექნოლოგიის გამოყენების გზით ქსელის ორ კვანძს შორის ვირტუალური IP-გვირაბის აგება, რომლის დროსაც ყოველი IP-პაკეტი იშიფრება და გადაინაცვლებს სპეციალური სახის ახალი პაკეტის მონაცემთა ველში.

ვირტუალური კერძო ქსელის შექმნისთვის პირველი თანამედროვე ქსელური ტექნოლოგია გახდა კადრების რეტრანსლაციის სამსახური (frame relay). აღნიშნული ქსელი ამარტივებს შეერთებების შექმნას, რადგან, იმისთვის, რომ იმუშაოს, საჭიროა მხოლოდ კვანძის მიერთება პროვაიდერთან. მარშრუტიზატორები კი მონაცემებს თვითონ მიმართავენ საჭირო მისამართისკენ, ამასთან, მისი გამოყენება გაცილებით იაფია. თუმცა, frame relay ქსელი არ პასუხობდა მობილური მომხმარებლების მოთხოვნებს და ორგანიზაციები იძულებული ხდებოდნენ გამოეყენებინათ მოდემური კავშირი, რაც მობილური ჩართვების მოთხოვნილებების გაზრდის შესაძლებლობას არ იძლევა. აქედან გამომდინარე, საჭირო გახდა საერთო გადაწყვეტილების მიღება, რომელიც უზრუნველყოფდა არა მარტო კორპორაციული ტრაფიკის უსაფრთხოებას, არამედ მოქნილობას ჩართვისა და გამართვის დროს.

მას შემდეგ, რაც გაჩნდა ქსელური სერვისები, დაცალკევებული ქსელების კვანძების შეერთებისთვის, შესაძლებელი გახდა ვირტუალური კერძო (დაცული) ქსელის, VPN-ის აქტიურად გამოყენება, რომელიც დაფუძნებულია ინტერნეტის ბაზაზე. ასეთი გადაწყვეტა გაცილებით იაფი აღმოჩნდა, წინა მიდგომებთან შედარებით. ყოველივე ამან, შესაძლო გახდა აქტიურად ყოფილიყო გამოყენებული ინტერნეტის ერთ-ერთი ძირითადი ღირსება – იოლი ხელმისაწვდომობა. აქედან გამომდინარე, ნებისმიერ ადამიანს ინტერნეტ კავშირის დახმარებით ადვილად შეეძლო ბანკთან ან სხვადასხვა კომპანიასთან დაკავშირება დედამიწის ნებისმიერი წერტილიდან. თუმცა, ინტერნეტ მონაცემების გახსნილობიდან გამომდინარე, ამ ქსელით გადაცემული მონაცემები ყველასთვის ხელმისაწვდომია მისი წაკითხვისა თუ ცვლილების მიზნით. ამიტომ ინტერნეტზე დაფუძნებულ VPN ქსელებს გააჩნიათ VPN კვანძებს შორის გადაცემული ინფორმაციების დაცვის საშუალებები. ამის გამო, მოცემულ ქსელებს ჩვეულებრივ უწოდებენ ვირტუალურ დაცულ ქსელებს VPN (Virtual Private Networks), ტერმინი Private ამ კონტექსტში ნიშნავს „კერძოს“, „დაცულს“.

ინტერნეტის ბაზაზე აგებული VPN ქსელის საფუძველს წარმოადგენს ორი ძირითადი ტექნოლოგია. პირველი – ეს არის გვირაბის წარმოქმნა (ტუნელირება), რომელიც საშუალებას იძლევა შეიქმნას ვირტუალური არხები, მეორე არის გადაცემული ინფორმაციების კონფიდენციალობისა და უზნებლობის უზრუნველყოფის, ასევე მომხმარებლის აუტენტიფიკაციისა და ავტორიზაციის სხვადასხვა მეთოდი. აუტენტიფიკაცია (Authentication) არის უტყუარობის მტკიცება, სუბიექტისა და მისი შესაბამისობის შემოწმების პროცედურა, უნიკალური ინფორმაციის, უმარტივეს შემთხვევაში – სახელისა და პაროლის დახმარებით. ავტორიზაცია (Authorization) აუცილებელი პარამეტრების შემოწმების პროცესია, ასევე პროცესის შედეგი და პირზე ან პირთა ჯგუფზე განსაზღვრული უფლებამოსილების გადაცემა (ხელმისაწვდომობის უფლება), შეზღუდული ხელმისაწვდომობის სხვადასხვა სისტემაში ზოგიერთი მოქმედების შესასრულებლად. VPN ტექნოლოგიის განვითარებამ გამოიწვია მისი დაკავშირება ინფორმაციის დაცვის კრიპტოგრაფიულ მეთოდებთან.

ვირტუალურად დაცული ქსელების აგების კონცეფციას საფუძვლად უდევს საკმაოდ მარტივი იდეა: თუ გლობალურ ქსელში არის ორი კვანძი, რომელთაც უნდათ ინფორმაციის გაცვლა, მაშინ ამ ორ კვანძს შორის აუცილებელია აიგოს ვირტუალურად დაცული გვირაბი, ღია ქსელით გადაცემული

ინფორმაციის კონფიდენციალობისა და დაუზიანებლობის უზრუნველსაყოფად. ამ გვირგვინთან ხელმისაწვდომობა უნდა იყოს ძალიან გართულებული, ყველა შესაძლო აქტიური და პასიური გარე დამკვირვებლისათვის. მაგალითად, ასეთი ვირტუალური გვირგვინების შექმნით ბანკებს შეუძლიათ მიიღონ ფინანსური საშუალებების მნიშვნელოვანი ეკონომია. ბანკს შეუძლია უარი თქვას საკუთარი Internet/extranet-ქსელების შექმნისთვის ძვირადღირებული განცალკევებული არხების აგებაზე ან იჯარაზე და გამოიყენოს ამისთვის იაფი ინტერნეტ-არხები, რომლის გადაცემის სიჩქარე და საიმედოობა არ ჩამორჩება განცალკევებულ ხაზებს. თუმცა, კორპორაციული ლოკალური ქსელის ღია ქსელთან ჩართვისას ჩნდება ორი ძირითადი ტიპის თავდასხმის საფრთხე:


- კორპორაციული ლოკალური ქსელების შიგა რესურსებთან არასანქცირებული წვდომა, რომელსაც ბოროტმოქმედი იღებს ამ ქსელში არავტორიზებული შესვლის შედეგად;
- კორპორაციულ მონაცემებთან არასანქცირებული წვდომა, ღია ქსელში მათი გადაცემის პროცესში.

ლოკალური ქსელებისა და ცალკეული კომპიუტერების ღია ქსელით, კერძოდ ინტერნეტ ქსელით საინფორმაციო ურთიერთქმედების უსაფრთხოების უზრუნველყოფა შესაძლებელია შემდეგი ამოცანების ეფექტურად გადაჭრის გზით:

- ღია არხებთან ჩართული ლოკალური ქსელებისა და მოქმედი კომპიუტერების კავშირების დაცვა გარედან არავტორიზებული მოქმედებისგან;
- ინფორმაციის დაცვა, მისი კავშირის ღია არხებით გადაცემის პროცესში.

ლოკალური ქსელებისა და ცალკეული კომპიუტერების გარემოდან არასანქცირებული მოქმედებისგან დასაცავად, ჩვეულებრივ იყენებენ ქსელთაშორის ეკრანებს (Firewalls). მას ათავსებენ ლოკალურ და ღია ქსელებს შორის. ცალკეული დაშორებული კომპიუტერის დაცვისთვის, რომელიც შეერთებულია ღია ქსელში, ამ კომპიუტერზე აინსტალირებენ ქსელური ეკრანის პროგრამულ უზრუნველყოფას და ასეთ ქსელურ ეკრანს უწოდებენ პერსონალურს.

ინფორმაციის დაცვა ღია არხებით მისი გადაცემის პროცესში დაფუძნებულია ვირტუალური დაცული VPN ქსელების გამოყენებაზე. ვირტუალურად დაცულ VPN ქსელებს უწოდებენ ლოკალური ქსელებისა და ცალკეული კომპიუტერების გაერთიანებას ერთიან ვირტუალურ კორპორაციულ ქსელში, რომელიც უზრუნველყოფს ცირკულირებად მონაცემთა უსაფრთხოებას. ვირტუალური დაცული VPN ქსელები ფორმირდება ვირტუალური დაცული კავშირის არხების აგების გზით. ამ ვირტუალურ დაცულ კავშირის ხაზებს უწოდებენ VPN გვირგვინებს. VPN ქსელი საშუალებას იძლევა VPN გვირგვინების დახმარებით ერთმანეთთან დააკავშიროს ცენტრალური ოფისი, ფილიალების ოფისები, ბიზნეს-პარტნიორების ოფისები, მომხმარებლები, იმისათვის რომ ინტერნეტის საშუალებით უსაფრთხოდ მოხდეს ინფორმაციის მიმოცვლა (ნახ.1).



ნახ.1. VPN ქსელი

VPN გვირგვინი წარმოადგენს ღია ქსელში დამყარებულ კავშირს, რომლითაც გადაეცემა ვირტუალური ქსელის შეტყობინებების კრიპტოგრაფიულად დაცული ინფორმაციული პაკეტები. ინფორმაციის დაცვა, მისი VPN გვირგვინით გადაცემის პროცესში დაფუძნებულია შემდეგი ფუნქციების შესრულებასთან: – ურთიერთმოქმედი მხარეების აუტენტიფიკაცია; – გადასაცემი მონაცემების კრიპტოგრაფიული დაშიფვრა; – გადაცემული ინფორმაციის უტყუარობისა და უვნებლობის შემოწმება.

ასეთი დაცვის ეფექტურობა უზრუნველყოფილია სიმეტრიული და ასიმეტრიული კრიპტოგრაფიული სისტემების ერთობლივი გამოყენების ხარჯზე. VPN მოწყობილობებით ფორმირებულ VPN გვირგვინს გააჩნია დაცული გამოყოფილი ხაზის თვისებები. ამასთან, ეს დაცული გამოყოფილი ხაზი იმლება საერთო კავშირის მქონე ქსელის ჩარჩოებში, მაგალითად, ინტერნეტ VPN მოწყობილობებს ვირტუალურ კერძო ქსელებში შეუძლიათ ითამაშონ VPN-კლიენტის ან VPN-სერვერის როლი. VPN-კლიენტი წარმოადგენს პროგრამულ ან პროგრამულ-აპარატულ კომპლექსს, რომელიც ჩვეულებრივ სრულდება პერსონალური კომპიუტერის ბაზაზე. მისი ქსელური პროგრამული უზრუნველყოფა მოდიფიცირდება ინფორმაციული ნაკადის დაშიფვრისა და აუტენტიფიკაციის შესასრულებლად, რომლითაც ეს



მოწყობილობა ურთიერთგაცვლის ოპერაციებს ატარებს სხვა VPN-კლიენტებთან ან VPN-სერვერებთან. VPN-სერვერი წარმოადგენს პროგრამულ ან პროგრამულ-აპარატულ კომპლექსს, რომელიც დაყენებულია კომპიუტერზე და ასრულებს სერვერის ფუნქციებს. VPN-სერვერი უზრუნველყოფს სერვერების დაცვას გარემოდან არასანქცირებული წვდომისგან, ასევე ცალკეულ კომპიუტერებთან და შესაბამისი VPN-პროდუქტებით დაცული ლოკალური ქსელის სეგმენტის კომპიუტერებთან დაცული შეერთების ორგანიზაციას. VPN-სერვერი წარმოადგენს VPN-კლიენტის ფუნქციონალურ ანალოგს, სერვერული პლატფორმისთვის. ის, უპირველეს ყოვლისა, გამოირჩევა გაფართოებული რესურსებით, VPN-კლიენტებთან მრავალრიცხოვანი შეერთებების მხარდასაჭერად. VPN-სერვერს აგრეთვე შეუძლია მხარი დაუჭიროს მობილურ მომხმარებელთან დაცულ შეერთებასაც.

ვირტუალურად დაცული კერძო VPN ქსელების აგების ტექნოლოგიები სულ უფრო და უფრო მეტ ყურადღებას იქცევს მსხვილი კომპანიების მხრიდან (ბანკები, უწყებები, მსხვილი სახელმწიფო სტრუქტურები და სხვ.). მსგავსი ინტერესის მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ VPN ტექნოლოგიები ასეთ კომპანიებს საშუალებას აძლევს, არა მარტო მნიშვნელოვნად შეამციროს თავიანთი ხარჯები დამორებული ქვეგანყოფილებებთან (ფილიალებთან) დასაკავშირებლად გამოყოფილი არხების გასამართავად, არამედ ამაღლოს ინფორმაციის გაცვლის კონფიდენციალობა. VPN-ის გამოყენება უზრუნველყოფს დაცული გვირგვინის ორგანიზებას, როგორც კომპანიის ოფისებს შორის, ისე ცალკეულ მუშა სადგურებსა და სერვერებთან. ამასთან, მნიშვნელობა არ აქვს, ინტერნეტის რომელი პროვაიდერით ჩაერთვება კონკრეტული მუშა სადგური საწარმოს დაცულ რესურსებთან. ყველაფერს, რასაც უცხო დამკვირვებელი დაინახავს, არის ჩვეულებრივი IP-პაკეტების ნაკადი, ამოუცნობი შიგთავსით. მოდემების ან გამოყოფილი ხაზების საშუალებით ინტერნეტ მომხმარებლებს შორის დაკავშირების ტრადიციული მეთოდის ნაცვლად შემოდის ვირტუალური კერძო ქსელები – VPN, რომლებიც მომხმარებლებს საშუალებას აძლევს თავისუფლად დაუკავშირდნენ ერთმანეთს ინტერნეტის საშუალებით. არსებობს VPN კლასიფიკაციის სხვადასხვა ვარიანტი. ტექნიკური გადაწყვეტილების არქიტექტურის მიხედვით გამოიყოფა ვირტუალური კერძო ქსელების სამი ძირითადი სახე: შიდაკორპორაციული VPN; VPN დამორებული წვდომით; კორპორაციათაშორისი VPN. შიდაკორპორაციული ქსელები VPN (Intranet VPN) განკუთვნილია საწარმოს შიგნით ქვეგანყოფილებების ან საწარმოთა ჯგუფებს შორის დაცული ურთიერთქმედების უზრუნველსაყოფად, რომლებიც გაერთიანებული არიან კავშირის კორპორაციული ქსელებით, გამოყოფილი ხაზების ჩათვლით. ვირტუალური კერძო ქსელები VPN დამორებული წვდომით (Remote Access VPN) განკუთვნილია დამორებულ კორპორაციულ ინფორმაციულ რესურსებს შორის უსაფრთხო წვდომის უზრუნველსაყოფად. კორპორაციათაშორისი VPN (Extranet VPN) გათვალისწინებულია სტრატეგიულ პარტნიორებს შორის ინფორმაციის უსაფრთხო გაცვლის უზრუნველსაყოფად. აგრეთვე უზრუნველყოფს პირდაპირ წვდომას ერთი კომპანიის ქსელიდან მეორე კომპანიის ქსელთან და ამით ხელს უწყობს კავშირის საიმედოობას.

### 3. დასკვნა

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მოშორებულ კომპიუტერებს შორის, რომლებიც იყენებენ გლობალური ქსელის – ინტერნეტის ინფრასტრუქტურას, უსაფრთხო კავშირის არხის შექმნისთვის, ვირტუალური კერძო ქსელების VPN (Virtual Private Network) აგების ტექნოლოგია დღეისათვის წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე ოპტიმალურ ვარიანტს. წამოჭრილი საკითხი უადრესად აქტუალურია, ვინაიდან საიმედო კავშირი, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია გადაიცეს კონფიდენციალური ინფორმაცია, აუცილებელია ადამიანის მოღვაწეობის უამრავ სფეროში, მაგალითად, საბანკო საქმეში, ელექტრონულ კომერციაში და სხვა. ვირტუალური კერძო ქსელები ძალზედ მოსახერხებელია აღნიშნული ამოცანის გადასაჭრელად და ადამიანების უმრავლესობა გლობალურ ქსელში სხვადასხვა ტიპის კავშირების დასამყარებლად VPN ტექნოლოგიას მიიჩნევს ერთ-ერთ ყველაზე მძლავრ და მოსახერხებელ საშუალებად.

### ლიტერატურა - References – Литература

1. ქართველიშვილი ი, შონია ო., ბერიძე ზ., შონია ი. (2012). ვირტუალურ კერძო ქსელებში (VPN) სიმბოლოების დაშიფრვის კომბინირებული მეთოდი. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მართვის ავტომატიზებული სისტემები N1(12), თბილისი
2. Markus Feilner. (2007). OpenVPN - Building and Integrating Virtual Private Networks.

## CONCEPT OF BUILDING A VIRTUAL PRIVATE NETWORK (VPN), NETWORK FUNCTIONS AND THEIR CLASSIFICATION

Luka Shonia, Ioseb Kartvelishvili  
Georgian Technical University  
s.kartvelishvili@gtu.ge

### Summary

In article the technology of creation of the virtual private networks (VPN), which is one of the optimum variants for creation of secure channel of communication is considered. Information technologies play a crucial role in effective functioning and control for any companies. In the conditions of operational accessibility of necessary information it is possible adequate evaluation of current situation and making timely decision. At the same time, information must be available only to those to whom it is intended and unavailable to all remaining.

## შიფრირების ალგორითმების გამოყენება ღრუბლოვანი კომპიუტინგის უსაფრთხოებისათვის

თინათინ მშვიდობაძე  
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
tinikomshvidobadze@gmail.com

### რეზიუმე

განხილულია ღრუბლოვანი კომპიუტინგის თავისებურებები, ტექნოლოგიური შესაძლებლობები, რომლებიც შეთავაზებულია როგორც სერვისი. წარმოდგენილია Cloud Computing-ის უსაფრთხოების საკითხები, მექანიზმები და გამოწვევები, რომლებიც სერვის პროვაიდერის წინაშე დგას და ნაჩვენებია სხვადასხვა უსაფრთხოების ალგორითმების დახასიათება.

**საკვანძო სიტყვები:** შიფრირების ალგორითმები. აუდენტიფიკაცია. სერვის პროვაიდერი, ღრუბლოვანი მონაცემები.

### 1. შესავალი

ღრუბლოვანი კომპიუტინგი (Cloud Computing) არის ახალი განვითარებადი პარადიგმა განაწილებულ გამოთვლებში. ღრუბლის მომხმარებლები იყენებენ Cloud პროვაიდერების მიერ მიწოდებულ სერვისებს საკუთარი განაცხადების შესაქმნელად და ინტერნეტში გამოსაქვეყნებლად საბოლოო მომხმარებლისათვის, რომლებიც ემყარება მომსახურების დონის (SLA) შეთანხმებებს, მომსახურების მიმწოდებლებსა და მომსახურების მომხმარებელთა შორის. Cloud Computing-ს გააჩნია სხვადასხვა გამოწვევები, როგორცაა რესურსების მართვა, უსაფრთხოება, შესრულების საკითხები, სეგრეგაცია, საიმედოობა და ა.შ. მაგრამ უსაფრთხოება ითვლება ერთ-ერთ ყველაზე კრიტიკულ ასპექტად ყოველდღიურ გამოთვლებში.

ზოგადად Cloud Computing-ს ყავს რამოდენიმე მომხმარებელი: ჩვეულებრივი მომხმარებლები, აკადემიური წრეები და საწარმოები, რომლებსაც განსხვავებული მოტივაცია აქვთ ღრუბელთან წვდომისას [1]. განვიხილავთ Cloud კომპიუტინგის უსაფრთხოების დამოფერის ალგორითმებს ჩვეულებრივი მომხმარებლისათვის (USER\_CLOUD). ეს ალგორითმები შესრულებულია Net Beans IDE 7.3, და Run Java Run Time გარემოში, შიფრირების და განშიფრის ალგორითმების სახით და ასევე ნაჩვენებია შედარება მათი მახასიათებლების საფუძველზე.

### 2. უსაფრთხოების ალგორითმები და მათი გამოყენება

#### CLOUD კომპიუტინგში

ალგორითმები, როგორცაა: RSA, AES, Blowfish გამოკვლეული და შედარებული იქნა მონაცემთა უსაფრთხოების დაცვის კუთხით.

**RSA ალგორითმი** - RSA არის საჯარო ასიმეტრიული ალგორითმი, რომელიც იყენებს სხვადასხვა გასაღებებს დაშიფრის და განშიფრის მიზნით. ძირითადი ზომა RSA ალგორითმის არის 1024 ბიტი. იგი გამოიყენება, რათა უზრუნველყოს მონაცემთა უსაფრთხოება Cloud კომპიუტინგში. დაშიფრული მონაცემები ინახება ღრუბელში, მხოლოდ დაინტერესებულ და უფლებამოსილ წევრებს შეუძლიათ მასზე წვდომა. ამიტომ მოთხოვნა შეიძლება განთავსდეს Cloud პროვაიდერზე. Cloud პროვაიდერი მოახდენს

მომხმარებლის აუდენტიფიკაციას და აწვდის მას მონაცემებს. ამ შემთხვევაში RSA არის შიფრის ბლოკი, რომელშიც ყველა გზავნილი მიმაგრებულია როგორც მთლიანი რიცხვი. ამრიგად, კოდირება ხდება Cloud სერვისის პროვაიდერის მიერ, განშიფრვა კი ხდება ღრუბლის მომხმარებლის მიერ.


**AES ალგორითმი** - AES(Advanced Encryption Standard) – სტანდარტული შიფრირების სიმეტრიული საკვანძო კოდირების ალგორითმი გამოიყენება 128 ბიტანი ზომის გასაღებით ღრუბლის უსაფრთხოებისათვის. შესრულებისას მომხმარებელი წარუდგენს მის მოთხოვნებს ღრუბლის მომსახურების პროვაიდერს(CSP) და ირჩევს პროვაიდერის მიერ მოწოდებულ საუკეთესო მომსახურებას. მონაცემები პირველ რიგში დაშიფრული იქნება AES ალგორითმის გამოყენებით და შემდეგ ეგზავნება პროვაიდერს. ერთხელ დაშიფრული, მონაცემები ატვირთულია ღრუბელში და შემდეგ ჩვეულებრივი ტექსტური მონაცემების წაკითხვა შესაძლებელია მომხმარებლისათვის. ფიზიკური გასაღების მართვის სერვერი შეიძლება დამონტაჟდეს მომხმარებლის შენობაში. ეს შიფრირება იცავს მონაცემებს და გასაღებებს და იძლევა გარანტიას, რომ ისინი დარჩებიან მომხმარებლის კონტროლის ქვეშ.


**BLOWFISH ალგორითმი** - Blowfish არის სიმეტრიული საკვანძო კრიპტოგრაფიული ალგორითმი. Blowfish შიფრავს 64 ბიტან ბლოკებს ცვლადი სიგრძის გასაღებით 128-448 ბიტი. Blowfish - მახაიათებლებია: ა) სისწრაფე - 32-ბიტანი მიკროპროცესორების კოდირების მაჩვენებელი შეადგენს 26 საათიან ციკლს; ბ) კომპაქტურობა - შეიძლება განხორციელდეს 5 კბ-ზე ნაკლებ მეხსიერებაში; გ) სიმარტივე - blowfish-ი იყენებს მხოლოდ პრიმიტიულ ოპერაციებს, მისი დიზაინი და შესრულება მარტივია; დ) უსაფრთხოება - blowfish-ს აქვს ცვლადი გასაღები მაქსიმუმ 448 ბიტანი ზომით, რაც მას უსაფრთხოს და მოქნილს ხდის [2].

**ჰეშირების ალგორითმი MD5** - hash ფუნქციის ალგორითმი ფართოდ გამოიყენება კრიპტოგრაფიაში ცვლადი 128-bit ფიქსირებული სიგრძით. პირველი შეტყობინების გაგზავნის დროს ხდება 512 ბიტანი ბლოკის ერთნაირ ნაწილებად დაყოფა. მონაცემების დაშიფრისათვის იგი იყენებს საჯარო გასაღებს და მიმღები სარგებლობს მისი პირადი გასაღებით განშიფრისათვის [3].

### 3. შესრულება და შედეგები

ალგორითმების შესრულება მოხდა NetBeans IDE-ის გარემოში Java პროგრამის გამოყენებით. კოდირება ალგორითმების გამოყენებით მოცემულია 1-ელ ნახაზზე.





ნახ.1. კოდირება 1-ის გამოყენება ღრუბლოვანი მონაცემების უსაფრთხოებისთვის

ნახ.2. კოდირება 2-ის გამოყენება ღრუბლოვანი მონაცემების უსაფრთხოებისთვის

შედეგები

ალგორითმების დახასიათება და შედარება[4].

ცხრ.1

მახასიათებლები	AES	RSA	BLOWFISH	MD5
პლატფორმა	ღრუბლოვანი კომპიუტინგი	ღრუბლოვანი კომპიუტინგი	ღრუბლოვანი კომპიუტინგი	ღრუბლოვანი კომპიუტინგი
გასაღების ზომა	128,192,256 bits	1024 bits	32-448 bits	128, bits
მასშტაბურობა	მასშტაბური	არა მასშტაბური	მასშტაბური	მასშტაბური
საწყისი ვექტორული ზომა	128 bits	1024 bits	64 bits	128 bits
უსაფრთხოება	პროვაიდერის და მომხმარებლის	მხოლოდ მომხმარებლის	პროვაიდერების და მომხმარებლის	პროვაიდერის და მომხმარებლის
აუდენტიფიკაციის ტიპი	საუკეთესო აუდენტიფიკაციის პროვაიდერი	ძლიერი აუდენტიფიკაციის შემსრულებელი	AES- ის მსგავსი	საუკეთესო აუდენტიფიკაციის პროვაიდერი
მეხსიერების გამოყენება	დაბალ RAM-ს საჭიროებს	მაქსიმალური მეხსიერების	არანაკლებ 5Kb -ის	დაბალ RAM-ს საჭიროებს
შესრულების დრო	სწრაფი, სხვებთან შედარებით	საჭიროებს მაქსიმალურ დროს	საჭიროებს მცირე დროს	სწრაფი, სხვებთან შედარებით

#### 4. დასკვნა

წარმოდგენილია დაშიფვრის ალგორითმები, ღრუბლოვანი მონაცემების დაცვისათვის, უსაფრთხოების პრობლემები, გამოწვევები და შედარება AES, Blowfish და RSA ალგორითმების, საუკეთესო უსაფრთხოების ალგორითმის გამოსავლენად, რომელიც უნდა გამოვიყენოთ Cloud კომპიუტინგში, რათა უზრუნველყოს ღრუბლოვანი მონაცემების დაცვა თავდამსხმელებისაგან. დაშიფვრის ალგორითმები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ მონაცემთა უსაფრთხოებაზე. ალგორითმების სხვადასხვა პარამეტრების შედარებით აღმოჩნდა, რომ AES ალგორითმი იყენებს მცირე დროს ღრუბლოვანი ოპერაციების შესასრულებლად. Blowfish ალგორითმს აქვს მინიმუმი მეხსიერების მოთხოვნა. ამგვარად, Cloud კომპიუტინგ- ში, IDE ინსტრუმენტისა და JDK 1.7- ის გარემოში, ალგორითმების შესრულებისას მიღებული მონაცემებით სასურველი შედეგი მიღწეულია.

#### ლიტერატურა - References – Литература:

1. Pearson S., Benameur A. (2010). Privacy, Security and Trust Issues Arises from Cloud Computing, Cloud Computing Technology and Science (CloudCom), IEEE Second Intern.Conf. 693-702
2. Wang J.K., Xinpei Jia. (2012). Data Security and Authentication in hybrid cloud computing model. Global High Tech Congress on Electronics (GHTCE). IEEE. 117-120
3. Handa K., Singh, U. (2015). Data Security in Cloud Computing using Encryption and Steganography. Intern. Journal of Computer Science and Mobile Computing. V.4, Issue.5. 786-791
4. Peter Mell, Timothy Grance. (2011). The NIST Definition of Cloud Computing. January. [http://docs.ismgcorp.com/files/external/Draft-SP-800-145\\_cloud-definition.pdf](http://docs.ismgcorp.com/files/external/Draft-SP-800-145_cloud-definition.pdf).

## USE ENCRYPTION ALGORITHMS FOR SECURITY OF CLOUD COMPUTING

Tinatin Mshvidobadze

Gori State Teaching University

[tinikomshvidobadze@gmail.com](mailto:tinikomshvidobadze@gmail.com)

### Summary

The paper reviews basic service models of cloud computing. Cloud Computing is based on a decade of research in the field of virtualization, distributed computing, web and software services. It involves service-oriented architecture, characterized by high flexibility and reduces the cost of information technology for the end-user. Is shown the characteristics of cloud computing, technological capabilities offered as service. Reviewed Cloud Computing's security issues, mechanisms and challenges, which are facing the service provider and are characterized by different security algorithms.

## ორამძრავიანი თვლიანი რობოტის კინემატიკური მოდელი

ვლადიმერ კეკენაძე, ინდირა ნატრიაშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

[indiranatriashvili@yahoo.com](mailto:indiranatriashvili@yahoo.com)

### რეზიუმე

განიხილება ორამძრავიანი თვლიანი რობოტის კინემატიკური მოდელი, თვლიანი რობოტი, როგორც სისტემა რომელიც შედგება პლატფორმისაგან და ორი მობრუნებადი სიმეტრიული თვლიანი მოდულისაგან, თვლიანი რობოტების კონსტრუქციები, პლატფორმა, რობოტის გადაადგილება ჰორიზონტალური სიბრტყის გასწვრივ. კონტაქტი თვალსა და საყრდენ სიბრტყეს შორის, თანაფარდობა თვლიანი რობოტის გეომეტრიულ კავშირებს შორის. კონსტრუქცია, რომელიც აღჭურვილია ორი ან მეტი მობრუნებადი სიმეტრიული მოდულით, მათი კოორდინაცია და სიჩქარის მყისიერი ცენტრის პირობა.

**საკვანძო სიტყვები:** თვლიანი რობოტი, პლატფორმა, კონსტრუქციები, პლატფორმის კინეტიკური ენერგია, წრფივი სიჩქარე, მომენტების ვექტორი, ინერციის მომენტი.

1. შესავალი


თანამედროვე მობილური რობოტები წარმოადგენენ რთულ პროგრამულ ტექნიკურ კომპლექსებს, რომლებიც განკუთვნილი არიან სხვადასხვა სირთულის ამოცანების გადასაწყვეტად.

მსგავსი რობოტების უახლესი მოდიფიკაციებს გააჩნია განვითარებული მოძრავი ნაწილის კონსტრუქცია, გამომთვლელი ტექნიკის კიჩო, მარშუტის დაკვირვების ნავიგაციური სისტემა და მგრძნობიარობის ამაღლების მოწყობილობა. ისინი ხასიათდებიან განვითარებული ურთიერთობით გარე ობიექტებთან გაფართოებული შესაძლებლობებით რთული განუსაზღვრელი მაღალი ფუნქციონალური მოქნილობით. ესეთ სისტემებში გეომეტრიული კავშირების გარდა მონაწილეობენ კინემატიკური კავშირები, ანუ კავშირები, რომლებიც ზღუდავენ სისტემის და სხეულების სიჩქარის მნიშვნელობას. ეს შეზღუდვები შეიძლება არ იყოს გეომეტრიული. საბოლოო ჯამში, ბორბლური რობოტის მდგომარეობის აღწერიდან გამომდინარე ცვლადები რომელთაგანაც ყველა არ არის დამოუკიდებელი, ეს იწვევს ბორბლური რობოტის ტექნიკური სისტემების ანალიზსა და სინთეზში ძირითად გართულებებს და ართულებს მართვის სტანდარტული მეთოდების გამოყენებას.

მართვის თეორიის თვალსაზრისით არაგოლონომური კავშირების არსებობა აფერხებს პლანირებისა და მართვის სტანდარტული ალგორითმების გამოყენებას, რომლებიც არიან გამომუშავებული, მაგ: მანიპულაციური რობოტებისთვის. ასეთი სისტემების სტაბილიზების ამოცანა არის არატრივიალური, არაგოლონომური სისტემები ვერ იქნებიან სტაბილიზირებულნი.

2. ორამპრავიანი თვლიანი რობოტის კინემატიკური მოდელი

მაგალითის სახით განვიხილოთ მობილური რობოტის დინამიკური მოდელის აგება, რომელიც შედგება ხისტი (მაგარი) პლატფორმისაგან. იგი აღჭურვილია ორი წამყვანი თვლიანი მოდულებისა და დამატებითი ფლუგელური მოდელისაგან, რომელიც ანიჭებს კონსტრუქციას მდგრადობას (ნახ.1).



ნახ.1

იგულისხმება, რომ რობოტი მოძრაობს სიბრტყის პარალელურად, თვალი არადეფორმირებადია, ხოლო თვლის კონტაქტი სიბრტყესთან არის წერტილოვანი და არ არსებობს მოცურება. განვიხილოთ თვლიანი რობოტი, როგორც სისტემა რომელიც შედგება პლატფორმისაგან და ორი მობრუნებადი სიმეტრიული თვლიანი მოდულისაგან, ლაგრანჟის ფუნქცია ვეძებთ შემდეგი სახით  $L = K + K_1 + K_2$  (1), სადაც რობოტის პლატფორმის კინეტიკური ენერგია განისაზღვრება შემდეგი გამოსახულებიდან:

$$K = \frac{1}{2} (m \dot{y}^T \dot{y} + J \alpha^2), \tag{2}$$

$K_j$  - კინეტიკური ენერგია  $j$ -ური ( $j=1,2$ ) თვლიანი მოდულის განისაზღვრება

$$K_j = \frac{1}{2} (m_j \dot{y}_j^T \dot{y}_j + J_{jz} \alpha^2 + J_{jy} \theta_j^2) \tag{3}$$

აქ  $m$  არის რობოტის პლატფორმის მასა,  $j$  - პლატფორმის ინერციის მომენტი ვერტიკალური ღერძის მიმართ, რომელიც გადის მასის  $c$  წერტილში;  $m_j$  - არის  $j$ -ური თვლიანი რობოტის მასა,

$J_{jz}$  არის წამყვანი თვლის ინერციის მომენტი ვერტიკალური ღერძის მიმართ,

$J_{jy}$  არის წამყვანი თვლის ინერციის მომენტი ჰორიზონტალური ღერძის მიმართ,

$\dot{y}_j$  - არის  $j$ -ური მოდელის მასათა ცენტრის წრფივი სიჩქარის ვექტორი,

$\theta_j$  არის მბრუნავი თვლის კუთხური სიჩქარე ჰორიზონტალური ღერძის მიმართ.

(1.4) განტოლებიდან ვიპოვოთ თანაფარდობა პლატფორმის  $\dot{y}$ ,  $\alpha$  სიჩქარეებსა და  $j$ -ური თვლის ცენტრის  $\dot{y}_j$  წრფივი სიჩქარეებს შორის

$$\begin{aligned} \dot{y}^j &= \dot{y} + \dot{\alpha} T^T(\alpha) E^T z^j \text{ ან ექვივალენტური} \\ \dot{y}^j &= T^T(\alpha) [I, E^T z^j] R(\alpha) \begin{bmatrix} \dot{y} \\ \dot{\alpha} \end{bmatrix} \end{aligned} \tag{5}$$

სადაც  $z^j$  არის  $j$ -ური თვლის ცენტრის კოორდინატები  $CZ_1Z_2$  რობოტის კოორდინატთა სისტემაში.

(5) განტოლების გამოყენებით  $j$ -ური მოდელის კინეტიკური ენერგია შეიძლება წარმოვადგინოთ შემდეგი სახით.

$$K_j = \frac{1}{2} \left( \begin{bmatrix} \dot{y} \\ \dot{\alpha} \end{bmatrix}^T R^T(\alpha) \Lambda_j R(\alpha) \begin{bmatrix} \dot{y} \\ \dot{\alpha} \end{bmatrix} + J_{jz}(\alpha)^2 + J_{jy} \dot{\theta}^2 \right) \quad (6)$$

სადაც  $\Lambda_j$  მე-3 რიგის კვადრატული მატრიცა მოცემულ სახეში

$$\Lambda_j = m_j \begin{bmatrix} I & E^T z^j \\ (z^j)^T E & (z^j)^T z^j \end{bmatrix}$$

(3) და (6) გამოყენებით და  $\theta = \text{col}(\theta_1, \theta_2)$  ნიშნის შემოღებით ლანგრანჟის ფუნქცია (2) ჩაწეროთ შემდეგ სახეში

$$L = \frac{1}{2} \begin{bmatrix} \dot{y} \\ \dot{\alpha} \end{bmatrix}^T R^T(\alpha) \Lambda_j R(\alpha) \begin{bmatrix} \dot{y} \\ \dot{\alpha} \end{bmatrix} + \frac{1}{2} \dot{\theta}^T \Lambda_\theta \dot{\theta}$$

სადაც

$$\Lambda = \text{diag}(mI, J) \Lambda_\mu \Lambda_\beta \Lambda_\mu^T + \Lambda_1 + \Lambda_2; \quad \Lambda_\mu = \begin{bmatrix} 0 & 0 \\ 0 & 0 \\ 1 & 1 \end{bmatrix}; \quad \Lambda_\beta = \text{diag}(J_{1z}, J_{2z});$$

$$\Lambda_\theta = \text{diag}(J_{1y}, J_{2y});$$

უკანასკნელი განტოლებიდან ვპოულობთ

$$L(q, \dot{q}) = \frac{1}{2} \dot{q}^T A(q) \dot{q} \quad (7)$$

სადაც  $q = \text{col}(y, \alpha, \theta)$  არის ლოკალური კოორდინატები

$$M_q = R^2 \times S^1 \times S^1 \times S^1$$

$S^1$  მრავალსახეობის  $A(q)$  არის მე-5 რიგის სიმეტრიული დადებითად განსაზღვრული მატრიცა

$$A(q) = \begin{bmatrix} R^T(\alpha) \Lambda_j R(\alpha) & 0 \\ 0 & \Lambda_\theta \end{bmatrix}$$

ამ შემთხვევაში  $\frac{d}{dt} \frac{\partial L}{\partial \dot{q}} + \frac{\partial L}{\partial q} = f + B\mu$  განტოლება მიიღებს სახეს

$$A(q) \ddot{q} + C(q, \dot{q}) = f + B\mu$$

სადაც  $C(q, \dot{q}) = \begin{bmatrix} \dot{\alpha}^2 R(\alpha) \Lambda_z \\ 0 \end{bmatrix}$ ;  $\Lambda_z = v_1 \begin{bmatrix} z^1 \\ 0 \end{bmatrix} + v_2 \begin{bmatrix} z^2 \\ 0 \end{bmatrix}$ ;  $\mu = \text{col}(\mu_0) \in R^2$

არის მომენტების ვექტორი, მოდებული რობოტის თვლის ჰორიზონტალურ ღერძზე. თვლის მოცურების არარსებობის პირობებში რობოტის განსახილველი მოდელი სრულად არაგოლონომიურია. ვექტორი, რომლიც აღწერს რეაქციის ძალებს, იმ პირობებში როდესაც არ არსებობს მოცურება განისაზღვრება შემდეგი გამოსახულებით

$$f = J^T(q) \lambda = \begin{bmatrix} \dot{T} R(\alpha) & -r & 0 \\ \ddot{T} R(\alpha) & 0 & 0 \end{bmatrix}^T \lambda$$

სადაც  $\lambda \in R^4$  არის ლანგრანჟის თანამამრავლი  $r = \text{diag}(r_1, r_2)$  არის ლანგრანჟის მატრიცა, შედგენილი თვლის რადიუსებისგან,  $T^1, T^n$  მატრიცები იღებენ სახეს

$$T^1 = \begin{bmatrix} 1 & 0 & -d \\ 1 & 0 & d \end{bmatrix}, \quad T^n = \begin{bmatrix} 0 & 1 & 0 \\ 0 & 1 & 0 \end{bmatrix}$$

სადაც  $z_2^1 = d, z_2^2 = -d$ . გარდა ამისა იმ პირობით რომ . გარდა ამისა იმ პირობით რომ  $q \in V_q \subset M_q$  არსებობს ისეთი ფუნქცია

$$v = \text{col}(v_1^1, v_2^1) \in R^2, \text{ რომ}$$

$$\dot{q} = G_q v = \begin{bmatrix} R^T B & 0 \\ r^{-1} \dot{T} B & 0 \end{bmatrix} v, \quad B = \begin{bmatrix} 1 & 0 \\ 0 & 0 \\ 0 & 1 \end{bmatrix}$$

მოცემულ მოდელს აქვს მანევრების ორი ხარისხი

$$K_m = m = 2,$$

ამასთან ის არ არის სტრუქტურულად ჰარბი, სადაც

$K_n = 0$ . მისი მდგომარეობა სრულად ხასიათდება მდგომარეობის  $(q, v)$  ცვლადების ოჯახით. მაშასადამე განსახილველი ორამმრავიანი რობოტის დინამიკური მოდელი აღიწერება განტოლებებით:

$$\begin{bmatrix} \dot{y} \\ \dot{\alpha} \end{bmatrix} = R^T(\alpha) B v^1$$

$$\dot{\theta} = r^{-1} \dot{T} B v^1,$$

$$A_1 v^1 + C_1(v^1) = B^T (\dot{T}^{-1})^T v^{-1} \mu_0$$

სადაც

$$A_1 = B^T (\Lambda + (T^c)^T r^{-1} \Lambda_0 r^{-1} T^c) B, \quad C_1 = G^T C^c (q, v^1)$$

მიღებული განტოლება შეიძლება მივიყვანოთ  $q = G_q(q)v$

$$G_q^T \left( \frac{d}{dt} \frac{\partial L}{\partial \dot{q}} - \frac{\partial L}{\partial q} - B\mu \right) = 0$$

სახეში შემდეგი გარდაქმნის გამოყენებით

$$\mu = F(G_q^T B F)^{-1} (G_q^T C^c + G_q^T A_1 G_q u),$$

სადაც,

$$U = \text{col}(u_1, u_2) \in \mathbb{R}^2; \quad F=1$$

$$G^T C^c (q, v^1) = C_1, \quad G_q^T B = B^T (T^c)^T R^{-1}$$

თვლიანი რობოტის დინამიკური მოდელის საბოლოო განტოლებას ექნება შემდეგი სახე

$$\dot{q} = G_q v \tag{8}$$

$$\dot{v} = u \tag{9}$$

გამომდინარე აქედან თვლიანი რობოტის პლატფორმის მოძრაობის დინამიკური მოდელის განტოლებებს აქვს სახე.

$$\chi \dot{v} = u = G_\chi v \tag{10}$$

$$\dot{v} = u \tag{11}$$

სადაც  $\chi = \text{col}(y, \alpha)$  და  $G_\chi = R^T B$ .

### 3. დასკვნა

თვლიანი არის თვითმავალი თვლიანი მანქანა ავტომატური მართვით. რობოტის კონსტრუქციის ძირითად ელემენტს წარმოადგენს სავალი მოწყობილობები, საინფორმაციო სისტემა და მართვის სისტემა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, თანამედროვე მობილური რობოტები წარმოადგენენ რთულ პროგრამულ ტექნიკურ კომპლექსებს, რომლებიც განკუთვნილი არიან სხვადასხვა სირთულის ამოცანების გადასაწყვეტად. მსგავსი რობოტების უახლესი მოდიფიკაციებს გააჩნია განვითარებული მოძრავი ნაწილის კონსტრუქცია, გამომთვლელი ტექნიკის კიჩო, მარშუტის დაკვირვების ნავიგაციური სისტემა და მგრძობიარობის ამაღლების მოწყობილობა. ისინი ხასიათდებიან განვითარებული ურთიერთობით გარე ობიექტებთან გაფართოებული შესაძლებლობებით რთული განუსაზღვრელი დ მოძრავ გარემოსთან ადაპტაციისა, მაღალი ფუნქციონალური მოქნილობით.

### ლიტერატურა - References – Литература:

1. Буданов В.М Десянин Е.А. (2003). О движении колесных роботов. ПММ. -Т.67. вып.2. 244-255
2. Бурдаков С.Ф. Мирошник И.В. Стельмяков Р.Е. (2001). Системы управления движением колесных роботов.-СПБ.Ж Наука.
3. Гелиг А.Х., Леонов Г.А., Якубович В.А. (1978). Устойчивость нелинейных систем с неединственным состоянием равновесия. -М. . ж Наука
4. Голован А.А., Гришин А.А., Жихарев С.Д., Ленский А.В. (). Алгоритмы решения задачи навигации мобильных роботов. Докл. Научно школы-конференции Эмобилные роботы и мехатронные системы.

## THE TWO-DIMENSIONAL ROBOT KINETIC MODEL

Vladimer Kekenadze, Indira Natriashvili

Georgian Technical University

indiranatriashvili@yahoo.com

### Summary

The robot's kinetic model, the robot, is a system consisting of a system consisting of a platform and two rotating symmetric modules, designs of robots, platforms, robot movements along the horizontal plane. The relationship between the eyes and the flat plane, the ratio between the robot's geometric connections. The structure is equipped with two or more rotating symmetric modules, their coordination and the speed of the instant speed instant.



## ИСПОЛЬЗОВАНИЕ ТЕХНОЛОГИИ DATA MINING В ИНФОРМАЦИОННОЙ СИСТЕМЕ МОНИТОРИНГА ТЕХНИЧЕСКОГО СОСТОЯНИЯ АВТОМОБИЛЯ

Волков В.П.<sup>1</sup>, Грицук И.В.<sup>2</sup>, Грицук Ю.В.<sup>3</sup>, Волков Ю.В.<sup>1</sup>, Володарец Н.В.<sup>4</sup>

<sup>1</sup>Харьковский национальный автомобильно-дорожный университет, Украина

<sup>2</sup>Херсонская государственная морская академия, Украина

<sup>3</sup>Донбасская национальная академия строительства и архитектуры,  
г. Краматорск, Украина

<sup>4</sup>Украинский государственный университет железнодорожного транспорта,  
г. Харьков, Украина

<sup>1</sup>tesa@khadi.kharkov.ua, <sup>2</sup>gritsuk\_iv@ukr.net, <sup>3</sup>yuri.gritsuk@gmail.com, <sup>4</sup>volodarets.nikita@yandex.ru

### Резюме

Рассмотрены возможности использования технологии Data Mining в информационной системе мониторинга параметров технического состояния автомобиля. В системе мониторинга параметров технического состояния были разработаны и сформированы алгоритмы процесса сбора данных и распознавания статуса неисправностей транспортного средства, разработан и сформирован процесс прогнозирования параметров состояния. Представлены возможности адаптации технологии Data Mining в информационном программном комплексе сбора и получения данных о параметрах технического состояния транспортного средства.

**Ключевые слова:** транспортное средство. Параметры технического состояния. Мониторинг. Data Mining.

### 1. Введение

Существенная пространственная протяженность, сложность и распределенность условий эксплуатации транспортных средств (ТС) и транспортной инфраструктуры со своими особенностями и многообразием могут считаться объектом автоматизации современных информационных систем в условиях интеллектуальных транспортных систем (ITS).

Знание основ теории эксплуатации транспортных средств является фундаментом при разработке прогрессивных систем нормирования и планирования на транспорте с помощью современных информационных систем [1].

Большинство задач в процессе усовершенствования методов оперативного управления работоспособности автомобиля, которые решаются техническими службами эксплуатации ТС, имеют информационную составляющую оценки: дорожные условия эксплуатации ТС в части высоты дороги над уровнем моря, продольного профиля (рельефа местности), типа и состояния дорожного покрытия; ремонта, строительства и обслуживания объектов дорожной инфраструктуры; их мониторинг; прогнозирование возможных аварийных ситуаций, транспортных условий в части насыщенности и интенсивности движения ТС, особенностей груза, режима и скорости движения; атмосферно-климатических условий, культуры эксплуатации ТС и т.д. [2]. Перечисленные и подобные им задачи пока в основном решаются устаревшими методами, которые уже не обеспечивают необходимого качества и эффективности [2, 3]. Оценка условий эксплуатации, анализ планов и профилей автомобильных дорог, как правило, составляются вручную в бумажном виде, обновление карт и схем осуществляется крайне редко, данные о состоянии большинства объектов не систематизированы и, соответственно, труднодоступны. Такая ситуация усложняет задачу управления классификацией условий эксплуатации ТС в информационных условиях ITS.

В связи с применением на автомобилях встроенной бортовой диагностики, развития спутниковых систем навигации и мобильной связи, современных информационных технологий появилась возможность осуществлять дистанционный мониторинг с оценкой уровня технического состояния ТС. Это в свою очередь позволяет перейти к адаптивной системе технического обслуживания и ремонта (ТО и Р) автомобилей, ключевым моментом которой является разработка информационно-коммуникационной системы и информационных программных комплексов, обеспечивающих путем мониторинга дистанционное получение необходимой текущей информации от ТС, ее обработку и выработки корректирующих воздействий.

Использование ТС в нестационарных условиях эксплуатации требует постоянного контроля его фактического состояния, проведения необходимых технических действий по обслуживанию для обеспечения надлежащей работоспособности. Подобная интерпретация условий использования ТС возможна только за счет мониторинга технического состояния, основанного на обработке априорной информации, непрерывной диагностике и прогнозировании параметров их технического состояния. В связи с этим перед учеными, занимающимися вопросами эксплуатации ТС, стоит проблема обеспечения полноценной связи между процессами эксплуатации ТС и параметрами условий эксплуатации, и обобщение и совершенствование методов прогнозирования технического состояния ТС [2, 3]. Учету и контролю параметров технического состояния ТС в условиях эксплуатации уделяется много внимания, поэтому вопрос построения систем мониторинга в различных сферах деятельности ТС не теряют своей актуальности [4, 5].

## 2. Основная часть

Наиболее ответственным этапом работы информационной модели информационного программного комплекса (ИПК) «IdenMonDiaOperCon «HNADU-16»» (рис.1) сбора и получения данных о параметрах технического состояния ТС, для которого основным параметром сбора данных является время (интервал) получения информации о параметрах технического состояния транспортного средства в условиях ITS. При этом исходим из положения, чем меньше интервал (время) сбора и получения информации, тем выше точность измерения параметра состояния и, соответственно, прогноза, но при этом существенно увеличивается время расчета прогнозных значений параметра [6,7]. Необходимыми данными для процессов получения данных и прогнозирования параметров состояния являются последовательности упорядоченных во времени числовых показателей, характеризующих значения основных параметров технического состояния ТС, то есть полные интервальные временные ряды, которые представляем [6 - 8], как компоненты в общем виде:

$$y_{it} = F_i(t_i, x_{it}) + \varepsilon_{it} \text{ где } t_i = 1, 2, \dots, T_i \quad (1)$$

где  $y_{it}$  – значения показателей временных рядов параметров технического состояния ТС;

$F_i(t_i, x_{it})$  – детерминированные составляющие мониторинга состояния;

$x_{it}$  – значения детерминированных факторов, которые влияют на детерминированные составляющие  $F_i$  параметров состояния в соответствующие моменты времени  $t_i$ ;

$\varepsilon_{it}$  – случайные составляющие мониторинга состояния;

$T_i$  – длина временных рядов параметров технического состояния ТС.

Кроме этого, одновременно со сбором информации о параметрах технического состояния ТС осуществляется мониторинг положения ТС в пространстве (на соответствующих картах местности в пространстве) с получением соответствующих координат положения и определения кодов DTCs неисправностей ТС.

Для построения временного ряда информации в системе мониторинга параметров технического состояния ТС были разработаны и сформированы алгоритмы процесса сбора данных и распознавания статуса неисправностей ТС, разработан и сформирован процесс прогнозирования параметров состояния ТС. Алгоритмы адаптированы к условиям использования информационной модели «IdenMonDiaOperCon« HNADU-16 »» в виртуальном предприятии по эксплуатации автомобильного транспорта.

Входными данными для алгоритма является период времени  $T$  за который осуществляется сбор информации и интервал времени  $\Delta t$ , через который будет происходить считывание информации с датчиков. Исходными данными являются массив данных, содержащий временной ряд значений параметров  $D_i$ ,  $i = 1, 2, \dots$ ,  $t / \Delta t$ , который адаптирован для дальнейшей обработки в условиях рабочего места мониторинга состояния ТС.

Система мониторинга двигателя и ТС состоит:

- из блоков управления двигателя и ТС, имеющих настройки завода-изготовителя;
- из составляющих бортового информационного комплекса (БИНК), которые имеют настройки информационной системы, могут варьироваться в зависимости от задач анализа данных;
- из составляющих виртуального предприятия по эксплуатации автотранспорта, которые имеют настройки информационной системы серверной части в соответствии с требованиями и особенностей «IdenMonDiaOperCon «HNADU-16»» [7].

Для учета особенностей получения информации о параметрах технического состояния двигателя и транспортного средства в процессах формирования интеллектуальной системы мониторинга на основе ИПК «IdenMonDiaOperCon«HNADU-16»» в условиях ITS были использованы методы Data Mining.




Рис.1. Структурированная информационная модель ИПК "IdenMonDiaOperCon (Identification, Monitoring technical condition, Diagnosis, Operating conditions of the vehicle under ITS) "HNADU-16""

Data Mining (рус. Добыча данных, интеллектуальный анализ данных, глубокий анализ данных) – собирательное название, используемое для обозначения совокупности методов обнаружения в данных ранее неизвестных, нетривиальных, практически полезных и доступных для интерпретации знаний, необходимых для принятия решений в различных сферах человеческой деятельности [8]. Более полным и точным является словосочетание «выявления знаний в базах данных» (англ. Knowledge discovery in databases, KDD).

Методы Data Mining (или, что то же самое, KDD) лежат на стыке баз данных, статистики и искусственного интеллекта. Связь основных этапов решения задач методами Data Mining с основными процессами мониторинга параметров состояния ТС с учетом системного взаимодействия составляющих в пределах ИПК «IdenMonDiaOperCon«HNADU-16»» приведены в табл.1.

Связь основных этапов решения задач методами Data Mining с основными процессами мониторинга параметров состояния ТС в условиях эксплуатации с учетом системного взаимодействия составляющих в пределах ИПК «IdenMonDiaOperCon" HNADU-16 "» Таб.1

№ операции	Параметры процессов мониторинга ТС / настройка составляющих системы мониторинга параметров состояния ТС	Необходимость использования методов Data Mining				Основные этапы решения задач методами Data Mining
		Блоки управления двигателя	Информационная система БИИК	Информационная система мониторинга состояния ТС и условий эксплуатации (параметры <u>транспортной инфраструктуры и инфраструктуры автомобильных дорог</u> в условиях ITS)	Информационная серверная часть / ИПК «IdenMonDiaOperCon "HNADU-16"»	
1-8	$\Delta t, T$	-	+ (-)	+ (-)	+	1. Постановка задачи анализа 2. Сбор данных
9-11	$i, t$	-	+ (-)	+ (-)	+	
12	$V_n$	-	+ (-)	+ (-)	+	
13	$D_i$	-	+ (-)	+ (-)	+	
14	$T/\Delta t$	-	-	-	+	
15 - 18	Формирование файла-отчёта в формате таблицы *.csv или *.xlsx, или с помощью специализированных программ	-	- (+)	+ (-)	+	3. Подготовка данных (фильтрация, дополнение, кодирование)
19, 20, 21	Выбор режима регистрации полученных отчётов, конвертация полученной таблицы отчёта из формата *.csv в формат *.xlsx; приведение полученной таблицы и отдельных значений параметров к стандартному виду	-	+	+ (-)	+	
22	Передача (получение) файла-отчёта в	-	-	+ (-)	+	

	стандартном виде к ИПК, потребителя и т.д.					
23, 34	Системная математическая обработка результатов мониторинга и прогнозирования параметров ТС	-	- (+)	+ (-)	+	4. Выбор модели (алгоритма анализа данных); 5. Подбор параметров модели и алгоритма обучения и адаптации; 6. Обучение модели (автоматический поиск остальных параметров модели); 7. Анализ качества обучения, если неудовлетворительный, то переход на п. 11 или п. 10; 8. Анализ выявленных закономерностей, если неудовлетворительный, то переход на п. 1-7, 10 или 11.

К основным этапам решения задач методами Data Mining относят следующие:

- постановка задачи анализа;
- сбор данных;
- подготовка данных (фильтрация, дополнения, кодирование)
- выбор модели (алгоритма анализа данных);
- подбор параметров модели и алгоритма обучения и адаптации;
- обучение модели (автоматический поиск других параметров модели);
- анализ качества обучения, если неудовлетворительное, то переход на п. 11 или п. 10;
- анализ выявленных закономерностей, если неудовлетворительный результат, то переход на п. 1-7, 10 или 11.

განხილულია თანამედროვე მედიცინაში მაიონებელი გამოსხივების გამოყენება საკითხები, მათ შორის სამკურნალო მიზნით, სხივური თერაპიის სახით. ამასთან, მაღალია მაიონებელი გამოსხივების მავნებლობაც, მის მიერ გამოწვეული შესაძლო ბიოლოგიური ეფექტების რისკი. ყოველივე აღნიშნული კი სხივური თერაპიის პაციენტთა რადიაციული დაცვის, In-Vivo დოზიმეტრიის წარმოების აუცილებლობას განაპირობებს. საქართველოს წამყვანი კლინიკები ძირითადად In-Vivo დოზიმეტრიის OSL ტექნოლოგიის სისტემას ანიჭებენ უპირატესობას, რომელიც გარდა In-Vivo დოზიმეტრიისთვის განკუთვნილი სპეციალური დოზიმეტრისა მოიცავს აღქმული მაიონებელი დასხივების დოზის წამკითხველ მოწყობილობასა და შესაბამის პროგრამას კომპიუტერული მხარდაჭერისთვის. In-Vivo დოზიმეტრიისთვის განკუთვნილ OSL ტექნოლოგიის დოზიმეტრს გააჩნია გამოსაყენებლად მოსახერხებელი მცირე გაზარიტული ზომები და მაღალეფექტური ტექნიკური მახასიათებლები, რაც უპირობოდ ზრდის In-Vivo დოზიმეტრიის სისტემის როლს სხივური თერაპიის პაციენტთა რადიაციული დაცვის საქმეში.

**საკვანძო სიტყვები:** In-Vivo დოზიმეტრია, OSL ტექნოლოგიის სისტემა, სხივური თერაპია.

### 1. შესავალი

თანამედროვე მედიცინაში ფართო გამოყენება აქვს მაიონებელ გამოსხივებას, როგორც სადიაგნოსტიკო, ისე სამკურნალო მიზნით. მათ შორისაა, სხივური თერაპია - მაიონებელი გამოსხივების გამოყენებით სიმსივნური დაავადების მკურნალობის მეთოდი, რომელიც, ინდივიდუალური საჭიროებიდან გამომდინარე, შესაძლოა იყოს როგორც ძირითადი, ასევე დამხმარე მკურნალობის მეთოდი ქირურგიასთან და/ან ქიმოთერაპიასთან კომბინაციაში. სხივური თერაპია გამოიყენება როგორც რადიკალური, ისე პალიატიური მიზნითაც. მკურნალობის ტაქტიკის არჩევა დამოკიდებულია სიმსივნის ლოკალიზაციაზე, უჯრედულ შენებაზე, დაავადების სტადიაზე და ავადმყოფის ზოგად მდგომარეობაზე.

კაცობრიობისთვის ფართოდ არის ცნობილი მაიონებელი გამოსხივების მავნებლობის, მის მიერ გამოწვეული ბიოლოგიური ეფექტების შესახებ. მაიონებელი გამოსხივების მოქმედება აზიანებს ცოცხალ ქსოვილს, ხოლო დიდი დოზებით დასხივებას შეუძლია გამოიწვიოს მუტაცია, სხივური დაავადება, ავთვისებიანი სიმსივნური დაავადებები და გარდაცვალება. მაიონებელი დასხივების ბიოლოგიური ეფექტებიდან გამოყოფენ სტოქასტიკურ და დეტერმინირებულ ეფექტებს. დასხივების სტოქასტიკური ეფექტების დოზის ზღვარი არ არსებობს. მათი განვითარების ალბათობა დოზის სიდიდის ზრდის

პროპორციულია, ხოლო გამოხატულების სიმძიმე არ არის დამოკიდებული დოზის სიდიდეზე. დასხივების დეტერმინირებული ეფექტების განვითარებისთვის კი საჭიროა დოზის გარკვეული ზღვარი, რომლის ზემოთ ეფექტის სიმძიმე დამოკიდებულია დოზის სიდიდეზე. სხივური თერაპიის შედეგად პაციენტზე დასხივების მავნე ზემოქმედება დაკავშირებულია ისეთ რისკებთან, როგორცაა: დასხივების პათოლოგიური უბნის მიმდებარე ორგანოების და/ან სისტემების დაზიანება, კანის მწვავე დაზიანება, ავთვისებიანი სიმსივნური დაავადებების განვითარების სტოქასტიკური რისკი და სხვა.


სხივური თერაპიისას სიმსივნური უჯრედების მიმდებარე ნორმალური ქსოვილების რადიაციული დასხივების და ჯანმრთელი უჯრედების დაზიანების თავიდან არიდების მიზნით გამოიყენება რამოდენიმე ფორმირებული ველი სხვადასხვა კუთხიდან, რომლებიც გადაიკვეთებიან სიმსივნეში, რის საშუალებითაც მაიონებელი გამოსხივების მაქსიმალური დოზა კუმულირდება სიმსივნეში და ნორმალური ქსოვილები ნაკლებად სხივდება.

პაციენტის ჯანმრთელი ქსოვილების ეფექტური რადიაციული დაცვისათვის თანამედროვე ონკოლოგიაში სპეციალისტები ხშირად მიმართავენ სხივური თერაპიის ისეთ მეთოდს, როგორცაა ბრაქითერაპია. აღნიშნული მეთოდი წარმოადგენს კონტაქტურ სხივურ თერაპიას, რომლის დროსაც გამოსხივების წყაროს შეყვანა ხდება უშუალოდ პათოლოგიურად დაზიანებულ ორგანოში. ბრაქითერაპიის უპირატესობა მდგომარეობს სხივური თერაპიის მაქსიმალური დოზების უშუალოდ სიმსივნურ კერაზე მოქმედებაში, მიმდინარე ორგანოებისა და ქსოვილების დაზიანების რისკის მინიმუმამდე დაყვანით. ბრაქითერაპია სხივური თერაპიის პაციენტების რადიაციულ უსაფრთხოებაზე ზრუნვის მაღალეფექტური საშუალებაა, თუმცა ყველა ორგანოს სიმსივნური დაავადების სამკურნალოდ ვერ გამოიყენება, რიგ შემთხვევებში გამოსხივების წყაროს უშუალოდ პათოლოგიურად დაზიანებულ ორგანომდე შეყვანის შეუძლებლობის გამო.

სხივური თერაპიის პაციენტთა რადიაციული დაცვის მიზნით ფართოდ გამოიყენება In-Vivo დოზიმეტრიული სისტემა, მათ შორის ჩვენს ქვეყანაშიც. მედიცინაში ზოგადად დოზიმეტრიის, როგორც სამედიცინო მიზნით დასხივებულ ორგანიზმებზე და ბიოლოგიურ ქსოვილებზე დასხივების ზემოქმედების რადიაციული შეფასების მეთოდების სისტემური ერთობლიობის, განვითარება პირველად სწორედ ადამიანის მაიონებელი გამოსხივებისგან დაცვის აუცილებლობამ განაპირობა. რაც შეეხება In-Vivo დოზიმეტრიას, იგი დასხივების ფაქტის დასადასტურებლად და მიღებული დოზის დასადგენად აუცილებელ მოქმედებათა სისტემას წარმოადგენს, რომელიც მკურნალობისას შესაძლო შეცდომების თავიდან აცილების მიზნით გამოიყენება.

საქართველოს წამყვანი კლინიკები ძირითადად In-Vivo დოზიმეტრიის ოპტიკურად სტიმულირებული ლუმინესცენციის (OSL) ტექნოლოგიის სისტემას ანიჭებენ უპირატესობას, რომელიც მოიცავს In-Vivo დოზიმეტრიისთვის განკუთვნილ სპეციალურ დოზიმეტრს, მის მიერ აღქმული მაიონებელი დასხივების დოზის წამკითხველ მოწყობილობას, ე.წ. “Reader”-ს, კომპიუტერული მხარდაჭერისთვის პერსონალურ კომპიუტერს წამკითხველი მოწყობილობის შესაბამისი პროგრამითა და მონაცემთა ბაზით, ბარკოდ სკანერს სისტემის ფარგლებში ინფორმაციის აღქმისა და გადაცემის მიზნით. In-Vivo დოზიმეტრიის ოპტიკურად სტიმულირებული ლუმინესცენციის ტექნოლოგიის სისტემის სქემა მოცემულია 1-ელ ნახაზზე, სადაც მითითებულია: 1. In-Vivo დოზიმეტრიისთვის განკუთვნილი გამოუყენებელი დოზიმეტრი; 2. სხივური თერაპიის პაციენტი; 3. უკვე გამოყენებული დოზიმეტრი; 4. In-Vivo დოზიმეტრიისთვის განკუთვნილი დოზიმეტრის ადაპტორი; 5. მაიონებელი დასხივების დოზის წამკითხველი მოწყობილობა; 6. ბარკოდ სკანერი; 7. პერსონალური კომპიუტერი.

In-Vivo დოზიმეტრიისთვის განკუთვნილი ოპტიკურად სტიმულირებული ლუმინესცენციის ტექნოლოგიის დოზიმეტრი წარმოადგენს ABS პლასტიკის კვადრატის ფორმის ფირფიტას ზომით 10,0X10,0mm, სისქით 2,0mm. დოზიმეტრში მოთავსებულია ალუმინის ოქსიდის ( $Al_2O_3$ ) დისკი დიამეტრით 5mm, სისქით 0,3mm. დოზიმეტრის პლასტიკის კორპუსზე დატანილია მისი საქარხნო შტრიხკოდი და სერიული ნომერი.



ნახ.1. In-Vivo დოზიმეტრის OSL ტექნოლოგიის სისტემის სქემა

In-Vivo დოზიმეტრისთვის განკუთვნილი ოპტიკურად სტიმულირებული ლუმინესცენციის ტექნოლოგიის დოზიმეტრს გააჩნია ტექნიკური მახასიათებლები, რომლებიც განაპირობებენ მის გამოყენებას სხივური თერაპიის პაციენტთა რადიაციული დაცვის მიზნით. ტექნიკური მახასიათებლები ცხრილის სახით მოცემულია ცხრილში 1.

In-Vivo დოზიმეტრისთვის განკუთვნილი OSL ტექნოლოგიის დოზიმეტრის ტექნიკური მახასიათებლები

ცხრ.1

პარამეტრი	რიცხვითი მნიშვნელობა
სამუშაო დოზის დიაპაზონი	ზოგადი გამოყენებისთვის დოზის დიაპაზონი 10 $\mu$ Gy-100Gy
დეტექტირების ქვედა ზღვარი	0,1mGy
გამოსაყენებელი ენერჯის დიაპაზონი	5keV-20MeV
ცდომილება (განსაზღვრულია ერთეული გაზომვების შედეგად)	სტანდარტული დოზიმეტრის შემთხვევაში $\pm 10\%$ ; სასკრინინგო დოზიმეტრის შემთხვევაში $\pm 5,5\%$
სიზუსტე	$\pm 5\%$ ორივე, როგორც სტანდარტული, ისე სასკრინინგო დოზიმეტრის შემთხვევაში

სხივური თერაპიისას In-Vivo დოზიმეტრის წარმოების აუცილებლობა განპირობებულია შემდეგი ასპექტებით: მკურნალობისა და პაციენტთა მომსახურების ხარისხის უწყვეტი ამაღლება; მთავარი დაგეგმარების, გამოთვლისა და ტრანსკრიპციის შეცდომების არარსებობის დამატებითი გარანტია; პაციენტზე ზრუნვის ხარისხის მაღალი მაჩვენებელი; ობიექტური მტკიცებულება იურიდიული მოთხოვნის შემთხვევაში; მოთხოვნილია მსოფლიოს მრავალი ქვეყნის კანონმდებლობით და სხვა.

სხივური თერაპიისას In-Vivo დოზიმეტრის წარმოება მკაცრად არის რეგომენდებული მაღალი დოზით დასხივებისას მცირე ფართობზე. რეგომენდებულია, ასევე, დასხივების დოზის კონტროლისთვის ისეთ არასამკურნალო არეში, როგორცაა: თვალის ბროლი, გონადები, კარდიოსტიმულატორი და სხვა; რეგომენდებულია თანამედროვე პროთეზების მქონე პაციენტთა მკურნალობის პირველ ეტაპზე, რადგან პროთეზებმა შეიძლება გამოიწვიონ მოულოდნელი ეფექტები დასხივების არეში.

გარდა ზემოაღნიშნული ფაქტორებისა, სამედიცინო დაწესებულებებს In-Vivo დოზიმეტრის წარმოებას მკაცრად ავალდებულებს მრავალი ქვეყნის, მათ შორის, საქართველოს კანონმდებლობა. ეს ყოველივე კი მხოლოდ ადასტურებს In-Vivo დოზიმეტრის სისტემის მნიშვნელოვან როლს სხივური თერაპიის პაციენტთა რადიაციული დაცვის საქმეში.

### ლიტერატურა - References – Литература:

1. Principles and practice of radiation therapy. 4<sup>th</sup> edition. Charles M. Washington MBA RT (T) FASRT, Dennis T. Leaver MS RT (R) (T) FAST. 2016;
2. In-Vivo dosimetry in radiotherapy and radiology: basics, concepts and techniques of patients and staff radiation dosimetry. Abdelmoneim Suleiman. LAP LAMBERT academic publishing, 2011;
3. Questions and answers on thermo luminescence (TL) and optically stimulated luminescence (OSL). Claudio Furetta. World scientific publishing company, 2008.

## IN-VIVO ROLE OF DOSIMETRY SYSTEM FOR PROTECTION OF RADIATION THERAPY PATIENTS

Pitskhalauri Anna  
Georgian Technical University  
apitskhalauri@gmail.com

### Summary

The modern medicine widely uses an ionizing radiation for different purposes, including patients' treatment by means of a radiation therapy. However, health hazards and risks of adverse biological effects associated with an ionizing radiation are high. These make it necessary to take measures of a radiation protection of radiation therapy patients and to carry out In-Vivo dosimetry. Leading medical facilities in Georgia prefer OSL technology system for In-Vivo dosimetry. In addition to a specialized dosimeter it provides for a delivered radiation dose reader and a computer software. An OSL dosimeter for In-Vivo dosimetry is a high performance, compact and convenient device and these features are, indeed, increasing the significance of In-Vivo dosimetry system in the radiation protection of the radiation therapy patients.

## უცხოური ენის კორპორაციული სწავლების საინფორმაციო ველის ფორმირების კონცეფცია

ეკა სისაური  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
e.sisauri@yahoo.com

### რეზიუმე

განალიზებულია ბიზნეს-კომპანიების თანამშრომლებისათვის უცხოური ენის შესწავლის სხვადასხვა სახის მეთოდები და ღონისძიებები. ჩატარებულია კვლევები, საიდანაც ნათლად გამოიკვეთა, რომ კომპანიების თანამშრომლებისათვის უცხოური ენის შესწავლის ყველაზე ეფექტანია კორპორაციული სწავლება. დამუშავებულია კორპორაციული სწავლების კონცეფცია რომელიც ითვალისწინებს ისეთი საინფორმაციო ველის შექმნას, მასთან არსებული საინფორმაციო მონაცემთა ბაზების ერთობლიობით, რომელიც ხელს შეუწყობს ენის შემსწავლელებს არა მარტო გრამატიკული და ლექსიკური მასალის დამუშავებაში, არამედ ჩააყენებს მათ ისეთ სიტუაციაში, სადაც იძულებული გახდებიან გამოიყენონ ენის ესა თუ ის რთული ერთეული. და ეს მოხდება, ამ ველში მოქცეულ მსმენელთა ურთიერთკომუნიკაციის ხარჯზე, სადაც მაქსიმალური მოცულობით გამოიყენებენ ენაში სრული ჩაღრმავების მეთოდს.

**საკვანძო სიტყვები:** უცხოური ენა. კორპორაციული სწავლება. საინფორმაციო ველი. მონაცემთა ბაზა. ობიექტზე ორიენტირებული სწავლება.

### 1. შესავალი

საყოველთაოდ ცნობილია, რომ უცხოური ენების შესწავლისადმი მისწრაფება საქართველოში ისტორიულად ჩამოყალიბებული პროცესია. ქართველი საზოგადო მოღვაწეების, მწერლების, პოეტების მხატვრების და მეცნიერების გდიდი ნაწილი ფლობდა სხვადასხვა უცხოურ ენას. შეიძლება ითქვას, რომ

უცხოური ენების ფლობა ელიტის საკუთრება და პრივილეგია იყო. დღეს სიტუაცია რადიკალურად არის შეცვლილი. უცხოური ენების ფლობა წარმატებული კარიერის და წინსვლის სავალდებულო და აუცილებელი პირობაა. ამის გარდა ის არის საზღვარგარეთ საკუთარი თვალსაწიერის გაფართოების შესანიშნავი საშუალება.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ, კავშირის ყოფილ ქვეყანებში გამუდმებით და ერთმანეთისაგან განსხვავებული სქემით მიმდინარეობს პოსტსოციალისტური ქვეყნების ტრანსფორმირება. თითოეული ტრანსფორმირება თავისებური პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ნიშნებით ხასიათდება. ყველა სქემის ძირითადი კურსი მაინც დემოკრატიული სისტემის ჩამოყალიბებასა და საბაზრო ეკონომიკაზე აღებული. საბაზრო ეკონომიკის პრინციპები, რომელიც ითვალისწინებს თავისუფალ მეწარმეობას, წარმოების საშუალებებზე საკუთრების მრავალფეროვნებას, საბაზრო ფასწარმოქმნას, ბაზრის სუბიექტებს შორის სახელმეკრულებო ურთიერთობებს და სხვა მრავალ თავისებურებებს, ჩვენთვის აქამდე მიუღებელი და გაუცნობიერებელი იყო. ახლა უკვე ეს გაუცნობიერება მინელდა და შედეგიც სახეუა. შეიქმნა სხვადასხვა სახის კორპორაცია, ბიზნეს-ასოციაცია, ბიზნეს-ცენტრები, კომპანიები და სხვ. რომელთაც მჭიდრო ურთიერთობები აქვს უცხოური ქვეყნების მსგავს ფირმებთან და ორგანიზაციებთან. ამასთან დაკავშირებით წარმოიშვა ახალი - საკომუნიკაციო-ენობრივი პრობლემა, რამაც ახალი გამოწვევებისაკენ გვიბიძგა და დღის წესრიგში დააყენა უცხოური ენის ცოდნის მოთხოვნილება.

## 2. ძირითადი ნაწილი

გამოკვლევები ადასტურებს, რომ ის ბიზნეს კომპანიები, რომელთა თანამშრომლები უცხოურ ენებს ფლობენ, უფრო მაღალ შედეგებს აღწევენ. ამან გამოიწვია ის, რომ წამყვანი მსოფლიო ჰოლდინგების დამსაქმებლები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ თავისი მომსახურე პერსონალის მიერ უცხოური ენების ფლობის დონეს. ამ ფაქტობრივი მოთხოვნილებიდან გამომდინარე, საერთაშორისო მრავალფეროვნული ბიზნეს-კომპანიები სულ უფრო ხშირად მიმართავენ თავისი თანამშრომლებისათვის უცხოური ენის შესწავლის სხვადასხვა სახის მეთოდებსა და ღონისძიებებს. ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევებიდან ნათლად გამოიკვეთა, რომ კომპანიების თანამშრომლებისათვის უცხოური ენის შესწავლის ყველაზე ეფექტიანია კორპორაციული სწავლება. ასეთი სახის სწავლებას აქვს განსაკუთრებული თეორიული საფუძველი, რაც მეტად დამაჯერებელი ხდება კორპორაციული სწავლების სისტემის მომრავლებით. ს. ვერშლოვსკის აზრით [1], მოზრდილების განათლების ანდროგოგიური (მოზრდილების სწავლება) კონცეპციით, კოლექტიური და ჯგუფური მოღვაწეობის ფორმები (ცხადია, სწავლებისაც) განიხილება, როგორც ყველაზე ეფექტური საშუალებები. შესაბამისად, უცხოური ენის პროფესიულ შესწავლაში კარგი იქნება, თუ მივმართავთ სწავლების ჯგუფური ფორმის ორგანიზებას, რომელიც უზრუნველყოფს სწავლებაში ჩაბმული მსურველების, როგორც ერთიან, ასევე განცალკევებულ სასწავლო მოღვაწეობას.

როგორც მკვლევარი ე. პისკუნოვი [2] ამტკიცებს, კორპორაციული სწავლების მეორე თეორიული საფუძველი შეიძლება იყოს 1960-იან წლებში ამერიკელი ფსიქოლოგის დაგლას მაკგრეგორის შემოთავაზება - ადამიანის შრომით მოღვაწეობასთან დაკავშირებული მოდელის კონცეფცია, რომელმაც შემდგომ განვითარება ჰპოვა ა. მასლოუს შრომებში [3].

კორპორაციული სწავლების იდეა განსაკუთრებით ეფექტიანად შეიძლება იყოს რეალიზებული, თუ მისი მიზანი იქნება ობიექტზე ორიენტირებული სწავლება, რომელიც მოექცევა პროფესიულ ინტერესებში და მუდმივად ექნება ინოვაციური მოღვაწეობის ფორმატი.

სწორედ ეს სიტუაცია განსაზღვრავს პროფესიულ ურთიერთობებს კულტურათშორისი კომუნიკაციების ფარგლებში. ამ დროს დიდ როლს თამაშობს კულტურათშორისი კომუნიკაციების პოზიტიური მოტივირება, რადგან, სწორედ ეს უკანასკნელი ქმნის პროფესიული ზრდა-განვითარების ახალ, ხელსაყრელ შესაძლებლობებს.



უნდა ითქვას, რომ უცხოური ენის კორპორაციული სწავლების მიმართულებით, და საერთოდ, კორპორაციული სწავლების მხრივ საქართველოში მეცნიერული კვლევები დღემდე არ ჩატარებულა.

უცხოური ენის კორპორაციული სწავლების სპეციფიკა გვიჩვენებს, რომ ენის ფლობის მაღალი დონის პრაქტიკული უნარების შეთვისება უფრო ხელსაყრელია, ვიდრე თეორიული ცოდნის მიღება. ანუ, კორპორაციული კურსი უფრო მეტად პრაქტიკულ შედეგზე უნდა იყოს ორიენტირებული. ამიტომ, ასეთი სწავლების შემთხვევაში, ყველაზე ეფექტურად გამოიყენებადია კომუნიკაციური მეთოდები ან მათი კომბინაცია აკადემიურ მეთოდებთან. ეს იმას ნიშნავს, რომ უცხოური ენების კორპორაციულ მეცადინეობებზე ხელსაყრელია რეალური სიტუაციების მოდელის დამუშავება, რომლებსაც აწყდებიან უცხოური ენის შემსწავლელი მათი პროფესიული საქმიანობის პროცესში.

რა დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ აქედან? ცხადია, რეალური სიტუაციების მოდელის დამუშავება ვერ მოხდება რეალურის ადექვატური საინფორმაციო ველის ფორმირების გარეშე. რას წარმოადგენს აღნიშნული საინფორმაციო ველი?

რადგან უცხოური ენის კორპორაციული სწავლება უმთავრესად რეალური სამეტყველო სიტუაციების კონტექსტში ხორციელდება, უნდა შეიქმნას ისეთი საინფორმაციო ველი, რომელიც ხელს შეუწყობს ენის შემსწავლელს არა მარტო გრამატიკული და ლექსიკური მასალის დამუშავებაში, არამედ ჩააყენებს მათ ისეთ სიტუაციაში, სადაც იძულებული გახდებიან გამოიყენონ ენის ესა თუ ის რთული ერთეული. და ეს მოხდება, ამ ველში მოქცეულ მსმენელთა ურთიერთკომუნიკაციის ხარჯზე, სადაც მაქსიმალური მოცულობით გამოიყენებენ ენაში სრული ჩაღრმავების მეთოდს. ამ პროცესში, (ვგულისხმობთ საინფორმაციო ველში სწავლების კომუნიკაციურ მეთოდიკას) მასწავლებელი წარმოადგენს გზამკვლევს უცხო ენის ათვისების გზაზე. ის მხოლოდ, იძლევა მიმართულებას, რჩევებს და ეხმარება სიმნელების გადალახვაში, რომელიც თან ახლავს ენობრივ ბარიერებს.

უცხოური ენის წამყვანი მასწავლებელი უცხოური ენების მეთოდისტებთან ერთად ქმნის საინფორმაციო ველს, რომელიც წარმოდგენილია საცნობარო მონაცემთა ბაზების სახით, და მოიცავს, როგორც სწავლების სხვადასხვა მეთოდებსა და ხერხებს, ასევე კონკრეტული კორპორაციისათვის დამახასიათებელ საკომუნიკაციო სიტყვებს, ფრაზებს, გამოთქმებს, სპეციალურად შედგენილ დავალებებს, კომუნიკაციური მეთოდის თეორიულ ბაზას და ა.შ., რაც შედის კორპორაციის ინტერესებში და აისახება უცხოური ენის მიზნობრივად დაუფლების სცენარში.

სპეციალურად შედგენილი დავალებები ახდენენ სასწავლო საქმიანობის აქტივიზებას და ურთიერთობის სხვადასხვა სიტუაციებში ენის გამოყენების სტიმულირებაზე გამიზნული. კომუნიკაციურ მეთოდიკას კი საფუძვლად თეორიული ბაზა უდევს, რომელიც შემუშავებული იყო წამყვანი ბრიტანელი სპეციალისტების მიერ. თეორიულ ბაზაში გაერთიანებულია მეთოდის ფუნდამენტური პრინციპები, ფსიქოლოგიის, პედაგოგიკისა და სხვა მომიჯნავე დისციპლინების პროგრესულ ცოდნასთან.

კომუნიკაციური *საინფორმაციო ველის* კიდევ ერთი შემდგენელია ემოციურ-აზრობრივი მოდელი, რომელიც ბულგარელი ფსიქიატრის ლოზანოვის მიერაა შემუშავებული. ამ მოდელში უცხოური ენის გრამატიკიდან, ლექსიკიდან და შესასწავლ მასალაზე მუშაობიდან აქცენტი გადატანილია თამაშზე, რომელიც სცენარის მიხედვით მიმდინარეობს. ეს თავისებური საქმიანი თამაშია, რომელიც მოწოდებულია ენის შერმსწავლელთა შინაგანი პოტენციალის გამოსააშკარავებლად, თან ახლავს მუსიკა და მოძრაობები. გარდა ამისა, აქ ძალიან ბევრია დამოკიდებული მასწავლებლის არტისტულობაზე. სწავლების ტექნიკა ეფუძნება მეხსიერების თვისებებს, ცნობიერებისა და შთაგონების ტიპებს. ეს მეთოდი შესანიშნავ შესაძლებლობას იძლევა აქტივიზირებული იქნას ცოდნის არსებული მარაგი და მისი არსებითი მიწისა უვარგისობა ენის „წულიდან“ შესწავლის მსურველთათვის.

ვფიქრობთ, *საინფორმაციო ველის შექმნა* მასთან არსებული საინფორმაციო მონაცემთა ბაზების გამოყენებით, უცხოური ენის კორპორაციული სწავლების პროცესში ყველაზე კარგი საშუალებაა, რადგან

სწორედ აქ აქვს ადგილი დავალება-ნამუშევრების და შეჯიბრება-თამაშის ისეთი ელემენტების უხვად გამოყენების შესაძლებლობას, რომელსაც ადგილი აქვს კორპორაციის საქმიანობს პროცესში.

### 3. დასკვნა

უცხოური ენის შესწავლის რეალური სიტუაციების მოდელის დამუშავება ვერ მოხდება რეალურის ადექვატური საინფორმაციო ველის ფორმირების გარეშე. რას წარმოადგენს აღნიშნული საინფორმაციო ველი? რადგან უცხოური ენის კორპორაციული სწავლება უმთავრესად რეალური სამეტყველო სიტუაციების კონტექსტში ხორციელდება, უნდა შეიქმნას ისეთი საინფორმაციო ველი, რომელიც ხელს შეუწყობს ენის შემსწავლელებს არა მარტო გრამატიკული და ლექსიკური მასალის დამუშავებაში, არამედ ჩააყენებს მათ ისეთ სიტუაციაში, სადაც იძულებული გახდებიან გამოიყენონ ენის ესა თუ ის რთული ერთეული. და ეს მოხდება, ამ ველში მოქცეულ მსმენელთა ურთიერთკომუნიკაციის ხარჯზე, სადაც მაქსიმალური მოცულობით გამოიყენებენ ენაში სრული ჩადრმავეების მეთოდს.

### ლიტერატურა - References – Литература:

1. Vershlovski S.G. (2013). Andragogical basis of adult learning. <http://nova.rambler.ru>. Verified in 2013 in December (in ru)
2. Piskunova E.V. (2005). Socio-cultural conditions for teachers' professional pedagogical changes activities. Monograph. St. Petersburg. Publishing House RGPU name A.I. Gertsena (in ru)
3. Gerasimova N.I. (2010). On the formation of professionally important qualities of student-translator in educational process. Pedagogical problems of socialization Scientific practical oriented development. N3 (in ru)
4. <http://www.m-teach.ru/technique/other-methodics/Denis-Runov-method.html> Denis Rownes Method. The last checked in 2013 in December (in ru)
5. <http://biz-incom.ru/metod-milashевича>. Метод Милашевича. Milashvichis Method. The last checked in 2013 in December (in ru).

## THE CONCEPT OF INFORMATION FIELD FORMATION OF FOREIGN LANGUAGE CORPORATE TRAINING

Sisauri Eka

Georgian Technical University

e.sisauri@yahoo.com

### Summary

Different methods and means of learning foreign language that are meant for business company employees are analyzed. The studies are conducted that make it obvious that corporate training is the most effective mean of learning foreign language for companies' employees. Such a concept of corporate training was developed which foresees the creation of an information field, with the unity of information databases existing in it, that will not only assist language trainees in processing grammatical and lexical material, but will also create situations where they will be forced to use one or another complex linguistic unit. And all this will happen at the expense of mutual communication of listeners that get in this field, where they will use the method of total immersion in the language to its maximum.

# სტუდენტთა მისაღები კონტინგენტის დაგეგმვის ძირითადი კანონზომიერებები, ფაქტორები და ამოცანები

თამარ ზირაკაშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

tamuna.zirakashvili@yahoo.com

## რეზიუმე

სტუდენტთა მისაღები კონტინგენტის ფორმირების განხილვა ხდება სისტემური მიდგომის პოზიციიდან, რაც იძლევა სისტემის დინამიკური ანალიზის საშუალებას. ინტერაქტიურ რეჟიმში მუშაობა მიმდინარეობს არავერბალური ფორმით. ინფორმაციის გაცვლა გადაწყვეტილების მიმღებ პირსა (გმპ) და კომპიუტერს შორის წარმოადგენს სტუდენტთა კონტინგენტის ფორმალიზებული მოდელის კომპიუტერული რეალიზების საფუძველს. გმპ-ს ესაჭიროება ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ამ ინფორმაციის ხარისხი უნდა აკმაყოფილებდეს რიგ მოთხოვნილებებს, სადაც ძირითადი განმსაზღვრელი ინფორმაციის სისრულესა და სანდობასთან ერთად არის მისი ადეკვატურობა, საკმარისობა, სიზუსტე, მარტივი ფორმით მოცემა და ა.შ. ყოველივე ეს ითხოვს ინფორმაციის შეგროვებას და წარმოდგენას მონაცემთა სტრუქტურული ბაზის სახით.

**საკვანძო სიტყვები:** შრომის ბაზარი. სტუდენტი. კონტინგენტი. დაგეგმვა, გადაწყვეტილების მიღება. ავტომატიზებული მართვა. მათემატიკური მოდელი. სისტემური მიდგომა, დინამიკური ანალიზი.

## 1. შესავალი

ინფორმაციული და კომპიუტერული ტექნოლოგიების სწრაფი ტემპით განვითარებამ, მასთან მიმართებაში ინოვაციური პროცესებისა და ბიზნეს-წარმოების მოთხოვნილებათა მუდმივმა ზრდამ, ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა ქვეყნის საგანმანათლებლო დაწესებულებები. ამ გამოწვევების მთავარი მოთხოვნილებაა ცოდნის მუდმივად განახლებისა და სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლების პრობლემების გადაწყვეტა. ეს გამოწვევები ნაკარნახევია შრომის ბაზრის მოთხოვნილებებით, რომელიც მუდმივად დინამიკურ მდგომარეობაშია. საგანმანათლებლო სისტემის ერთ-ერთი მთავარი რგოლია სტუდენტობა, რომელიც ქვეყნის ყველაზე დიდი ფასეულობაა. მათი, როგორც მომავალი სპეციალისტების, დასაქმება შრომის ბაზარზე, მთავარი და უმნიშვნელოვანესი პრობლემაა. დასაქმებაში არსებული სიტუაციის ანალიზმა აჩვენა, რომ ახალგაზრდა სპეციალისტთა უმუშევრობა ძირითად გამოწვეულია სტუდენტთა მისაღები კონტინგენტის არასწორი დაგეგმვის გამო. ამას ემატება სხვადასხვა ობიექტური და სუბიექტური მოვლენებიც, რომელთაგან უმთავრესია განათლების დაბალი ხარისხი. ეს უკანასკნელი ვერ პასუხობს შრომის ბაზრის მოთხოვნილებებს და ვერ უზრუნველყოფს კონკურენტუნარიანობის გარანტს. ყოველივე ეს ქმნის უმუშევართა დიდ მასას, რაც აფერხებს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას.

## 2. ძირითადი ნაწილი

სტუდენტთა მისაღები კონტინგენტის მიზანმიმართული დაგეგმვისათვის საჭიროა მეცნიერული კვლევების გააქტიურება. უნდა, განისაზღვროს სტუდენტთა მისაღები კონტინგენტის დაგეგმვის ძირითადი კანონზომიერებები და ფაქტორები; დადგინდეს კონტინგენტის დაგეგმვის ახალი მიდგომები და მექანიზმები; გამოვლინდეს პრიორიტეტული მიმართულებები; ჩატარდეს სტუდენტთა მისაღები კონტინგენტის დაგეგმვის სისტემის სრულყოფისათვის ძირითადი პარადიგმების და სტრატეგიების შედარებითი ანალიზი. აუცილებელია გათვალისწინებული იქნეს ევროპის ქვეყნების უმაღლეს სასწავლებლებში სტუდენტთა მისაღები კონტინგენტის დაგეგმვის პრაქტიკული გამოცდილება და საბოლოო ჯამში დამუშავდეს შრომის ბაზრის მოთხოვნილების ადაპტიური, სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის ავტომატიზებული მართვის მოდელის კონცეფცია. ეს არის შრომის ბაზრისა და თანამედროვე სოციუმის დღევანდელი მოთხოვნილება. ამ პროცესის კვლევის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები უნდა დაყრდნოს სისტემური მიდგომის თეორიას და რთული ობიექტებისა და პროცესების შესწავლის ანალიზის მეცნიერულ საფუძვლებს.

სტუდენტთა მისაღები კონტინგენტის დაგეგმვის ძირითად ამოცანებად შეიძლება განისაზღვროს:

➤ შრომის ბაზრის მოთხოვნილებების ანალიზი, რის საფუძველზეც გამოვლინდება სტუდენტთა კონტინგენტის ფორმირებასთან დაკავშირებული პროცესების ფუნქციური კავშირები.

➤ სტუდენტთა მისაღები კონტინგენტის დაგეგმვის ხელშემწყობი საინფორმაციო მოდელების კომპლექსის დამუშავება, რომელიც ასახავს ინფორმაციული სისტემის სტრუქტურას და ფუნქციას, საგრძნობლად შეამცირებს სისტემის დამუშავებაზე და მის შემდგომ მოდერნიზებასა და მოდიფიცირებაზე მიმართულ ხარჯებს.

➤ სტუდენტთა მისაღები კონტინგენტის ფორმირებასთან დაკავშირებული პროცესების ავტომატიზებული მართვის იმიტაციური მოდელების დამუშავება, რომელმაც უნდა მოიცვას პროცესის სცენარი და ალგორითმი. აღნიშნული სცენარის პრაქტიკული რეალიზების შედეგების ანალიზი საშუალებას მოგვცემს შეფასდეს სისტემის ეფექტურობის ხარისხი.

➤ სტუდენტთა მისაღები კონტინგენტის განსაზღვრის მათემატიკური მოდელის აგება და რეალიზება.

ამ ამოცანების გადასაწყვეტად საჭიროა, გამოვიყენოთ ანალიტიკურ-სინთეზური მიდგომა, რომელიც ეფუძნება მოწინავე ქვეყნების პრაქტიკული გამოცდილების განზოგადებას; საბაზრო ეკონომიკის პირობებში სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმარების ავტომატიზებული მართვის სისტემის გაუმჯობესების მეთოდის და რეკომენდაციების დამუშავებას. სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის ავტომატიზებული მართვა უნდა წარმოვადგინოთ როგორც მიზანმიმართული, ორგანიზებული და პროგნოზირებადი პროცესი. მათემატიკური მოდელის რეალიზება უნდა მოხდეს ავტომატიზებული ფორმით, კომპიუტერთან ინტერაქტიულ რეჟიმში მუშაობით.

მათემატიკურ მოდელში გათვალისწინებული უნდა იყოს მრავალი არსებითი ფაქტორი. სტუდენტთა კონტინგენტის ფორმირების მოდელის დამუშავებაზე არსებით გავლენას ახდენს, ქვეყანაში არსებული საწარმოების და სხვა ეკონომიკური ობიექტების მდგომარეობა, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული გეგმით გათვალისწინებული ახალი ობიექტების დამატება და არსებულის რეკონსტრუირება, ბიზნეს სტრუქტურებისა და ბიზნეს ობიექტების სიმრავლე, რაც საერთო ჯამში ქმნის შრომის ბაზარს. ამიტომ, სტუდენტთა კონტინგენტის ფორმირების ამოცანა საწყის ეტაპზე უნდა იხილავდეს ქვეყნის საბაზრო ეკონომიკის მდგომარეობას, რომელიც მტკიცე კავშირშია ქვეყნისა და მისი რეგიონების განვითარების სახელმწიფო სტრატეგიასთან.

შრომის ბაზრის პირობებში, კვალიფიციური სპეციალისტის მოთხოვნის პროგნოზირება საგანმანათლებლო სისტემის სახელმწიფო რეგულირების ფორმებისა და მეთოდების ერთ-ერთ უმთავრესი მდგენელია. მოთხოვნის განსაზღვრისათვის, პირველ რიგში უნდა განვიხილოთ საბაზრო მოთხოვნილება ცალკეული კატეგორიების პროფესიის მიმართ და შემდგომ ქვეყნის შესაძლო ეკონომიკური პოტენციალი. სტუდენტთა კონტინგენტის ფორმირების მათემატიკური მოდელის დამუშავებისათვის საუკეთესო შედეგს მოგვცემს სტატისტიკური და პროგნოზირების მეთოდების გამოყენება. მათემატიკურმა მოდელმა უნდა ასახოს შრომის დინამიკურ ბაზარზე უმაღლეს დამთავრებულ სპეციალისტთა მოთხოვნილების მდგომარეობა, ამიტომ, მოდელის ასაგებად პირველ რიგში უნდა განვსაზღვროთ სპეციალისტების მომზადების დაგეგმვის პერიოდი. აღნიშნული პერიოდი შეიძლება იყოს მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი. პერიოდის ხანგრძლივობა, ფაქტობრივად, პირდაპირ მიმართებაშია ქვეყნის სტრატეგიული განვითარების პროგრამასთან და იმ სპეციალობების ჩამონათვალთან, რომელიც ამ პროგრამის განხორციელებისათვისაა აუცილებელი. სტუდენტთა კონტინგენტის ფორმირების შესწავლის საკითხები უნდა მიმდინარეობდეს ეროვნული ფასეულობების ორიენტაციის დინამიკურ ანალიზში და სხვადასხვა სოციალური ჯგუფის წარმომადგენლისთვის განათლების რეალიზების, წვდომის და ხარისხის მართვის შესაძლობლების გათვალისწინებით.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, უნდა ჩატარდეს საქართველოს შრომის ბაზარზე სპეციალისტთა დასაქმების სფეროში არსებული და შრომის ბაზრის პროცესების ინფორმაციული მხარდაჭერის სიტუაციის კვლევა, რომელიც ორიენტირებული იქნება საქართველოში არსებულ უმაღლესი

სასწავლებლებზე და პოტენციურ დამსაქმებლებზე. სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმარების ავტომატიზებული მართვა უნდა განვიხილოთ, როგორც მიზანმიმართული, ორგანიზებული და პროგნოზირებადი პროცესი. მკაცრად უნდა გაიმიჯნოს სტუდენტთა კონტინგენტის ფორმირების ეტაპები. ანალიტიკურ-სინთეზური მიდგომა უნდა ეფუძნებოდეს პრაქტიკული გამოცდილების განზოგადებას და მის ღრმა ანალიზს, დინამიკური ბაზრის პირობებში სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმარების ავტომატიზებული მართვის სისტემის გაუმჯობესების მეთოდის და რეკომენდაციების დამუშავებას.

### 3. დასკვნა

უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტთა კონტინგენტის ფორმირების სისტემა პრობლემატურია და წარმოადგენს თეორიული კვლევის საგანს. დღემდე, ამ საკითხზე მიძღვნილ ჩატარებული კვლევების უმეტესობაში არ შეიმჩნევა აბიტურიენტთა მიღების პრობლემებზე აქცენტირება, საკითხის მხოლოდ კერძო ასპექტების ანალიზი ტარდება, მაშინ როცა კონტინგენტის ფორმირების პროცესი მთლიანობაში წარმოადგენს ხანგრძლივი მოსამზადებელი სამუშაოს დასკვნითი ეტაპს. უმაღლესი სკოლის კონტინგენტის ფორმირების პროცესის, როგორც რთული სოციალური მოვლენის, სამეცნიერო ანალიზის ერთერთი ფუძემდებლური მიდგომაა სისტემურობა. სტუდენტთა კონტინგენტის ფორმირების ამოცანა უნდა იხილავდეს ქვეყნის საბაზრო ეკონომიკის მდგომარეობას, რომელიც მტკიცე კავშირშია სახელმწიფოს განვითარების სტრატეგიასთან. ასევე, გასათვალისწინებელია რომ, სტუდენტთა კონტინგენტის ფორმირების მოდელის დამუშავებაზე გავლენას ახდენს, ქვეყანაში არსებული საწარმოების და სხვა ეკონომიკური ობიექტების მდგომარეობა, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული გეგმით გათვალისწინებული ახალი ობიექტების დამატება და არსებულის რეკონსტრუირება, ბიზნეს სტრუქტურებისა და ბიზნეს ობიექტების სიმრავლე, რაც საერთო ჯამში ქმნის შრომის ბაზარს.

## BASIC REGULATIONS, FACTORS AND TASKS OF FORMATION OF THE CONTINGENT OF ENROLLED STUDENTS

Zirakashvili Tamar

Georgian Technical University  
tamuna.zirakashvili@yahoo.com

### Summary

Consideration of the formation of a contingent of enrolled students takes place through a systematic approach which allows the dynamic analysis of the system. The work is carried out in an interactive mode in non-verbal form. The exchange of information between the person making the decision (PMD) and the computer is the basis of the computerization of the formalized model of the contingent of students. PMD needs necessary information in the decision making process. The quality of this information must meet a number of requirements like reliability, completeness, adequacy, sufficiency, accuracy, provision in an accessible form, etc. All of that requires us to search for information and provide the structured database.

## ენერგეტიკა, კლიმატი და მდგრადი განვითარება

ალექსანდრე ჯოხაძე  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
aleksandresoft@gmail.com  
რეზიუმე

განხილულია საქართველოში განახლებადი ენერჯის პროექტების განვითარების სტრატეგიასთან დაკავშირებული პრობლემური საკითხები, გარემოზე ზემოქმედებისა (კლიმატის ცვლილება) და მდგრადი განვითარების კონტექსტში. წარმოდგენილია მზის, ქარის და ჰიდრო-ელექტროსადგურების სავარაუდო ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები, როგორცაა ღირებულება, დადგმული სიმძლავრის გამოყენების კოეფიციენტი. მოცემულია პროექტების დადებითი და უარყოფითი მხარეების და მათი გარემოზე ზემოქმედების სავარაუდო შედეგების შედარებითი ანალიზი. დასაბუთებულია თუ რატომ უნდა მიენიჭოს საქართველოში უპირატესობა ჰესების განვითარებას, განსაკუთრებით მდინარის ბუნებრივ მოდინებაზე მომუშავე ჰესებს.

**საკვანძო სიტყვები:** კლიმატის ცვლილება, მდგრადი განვითარება, განახლებადი ენერჯია, მზის ენერგეტიკა, ქარის ენერგეტიკა, ჰესი, მდინარის ბუნებრივ მოდინებაზე მომუშავე ჰესი.

### 1. შესავალი

ცხოვრება თანამედროვე საზოგადოებაში გულისხმობს ერთმანეთთან დაკავშირებული ფაქტორების მრავალფეროვნებას, რომელთა შორის აღსანიშნავია გარემოსდაცვითი პრობლემები (კლიმატის გლობალური ცვლილება), სოციალური პრობლემები, ასევე - ეკონომიკური პრობლემები. კლიმატის გლობალური ცვლილება 21-ე საუკუნის ყველაზე დიდ პრობლემას წარმოადგენს. ბოლო წლებში, მსოფლიოს მასშტაბით, მნიშვნელოვნად იმატა ისეთი სტიქიური მოვლენების რაოდენობამ, როგორცაა: მიწისძვრები, ქარიშხლები და ქარბორბალები, წყალდიდობები, გვალვები, გარემოს არანორმალურად მაღალი ტემპერატურა, მყინვარების დნობა, ტყის ხანძრები და სხვა. ყოველივე ხსენებული უკავშირდება გლობალური დათბობის ფენომენს, რომლის პროგრესირების ერთ-ერთ ძირითად მიზეზს წარმოადგენს ადამიანის პრაქტიკული საქმიანობის შედეგად ე.წ. „სათბურის გაზების“, (Greenhouse gases) ემისიები და შესაბამისად მათი კონცენტრაციების ზრდა დედამიწის ატმოსფეროში. სათბურ ეფექტში წვლილის მიხედვით გამოარჩევენ შემდეგ ძირითად გაზებს: წყლის ორთქლი ( $H_2O$ ), ნახშირორჟანგი ( $CO_2$ ), მეთანი ( $CH_4$ ), ოზონი ( $O_3$ ), აზოტის ჟანგები. დანარჩენი გაზების წვლილი სათბურ ეფექტში გაცილებით ნაკლებია ატმოსფეროში მათი უმნიშვნელო კონცენტრაციების გამო.

ეკონომიკური და სოციალური განვითარების მიზნით პრაქტიკული საქმიანობის განხორციელებისათვის საჭირო ენერჯის წყაროების დიდი ნაწილი წიაღისეულ საწვავზე მომუშავე ელექტროსადგურებია, რომლებიც წარმოადგენენ დედამიწის ატმოსფეროში სათბური გაზების ემისიის ძირითად წყაროს. პროგნოზების მიხედვით, თუ სახელმწიფოებმა სათბური გაზების ემისიის დონის შემცირებაზე არ იზრუნეს, მაშინ 2000 წლიდან დაწყებული, ყოველ ასწლეულში დედამიწის ზედაპირზე საშუალო ტემპერატურა გაიზრდება  $5-6^{\circ}C$ -ით. შექმნილი სიტუაციიდან გამოსავალს წარმოადგენს ეკოლოგიურად სუფთა, განახლებადი ენერჯის წყაროების წილის გაზრდა და მდგრადი განვითარების პრინციპებზე გადასვლა.

### 2. საქართველოს ენერგეტიკა და მდგრადი განვითარება

მდგრადი განვითარება, მდგრადი საზოგადოება, მდგრადი მრეწველობა, მდგრადი სოფლის მეურნეობა... პოპულარული და ბევრისთვის ნაცნობი ტერმინებია, მაგრამ ყველას არ ესმის მდგრადი განვითარების არსი. ზოგიერთი მდგრად განვითარებას მჭიდროდ უკავშირებს მხოლოდ ეკონომიკის უწყვეტ ზრდას და სოციალურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას, განმარტებების მიხედვით კი

მდგრადი განვითარება არის პოზიტიურ ცვლილებათა ერთობლიობა, რომელიც არ აცალკევებს გარემოს სოციალური სისტემებისგან.

მდგრადი განვითარება საზოგადოების განვითარების ისეთ სისტემას გულისხმობს, რომელიც საზოგადოების ეკონომიკური განვითარებისა და გარემოს დაცვის ინტერესების გათვალისწინებით უზრუნველყოფს ადამიანის კეთილდღეობას, ცხოვრების დონის ხარისხის ზრდას და მომავალი თაობების უფლებას ისარგებლონ შექცევადი რაოდენობრივი და ხარისხობრივი ცვლილებებისაგან მაქსიმალურად დაცული ბუნებრივი რესურსებითა და გარემოთი. მდგრადი განვითარება გულისხმობს [1]:


- თანამედროვეობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას იმგვარად, რომ არ შეიზღუდოს მომავალი თაობის მოთხოვნილებები (ბრუტლენდის კომისია, 1987 წ.).

- ადამიანის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას ეკოსისტემებზე დატვირთვის გათვალისწინებით (United Nations Environment Programme - UNEP; World Wide Fund for Nature - WWF)

ენერგეტიკული ფაქტორი მდგრადი განვითარების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანესი მახასიათებელია ნიშნავს. მდგრადი განვითარების ენერგეტიკულ 15 ინდიკატორს შორის აღსანიშნავია<sup>1</sup>:


- ელექტროენერჯის მოხმარება კვტსთ / 1 სულ მოსახლეზე (ნახ. 1.);
- განახლებადი ენერჯის მოხმარება (% ენერჯის საერთო მოხმარებისაგან) (ნახ. 2.);

როგორც 1-ელი ნახაზიდან ჩანს, მსოფლიო ბანკის მონაცემებით, ერთ სულ მოსახლეზე მოხმარებული ენერჯის მიხედვით საქართველოს საკმაოდ დაბალი მაჩვენებელი გააჩნია, რაც იმას ნიშნავს, რომ აუცილებელია საქართველოს ენერჯოსექტორის განვითარების ტემპების დაუყონებლივ გაზრდა, მეორეს მხრივ, ნახ. 2-დან ჩანს, რომ განახლებადი ენერჯის მოხმარების პროცენტული მაჩვენებელი საერთო მოხმარებიდან, 2002 წელთან შედარებით, თითქმის ორჯერ შემცირდა და აგრძელებს შემცირებას, რაც იმის მაჩვენებელია, რომ განახლებადი ენერჯის წყაროები შედარებით ნაკლები ტემპებით ვითარდებიან, ენერგეტიკული პროექტების განვითარება ხდება გარემოს და სოციალური ფაქტორების არასათანადო გათვალისწინებით ანუ ენერგეტიკა ფაქტობრივად მოწყვეტილია მდგრადი განვითარების პრინციპს.



ნახ. 1. ელექტროენერჯის მოხმარება კვტსთ / 1 სულ მოსახლეზე

<sup>1</sup> <http://data.worldbank.org/indicator>



ნახ. 2. განახლებადი ენერჯის მოხმარება (% ენერჯის საერთო მოხმარებისაგან)

საერთო მოხმარებიდან განახლებადი ენერჯის მოხმარების პროცენტული მაჩვენებლის შემცირების მიზეზს წარმოადგენს ენერჯოსექტორის განვითარების არასწორი პოლიტიკა, რომლის თანახმადაც ძირითადი აქცენტები გაკეთებული იქნა მძლავრი თბოელექტროსადგურების პროექტების განვითარებაზე (მაგალითად: უკვე ექსპლუატაციაში გაშვებული 230 მეგავატი დადგმული სიმძლავრის გარდაბნის კომბინირებული ციკლის თბოელექტროსადგური და მშენებარე, იგივე ტიპისა და დადგმული სიმძლავრის, „გარდაბნის თბოსადგური 2“), რომლებიც წარმოადგენენ ატმოსფეროში სათბური გაზების ემისიის ძირითად წყაროებს.

ენერჯის განახლებადი წყაროების პროექტებიდან, ბოლო წლებში, დაიწყო მზისა და ქარის ელექტროსადგურების განვითარება, რომლებსაც გააჩნიათ, საყოველთაოდ აღიარებული, როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეები. მზის ელექტროსადგურების, რომლებიც დღეისათვის არსებული მზის პანელების ბაზაზე აიგება, დადებითი მხარეებია:

- ხელმისაწვდომობა - მზის სხივების ენერჯის გარდაქმნა ელექტრულში შეიძლება ნებისმიერ ღია ადგილზე;
- ფაქტობრივად გააჩნია პირველადი ენერჯის ულვეი წყარო, მეცნიერების შეფასებით, მზე კიდევ 6,5 მილიარდი წლის განმავლობაში იარსებებს;
- არ აწარმოებს სათბური გაზების ემისიას ატმოსფეროში;
- არ წარმოადგენს ხმაურისა და ვიბრაციების წყაროს;
- ექსპლუატაციის სიმარტივე - ტექნიკური მომსახურების დაბალი ხარჯები, დაზიანებების აღმოფხვრა ხორციელდება სტანდარტული მოდულების გამოყენებით;

მზის ელექტროსადგურების უარყოფით მხარეებს წარმოადგენს:

- საკმაოდ მაღალი ღირებულება - 1 ვატის ღირებულება დღეის მონაცემებით იცვლება 1 – 3 ამერიკული დოლარის ფარგლებში;
- ცვალებადობა - მიღებული ენერჯის რაოდენობა პირდაპირაა დაკავშირებული მზის გამოსხივების ინტენსიურობაზე, ღამით და ღრუბლიან ამინდში ენერჯის მიღება შეუძლებელია, საგრძნობლად მცირდება გამომუშავება ზამთრის პერიოდში;



• დღეისათვის წარმოებაში არსებულ მზის ელემენტებს გააჩნიათ დაბალი მარგი ქმედების კოეფიციენტი, რომელიც იცვლება 9%-დან მაქსიმუმ 20%-მდე, მწარმოებლის მიერ გამოყენებული ნედლეულის სისუფთავისა და ტექნოლოგიის მიხედვით;

• დადგმული სიმძლავრის გამოყენების კოეფიციენტის (ICF – Installed Capacity Factor) დაბალი მნიშვნელობა - საქართველოში მზიანი დღეების რაოდენობა წელიწადის განმავლობაში საშუალოდ შეადგენს 250-280 დღეს, რაც შეესაბამება მზის ელექტროსადგურის მიერ ელექტროენერჯის გამომუშავებას საშუალოდ 2000 საათის განმავლობაში, ანუ დადგმული სიმძლავრის გამოყენების კოეფიციენტი არ აღემატება 23%-ს;

• ძვირი ღირს ენერჯის შენახვისა და ინვერტორების სისტემები - მზის ელემენტები წარმოადგენენ მხოლოდ მუდმივი დენის წყაროებს, მათი გარდაქმნისათვის საჭიროა აკუმულატორებისა და ინვერტორების სისტემები;

• ესაჭიროება საკმაოდ დიდი ტერიტორია, რომელზედაც მწვანე საფარი ვერ ხარობს;

• საჭიროებს მზის ელემენტების საკმაოდ დიდი ფართობის პერიოდულ გაწმენდას დაფენილი მტვერისაგან;

• წარმოადგენს დიდი რაოდენობით სითბოს გამოსხივების წყაროს, რაც საგრძნობლად წევს მაღლა მიმდებარე ტერიტორიის ტემპერატურას;

• მზის პანელების შეზღუდული რესურსები - ამ ეტაპზე არსებული მზის პანელების „სიცოცხლის“ ვადა შეზღუდულია და წარმოადგენს 15-20 წელიწადს;

• ბუნებრივ მოვლენებისადმი არამდგრადობა - ძლიერმა სეტყვამ შეიძლება დიდი ზიანი მიაყენოს მზის ელექტროსადგურს;

ქარის ელექტროსადგურების დადებით მხარეებს წარმოადგენს:

- არ აწარმოებს სათბური გაზების ემისიას ატმოსფეროში;
- ფაქტობრივად გააჩნია პირველადი ენერჯის ულვეი წყარო - ქარი;
- სამონტაჟო და გამართვა/გაშვების სამუშაოთა შესრულების მცირე ვადები;
- ტექნიკური მომსახურებისა და ექსპლუატაციის დაბალი ხარჯები;
- ესაჭიროება მცირე ფართობი;

ქარის ელექტროსადგურების უარყოფით მხარეებს წარმოადგენს:

• საკმაოდ მაღალი ღირებულება - 2 მეგავატიანი ქარის ტურბინა თავისი სამონტაჟო სამუშაოებით, ქვესადგურის და ელექტროგადამცემი ხაზის მოწყობის ღირებულების გარეშე, დღეის მონაცემებით, საშუალოდ 3-4 მილიონ ამერიკულ დოლარს შეადგენს<sup>2</sup>;

• სიმძლავრის დროში ცვალებადობა - ხმელეთზე ქარის ძალა (სიჩქარე) განუწყვეტლად იცვლება, შესაბამისად იცვლება ტურბინის მიერ განვითარებული ელექტრული სიმძლავრეც, რის შედეგადაც ქარის ელექტროსადგურს ელექტროსისტემაში შეაქვს არსებითი შემფოთებები, რაც წარმოადგენს არასასურველ ფაქტს;

• ერთი აგრეგატის შეზღუდული სიმძლავრე - ქარის ტურბინის ანძაზე დადგმული გენერატორის წონა, შესაბამისად სიმძლავრე შეზღუდულია;

• წარმოებული ელექტროენერჯის შედარებით დაბალი ოდენობა - სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, ქარის ელექტროსადგურის დადგმული სიმძლავრის გამოყენების კოეფიციენტი, ზღვაში ჩადგმული დანადგარებისათვის, სადაც ქარის ძალა მეტნაკლებად სტაბილურია, შეადგენს არაუმეტეს 35%-ს, სანაპიროზე დადგმული დანადგარებისათვის - არაუმეტეს 26%-ს, ხოლო ხმელეთზე, სადაც შედარებით ჭარბობს უქარო ამინდები, დადგმული დანადგარებისათვის კიდევ უფრო ნაკლებს [2];

<sup>2</sup> [http://www.windustry.org/how\\_much\\_do\\_wind\\_turbines\\_cost](http://www.windustry.org/how_much_do_wind_turbines_cost)

- მძლავრი გენერატორების ელექტრომაგნიტური გამოსხივება, რომლების შეიძლება გავრცელდეს მისგან თითქმის 2 კმ რადიუსში აფერხებს ტელეგადაცემებსა და რადიო კავშირს, შეიძლება მოახდინოს ონკოლოგიური დაავადებების პროვოცირება;

- წარმოადგენს დაბალი სიხშირის ვიბრაციებისა და ინფრაბგერების წყაროს - ცვალებადი ინტენსიურობის ინფრაბგერები უარყოფითად მოქმედებენ ელექტროსადგურის ტერიტორიაზე მყოფ (მომსახურე პერსონალი) და მის სიახლოვეს დასახლებულ ადამიანებზე, ზემოქმედებს მათ ვესტიბულარულ აპარატზე, ადამიანებს აღენიშნებათ თავბრუსხვევა, უძილობა, დადლილობის შეგრძნება, გულისრევის შეგრძნება, ზოგს ერღვევა გულისცემის რითმი<sup>3</sup>.

- ძლიერი ქარის მიმართ არამდგრადობა - 15 – 20 მ/წმ და მეტი სიჩქარის ქარიშხალმა შეიძლება დიდი ზიანი მიაყენოს ქარის ელექტროსადგურს;

ზემოაღნიშნული ფაქტორებიდან და მსოფლიო პრაქტიკიდან გამომდინარე, განახლებადი ენერჯის წყაროებიდან მზისა და ქარის ელექტროსადგურების პროექტები ჰიდროელექტროსადგურების პროექტების ალტერნატივად განიხილება მხოლოდ ამ უკანასკნელის განვითარების შესაძლებლობების არარსებობის შემთხვევაში. საქართველო საკმაოდ მდიდარია ჰიდრორესურსებით, რომელთა დიდი ნაწილი აუთვისებელია. ამიტომ, ერთ სულ მოსახლეზე ელექტროენერჯის მოხმარებისა და საერთო მოხმარებიდან განახლებადი ენერჯის მოხმარების პროცენტული მაჩვენებლის ზრდის ტემპების დაჩქარების მიზნით, მეტად ხელსაყრელია ჰიდროელექტროსადგურების პროექტების განვითარება.

ბოლო წლებში საქართველოს მთავრობა შეეცადა წარმოეჩინა ქვეყანა, როგორც რეგიონში განახლებადი ენერჯის წარმოების ლიდერი და გააგრძელა ისეთი ტრადიციული ენერჯოპროექტების განვითარების მხარდაჭერა, როგორცაა სეზონური რეგულირების საკმაოდ დიდი მოცულობის მქონე წყალსაცავების მქონე, მძლავრი ჰესები (ხუდონჰესი, ნამახვანის ჰესების კასკადი, ნენსკრა ჰესი, შუახევი ჰესი და სხვა) რომლებიც, როგორც წესი, გარემოზე მნიშვნელოვან ზემოქმედებას აწარმოებენ, ვიდრე მდინარის ბუნებრივ მოდინებაზე მომუშავე ჰესები, რამაც უკანასკნელი წლების განმავლობაში, გამოიწვია მოსახლეობის მძაფრი პროტესტი მათი მშენებლობის წინააღმდეგ. ამით მთავრობა არ დგამს ეფექტურ ნაბიჯებს სწორედ იმ ელემენტების მხარდასაჭერად, რომლებიც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მდგრადი ენერჯოსისტემის ჩამოყალიბებისთვის, როგორცაა გარემოსდაცვითი საკითხების ინტეგრაცია განახლებადი ენერჯის წყაროებში. აღნიშნული ტიპის ჰესები ვერ აკმაყოფილებენ მდგრადი განვითარების მოთხოვნებს, ვინაიდან:

- იტბორება და ნადგურდება ათეულობით ჰექტარი მწვანე საფარი;

- წყალსაცავში შეტბორილი წყლის საკმაოდ დიდი ფართის მქონე ზედაპირიდან მიმდინარეობს წყლის ორთქლის, სათბური გაზებიდან ყველაზე მეტი სათბური ეფექტის მქონე გაზის, ემისია ატმოსფეროში, რომელიც ზრდის მიმდებარე ტერიტორიის საშუალო ტემპერატურას, რაც თავის მხრივ ზრდის აორთქლების ინტენსიობას, იკვრება დადებითი უკუკავშირი, მეტად იზრდება მიმდებარე ტერიტორიის ტემპერატურა და შესაბამისად ტენიანობაც, ანუ რადიკალურად იცვლება მიმდებარე ტერიტორიის კლიმატი, იზრდება მეწყერის ჩამოსვლის ალბათობა;

- წყალსაცავში შეტბორილი დიდი ზედაპირის მქონე წყალი მეტად გათბება უკვე გაზრდილი ტემპერატურის მქონე გარემოდან, ეს კი ნიშნავს, რომ ზაფხულში კაშხლიდან გამავალი წყლის ტემპერატურა მეტი იქნება კაშხალში შემავალი მდინარის წყლის ტემპერატურაზე, ანუ მდინარის ტემპერატურული რეჟიმი შეიცვლება, რაც აუცილებლად უარყოფითად აისახება მდინარეში გავრცელებულ თევზების პოპულაციებზე, განსაკუთრებით კი ცივი წყლის მოყვარულ თევზებზე (მაგალითად კალმახზე).

<sup>3</sup> <https://www.ncbi.nlm.nih.gov/pmc/articles/PMC3653647/>

დიდი სიმძლავრის ჰესების კიდეც ერთ უარყოფით მხარეს წარმოადგენს მნიშვნელოვანი სიდიდის სიმძლავრის კონცენტრაცია, რის გამოც, ნებისმიერი აგრეგატის ან სრულიად ჰესის ავარიული სიტუაციის შედეგად გაჩერებისას, სისტემა განიცდის მნიშვნელოვან შემფოთებას, მას აკლდება მნიშვნელოვანი სიმძლავრე, რასაც შეიძლება მოყვეს სისტემაში რყევების აღმზრდა და სასისტემო ავარიის განვითარება. მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ 1300 მგვტ დადგმული სიმძლავრის ენგურჰესზე მომხდარი ავარიები: 2014 წლის 27 ივლისს, როცა მწყობრიდან გამოვიდა 500 კვ-იანი ელექტროგადამცემი ხაზი „იმერეთი“, 220 კვ-იანი ელექტროგადამცემი ხაზები „კოლხიდა-2“ და „პალიასტომი-1“ და 2018 წლის 24 მაისს, როცა ენგურჰესის სამანქანო დარბაზის გარკვეული ნაწილი წყლით დაიტბორა. ორივე შემთხვევაში განვითარდა სასისტემო ავარია და საქართველოს უდიდეს ნაწილს, რამდენიმე საათით შეუწყდა ელექტროენერჯის მიწოდება.

მდგრადი განვითარების მოთხოვნებს მეტად შეესაბამება მდინარის ბუნებრივ მოდინებაზე მომუშავე ჰესები. ისინი გაცილებით ნაკლებ, შეიძლება ითქვას, უმნიშვნელო გავლენას ახდენენ გარემოზე. როგორც წესი, მათი უმრავლესობის სათავე ნაგებობის კონსტრუქცია წარმოადგენს დაბალ ზღურბლიან ტიროლის ტიპის წყალმიმღებს, შეტბორილი წყალის ზედაპირის ფართი უმნიშვნელოა, არ სცდება მდინარის კალაპოტს, არ ტბორავს მწვანე საფარის მნიშვნელოვან ფართს, არ ზემოქმედებს გარემოს ტემპერატურასა და ტენიანობაზე. მთავარია ის ფაქტი, რომ სეზონური რეგულირების წყალსაცავების მქონე ჰესებისაგან განსხვავებით, სათავე ნაგებობის გარღვევის შემთხვევაში, ამ ტიპის ჰესები არ წარმოადგენს ეკოლოგიური კატასტროფის საშიშროების წყაროს.

მდინარის ბუნებრივ მოდინებაზე მომუშავე ჰესების უარყოფით მხარეს წარმოადგენს წყლის რესურსების ნაწილობრივი გამოყენება. ის წყალი, რომლის გატარებაც არ შეუძლია ჰესს წყალდიდობის პერიოდში და ის წყალი, რომლისთვისაც შეუძლებელია ტურბინის გაშვება (ტურბინის მინიმალურ ტექნიკურ ხარჯზე ნაკლები ხარჯი), მიედინებიან მდინარის კალაპოტში და მათი პოტენციალი გამოუყენებელი რჩება, მაშინ, როდესაც რეგულირების წყალსაცავების მქონე ჰესებისათვის ეს წყალი გროვდება წყალმცირე პერიოდებში გამოყენების მიზნით - მდინარის პოტენციალის ათვისება მაქსიმალურად ხორციელდება. მიუხედავად ამისა, აგრეგატების ტიპების, რაოდენობისა და საანგარიშო ხარჯების ოპტიმალურად შერჩევის შემთხვევაში, მდინარის ბუნებრივ მოდინებაზე მომუშავე ჰესის დადგმული სიმძლავრის გამოყენების კოეფიციენტი (ICF) შეიძლება 65%-ზე მეტიც იყოს [3].

### 3. დასკვნა

განახლებადი ენერჯის წყაროების ზემოთ განხილული დადებითი და უარყოფითი მხარეების ანალიზის შედეგად ბუნებრივია მივიღეთ შემდეგ დასკვნამდე:

- მაშინ, როდესაც ქვეყანას გააჩნია საკმარისი რაოდენობის აუთვისებელი ჰიდრორესურსები, მიზანშეწონილი არაა პრიორიტეტი მიენიჭოს მზისა და ქარის ელექტროსადგურების პროექტების განვითარებას, მათი საკმაოდ მაღალი ღირებულების, დანადგარების მარგი ქმედების და დადგმული სიმძლავრის გამოყენების დაბალი კოეფიციენტის გამო.
- საქართველოში, ერთ სულ მოსახლეზე ელექტროენერჯის მოხმარებისა და საერთო მოხმარებიდან განახლებადი ენერჯის მოხმარების პროცენტული მაჩვენებლის ზრდის ტემპების დაჩქარების მიზნით, მეტად ხელსაყრელია ჰიდროელექტროსადგურების პროექტების განვითარება.
- მაშინ, როდესაც ქვეყანას გააჩნია საკმაოდ რაოდენობის მძლავრი ელექტროსადგურები, რომლებსაც შეუძლიათ პიკური დატვირთვების მოხსნა და/ან ელექტროსისტემის ნულიდან გაშვება, მდგრადი განვითარების მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით, მეტი ყურადღება უნდა მიექცეს მდინარის ბუნებრივ მოდინებაზე მომუშავე ჰესების პროექტების განვითარებას.
- მდინარის ბუნებრივ მოდინებაზე მომუშავე ჰესების პროექტების განვითარებას გააჩნია მნიშვნელოვანი დადებითი მხარე იმ თვალსაზრისით, რომ მიიღება ტერიტორიულად გადანაწილებული

ენერგორესურსები, ელექტროგადამცემი ხაზები არ იქნება გადატვირთული და რომელიმე ჰესის აგრეგატის ან მთლიანად ჰესის ავარიული გათიშვის შემთხვევაში სისტემა პრაქტიკულად ვერ აღიქვამს შემფოთებას, რაც იმის გარანტი არის, რომ არ განვითარდება სასისტემო ავარია, ეს ნიშნავს, რომ გაიზრდება ქვეყნის ელექტროსისტემის საიმედოობა.

### ლიტერატურა - References – Литература:

1. Manana Choqladze. The challenges of hydropower engineering in Georgia, Tbilisi, 2013, -45 p. in\_Geo.
2. WORLD ENERGY COUNCIL, WIND, WORLD ENERGY RESOURCES 2016, -71 p.
3. RETScreen® International, Clean Energy Decision Support Centre. RETScreen® Software, Online User Manual. Canada: © Minister of Natural Resources, 1997-2004. -126 p.

## ENERGY, CLIMATE AND SUSTAINABLE DEVELOPMENT

Jokhadze Alexander  
Georgian Technical University  
aleksandresoft@gmail.com

### Summary

The article provides an overview of the problems associated with the strategy for the development of renewable energy projects in Georgia in the context of environmental impact (climate change) and sustainable development. The estimated technical and economic indicators of solar, wind and hydroelectric Power Plants, such as cost, installed capacity factor, are considered. A comparative analysis of the positive and negative aspects of the projects of Power Plants and the likely results of their impact on the environment is given. It is substantiated why the priorities of the Hydropower Plants projects, especially projects of run-of-river type Hydropower Plants, should be awarded.

## ОБЕСПЕЧЕНИЕ ЗАЩИТЫ ИНФОРМАЦИИ ПРИ ИСПОЛЬЗОВАНИИ СОВРЕМЕННЫХ АВТОМАТИЗИРОВАННЫХ ИНФОРМАЦИОННЫХ ТЕХНОЛОГИЙ

Почовян Семён  
Грузинский Технический Университет  
simonasu94@rambler.ru

### Резюме

### 1. შესავალი

ენერჯო დამოუკიდებლობა საქართველოს უმნიშვნელოვანეს გამოწვევას წარმოადგენს. დღეის მონაცემებით, ელექტროენერჯიის მოხმარების ზრდის ტემპები მნიშვნელოვნად აღემატება ენერჯოსექტორის განვითარების ტემპებს. შეიქმნა ენერჯოსექტორის განვითარების ტემპების ზრდის აუცილებლობა, მოხმარებასა და გენერაციას შორის ბალანსის აღსადგენად და ძვირადღირებული იმპორტირებული ელექტროენერჯიის ოდენობის შესამცირებლად. ელექტროენერჯიაზე მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად საჭირო ენერჯიის წყაროების ერთი ნაწილი წიაღისეულ საწვავზე მომუშავე ელექტროსადგურებია, რომლებიც წარმოადგენენ დედამიწის ატმოსფეროში სათბური გაზების ემისიის ძირითად წყაროს, ხოლო მეორე არსებით ნაწილს წარმოადგენს ტრადიციული სქემების გამოყენებით აგებული, სეზონური რეგულირების საკმაოდ დიდი მოცულობის წყალსაცავების მქონე, მძლავრი ჰესები, რომლებიც გარემოზე მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენენ. ელექტროსადგურების ეს ორივე ტიპი ვერ აკმაყოფილებს მდგრადი განვითარების მოთხოვნებს, გარემოზე ზემოქმედების შემცირებისა და განახლებადი ენერჯიის წყაროების საერთო მოხმარებიდან წილის ზრდის ტემპების დაჩქარების მიზნით, გაცილებით გამართლებულია მდინარის ბუნებრივ მოდინებაზე მომუშავე ჰესების პროექტების განვითარება, რომლებიც გარემოზე უმნიშვნელო ზემოქმედების გამო, არანაირად არ მონაწილეობენ კლიმატის ცვლილებაში.


არსებობს მცდარი აზრი იმის შესახებ, რომ მდინარის ბუნებრივ მოდინებაზე მომუშავე ჰესები წარმოადგენენ მხოლოდ მცირე ჰესებს, რომელთა დადგმული სიმძლავრე, საქართველოში შემოდებული გრადაციების მიხედვით არ აღემატება 13 მგვტ-ს, ბუნებრივ მოდინებაზე მომუშავე შეიძლება იყოს საშუალო და მძლავრი ჰესებიც, მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ მდინარის ბუნებრივ მოდინებაზე მომუშავე „ფარავან ჰესი“, რომლის დადგმული სიმძლავრე 86 მგვტ-ის ტოლია.

ბოლო წლებში მდინარის ბუნებრივ მოდინებაზე მომუშავე ჰესების პროექტების განვითარებაში შეინიშნება შეფერხებები, რომლის მიზეზიც, პირველ რიგში, არის მათი დაბალი რენტაბელობა - ელექტროენერჯიის დეფიციტის აღმოფხვრის დაჩქარების მიზნით, პერსპექტიული ჰესების პროექტირების პერიოდში ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების შედგენისას, ადგილი აქვს დადგმული სიმძლავრის არარეალურად მაღალ სიდიდემდე გაზრდას - არასწორად შეირჩევა ჰესის საანგარიშო ხარჯის მნიშვნელობა, რაც ამცირებს ჰესის დადგმული სიმძლავრის გამოყენების კოეფიციენტს და შესაბამისად იწვევს რენტაბელობის შემცირებას. მეორეს მხრივ არასწორად დგინდება ჰესის სავარაუდო საშუალო წლიური გამომუშავება - რეალურად, პროექტების რეალიზების შემდეგ, ექსპლუატაციაში გაშვებული ჰესები ვერ აწარმოებენ ელექტროენერჯიას პროექტით გათვალისწინებული ოდენობით.

## 2. ჰესის მუშაობის მოდელირება

ჰესების ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების შედგენის პროცესი საკმაოდ რთულ და საკმაოდ შრომატევად და შესაბამისად ხანგრძლივ პროცესს წარმოადგენს. უნდა ჩატარდეს ჰიდროლოგიური კვლევები, მინიმუმ 30 წლის საშუალო ყოველდღიური ხარჯების (10950 მონაცემი) სტატისტიკური ანალიზი, საანგარიშო ხარჯისა და სავარაუდო საშუალო წლიური გამომუშავების დადგენა. ენერგეტიკის სამინისტროს მიერ დაწესებულ, წინა საამშენებლო ვადებში (10 თვე), სხვადასხვა საწყისი მონაცემებისათვის, როგორცაა დაწნევა, ჰესის საანგარიშო ხარჯი, ტურბინების ტიპები და რაოდენობა, დიდ სირთულეს წარმოადგენს ჰესის ალტერნატიული ვარიანტებისათვის გათვლების ჩატარება და ოპტიმალური ვარიანტის შერჩევა. სამწუხაროდ თითქმის ყველა პროექტში ეს პროცესი გამარტივებულია.


ჰესის საანგარიშო ხარჯის დადგენა უმეტესად ხორციელდება, ნორმატიული დოკუმენტებისა და საყოველთაოდ აღიარებული რეკომენდაციების მოთხოვნების უგულვეყოფით. საანგარიშო ხარჯები ხშირად შეირჩევა ინტუიციურად, ზოგჯერ მრავალწლიური საშუალო ყოველთვიური ხარჯების საფეხუროვანი დიაგრამის გამოყენებით (ნახ. 1.), როცა მის დონეს ისე ირჩევენ, რომ მან გადაკვეთის წყალუხვი პერიოდის მოდინების სამი თვის საფეხური, გულისხმობენ რა, რომ ასეთ შემთხვევაში ჰესი საანგარიშო ხარჯით უზრუნველყოფილი იქნება 90 დღე-ღამის განმავლობაში. ასეთი მიდგომა გამართლებულია მხოლოდ რეგულირების წყალსაცავის მქონე ჰესებისათვის, ვინაიდან ამ შემთხვევაში ხორციელდება ჰესის მიერ გამოუყენებელი ხარჯების აკუმულირება და მდინარის წყლის რესურსების მაქსიმალურად ათვისება. ასეთ შემთხვევაში საანგარიშო ხარჯით ჰესი შეიძლება უზრუნველყოფილი იქნეს წლის ხანგრძლივობის 35%-დან 50%-მდე დროის განმავლობაში, წყალსაცავის მოცულობის მიხედვით. რაც არ ხდება მდინარის ბუნებრივ მოდინებაზე მომუშავე ჰესებისათვის, ვინაიდან ამ ჰესებისათვის გამოუყენებელი ხარჯები მიედინებიან მდინარის კალაპოტში ჰესის გვერდის ავლით და მათი პოტენციალი იკარგება, ჰესის ფაქტობრივი უზრუნველყოფა საანგარიშო ხარჯით იქნება 15%-17%-ის ფარგლებში, ანუ 55 დღიდან 62 დღის განმავლობაში, გამოყენებული ტურბინების ტიპებისა და რაოდენობის მიხედვით.



ნახ. 1. მრავალწლიური საშუალო ყოველთვიური ხარჯების საფეხუროვანი დიაგრამა

იმისათვის, რომ მდინარის ბუნებრივ მოდინებაზე მომუშავე ჰესი იყოს რენტაბელური, იგი საანგარიშო ხარჯით უზრუნველყოფილი უნდა იყოს სულ მცირე 20%-ით ანუ დროში სულ მცირე 75 დღე-ღამის განმავლობაში, საუკეთესო რენტაბელობა მიიღება, როცა ჰესი უზრუნველყოფილია საანგარიშო ხარჯით 90 დღე-ღამის განმავლობაში, ანუ ჰესის საანგარიშო ხარჯის უზრუნველყოფა უნდა იყოს 25% [1,

2]. მნიშვნელოვანია, რომ ჰესის საანგარიშო ხარჯი უნდა შეირჩეს არა მდინარის მოდინების უზრუნველყოფის (ხანგრძლივობის) მრუდიდან, არამედ წმინდა (ხელმისაწვდომი) ხარჯების (მდინარის მოდინებას გამოკლებული სანიტარული ხარჯი) მოდინების უზრუნველყოფის მრუდიდან (ნახ. 2.).




ნახ. 2. მოდინებათა უზრუნველყოფის მრუდები

თუ შევადარებთ ნახაზებზე მოცემულ ინფორმაციას, დავრწმუნდებით, რომ მრავალწლიური საშუალო ყოველთვიური ხარჯების საფეხუროვანი დიაგრამით შერჩეული საანგარიშო ხარჯით (18 მ<sup>3</sup>/წმ) მდინარის ბუნებრივ მოდინებაზე მომუშავე ჰესი ნაცვლად 90 დღე-ღამისა ფაქტობრივად უზრუნველყოფილი იქნება 58 დღე-ღამის განმავლობაში, ვინაიდან ამ საანგარიშო ხარჯის უზრუნველყოფა ხელმისაწვდომი მოდინებათა უზრუნველყოფის მრუდზე (ნახ. 2.) შეესაბამება 16%-ს. ამ ტიპის ჰესის რენტაბელობის შესანარჩუნებლად საანგარიშო ხარჯი არ უნდა აღემატებოდეს 15.25 მ<sup>3</sup>/წმ-ს.

ჰესის პარამეტრების ოპტიმალური ვარიანტის შერჩევისათვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია ჰესის სავარაუდო საშუალო წლიური გამომუშავების დადგენა სხვადასხვა საწყისი მონაცემებისათვის, რომელიც ასევე საკმაოდ დრით დანახარჯებს მოითხოვს.

ამ პროცესის დაჩქარების მიზნით გამოიყენება სხვადასხვა კომპანიების მიერ შემუშავებული პროგრამული უზრუნველყოფები, რომელთა უმრავლესობაში ჰესის საშუალო წლიური გამომუშავების განსაზღვრის ფართედ გამოყენებული მეთოდი ეფუძნება გრაფიკულ მეთოდებს, რომლის თანახმად, მდინარის მოდინების ხანგრძლივობის მრუდს, საანგარიშო ხარჯისა და ეკოლოგიურ ხარჯის წირებს შორის მოთავსებული ფართით ხორციელდება ჰესის საშუალო წლიური გამომუშავების განსაზღვრა (ნახ. 3.). მეთოდის არსი შემდეგში მდგომარეობს: მთელი ფართი იყოფა ზოლებად, რომლის სიგანეც შეირჩევა 2.5%-დან 5%-მდე; ტრაპეციების მეთოდით გამოითვლება  $i$ -ური ზოლის  $F_i$  ფართი, შემდეგ ფართების ჯამით დგინდება ჰესის სავარაუდო საშუალო წლიური გამომუშავება.

ამ მეთოდით საკმაოდ უხეშად დგინდება ჰესის სავარაუდო საშუალო წლიური გამომუშავება, ვინაიდან მასში არ გაითვალისწინება მთელი რიგი ფაქტორებისა, კერძოდ: დაწნევის დანაკარგები და დანაკარგები აგრეგატების მოცდენებისგან, რომელიც გამოწვეულია ტურბინების მინიმალურ ტექნიკურ ხარჯზე ნაკლები ხარჯების შემთხვევებში. არ გაითვალისწინება ტურბინების მარგი ქმედების კოეფიციენტის მნიშვნელობები მიმდინარე ხარჯებისათვის.




ნახ. 3. ჰესის საშუალო წლიური გამომუშავების დადგენის გრაფიკული მეთოდი

ყველა ტიპის ტურბინას გააჩნია ე.წ. მინიმალური ტექნიკური ხარჯი, რომელზედაც ნაკლები ხარჯისათვის მისი გაშვება და ელექტროენერჯის წარმოება შეუძლებელია. ტურბინების ტიპების მიხედვით, მინიმალური ტექნიკური ხარჯი საანგარიშო ხარჯის 8%-დან 45%-მდე იცვლება, ამიტომ საქართველოში ხშირად გამოყენებადი ტიპის ტურბინებისათვის (ფრენსისისა და პელტონის ტიპის ტურბინები) მინიმალური ტექნიკური ხარჯის უგულვებელყოფა, ჰესის სავარაუდო საშუალო წლიური გამომუშავების დადგენისას, დაკავშირებულია მნიშვნელოვან ცდომილებებთან. მეორეს მხრივ მნიშვნელოვანია გათვალისწინებული იქნეს ტურბინის მარგი ქმედების კოეფიციენტის მნიშვნელობა ტურბინაში მიმდინარე ხარჯისათვის, რომლის სიდიდეც მნიშვნელოვნად იცვლება ტურბინაში გამავალი ხარჯის ცვლილებისას მინიმალური ტექნიკური ხარჯიდან მაქსიმალურ დასაშვებ მნიშვნელობამდე. ყოველივე ამის გათვალისწინება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა მდინარის საშუალო დღე-ღამური ხარჯების საშუალებით დგინდება ჰესის სავარაუდო საშუალო წლიური გამომუშავების ოდენობა, ანუ როდესაც ხორციელდება ჰესის მუშაობის მოდელირება შერჩეული ჰიდრომეტრიული დაკვირვებების პერიოდისათვის.

ჩვენს მიერ შედგენილი პროგრამა, შერჩეული ჰიდრომეტრიული დაკვირვებების პერიოდისათვის, არსებული მონაცემების საშუალებით, ადგენს სანიტარული ხარჯის მნიშვნელობას, რომელიც არ უნდა იყოს საშუალო მრავალწლიური ხარჯის 10%-ზე ნაკლები, ანგარიშობს ყოველდღიურ საშუალო წმინდა ხარჯებს, აგებს მოდინებათა ხანგრძლივობის (უზრუნველყოფის) მრუდს, ამოწმებს თუ რამდენად კორექტულადაა შერჩეული ჰესის საანგარიშო ხარჯი და ყოველი დღისათვის ანგარიშობს ჰესის საშუალო დღე-ღამურ გამომუშავებას, ითვალისწინებს რა ყველა ზემოთ ჩამოთვლილ ფაქტორებს. პროგრამის მუშაობა შემოწმებული იქნა უკვე არსებული ჰესებიდან შეგროვებული მონაცემების საშუალებით. მოდელირებით მიღებული შედეგები საკმაოდ მაღალი სიზუსტით დაემთხვა ჰესების მიერ რეალურად გამომუშავებულ წლიურ ენერჯიას. პროგრამაში გათვალისწინებულია კაპლანის, პეტონის, ფრენსისის და ოზბერგერის ტიპის ტურბინების მოდელები. მიუხედავად იმისა, რომ მათი მარგი ქმედების კოეფიციენტი, შესაბამისად განვითარებული სიმძლავრეც ტურბინაში გამავალ ხარჯზე არაწრფივად და მიკვიდებული, ყველა მათგანის გამომავალი  $P_t$  სიმძლავრის ფარდობა საანგარიშო  $P_{design}$  სიმძლავრესთან წრფივად და მოკიდებული ტურბინაში გამავალი  $Q_t$  ხარჯის ფარდობასთან ტურბინის  $Q_{design}$  საანგარიშო ხარჯთან (ნახ. 4.) და ზოგადად მათი მოდელები შეიძლება აღიწეროს შემდეგი წრფივი განტოლებით:

$$P_t = P_{design} \cdot \left( k \cdot \frac{Q_t}{Q_{design}} + b \right).$$

ტურბინების მოდელები განსხვავდებიან ერთმანეთისგან მხოლოდ  $k$  და  $b$  კოეფიციენტებით. ამრიგად გვეძლევა შესაძლებლობა, ნებისმიერი შერჩეული ტურბინისათვის, ნებისმიერი საანგარიშო ხარჯით, საკმაოდ მაღალი სიზუსტით დავაგინოთ ნებისმიერი  $i$  - ური საშუალო დღე-ღამური ხარჯით გამომუშავებული  $W_i$  დღე-ღამური ენერჯია და ყოველი  $n$  - ური წლის საშუალოდ გამომუშავებული ენერჯია  $W_n = \sum W_i$ . მოდელირების პროგრამაში გათვალისწინებულია 3 ტურბინის გამოყენება რომლებიც შეიძლება იყოს როგორც ერთი ტიპის ასევე სხვადასხვა ტიპის და სხვადასხვა საანგარიშო სიმძლავრის. მოდელირების შედეგები მიიღება სულ რამდენიმე ერთეულ წამში.



ნახ. 4. ფრენსისის ტიპის ტურბინის მოდელი

მდინარის მოდინება, როგორც პროცესი, წარმოადგენს სტოქასტიკურ პროცესს, მისი მოდინება განუწყვეტლივ იცვლება. განუწყვეტლივ იცვლება მდინარის წყლიანობის რეჟიმიც (წყალუხვი, წყალმცირე) და მეორდება განუსაზღვრელი პერიოდულობით, ამიტომ ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთებისას დასკვნების გაკეთებისათვის მრავალწლიური საშუალო წლიური გამომუშავების მნიშვნელობა ვერ ასახავს სრულ სურათს და ქმნის არასწორ წარმოდგენებს ჰესის სავარაუდო გამომუშავების შესახებ. ვინაიდან გენერაცია წარმოადგენს სტოქასტიკურ პროცესს, გაცილებით სწორი მიდგომა იქნება, რომ დასკვნები გაკეთდეს ენერჯიის მოსალოდნელი ოდენობით გამომუშავების ალბათობებზე. ამ მხრივ პროგრამა, ნორმატიული დოკუმენტების შესაბამისობაში, განიხილავს მდინარის წყლიანობის შემდეგ გრადაციებს: ძალიან წყალუხვ, წყალუხვ, საშუალო წყლიანობის, წყალმცირე და ძალიან წყალმცირე წლებს და ადგენს ასეთი წლებისათვის საშუალო წლიური გამომუშავების ტოლი და/ან მეტი გამომუშავების მიღების ალბათობების ცხრილს (ცხრილი 1).

მოსალოდნელი გამომუშავების ალბათობათა ცხრილი ცხრ.1

		Annual Energy (kWh)	Probability
Very high-warer years	aver	52,822,921	8.16%
	max	59,188,472	2.04%
High-warer years	aver	45,698,511	44.90%
	max	49,626,812	12.24%
Mean-warer years	aver	45,778,144	42.86%
	max	49,532,367	14.29%
Low-warer years	aver	40,824,770	77.55%
	max	42,805,110	61.22%
Very low-warer years	aver	35,226,773	93.88%
	max	39,636,919	81.63%
Average Annual Energy		44,524,589	53.06%

ჰესის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების შედეგის პროცესში ამ ცხრილის მიხედვით გაკეთებული დასკვნები შედარებით მკაფიოდ ასახავს ჰესის რენტაბელობის საკითხს და არ გამოიწვევს მომავალში გაუგებრობებს და ინვესტორების უკმაყოფილებას.

### 3. დასკვნა

კლიმატის გლობალური ცვლილების ფონზე, მდინარის ბუნებრივ მოდინებაზე მომუშავე ჰესების პროექტების განვითარება მეტად აქტუალურ საკითხს წარმოადგენს, ვინაიდან მეტად შეესაბამებთან ენერგეტიკის მდგრადი განვითარების მოთხოვნებს. ამ ტიპის ჰესები, მუშაობის პრინციპით, არსებითად განსხვავდებიან სეზონური რეგულირების წყალსაცავების მქონე ჰესებისაგან, რის გამოც მათი ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების შედგენისას მოითხოვება განსხვავებული მიდგომები, რომლებიც აღწერილია ნორმატიულ დოკუმენტებს, არსებულ სახელმძღვანელოებსა და ნორმატიულ დოკუმენტებში და რომლებიც რეალიზებულია ჩვენს მიერ შემუშავებულ პროგრამაში [4, 5]. სხვა პროგრამებისგან განსხვავებით, ჰესის პარამეტრების დასადგენად გამოყენებულია მისი მუშაობის მოდელირების პრინციპი, რომელიც ითვალისწინებს ყველა სახის დანაკარგებსა და იძლევა საშუალებას გაცილებით მეტი სიზუსტით დადგინდეს ჰესის მოსალოდნელი სავარაუდო გამომუშავების ოდენობები, მდინარის წყლიანობის სხვადასხვა წლებისათვის. პროგრამა იძლევა შესაძლებლობას რამდენიმე წუთის განმავლობაში განხორციელდეს ჰესის მუშაობის მოდელირების არაერთი ციკლი სხვადასხვა საწყისი მონაცემისთვის, რათა მიღებული შედეგების მიხედვით შეირჩეს ჰესის ოპტიმალური კონფიგურაცია (ჰესის საანგარიშო ხარჯი, ტურბინების ტიპები და რაოდენობა, ტურბინების საანგარიშო ხარჯები - ჰესის დადგმული სიმძლავრე).

### References - literatura - Литература:

1. RETScreen® International, Clean Energy Decision Support Centre. (2001-2004). CLEAN ENERGY PROJECT ANALYSIS: RETScreen® Engineering & Cases Textbook, SMALL HYDRO PROJECT ANALYSIS. Canada: © Minister of Natural Resources
2. RETScreen® International, Clean Energy Decision Support Centre. (1997-2004). RETScreen® Software, Online User Manual. Canada: © Minister of Natural Resources
3. Celso Penche. (1998). LAYMAN'S HANDBOOK ON HOW TO DEVELOP A SMALL HYDRO SITE (Second Edition). Belgica: European Small Hydropower Association (ESHA), Directorate-General for Energy (DG XVII). Bruselas
4. Guide on How to Develop a Small Hydropower Plant. (2004). Belgium: European Small Hydropower Association – ESHA. Brussels.

### MODELING THE OPERATION OF HPP

Jokhadze Alexander  
Georgian Technical University  
aleksandresoft@gmail.com

#### Summary

The article provides an overview of the problems associated with the development of projects of run-of-river type Hydropower Plants and methods of their solutions. Hydropower plant of this type play a very important role in sustainable development, so as they do not significantly affect the environment, and do not take part in climate change. Unfortunately, in the preparation of the feasibility study of these types of Hydropower Plants, traditional approaches are often used that are acceptable only for Hydropower Plants with reservoir of seasonal regulation. A method for determining the basic parameters of HPPs is proposed, based on the modeling of its operation, using data on average daily flows for at least 30 years, according to the requirements of regulatory documents.

# მიწოდების ჯაჭვის მართვა ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენებით

ლილი პეტრიაშვილი<sup>1</sup>, გიორგი სურგულაძე<sup>2</sup>, დიმიტრი მასხარაშვილი<sup>3</sup>

1-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

2-შავი ზღვის უნივერსიტეტი, 3-საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი

## რეზიუმე

საწარმო ობიექტის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სფეროა მიწოდება, რომელიც შედგება ოპერაციითი ჯაჭვისგან, სადაც განსაზღვრულია არა მარტო პროდუქციის განაწილების ეფექტურობა, არამედ მომხმარებელზე მიწოდებული პროდუქტის ხარისხიც. მიწოდების ჯაჭვი არის სწორად განსაზღვრული და ეფექტურად მართული ორგანიზაციული პროცესები, რომელიც ქმნის სისტემას, სისტემა კი ქმნის იმ პროდუქტს თუ მომსახურებას რომელიც კონკრეტული მომხმარებლისთვისაა განკუთვნილი. მისი მთავარი კომპონენტია მწარმოებლურობა, რომელიც თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, საჭიროებს არსებულ პარადიგმათა ცვლილებებს, რაც გაზრდის მიწოდების ეფექტურობას.

**საკვანძო სიტყვები:** მიწოდების ჯაჭვი. მონაცემთა ანალიზი. RFID. მონცემთა მანიპულირება.

## 1. შესავალი

მიწოდების ჯაჭვი (SCM - supply chain management), წარმოადგენს საკმაოდ რთულ დივერსიფიკაციულ სისტემას, რომელიც დინამიურად იცვლება ისეთი ფაქტორების მიმართ როგორცაა: საინვესტიციო პოლიტიკა, სამეცნიერო-ტექნიკური განვითარების დონე, მომწოდებლების და მომხმარებლების კონცენტრაცია, სისტემის მომხმარებელთა გეოგრაფიული მდებარეობა, პროდუქციის/მომსახურების მოთხოვნის დონე და დინამიკა, კონკურენტული გარემო, სასაწყობო და სატრანსპორტო მომსახურების ტარიფები და სხვა. აქედან გამომდინარე ინფორმაციის მიღებისა და გადაამუშავების სირთულესთან დაკავშირებით მენეჯერები ყოველთვის ვერ აღწევენ მიწოდების ჯაჭვის ოპტიმიზაციისა და რაციონალიზაციის მაღალ დონეს. ამასთან ერთად მიწოდების ჯაჭვი არის, ერთიანი ინტეგრირებული, მომხმარებელზე ორიენტირებული, დაგეგმარების, ფორმირების, მართვის, შიდა და გარე მატერიალური და მასთან დაკავშირებული ნაკადების მართვის პროცესების განსაზღვრული სისტემა, სადაც ხდება დამატებითი ღირებულების ოპტიმალური მნიშვნელობის განსაზღვრა [1].

მიწოდების ჯაჭვში მიმდინარე პროცესების ურთიერთობების ტრანსფორმაციის და ფორმირებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენებას.

## 2. ძირითადი ნაწილი

მიწოდების ჯაჭვის ორგანიზებისას წამყვანი როლი ენიჭება გამანაწილებელ რგოლს, სადაც ტვირთბრუნვის მოცულობასა და ლოგისტიკურ დანახარჯებს შორის არის პირდაპირი დამოკიდებულება. მიწოდების ჯაჭვის ინტეგრირებული მართვის სამეცნიერო კონცეპტუალური სიახლე გამოისახება ბიზნეს-პროცესების მართვის და მონაცემთა ანალიზის თანამედროვე მეთოდებისა და ინსტუმენტების გამოყენებაში, რომლებიც ადაპტირებულნი არიან ბიზნესის ორგანიზების პირობებთან და დამახასიათებელია გლობალიზაციის, ინტეგრაციისა და ინოვაციის ტენდეციები.

ინტეგრირებულად მართული მიწოდების ჯაჭვი, განიხილება, როგორც საბაზისი კონკურენტული სტრატეგია რათა მომხმარებლებს სწრაფად და იაფად მიეწოდოთ ხარისხიანი პროდუქცია. კომპანიის მენეჯერები უნდა ეყრდნობოდნენ მიწოდების ჯაჭვში შემავალი ორგანიზაციებთან თანამშრომლობასა და ეფექტურ ურთიერთობებს. მიწოდების ჯაჭვის მოდელების გამოყენება ეხმარება ბიზნესის ისეთი პრინციპების რეალიზებას, როგორცაა ახალი პროდუქციისა და მომსახურების მიწოდების ციკლის ფუნქციონალური დროის შემცირება, კლიენტების მომსახურების ხარისხის ამაღლება, გაყიდვების პროცესის გაუმჯობესება, შემცირებული ოპერაციული და საწარმოო ხარჯები, მარაგების მართვის შემცირებული დანახარჯები და ა.შ [2].

მიწოდების ჯაჭვის მენეჯმენტის მოდელებში ჩადებულია ხარჯების შემცირების, მიღებული პროდუქციის ხარისხის ამაღლების, საქონლის მიწოდება და გაყიდვის შემდგომი მომსახურების მართვის ეფექტური ტექნოლოგიები, რომელიც საშუალებას იძლევა შემცირდეს საოპერაციო ხარჯები, გაიზარდოს პროდუქციის წარმადობა, გაიზარდოს პროდუქციის და მომსახურების ხარისხი, რაც ჯამში იძლევა



კონკურენტულ უპირატესობას ბაზარზე. ამიტომ ყალიბდება ობიექტური მოთხოვნილება ლოგისტიკურ აუდიტსა და დიაგნოსტიკაზე, რომლებიც ორიენტირებულია ინოვაციურ ინტეგრირებულ ტექნოლოგიებზე და საერთაშორისო სტანდარტებზე [3].

ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენებით შესაძლებელი ხდება რეალურ დროში მეთვალყურეობა გაეწიოს მიწოდების ჯაჭვში მიმდინარე პროცესებს, განსაკუთრებით კი დასაწყობებას და დისტრიბუციას. თანამედროვე მიწოდების ჯაჭვის მართვაში აქტიურად გამოიყენება ისეთი ტექნოლოგიურ პროდუქტები როგორც: სმარტფონები, GPS მოწყობილობები, პლანშეტები და მაღალი მდგრადობის პორტატული უსადენო ტექნოლოგიები, რომელთა გამოყენება ფასდაუდებელია კონტროლის თვალსაზრისით.

ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემას მიწოდების ჯაჭვის მენეჯერისთვის წარმოადგენს შეკვეთის შესრულების პროცესში დაუგეგმავი ანომალიური გადახრა. ეს იწვევს არამართო დანაკარგებს არამეტ უარყოფითად აისახება თვითონ ბრენდზეც. რადიოსიხშირული საიდენტიფიკაციო (RFID) ტექნოლოგია, კომპანიას აძლევს საშუალებას ეფექტურად აკონტროლოს ყოველი პროდუქტი და მისი გადაადგილების გზა. სპეციალური მიკრო ჩიპის დახმარებით, შესაძლებელი ხდება ნებისმიერი ანომალიური გადახრის მინიმალურ დროში აღმოჩენა და პრევენციული ღონისძიებების გატარება [4].

RFID ტექნოლოგიის გამოყენება სასაწყობე ლოგისტიკაში მომხმარებელს აძლევს საშუალებას მნიშვნელოვნად შემცირდეს დანახარჯები, მოკლე დროში მოხდეს მარაგების შესახებ ზუსტი ინფორმაციის განსაზღვრა და დაცული იყოს უსაფრთხოების მაღალი ნორმები.


ობიექტის ამოცნობისა და ადგილმდებარეობის განსაზღვრისთვის გამოიყენება აქტიური ტრანსპონდერი. ასეთი სახის ტრანსპონდერების ფუნქციონირება განისაზღვრება 20 მ მდე დაცილებულ მანძილზე. ქვემოთ მოცემული ალგორითმის საფუძველზე ადამიანის ჩარევის გარეშე შესაძლებელი ხდება უწყვეტ რეჟიმში ობიექტის ამოცნობა და მისი ლოკაციის განსაზღვრა. ალგორითმის მუშაობა ემყარება შემდეგ პრინციპს:

მონაცემთა შეგროვების სიხშირე დროის ერთეულში აღინიშნება  $n$  სიმბოლოთი:

$$\sum n = \mu[\tau, \alpha]$$

სადაც  $\mu$  - არის სიხშირე (ინტერვალის განსაზღვრისთვის);  $\tau$  - დროის ინტერვალი;  $\alpha$  - თაროს ჭდის საიდენტიფიკაციო ნომერი;  $n$  - გამოვლენილი ჭდეების რაოდენობა,  $\tau$  დროის ინტერვალში.

ალგორითმის ეს ნაწილი მუშაობს მუდმივად და შედეგადად ორი ერთმანეთისგან დამოუკიდებელი მონაცემთა საცავისგან. ერთია მონაცემთა საცავი, რომელიც განკუთვნილია მარკირებული კვების პროდუქტებისთვის და მეორეა მონაცემთა საცავი მარკირებულ თაროებისთვის. მონაცემები ინახება როგორც მნიშვნელობათა გასაღებური სიმრავლე, სადაც მთავარი გასაღებური სიმრავლე არის დროითი ინფორმაცია რომელიც შეესაბამება წაკითხვის დროს, მისი მნიშვნელობა შეესაბამება ჭდის უნიკალურ მნიშვნელობას. ანალიზის შედეგად მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია წარმოვადგინოთ ცხრილის სახით, სადაც მონაცემები ასახავს ორ მარკირებულ თაროზე 2 წუთში გამოვლენილ ობიექტს. 1-ელ ნახაზზე მოცემულ ცხრილში და გრაფიკზე ასახულია მონაცემები, რომელიც შეესაბამება ჭდის გამოვლენის სიხშირეს 10 წამის განმავლობაში.



ნახ.1

მოცემული ალგორითმის საფუძველზე შესაძლებელი ხდება მიწოდების ჯაჭვში, როგორც პროდუქტის იდენტიფიკაცია, ასევე მათი მდებარეობის განსაზღვრა.

მიწოდების ჯაჭვის ეფექტური მართვისთვის ასევე მნიშვნელოვანია მონაცემთა ანალიზი. ტრადიციული მათემატიკური სტატისტიკა დიდი ხნის განმავლობაში ინარჩუნებდა ერთ-ერთ მნიშვნელოვან ადგილს, როგორც მონაცემთა ანალიზის ინსტრუმენტი, მაგრამ თანამედროვე გამოწვევების წინაშე აღნიშნული მიდგომა არაეფექტური აღმოჩნდა, რადგან მათემატიკური ანალიზის საფუძველზე შეუძლებელი იყო ჰიპოთეზათა წინასწარი ფორმულირება, მონაცემთა ოპერატიული ანალიზი, მრავალგანზომილებიანი ანალიზი და ა.შ.

მეოცე საუკუნის 90-იანი წლებიდან აქტიურად იწერება და გამოიყენება მონაცემთა ანალიზის OLAP და Data Mining ტექნოლოგიები [5,6]. Data Mining კონცეფცია მოიაზრება როგორც მეთოდების და ალგორითმების გამოყენების შესაძლებლობა, როდესაც მონაცემთა ბაზასა და სამიზნე ობიექტს შორის ავტომატურად ხდება ემპირიულ მონაცემთა ექსტრაქცია. მას ასევე შესაძლებელია ვუწოდოთ ინტელექტუალური ანალიზის ინსტრუმენტი, რომელიც მნიშვნელოვან მონაცემებს აგენერირებს, როგორც „ცოდნა“-ს. მონაცემთა მაინინგის მიზანია მომხმარებელს დაეხმაროს გადაწყვეტილების მიღებაში საინტერესოსა და საჭიროს შორის.

Data Mining ანალიზის პროცესში იყენებს ალგორითმებს, განსხვავებული ტიპის კატეგორიისა და სტრუქტურის მონაცემებისათვის. ალგორითმი შეიცავს კლასიფიკატორებს, რომელთაც აქვს განსხვავებული სტრუქტურა. კლასიფიკატორი ალგორითმში წინასწარ საზღვრავს მონაცემებს კლასიფიკაციის მიხედვით, თუ სად განთავსდეს და რომელ კლასს ან კატეგორიას მიეკუთვნოს ახალი მონაცემი. ზოგადად შესაძლებელია ითქვას, რომ მონაცემთა მაინინგი არის მულტიდისციპლინარულ დარგი, სადაც მონაცემთა შეფასება ხდება გამოყენებითი სტატისტიკის მეშვეობით, ხოლო ამოცნობის თვალსაზრისით გამოიყენება ხელოვნური ინტელექტის მეთოდები, მონაცემთა ბაზების თეორია.


ნაშრომში წარმოდგენილია ალგორითმი რომელსაც აქვს გადაწყვეტილებათა მიღების ხის ფუნქცია. გადაწყვეტილებათა მიღების ხე (**decision trees**) მონაცემთა მაინინგში არის ერთ-ერთი განსაკუთრებული მიდგომა, სადაც ხის იერარქიულ სტრუქტურა კლასიფიცირებულია „თუ-მაშინ“ (if-then) ლოგიკით. გადაწყვეტილების მიღებისას ხდება განსაზღვრა, თუ რომელ კლასს მიეკუთვნის რომელიმე ობიექტი ან არსებული სიტუაცია, ამავე დროს ხდება პასუხის გაეცემა კითხვებზე, რომელიც ხის კვანძებზე განთავსებული და ღებულობს დადებით ან უარყოფით პასუხს [5].

გადაწყვეტილებათა ხე შესაძლებელია არ იყოს ერთადერთი საუკეთესო გამოსავალი მიწოდების ჯაჭვში მონაცემთა წარმოდგენისას, მაგრამ თანმიმდევრულად ხდება იმ ძირითადი მახასიათებლების წარმოდგენა და შეფასება, რომელიც უშუალოდ განსაზღვრავს მონაცემის შესაბამისობას ამა თუ იმ კლასის მახასიათებელ ძირითად პარამეტრებთან. მარტივი მაგალითის საფუძველზე ეს პროცესი შეიძლება ასე ავხსნათ: მაგალითად, სატრანსპორტო გადაზიდვებში განსხვავებული ტვირთების შესახებ გვაქვს მონაცემთა ჯგუფები, რომელიც მოიცავს რამდენიმე ძირითად ატრიბუტს.

ატრიბუტების საშუალებით ხდება ტვირთის აღწერა, მაგალითად, ლოკაციის ადგილი, ტრანსპორტირების საბოლოო ადგილი, ტვირთის სახეობა, ღირებულება, მოცულობა, წონა, ზომა, კონტეინერთან თავსებადობა და ა.შ. ჩვენ წინასწარ ვიცით განსხვავებული ტვირთების შესახებ ძირითადი მახასიათებელი პარამეტრები, რომელთაც ატრიბუტების სახით ვაერთიანებთ კლასებად, აღნიშნული ატრიბუტების საფუძველზე წინასწარ გვინდა განვსაზღვროთ - ტვირთი საშიშია თუ არა. ტვირთი შესაძლებელია მოხდეს ორი კლასიდან ერთში, საშიში ან უსაფრთხო. ალგორითმი შეტყონინებს უგზავნის თითოეული ტვირთის შესაბამის კლასს.

ტვირთის განსაზღვრელი ატრიბუტების და შესაბამისი კლასების საფუძველზე ალგორითმი აგებს გადაწყვეტილებათა ხეს, რომელის დახმარებით წინასწარ ატრიბუტების საფუძველზე მოხდება ტვირთის შესაბამისი კლასის განსაზღვრა. ტვირთის კლასიფიკაციის განსაზღვრა გადაწყვეტილებათა ხის მეთოდის გამოყენებით ხდება სპეციალური ბლოკ-სქემის საშუალებით, მაგალითად: თავსებადობა; მდგომარეობა; იზოლირება; სპეციფიური სუნი; განსაზღვრულ ტემპერატურაზე ტრანსპორტირება; სპეციალური კონტეინერი; დაზიანების საფრთხე; აალებადი; მაკოროზირებელი და ა. შ. ბლოკ-სქემა

ყოველი წერტილიდან აგზავნის შეკითხვას ამა თუ იმ ატრიბუტის შესახებ. მოცემული ატრიბუტების გათვალისწინებით განისაზღვრება, თუ რომელ კლასს განეკუთვნოს მოცემული პროდუქტი.



ნახ.2

### 3. დასკვნა

მიწოდების ჯაჭვის ორგანიზაციული პროცესების მართვის საკითხებში, გადამწყვეტ როლს თამაშობს ინტეგრირებული საინფორმაციო სისტემები. დიდი და საშუალო კომპანიების ოპერაციული საქმიანობა, ძირითადად ხორციელდება, მრავალფუნქციური ინტეგრირებული სისტემების გამოყენებით; აღნიშნული სისტემა, უზრუნველყოფილია ბიზნეს-ანალიზის ჩაშენებული ინსტრუმენტებით; ფაქტობრივად, სისტემის ერთიანი საინფორმაციო სივრცე, იძლევა მიწოდების ჯაჭვში ორგანიზაციული პროცესების მართვის სრული უზრუნველყოფის საშუალებას. მიწოდების ჯაჭვის ლოგისტიკური მართვის თანამედროვე კონცეფციები, რეალიზდება თანამედროვე საინფორმაციო სისტემებისა და ინოვაციური ტექნოლოგიების საშუალებებით, რომელიც ეფუძნება მსოფლიოში აპრობირებულ წარმატებულ მეთოდოლოგიის და ანალიზის მეთოდების ფართო სპექტრის, გამოყენებას.

თანამედროვე ტექნოლოგიები არა მარტო ხარჯების შემცირებას უწყობს ხელს, არამედ მინიმუმამდე ამცირებს მიწოდების ჯაჭვში არსებული რისკებს. მიწოდების ჯაჭვის მართვის ინოვაციური გზა, უზრუნველყოფს კონკურენტუნარიან მდგომარეობის შენარჩუნებას იზრდება მომხმარებელთა რაოდენობა და მართვის ეფექტურობა.

### References - literatura - Литература:

1. Repository of the WU Vienna University of Economics and Business, pp. 25-34 Casterman, A., 2012. Collaborative Supply Chain Finance. Dialogue, Q4
2. Education and Management Agendas, Chapter 10: Global standards for Supply Chain Management in Consumer Packaged Goods Industry.[online] Available at: [Accessed 10 April 2012]
3. Schapranow, K-M., Nagora, M. and Zeier, A., CoMoSeR: cost model for security-enhanced RFID-aided supply chains. Proc. SoftCOM 2010 - Inter. Conf. on Software, Telecommunications and Computer Networks, 5623688, 11-16 (2014).
4. Melepouris, T., Kramatari, K. and Doukidis, G., RFID-enabled traceability in the food supply chain. Industrial Manag. and Data Systems, 107, 2, 183-200 (2013).
5. პეტრიაშვილი ლ., სურგულაძე გ. (2017). მონაცემთა მენეჯმენტის თანამედროვე ტექნოლოგიები (Oracle, MySQL, MongoDB, Hadoop). სტუ. „IT-კონსალტინგის ცენტრი“, თბ.

6. სურგულაძე გ., პეტრიაშვილი ლ. (2005). მონაცემთა საცავის აგების ტექნოლოგია ინტერნეტული ბიზნესის სისტემებისათვის. სტუ. „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბ.

## SUPPLY CHAIN MANAGEMENT USING INNOVATIVE TECHNOLOGIES

Petriashvili Lili<sup>1</sup>, Surguladze Giorgi<sup>2</sup>, Maskharashvili Dimitri<sup>3</sup>

1-Georgian Technical University

2- Black Sea University, 3-Georgian National University

l.petriashvili@gtu.ge, gsurguladze@gmail.com

### Summary

Integrated information systems are crucial in the delivery of chain management processes. Operating activities of large and medium companies are mainly implemented using multifunctional integrated systems; This system is provided with built-in tools for business analysis; In fact, the unified information space of the system provides the opportunity to ensure complete management of organizational processes in the supply chain. The modern concept of supply chain management will be realized with the use of modern information systems and innovative technologies that are based on a wide range of methods of successful methodology and analysis in the world. Modern technologies not only facilitate reduction of cost but also minimize the risks in the supply chain. An innovative way of delivering chain management, ensuring the number of consumers and management efficiency is maintained as well as competitive conditions.

## ციფრული ხელმოწერის დანერგვის პროცესი BPMN სტანდარტით

გულბათ ნარეშელაშვილი, ხატია ქრისტესიაშვილი, რევაზ ჯაბანაშვილი  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

### რეზიუმე

წარმოდგენილია ელექტრონული ხელმოწერები, მათი სახეობები და რისკფაქტორები. განხილულია ციფრული ხელმოწერის უპირატესობა ჩვეულებრივ ელექტრონულ ხელმოწერებთან შედარებით. მათი გამოყენება და მოდელირება BPMN სტანდარტით.

**საკვანძო სიტყვებ:** ელექტრონული ხელმოწერა, ციფრული ხელმოწერა, BPMN, მოდელირება.

### 1. შესავალი

სოციალური კომუნიკაციების დიდი ნაწილი, კომპიუტერისა და სხვა ელექტრონული საშუალების გამოყენებით, ვირტუალურ სამყაროში (კიბერსფეროში) ხორციელდება, სადაც ინფორმაციის გაცვლა მიმდინარეობს ფიზიკურად არათანამყოფ პირებს შორის. ვირტუალური კომუნიკაციის მონაწილეები არ იმყოფებიან პირისპირ მდგომარეობაში, რამაც შეიძლება გაართულოს აღნიშნული მონაწილეების საიმედო იდენტიფიკაცია. ხშირ შემთხვევაში სამართლებრივ ურთიერთობებში ერთი სუბიექტისათვის ძალიან მნიშვნელოვანია საკონტაქტო სუბიექტის ვინაობის ზუსტი და უსაფრთხო დადგენა. მოქმედი სამართალი პიროვნების იდენტიფიკაციის მიზნით იყენებს ხელით შესრულებულ ხელმოწერას, რომელსაც ხელმოწერი ათავსებს დოკუმენტზე მისი შინაარსის დადასტურებისა და საკუთარი ვინაობის მითითების მიზნით. მაგრამ ამგვარი ხელმოწერის გამოყენება ვირტუალურად სამყაროსთან შეუთავსებელია. შესაბამისად, კიბერსფეროში სამართალი უნდა იყენებდეს ისეთ ტექნიკურ საშუალებებს, რომლებიც შეთავსებადია ვირტუალ სამყაროსთან და უზრუნველყოფს სუბიექტის ვინაობის სათანადო აღნიშვნას. აღნიშნული ამოცანები გადაწყვეტილია ელექტრონული ხელმოწერის (ე-ხელმოწერა) გამოყენებით.

დღესდღეისობით ელექტრონული ხელმოწერის სხვადასხვა სახეობები არსებობს, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან მათი შექმნისათვის გამოყენებული ტექნოლოგიებისა და უსაფრთხოების

ხარისხის მიხედვით. მაგალითად, ხელმოწერა ელექტრონულ ფოსტაზე წარმოადგენს ჩვეულებრივ ელექტრონულ ხელმოწერას და მისი საიმედოობა საკმაოდ დაბალია. დღესდღეისობით ერთ-ერთ ყველაზე უსაფრთხო ე-ხელმოწერად ითვლება ე. წ. ციფრული ხელმოწერა, რომელიც ფართოდ გამოიყენება ელექტრონულ კომუნიკაციებში და საიმედოობის მაღალი ხარისხით გამოირჩევა.

ციფრული ხელმოწერა იქმნება სპეციალური ტექნოლოგიის მეშვეობით. განსხვავებით სხვა ე-ხელმოწერებისაგან, ციფრული ხელმოწერა დაფუძნებულია ე. წ. ასიმეტრიული კრიპტოგრაფიის ტექნოლოგიაზე, რომელიც იყენებს ორ განსხვავებულ, მაგრამ ერთმანეთთან მათემატიკურად დაკავშირებულ გასაღებს: ღია (საჯარო) და დახურული (კერძო) გასაღები (ე. წ. “გასაღების წყვილი”). დახურული გასაღები გამოიყენება ციფრული ხელმოწერის შესაქმნელად და ელექტრონული დოკუმენტის შინაარსის დაშიფრვისათვის. იურიდიული თვალსაზრისით, ამ გასაღებით ინფორმაციის გამგზავნი ხელს აწერს ელექტრონულად ნების გამოვლენას. დახურული გასაღები ექვემდებარება მკაცრი დაცვის რეჟიმს. ღია გასაღები გამოიყენება ადრესატის მიერ ციფრულად ხელმოწერილი დოკუმენტის გამომგზავნის ვინაობის შესამოწმებლად. ამგვარი გასაღები საჯაროა. მისი ცოდნა აუცილებელია ადრესატისათვის, რომ მოახდინოს გამომგზავნის ვინაობის საიმედო შემოწმება. ღია და დახურული გასაღები წარმოადგენენ მათემატიკური ციფრების ერთობლიობას. გასაღებებში გამოყენებული ციფრები ასიმეტრიულია. ეს იმას ნიშნავს, რომ ციფრები, რომლებიც მოცემულია გასაღებებში ერთმანეთისაგან განსხვავდებიან. შესაბამისად, ღია გასაღების ციფრებიდან არ გამომდინარეობს დახურული გასაღების ციფრების კომბინაცია, რაც ამ უკანსკნელის დაცვას უზრუნველყოფს.


სახელმწიფო შესყიდვის სააგენტოში, 2018 წლის 1 ივლისიდან საიმედოობის გასაზრდელად, დოკუმენტაციის წარმოებისთვის სავალდებულო გახდა კვალიფიციური (ციფრული) ელექტრონული ხელმოწერების შესრულება. თუმცა ამ პროცესში მონაწილე მომხმარებლის სიმრავლის და დანერგვის სირთულის გამო ეს პროცესი 2019 წლის 1 იანვრამდე გადაიდო.

## 2. ციფრული ხელმოწერის პროცესის მოდელი


ციფრული ხელმოწერის დანერგვის და გამოყენების პროცესების ცხადი სახით წარმოდგენა და მისი იმიტაცია დაეხმარება პროცესის ნათელი სახით წარმოდგენას და მომხმარებლისთვის ცნობადობის გაზრდას მისი გამოყენების გამარტივებას

ამის განხორციელების საუკეთესო გზაა ამ პროცესების მოდელირება BPMN ინსტრუმენტით, რომელიც ითვლება ბიზნეს პროცესების მოდელირების მსოფლიო სტანდარტად.

BPMN-ის ძირითადი მიზანი და დანიშნულება არის, რომ იყოს ადვილად გასაგები ყველა ბიზნეს მომხმარებლისთვის, დაწყებული ბიზნეს-ანალიტიკოსებით, რომლებიც ამზადებენ მომავალი სისტემის ტექნიკური დავალების ბიზნეს-პროცესების საწყის დიაგრამებს, ასევე ტექნიკური დეველოპერებისა და ტესტირებისთვის, რომლებიც ქმნიან პროგრამებს, ტესტავენ მათ და ნერგავენ წარმოებაში, და დამთავრებული ბიზნეს გარემოს მომხმარებლებისთვის, რომლებმაც უნდა განახორციელონ ამ პროცესების გამოყენება, მართვა და მონიტორინგი. გამარტივების მიზის განვიხილოთ და ავაგოთ ციფრულ ხელმოწერების დანერგვის პროცესი (ნახ.1), რომლისთვის ხელმოწერს დასჭირდება ID ბარათი, ID ბარათის PIN კოდი. ID ბარათის წამკითხველი, და კომპიუტერზე დაინსტალირებული პირადობის ელექტრონული მოწმობის უნივერსალური პროგრამა რომლის გადმოწერაც სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ელექტრონული მისამართიდან არის შესაძლებელი ([www.id.ge](http://www.id.ge)).



ნახ.1 გამგზავნის ციფრული ხელმოწერის პროცესი



როგორც მოდელიდან ჩანს მომხარებლისთვის ციფრული ხელმოწერის შექმნა ხუთი მოქმედებით ახორციელებს: იუსტიციის სახლში უკვეთავს ID ბარათს, შეიძენს ID - ბარათის წამკითხველს, [www.id.ge](http://www.id.ge) -დან ახორციელებს პირადობის ელექტრონული მოწმობის უნივერსალური პროგრამის გადმოწერას და და გაშვებას, შემდგომ პროგრამაში ტვირთავს ხელმოსაწერ დოკუმენტის PDF ფაილს. ID ბარათის ხელმოწერის ნახვა შესაძლებელი იქნება PDF ფაილის მარცხენა მხარეს სპეციალურ პიქტოგრამაზე დაჭერის შემდეგ. (ნახ.2)


ნახ.2 ხელმოწერილის PDF ფაილი

### 3. ციფრული ხელმოწერის შექმნა დოკუმენტზე

ციფრული ხელმოწერის დროს საჭიროა ვიქონიოთ დოკუმენტი და „გასაღების წყვილი“ :

დახურული გასაღები და ღია გასაღები. ამ შეთხვევაში აუცილებელია, რომ ღია გასაღები ქონდეს ადრესატს, რადგან მოახდინოს ხელმოწერილი დოკუმენტის შემოწმება, რეალურად ეკუთვნის თუ არა გამომგზავნ პირს და არის თუ არა ნამდვილი დოკუმენტი. დოკუმენტზე ხელმოწერის განხორციელება, ადრესატისთვის გაგზავნა და დოკუმენტის შემოწმების მიმდევრობა ადრესატის მიერ მოიცავს შემდეგ პროცესს:

ხელმომწერი ქმნის დოკუმენტს და სპეციალური პროგრამის დახმარებით დოკუმენტს გაატარებს „ჰაშ“ ფუნქციაში რაც იმას ნიშნავს, რომ დოკუმენტს ექნება ბინარული სახე (ნოლები და ერთების კომბინაცია), ხელმომწერი შიფრავს პროგრამის საშუალებით ბინარულ კომბინაციას და ადგამს დოკუმენტს რის შედეგადაც მივიღებთ ელექტრონული ხელმოწერით დადასტურებულ დოკუმენტს. დოკუმენტი იგზავნება ადრესატამდე და ადრესატი ამოწმებს ნამდვილად სწორი გამომგზავნის მიერ არის თუ არა მიღებული დოკუმენტი. ადრესატი საჭირო პროგრამის და ღია გასაღების დახმარებით გაშიფრავს დოკუმენტს, რაც იმას ნიშნავს რომ დოკუმენტს გაატარებს „ჰაშ“ ფუნქციაში და მიიღებს ბინარულ კომბინაციას ხოლო ელექტრონულ ხელმოწერას გაშიფრავს ღია გასაღების საშუალებით. თუ ბინარული კომბინაცია და ღია გასაღებით გაშიფრული ელექტრონული ხელმოწერა ერთმანეთს დაემთხვევა მაშინ ელექტრონული დოკუმენტი სწორი გამომგზავნის მიერ არის მიღებული (ნახ. 3).



ნახ.3. გრაფიკულად ელექტრონული ხელმოწერის და გაშიფრვის მთლიანი პროცესი

თუმცა მხოლოდ ციფრული ხელმოწერის გამოყენება ელექტრონული კომუნიკაციისა და იდენტიფიკაციის პროცესის სრულ უსაფრთხოებას ვერ უზრუნველყოფს.

საქმე ის არის, რომ გამგზავნს შეუძლია ციფრული ხელმოწერის გასაღების წყვილის ავტონომიურად შექმნა და სერტიფიკატის გამოცემა შემდეგი შინაარსით: “ციფრული ხელმოწერის გასაღების წყვილი მეკუთვნის მე, სახელი გვარი”. მაგრამ ადრესატს არ გააჩნია გარანტია, რომ ინფორმაციის გამომგზავნი სწორედ ის პირია, ვინც ციფრულ ხელმოწერაშია მითითებული. ამგვარად, აუცილებელია დამატებით მესამე პირის არსებობა, რომელიც უზრუნველყოფს ელექტრონულ კომუნიკაციებში ხელმომწერის ვინაობის წინასწარ შემოწმებას.

ამგვარად მესამე პირად ელექტრონულ კომუნიკაციებში გამოდის ციფრული ხელმოწერის დამამზადებელი (იგივე ციფრული ხელმოწერის სერტიფიკატის გამცემი). იგი წარმოადგენს ტექნიკურად და პროგრამულად აღჭურვილ სუბიექტს, რომელიც დაკვეთის საფუძველზე ამზადებს ციფრულ ხელმოწერას (მასთან ერთად გასაღების წყვილს) და გამოსცემს სერტიფიკატს, რომელითაც აცხადებს, რომ დამზადებული გასაღებების წყვილი ეკუთვნის მხოლოდ სერტიფიკატის მფლობელს (ხელმოწერს). ამით ციფრული ხელმოწერის დამამზადებელი იმავდროულად ამოწმებს და შესაბამისად ადასტურებს სერტიფიკატის მფლობელის ვინაობას.

#### 4. დასკვნა

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ ციფრული ხელმოწერების დანერგვის პროცესის მოდელირებამ BPMN სტანდარტით ცხადყო, რომ ციფრული ხელმოწერა ბევრად მოხერხებული, მარტივი და საიმედოა.

#### References - literatura - Литература:

1. Business Process Model and Notation (BPMN) version 2.0 <http://www.omg.org/spec/BPMN/2.0/>
2. სურგულაძე გ., მაისურაძე გ., ქრისტესიაშვილი ხ. (2012). ERP სისტემის დანერგვის პროცესი და მისი პრობლემები, შრ.კრ. „მას“. 2(13), 104-108
3. ვებ გვერდი [www.id.ge](http://www.id.ge)
4. სურგულაძე გ., ქრისტესიაშვილი ხ., სურგულაძე გ. (2015). საწარმოო რესურსების მენეჯმენტის ბიზნეს-პროცესების მოდელირება და კვლევა. სტუ. „ტექნიკური უნივერსიტეტი“. თბ.

### DIGITAL SIGNATURE IMPLEMENTATION PROCESS WITH BPMN STANDARD

Nareshelashvili Gulbaat, Kristesiashvili Khatia, Revaz jabanashvili  
Georgian Technical University

#### Summary

The article represents electronic signatures, their species and risks. There are considered the advantages of digital signature. Their use and modeling with the BPMN standard.

### მიკროპროცესორული იონომეტრული ხელსაწყო USB ინტერფეისით

ზაალ აზმაიფარაშვილი, ნონა ოთხოზორია, ირაკლი პარშუტკინი  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

#### რეზიუმე

განხილულია მიკროპროცესორული იონომეტრული ხელსაწყო პროგრამული უზრუნველყოფის საკითხები. შექმნილია სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფა C# ენაზე, რომლის საშუალებითაც ხდება მონაცემების გადაცემა ხელსაწყოდან კომპიუტერში მათი შემდგომი დაგროვების (ან გადამუშავების) მიზნით. სტატიაში მოყვანილია ხელსაწყო ფუნქციონირების ალგორითმი. შემოთავაზებული ხელსაწყო პროგრამულ-აპარატურული უზრუნველყოფის შექმნისათვის გამოყენებულია პროგრამული გარსი MPLAB-X და ელ.სქემების მოდელირებისა და ავტომატური დაპროექტების სისტემები (Multisim, Ultiboard, Proteus).

**საკვანძო სიტყვები:** იონომეტრული ანალიზატორი. მიკროპროცესორული ხელსაწყო. მიკროკონტროლერი. პროგრამული უზრუნველყოფა.

#### 1. შესავალი

წყალბადის მაჩვენებელი, pH (ლათ. pondus Hydrogenii — "წყალბადის წონა") გამოსახავს ხსნარებში წყალბადიონების აქტივობის სიდიდეს. არეების მქავიანობას (pH-ის მაჩვენებელს) ქიმიური პროცესებისათვის არსებითი მნიშვნელობა გააჩნია, როგორც ამა თუ იმ რეაქციის შედეგისათვის ასევე საერთოდ მისი მიმდინარეობის შესაძლებლობისათვისაც. pH-ის განსაზღვრა საკმაოდ გავრცელებული და აქტუალური ამოცანაა და ხშირად გვხვდება ისეთ სფეროებში როგორცაა, კვების მრეწველობა, აგრარული

სფერო, ქიმიური წარმოება, მედიცინა, სასმელი და ჩამდინარე წყლების ეკოლოგიური კონტროლი და მონიტორინგი და ა.შ. შესაბამისად მუდმივად იზრდება მოთხოვნა pH მეტრებისადმი

## 2. ძირითადი ნაწილი

პრაქტიკაში უამრავი იონომეტრული ანალიზატორი გამოიყენება, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მოთხოვნები ამ ხელსაწყოს მიმართ თანამედროვე პირობებში იზრდება, ხშირ შემთხვევაში არსებული ანალიზატორების გამოყენება რთულ საექსპლუატაციო პირობებში შეუძლებელია. გასათვალისწინებელია ის მდგომარეობა, რომ კვლევის წარმოებისათვის საჭიროა გაზომვის შედეგების შეგროვება და შემდეგ დამუშავება. შესაბამისად ჩვენს მიზანს წარმოადგენდა შეგვემუშავებინა მიკროპროცესორული იონომეტრული ხელსაწყო USB ინტერფეისით (საკომუნიკაციო არხით) მონაცემების ხელსაწყოდან კომპიუტერში გადატანისათვის მათი შემდგომი დაგროვების (ან დამუშავების) მიზნით.


ჩვენ მიერ შემოთავაზებულია სტაციონალური ტიპის ანალიზატორი. მას გააჩნია მონაცემთა შენახვისა და დაცვის უნარი მკვებავი ძაბვის (ცვლადი ძაბვის) ქსელიდან. შემთხვევითი ამორთვების პირობებში, რაც აუცილებელი პირობაა თანამედროვე ხელსაწყო საიმედოობის და მონაცემთა უსაფრთხო შენახვის უზრუნველსაყოფად. დამუშავებულია მიკროპროცესორული იონომეტრის მოქმედების ალგორითმი ბლოკ-სქემა (მისი დიდი ზომების გამო იგი აქ არაა მოცემული).

რეჟიმების არჩევა ხორციელდება ღილაკის „ამორჩევა“ (SELECT) - ს საშუალებით, ხოლო რეჟიმების შიგნით პროცედურებს შორის გადასვლა კი - ღილაკის „შეტანა“ (ENTER)- ს მეშვეობით, რაც უზრუნველყოფს ალგორითმის ყველა ბლოკთან კავშირის დამყარებას და შესაბამისი პროცედურის (ან პროცედურების) შესრულებას. პირველ რეჟიმში ხდება ძირითადი პარამეტრისა და საანალიზო ხსნარის ტემპერატურის გაზომვა. გაზომვის ალგორითმი რეალიზებულია ე.წ. ნერსტის ფორმულის მიხედვით [3], რომლის მოდერნიზაციის შედეგად მივიღეთ მრავალპარამეტრიანი მუშა ფორმულა:

$$pH=f(t^{\circ}C, E_x, S_1, S_2, \dots, S_n)$$

სადაც  $t^{\circ}C$  არის საანალიზო ხსნარის ტემპერატურა (ცელსიუსის სკალით),  $E_x$  - ძირითადი გასაზომი ელექტრული პარამეტრია, ხოლო  $S_1, S_2, \dots, S_n$  - კონსტანტებისა და აპარატურული პარამეტრების მოქმედი მნიშვნელობებია, რომლებიც ინახებიან მიკროკონტროლერის მონაცემთა (EEPROM) მეხსიერებაში.

შემოთავაზებულ მიკროპროცესორულ pH-მზომს გააჩნია მუშაობის ოთხი რეჟიმი (ნახ.1).



ნახ.1. მიკროპროცესორული იონომეტრის მუშაობის რეჟიმები

მუშა ფორმულაში შედის ის აუცილებელი პარამეტრები, რომლებიც განაპირობებენ სენსორული ელექტროდიდან მიღებული სიგნალის უნივერსალურ გარდაქმნას შემაჯავლი წრედის აპარატურული ფაქტორის გათვალისწინებით, რითაც უზრუნველყოფილია სხვა და სხვა ტიპის მიზნობრივი ელექტროდების სელექციურობა. მეორე რეჟიმში ხდება პარამეტრების დათვალიერება, ხოლო მესამე რეჟიმში ხორციელდება ამა თუ იმ პარამეტრის მნიშვნელობის შეტანა (ცვლილება). მეოთხე რეჟიმში შესაძლებელია სასიგნალო პარამეტრების დასაშვები ზედა და ქვედა ზღვრების შეტანა (ცვლილება). მეხუთე რეჟიმი განკუთვნილია ხელსაწყო კალიბრაციისათვის. ყველა პარამეტრის მნიშვნელობები ფიქსირდება და ინახება მიკროკონტროლერის მონაცემთა ენერგოდამოუკიდებელ მეხსიერებაში, რითაც უზრუნველყოფილია მონაცემთა ეფექტური დაცვა.




კომპიუტერთან კომუნიკაციისათვის ხელსაწყოს უკანა პანელზე განთავსებულია მიკრო-USB გასართი, რომლითაც ხდება pH-მზომის კომპიუტერთან დაკავშირება სტანდარტული USB კაბელის მეშვეობით. კომპიუტერში უნდა იყოს დაინსტალირებული ჩვენ მიერ შემუშავებული პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც შეადგენს ხელსაწყოს პროგრამული უზრუნველყოფის ნაწილს. მე-2 ნახაზზე მოცემულია პროგრამის ფრაგმენტი

```
private void button_open_Click(object sender, EventArgs e)
{
    if (openFileDialog1.ShowDialog() == DialogResult.OK)
    {
        StreamReader read_stream = new StreamReader(openFileDialog1.FileName);
        richTextBox1.Text = read_stream.ReadToEnd();
        read_stream.Close();
    }
}

private void fontToolStripMenuItem_Click(object sender, EventArgs e)
{
    if (fontDialog1.ShowDialog() == DialogResult.OK)
    {
        label1.Font = button_rescan_coms.Font = button_conn_disconn.Font = button_exit.Font =
        groupBox1.Font = groupBox2.Font = groupBox3.Font =
        button_autosave.Font = button_save.Font = button_open.Font =
        groupBox4.Font =
        fontDialog1.Font;
    }
}
```

ნახ.2. პროგრამული უზრუნველყოფის ფრაგმენტი C#-ზე

ამ პროგრამაში შესვლისთანავე, ეკრანზე გამოდის შემდეგი ფანჯარა (ნახ.3):




ნახ.3


Com-ის გასწვრივ განშლად მენიუში უნდა ავირჩიოთ პორტის დასახელება, „connect” ღილაკზე დაჭერის შემდეგ განხორციელდება პორტთან კავშირი და მოხდება ხელსაწყოს მიერ გაზომილი ინფორმაციის გადაცემა და ეკრანზე ასახვა.

ეკრანზე მივიღებთ გაზომვის შედეგებს თექვსმეტობით ფორმატში (ნახ.4).

პროგრამა უზრუნველყოფს გაზომვის შედეგების მიხედვით გრაფიკული გამოსახულების აგებას, გამოაქვს მიმდინარე დროში დაფიქსირებული pH-ის და ტემპერატურის მაქსიმალური და მინიმალური მნიშვნელობები (ნახ.5).




ნახ. 4



ნახ. 5. გაზომვის შედეგების გრაფიკული ასახვა

ეკრანზე მიღებული ინფორმაცია ინახება კომპიუტერის მეხსიერებაში ტექსტური ფაილის სახით (ნახ.7).



ნახ. 1 ტექსტური ფაილები, რომლებშიც შენახულია გაზომვის შედეგები

ფაილიდან ინფორმაცია შეიძლება წავიკითხოთ სხვადასხვა გამოყენებით პროგრამაში შემდგომი დამუშავების და ანალიზის მიზნით.

### 3. დასკვნა

ჩვენ მიერ შემოთავაზებულია მიკროპროცესორული იონომეტრული ხელსაწყო USB საკომუნიკაციო არხით, რომელიც უზრუნველყოფს გაზომვის შედეგების კომპიუტერში გადატანას მათი შემდგომი დაგროვების (ან დამუშავების) მიზნით. შემოთავაზებული მიკროპროცესორული pH-მზომი დაგეხმარებათ საანალიზო წყალხსნარის მჟავა-ტუტანობის ბალანსის დასადგენად წყალბადის აქტიური იონების პროპორციულ pH-ერთეულებში, ხსნარის ტემპერატურისა და ელექტროდის ჟანგვა-აღდგენითი პოტენციალთა სხვაობის გაზომვაში.

### ლიტერატურა-References – Литература:

1. აზმაიფარაშვილიზ., ტომარაძე ო. (2017). სენსორები და ინტელექტუალური საზომი საშუალებები. ISBN:978-9941-20-754-9. სტუ, „ტექნიკური უნივერსიტეტი“. თბილისი
2. <https://www.metrohm.com/en/products/ph-ion-measurement/>

3. <http://www.zipgamel.by/pX-150mp>
4. <https://ru.wikipedia.org/>
5. <https://www.microchip.com>

## MICROPROCESSOR IONOMETRIC DEVICE WITH USB COMMUNICATION CHANNEL

Azmaiparashvili Zaal, Otkhзорia Nona, Parshutkini Irakli  
Georgian Technical University

### summary

The article deals with the software of the microprocessor ionometric analyzer. Special software is created in C ++, which allows you to transfer data from the device to their subsequent accumulation (or processing). The article shows the algorithm of the device functioning. To create the software and hardware part of the device we used the software development environment MPLAB-X, the electronic simulation system. schemes and computer-aided design (Multisim, Ultibord, Proteus).

## პროფესიული კომპეტენციების ფორმირება და განვითარება LabVIEW-ს საშუალებით

ნონა ოთხოზორია, თამარ მენაბდე, მედეა ნარჩემაშვილი  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
[n.otkhozoria@gtu.ge](mailto:n.otkhozoria@gtu.ge), [t.menabde@gtu.ge](mailto:t.menabde@gtu.ge), [m.narchemashvili@gtu.ge](mailto:m.narchemashvili@gtu.ge)

### რეზიუმე

თანამედროვე ეტაპზე წარმოების ავტომატიზაციის თანამედროვე ტექნოლოგიები სწრაფი ტემპით ვითარდება. წარმოების წინაშე დგება კვალიფიციური კადრების პრობლემები, რომლის გადაწყვეტაც თანამედროვე უმაღლესი თუ პროფესიული განათლების გამოწვევაა. სტატიაში განხილულია National Instruments-ის პროგრამული პლატფორმის LabVIEW-ს უპირატესობები ინჟინერიის მიმართულებით პროფესიული კომპეტენციების ფორმირებისა და განვითარებისათვის და მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადებისათვის.

**საკვანძო სიტყვები:** საინჟინრო განათლება, ვირტუალური ლაბორატორია, გრაფიკული დაპროგრამება, LabVIEW

### 1. შესავალი.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და ინჟინერიის სფეროებში ადგილობრივი კადრების აღზრდა და დასაქმება დღეს სახელმწიფო პრიორიტეტია. რთულია ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე კონკურენტული მაღალკვალიფიციური სპეციალისტის აღზრდა ისეთ სწრაფადგანვითარებად დარგებში როგორც არის წარმოების ავტომატიზაცია, კომპიუტერული ტექნოლოგიები, მშენებლობა და პროექტირება, გარემოს ინჟინერია და უსაფრთხოება, თანამედროვე ეტაპზე წარმოების ავტომატიზაციის თანამედროვე ტექნოლოგიები სწრაფი ტემპით ვითარდება. წარმოების წინაშე დგება ინფრასტრუქტურაში ჩაშენებული პროგრამულ-აპარატურული გადაწყვეტის ალგორითმში მნიშვნელოვანი ცვლილებების შეტანის აუცილებლობა ან საწარმოო პროცესის ავტომატიზაციის ლოკალური სისტემის შექმნა ეფექტურობის, ეკონომიურობის და უსაფრთხოების საკითხების უზრუნველყოფის მიზნით. ამ პრობლემების გადაწყვეტაში დიდი როლი უნდა ითამაშონ ახალგაზრდა სპეციალისტებმა, რომლებმაც უმაღლეს სასწავლებლებში უნდა შეისწავლონ გაზომვების ავტომატიზაციის თანამედროვე სისტემები. გამოცდილი სპეციალისტები ხშირ შემთხვევაში ვერ ახერხებენ თანამედროვე სისტემების ეფექტურ გამოყენებას, ამისათვის აუცილებელია დამატებითი ცოდნა, რომელიც შეიძლება მიიღონ კვალიფიკაციის

ასამაღლებელ კურსებზე უმაღლეს სასწავლებლებში ან სისტემურ ინტეგრატორებთან. ნებისმიერ შემთხვევაში ვუბრუნდებით იმ პრობლემას, რომელიც არსებობს უმაღლეს სასწავლებლებში.

## 2. ძირითადი ნაწილი

თანამედროვე განათლების ძირითად მოთხოვნას წარმოადგენს ისეთი სპეციალისტის მომზადება, რომელსაც კომპლექსურ თეორიულ ცოდნასთან ერთად გააჩნია შესაბამისი პრაქტიკული უნარები.

სისტემების და პროცესების კომპიუტერული მოდელირების ამოცანა თანამედროვე განათლების ერთ-ერთი განუყოფელი ნაწილია. მომავალი სპეციალისტების მომზადების პროცესში უმაღლეს სასწავლებლებს გააჩნიათ პრობლემები, რომელიც უპირველესად უკავშირდება მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას. ამიტომაც უკანასკნელ წლებში სასწავლო პროცესში ფართოდ ინერგება ვირტუალური ლაბორატორიები.

თანამედროვე პირობებში National Instruments-ის პლატფორმა LabVIEW წარმოადგენს დე-ფაქტო სტანდარტს მონაცემთა შეგროვების სისტემებში. პროგრამული კომპლექსის გამოყენება გვაძლევს მნიშვნელოვან უპირატესობებს.

ტრადიციული დაპროგრამების ენებისგან განსხვავებით LabVIEW იყენებს გრაფიკულ დაპროგრამების გარემოს G (Graphics), რომელიც პროგრამას ქმნის სტრუქტურული სქემების გამოყენებით. LabVIEW-ს გააჩნია ფუნქციების და ინსტრუმენტული საშუალებების ბიბლიოთეკები მონაცემთა შეგროვების და მართვის ავტომატიზებული სისტემის შესაქმნელად. მის გარემოში შესაძლებელია მომზადდეს სხვადასხვა ტიპის ლაბორატორიული სამუშაოები თეორიული ცოდნის გასამტკიცებლად და პრაქტიკული გამოცდილების მისაღებად. LabVIEW შესაძლებელია გამოვიყენოთ მონაცემთა შეგროვებისათვის და სიგნალების დასამუშავებლად, საკონტროლო ინსტრუმენტების შესაქმნელად, ტესტირებისა და ვალიდაციის სისტემების ავტომატიზაციის უზრუნველსაყოფად, სამრეწველო სისტემების მართვაში, ჩაშენებული სისტემების პროექტირებისათვის, საინჟინრო კონცეფციების სადემონსტრაციოდ და ინოვაციური კვლევების ჩასატარებლად [2].


LabVIEW-ს ერთ-ერთ ძირითად უპირატესობას წარმოადგენს ის, რომ სამომხმარებლო ინტერფეისის ჩაშენებული კომპონენტები არ მოითხოვენ პროგრამირების ენების ცოდნას, პროგრამულ კომპლექსს გააჩნია დრაივერების და სატესტო ინსტრუმენტების დიდი ბიბლიოთეკა, პროგრამული კოდი წააგავს პრინციპიალურ სქემას, ამიტომაც ის ძალიან მარტივია ინჟინრებისათვის ელექტრონიკის დარგში, ამასთან ერთად მნიშვნელოვანია თავსებადობა სხვადასხვა მოწყობილობებთან. შესაძლებელია რამდენიმე ამოცანის პარალელური შესრულება, კოდის ინტერაქტიული გენერაცია, ანგარიშების გენერაცია და მონაცემთა გაცვლა ქსელური ინტერფეისების გამოყენებით, თავსებადია ოპერაციულ სისტემებთან Windows2000/NT/XP/8/10, Mac OS X, Linux, Solaris.

LabVIEW-ში შექმნილი აპლიკაციები წარმატებით გამოიყენება მთელ მსოფლიოში მრეწველობის სხვადასხვა დარგებში: საავტომობილო მრეწველობა, ტელეკომუნიკაცია, ნახევარგამტარული მრეწველობა, ელექტრონიკა, ტექნოლოგიური პროცესების მართვა, ბიომედიცინა. LabVIEW მოქნილობისა და მასშტაბურობის მიხედვით შესაძლებელია გამოვიყენოთ ტექნოლოგიური პროცესის ყველა ეტაპზე: პროდუქტის პროტოტიპის შემუშავებიდან და მოდელირებიდან ფართომასშტაბურ საწარმოო გამოცდამდე. ინტეგრირებული გარემოს გამოყენება სიგნალების გასაზომად, მონაცემთა გაცვლისათვის და შედეგების დასამუშავებლად მნიშვნელოვნად ზრდის წარმოების ეფექტიანობას.


არანაკლებ ეფექტურია პროგრამული კომპლექსი საგანმანათლებლო მიმართულებით [2]. მის გამოყენებას სასწავლო პროცესში აქვს მთელი რიგი უპირატესობები, უპირველესად შესაძლებელია სწავლების ტრადიციული ფორმის ნაცვლად ლექციებისა და პრაქტიკული სამუშაოების ერთდროულად ჩატარება. ამ შემთხვევაში ხდება დროითი ბარიერის აღმოფხვრა ლექციასა და პრაქტიკულ მეცადინეობას შორის, რაც საბოლოო ჯამში უზრუნველყოფს სწავლების ეფექტურობას და ხარისხს. ამასთან ერთად ის წარმოადგენს უნივერსალურ საზომ-მათემატიკურ კომპლექსს, რამდენადაც ის შეიძლება გამოყენებულ იქნას, როგორც ელექტროსაზომი ხელსაწყო, ასევე როგორც მონაცემთა შეგროვების და დამუშავების საშუალება. მოცემული სისტემა საშუალებას აძლევს სტუდენტს დაგეგმოს ექსპერიმენტი, შეასრულოს

მონაცემების პირველადი დამუშავება, გამოიყენოს მეთოდური მითითებები და შაბლონები, მოახდინოს მოვლენის სიმულაცია/გამეორება რამდენიმეჯერ.

LabVIEW-ს გამოყენების რამდენიმე მაგალითი მოცემულია ნახაზებზე. 1-ელ ნახაზზე მოცემულია ვირტუალური ხელსაწყო - პოტენციომეტრი და შესაბამისი გრაფიკული სქემა, ხოლო მე-2 ნახაზზე ნაჩვენებია ვირტუალური ხელსაწყო - სეისმური აქსელერომეტრი, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია სეისმური რყევების სიმულაცია და შესაბამისი გრაფიკული გამოსახულების მიღება ოსცილოგრაფზე, ამასთან ერთად რიცხვითი მონაცემები ინახება კომპიუტერის მეხსიერებაში და შესაძლებელია მათი შემდგომი დამუშავება. მოყვანილი მაგალითები ადასტურებს იმას, რომ Labview-ს გამოყენების ფართო სპექტრი გააჩნია და ის წარმატებით შეიძლება გამოვიყენოთ სხვადასხვა ფიზიკური პროცესების გამოსაკვლევადა. კომპიუტერული ექსპერიმენტები მნიშვნელოვნად იაფია, ვიდრე ექსპერიმენტები რეალური მოწყობილობებით, ასევე ამ შემთხვევაში უზრუნველყოფილია სრული უსაფრთხოება და ეკოლოგიური სისუფთავე. სტუდენტს შეუძლია ინდივიდუალურად შეასრულოს ექსპერიმენტი, რაც მნიშვნელოვნად აწვითარებს მის დამოუკიდებლობას.



ნახ. 2 ვირტუალური ხელსაწყო გრაფიკული ინტერფეისი და შესაბამისი გრაფიკული სქემა




ნახ. 3 ვირტუალური აქსელერომეტრი და შესაბამისი გრაფიკული სქემა

მე-3 ნახაზზე მოცემულია სინუსოიდალური სიგნალის მიღების სიმულაცია.

### 3. დასკვნა

ყველა ზემოთჩამოთვლილი უპირატესობა გვამღევეს იმის წინაპირობას, რომ აღწერილი პროგრამული პაკეტის გამოყენება სასწავლო პროცესში მნიშვნელოვნად დაეხმარება ტექნიკური სპეციალობების სტუდენტებს პროფესიული კომპეტენციების ფორმირებასა და განვითარებაში.



ნახ. 3 სინუსოიდალური სიგნალის გენერატორი

**ლიტერატურა-References – Литература:**

1. <http://sine.ni.com>
- 2 აზმაიფარაშვილი ზ., ოთხოზორია ნ., ოთხოზორია ვ. (2013). LabView-ს გამოყენება სასწავლო პროცესში. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია INSO-2013. ქუთაისი. აკ.წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი. კონფ. მასალები.
3. <https://wwwusers.ts.infn.it> Virtual Instrumentation With LabVIEW

**FORMATION AND DEVELOPMENT OF PROFESSIONAL COMPETENCES BY MEANS OF LABVIEW NONA OTKHOZORIA, TAMAR MENABDE, MEDEA NARCHEMASHVILI**

Otkhozoriya Nona, Menabde Tamar, Narchemashvili Medea  
Georgian Technical University

**Summary**

Now the modern technologies of industrial automation develop in high gear. The enterprises have an urgent need in the qualified specialists capable to create and serve the modern control systems. The solution of this problem is an important task for the higher education or professional education. In article advantages by the program National Instruments LabVIEW platform for formation and development of professional competences and training of highly qualified specialists are considered.

**სერვისზე ორიენტირებული არქიტექტურა, ტვირთის  
იმპორტის მაგალითზე**

არჩილ მჭედლიშვილი  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
a.mchedlishvili1991@gmail.com

**რეზიუმე**

განხილულია სერვისზე ორიენტირებული არქიტექტურის მნიშვნელობა და შედარებულია სხვა ტიპის არქიტექტურებთან. განხილულია მათი დადებითი და უარყოფითი მხარეები. წარმოდგენილია სქემები რომლებიც ნათელ მაგალითს იძლევა რომელი არქიტექტურა რა დროს რა შედეგს იძლევა და რომელი არქიტექტურა უნდა გამოიყენო სისტემაში ამოცანის მიხედვით.

**1. შესავალი**


როდესაც დეველოპმენტი ფებს იკიდებდა თანამედროვე ცხოვრებაში დიდი კომპანიების სისტემა იყო მონოლითური არქიტექტურის, რაც თავის თავში მოიცავდა რიგ ლოგიკებს და ალგორითმებს. ეს

მიდგომა ართულებდა შემდგომში არსებული სისტემის გარჩევას და ცვლილების განხორციელებას. კომპანიებისთვის დეველოპმენტის დროის სიდიდე ფინანსურ ზარალს ასახავდა. შემდგომში შემუშავდა ახალი მიდგომა რომელმაც ფეხი მოიკიდა თანამედროვე დეველოპმენტში, რაც ბევრად ამარტივებდა დეველოპმენტში ცვლილებების შეტანას. მარტივად ცვლილების შეტანა გამოიხატებოდა არქიტექტურის სერვისებზე გადაწყობით. ამ მიდგომას დაერქვა სერვისზე ორიენტირებული არქიტექტურა, რომელიც ითვალისწინებდა ბიზნეს ლოგიკის გატანას სერვისების მხარეს და შემდგომ უკვე ამ სერვისების გამოყენებას აპლიკაციაში [1,2].

პროგრამული უზრუნველყოფა არის სისტემის ფუნდამენტური ორგანიზაცია, რომელიც განხორციელებულია თავის კომპონენტებში, მათ და გარემოსთან ურთიერთკავშირში.

სერვისის არის მექანიზმი რომელიც ააქტიურებს ერთ ან რამდენიმე შესაძლებლობის წვდომას [3].

ბიზნეს ცენტრული ინფორმაციული ტექნოლოგიების არქიტექტურული მიდგომა, რომელიც მხარს უჭერს ბიზნესის ინტეგრაციას, განმეორებად ბიზნეს ამოცანებს ან სერვისებს (ნახ.1).



ნახ.1

ქვემოთ ჩამოთვლილია სერვისების რამოდენიმე ტიპი რომლებიც გამოყენებულია სერვისზე ორიენტირებულ არქიტექტურაში:

- Business services
- Entity services
- Functional services
- Utility services

➤ Business Services

ბიზნეს სერვისი შესაძლებელია აღიწეროს როგორც ლოგიკური ინკაფსულაცია ბიზნეს ფუნქციების. ის უნდა იყოს ორგანიზაციის ბიზნესის შესაბამისი.

Entity services

ენთითი სერვისი ძირითადად წარმოადგენს ბიზნეს ენთითის (მაგალითად: Employ, Customer, Product, Invoice და სხვა). ასეთი ენთითი სერვისი ძირითადად გამოავლენს CRUD (create, read, update delete) ოპერაციებს.

➤ Functional services


ფუნქციური სერვისები არ წარმოადგენს ბიზნეს დაკავშირებულ ამოცანებს ან ფუნქციებს. ჩვეულებრივ ის წარმოადგენილია თანმიმდევრულ დიაგრამებში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ის არის ტექნოლოგიებზე ორიენტირებული სერვისი და არა ბიზნესზე.

➤ Utility services

ეს არის სერვისი, რომელიც თავადობს საერთო და მრავალჯერ გამოყენებად სერვისებს რომლებიც ჩვეულებრივ არ არის ბიზნეს ცენტრული.


**2. იზოლაციური ბიზნეს სქემა**

მაგალითში წარმოდგენილია ბაზაზე წვდომა, დეველოპერს სჭირდება ბაზის სქემის ცოდნა, რა ცხრილი როგორ დააკონსტრუქტიროს SQL ბრძანებაში. ჩვეულებრივ შემთხვევითი საქმე დეველოპერის არის რეალური საქმის იმპლემენტაცია აპლიკაციაში და ბიზნეს ლოგიკაში. შესაბამისად როდესაც ბაზის სქემა იცვლება აპლიკაცია ვეღარ მუშაობს (შეცდომაზე გადის), მონაცემებზე წვდომის კომპონენტებს ჭირდებათ განახლება. შეცვლილმა კომპონენტებმა უნდა გაიარონ ტესტირება (unit testing) სანამ ახალი ვერსია გაეშვება. ზოგადად ტიპიური არქიტექტურა არა სერვისზე ორიენტირებული არქიტექტურის სისტემის ასე გამოიყურება (ნახ.2) [3,4].



ნახ.2

სერვისზე ორიენტირებული არქიტექტურის გამოყენებით, ბიზნეს ლოგიკა დაიშალა კარგად განსაზღვრულ და მრავალჯერ გამოყენებად სერვისებად, რომელსაც ყველა გამოიყენებს. ახლა აპლიკაციის კოდი საგრძნობლად შემცირდა. აღარ არის საჭირო კომპლექსური ობიექტების იერარქიის გადაკვეთა და დეველოპერი აღარ საჭიროებს დომენ სპეციფიკური ლოგიკის დეტალებში გარკვევას (ნახ.3).



ნახ.3

**3. SOA ტვირთის იმპორტში**

სერვისზე ორიენტირებული არქიტექტურის მიდგომითაა აწყობილი ტვირთის იმპორტირების ფუნქციონალი საქართველოში. როდესაც სისტემა საჭიროებს მონაცემების მიღებას ან გაცემას სხვა (კომპანიის გარე) სერვისებიდან, SOA მიდგომის არსებობა ამარტივებს ფუნქციონალის აწყობას.

**4. დასკვნა**

სერვისზე ორიენტირებული არქიტექტურა დღეს დღეისობით მიჩნეულია თანამედროვე და მოქნილ მიდგომად რომელიც ამარტივებს დეველოპმენტს და ცვლილებების მარტივად შეტანაზეც არის ადაპტირებული.

**ლიტერატურა - References – Литература:**

1. CIO Magazine - ABC: An Introduction to Service-oriented Architecture (SOA):



- [http://www.cio.com/article/40941/ABC\\_An\\_Introduction\\_to\\_Service\\_oriented\\_Architecture\\_SOA](http://www.cio.com/article/40941/ABC_An_Introduction_to_Service_oriented_Architecture_SOA)
2. Microsoft – Service Oriented Architecture:  
<http://msdn2.microsoft.com/en-us/architecture/aa948857.aspx>
  3. Service-Oriented Architecture and Web Services: Concepts, Technologies, and Tools:  
<http://java.sun.com/developer/technicalArticles/WebServices/soa2/>
  4. Migrating to a Service-Oriented Architecture:  
<http://www.ibm.com/developerworks/library/ws-migratesoa/>

## SERVICE ORIENTED ARCHITECTURE, ON THE EXAMPLE OF IMPORT OF GOODS

Mchedlishvili Archil

Georgian Technical University

a.mchedlishvili1991@gmail.com

### Summary

The service-oriented architecture today is considered a modern and flexible approach that simplifies the development and is easily adapted to make changes.

## ვებ-სისტემების ხარისხის შეფასებისა და მართვის მეთოდების შემუშავება

ნოდარ ხვედელიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

nodarkhvedelidze@gmail.com

### რეზიუმე

განხილულია პროგრამული აპლიკაციების აგებისას გასათვალისწინებელი საკითხები, რომლებიც საკმაოდ მნიშვნელოვანია ვებ-სისტემების (და ზოგადად პროგრამული სისტემების) აგებისას, კერძოდ: ცვლადებისათვის ლოგიკური სახელების მინიჭება, ფუნქციების მართლწერა, კოდში კომენტარების სწორი დანიშნულებით გამოყენება. პროგრამის შექმნა ეს ზოგადი ცნებაა, თუმცა შექმნა ხარისხიანი პროგრამა, რომელიც არა მხოლოდ დანიშნულებას შეასრულებს, არამედ იქნება მოწესრიგებული, ადვილად წაკითხვადი და გარჩევადი, მეტად მნიშვნელოვანია. როდესაც ვებ-სისტემის სტრუქტურა, მისი კოდი, მოწესრიგებულად, ლოგიკურადაა დალაგებული, შესაძლებელია მისი ეფექტურად განახლება.

**საკვანძო სიტყვები:** პროგრამულ აპლიკაცია. ხარისხის შეფასება. მართვის მეთოდი. ცვლადი, ფუნქცია, კომენტარი.

### 1. შესავალი

პროგრამული აპლიკაციის შექმნის დროს მნიშვნელოვანი საკითხია პროგრამის შემქმნელის მიერ „კალიგრაფიის“ დაცვა, მაგალითად, შესაძლებელია პიროვნება კარგად ერკვეოდეს რაიმე სფეროში და შეეძლოს მასზე საინტერესო სტატიის დაწერა, მაგრამ თუ მისი ნაწერი გასარჩევად ძალიან რთული იქნება იმის გამო, რომ კალიგრაფიაა ცუდი, ამასთან არ იცავს რაიმე მიმდევრობას, ერთი საკითხიდან მეორეზე გადადის ისე რომ მათ შორის არ არის ლოგიკური კავშირი, ან სხვა მსგავსი ხარვეზები გააჩნია მის ნაწერს, რა თქმა უნდა, ის სხვა ადამიანისთვის ვერ იქნება ღირებული და შესაძლოა სრულიად არაფრის მომცემი იყოს მარტივი მიზეზის გამო, რომ მისი წაკითხვა ავტორის გარდა არავის შეუძლია. ასევე პროგრამული პროდუქტი გახლავთ დაწერილი კოდი, სხვა სიტყვებით შეგვიძლია ვთქვათ პროგრამა ეს „არქიტექტურული ნაგებობაა“ რომლის ასაგებად კოდია გამოყენებული, დაწერილი კოდი კი მოგვხსენებთ შესაძლოა იყოს კარგი ან ცუდი, რისი გარჩევაც არაკვალიფიციურ პიროვნებას გაუჭირდება, მაგრამ დასმულმა საკითხმა კერძოდ კოდის „ცუდმა“ წერამ შეიძლება წარმოშვას პრობლემები:

- არაგარჩევადია სხვა პროგრამისტისთვის;
- პროგრამაში განახლება, ცვლილებების შეტანა რთულია;
- პროგრამის შესრულება ხდება ძალზე ნელა;
- არ არის უსაფრთხო.


ჩამონათვალი შესაძლოა არასრულია, მაგრამ პრობლემა ჩნდება მაშინ, როდესაც პროგრამისტი ორიენტირებულია მიიღოს შედეგი და არ არის დაინტერესებული როგორ მიაღწევს მას. შესაძლოა ერთი და იგივე სახის პროგრამა ორმა პროგრამისტმა სხვადასხვა დროში გააკეთოს, ერთმა შედეგი უფრო მალე მიიღოს ვიდრე მეორემ, მაგრამ დიდი მნიშვნელობა აქვს არა მიღებულ შედეგს, არამედ პროგრამის ხარისხსაც.

## 1. სახელების მინიჭება

მოგეხსენებათ პროგრამირებაში გვხვდება ცვლადები, რომლებიც გარკვეულ მნიშვნელობებს ღებულობს. სახელების დარქმევა შეიძლება უმნიშვნელო ჩანს, ერთი შეხედვით, მაგრამ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია, რობერტ მარტინმა თავის წიგნში აღწერა „სუფთა კოდის“ წერის პრინციპები [1]. იგი გვაცნობს: „ცვლადის სახელის დარქმევას ისე უნდა მიუდგეთ როგორც თქვენი პირველი შვილის სახელის დარქმევას.“ შესაძლოა გადაჭარბებულად ჟღერს ნათქვამი, მაგრამ ლოგიკურად დარქმეული სახელი ზრდის პროგრამის ხარისხსაც. ამიტომაც ამ საკითხს განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა სტრუქტურული დაპროგრამების მეთოდის ჩამოყალიბებისას პროფ. ე. დეიქსტრას მიერ [2,3].

რა თქმა უნდა, პროგრამისთვის მნიშვნელობა არ აქვს რა სახელი იქნება დარქმეული ცვლადზე, კომპიუტერი მაინც დაამუშავებს ინფორმაციას და მოგვცემს სწორ პასუხს, მაგრამ აღნიშნული მიდგომა დაგვეხმარება კოდის გარჩევადობაში, იქნება ლოგიკური და მომავალში თუ მოგვიწევს კოდთან დაბრუნება და ცვლილებების შეტანა ან პროგრამის განახლება, საქმეს გაგვიადვილებს.

არსებობს ერთ-ერთი მეთოდოლოგია, რომელიც შექმნილია ვებ-პროგრამირებაში კერძოდ front მიმართულებით : <https://en.bem.info/methodology/> [4], მისი სახელწოდებაა BEM, იშიფრება როგორც Block, Element, Modifier,



აღნიშნული მეთოდოლოგია გვთავაზობს როგორ დავარქვათ სახელები ბლოკს, ბლოკის ელემენტს და მოდიფიკატორს, დასახელებულ მეთოდოლოგიას იყენებენ ისეთი ცნობილი კომპანიები როგორცაა : Google, Яндекс, BBC.

## 2. ფუნქციების „მართლწერა“

მოგეხსენებათ, პროგრამირების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი გახლავთ ფუნქციები. ისინი გვიადვილებს პროგრამირებას და საქმის კეთებას. მაგალითად, შეგვიძლია მოვიყვანოთ შედარება, დღევანდელ დღეს ფართოდ გავრცელებულია სარეცხი მანქანები, რომლებიც აგრეთვე პროგრამებით მუშაობს. სარეცხ მანქანას გააჩნია ფუნქცია სარეცხის რეცხვა. დიასახლისი მოათავსებს სარეცხ მანქანაში, ხოლო მანქანა დარეცხილს მიაწვდის. ასევე არსებობს ჭურჭლის და ტანსაცმლის სარეცხი მანქანები. დიასახლისმა, რა თქმა უნდა, სწორად უნდა შეარჩიოს, ჭურჭელი ტანსაცმლის სარეცხ მანქანაში არ უნდა მოათავსოს და პირიქით, ჭურჭელი ტანსაცმლის სარეცხ მანქანაში.

ასევე ფუნქცია გვადლევს შესაძლებლობას გავიმარტივოთ საქმე მისი შექმნით, როგორც სარეცხის მანქანას ჰყავს გამომგონებელი, რომელმაც მრავალ დიასახლისს ყოველდღიური ცხოვრება გაუმარტივა, ასევე ფუნქციები გვიმარტივებს პროგრამირებას, ყველა ფუნქციას ინდივიდუალური საქმე შეგვიძლია დავავალოთ. ფუნქციის შექმნა, რა თქმა უნდა, დროს მოითხოვს, მაგრამ მომავალში გვიადვილებს საქმეს, როგორც სარეცხი მანქანის გამოგონებას დრო და რესურსი დაჭირდა, მაგრამ დღეს მილიონობით ადამიანს უადვილებს ცხოვრებას, ასევე პროგრამისტს შეუძლია შექმნას ისეთი ფუნქციები, რომლებიც პროგრამირებას გაამარტივებს და უფრო ლოგიკურს და ხარისხიანს გახდის.

არსებობს განსხვავებები დასახელებებს შორის, ობიექტ-ორიენტირებულ პროგრამირებაში გამოიყენება Class-ები, რომლებსაც თავისი ფუნქციები გააჩნია, ისინი მეთოდებად იწოდება. რ. მარტინის ზემოხსენებულ წიგნში გვთავაზობენ მეთოდების და ფუნქციების შექმნისას გარკვეულ სტანდარტებს, რომლებზეც გავამახვილებთ ყურადღებას [1]. მაგალითად, მეთოდის სახელის დარქმევასაც გვთავაზობენ,

რომ ლოგიკური სახელი დავარქვათ, იმისდა მიხედვით თუ შინაარსობრივად რას ასრულებს ფუნქცია, მაგალითად გვეუბნებიან, რომ ფუნქციის სახელში იყოს გამოყენებული ზმნა, მაგალითად postPayment, deletePage, save, აღნიშნული სიტყვები დაგვემარება ჩვენც და სხვა პროგრამისტსაც მიხვდეს რას ასრულებს ესა თუ ის მეთოდი. თუ პროგრამისტი მოახერხებს და ფუნქციის „სათქმელს“ 3 ან 4 ხაზში ჩაატევეს, ეს იდეალური ვარიანტია, თუმცა ეს ყოველთვის შესაძლოა ვერ მოხერხდეს.

### 3. კომენტარების შექმნა პროგრამულ კოდში

მოგესხენებათ რომ, როდესაც ვწერთ კოდს, ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი არის კომენტარები, შეგვიძლია ნებისმიერ ადგილას მათი გამოყენება, სინტაქსი გახლავთ - „//“, რაც კოდზე არ ახდენს არავითარ გავლენას, არამედ ეს არის პროგრამისტისთვის, რითიც შესაძლებელია გამარტივდეს გასარჩევად კოდის ესა თუ ის ნაწილი რას ასრულებს.

*Brian W. Kernighan და P. J. Plaugher1 თქვეს: “არ დააკომენტარო ცუდი კოდი - გაასწორე.”* Robert C. Martin. (2008). Clean Code [1]

ასევე იმასაც გვეუბნებიან Clean code ის წიგნში, რომ თუ ჩვენ მაქსიმალურად კარგად დაწერეთ კოდს, მაშინ კომენტარები თითქმის არ დაგჭირდება, რადგან ისინი ცუდად დაწერილი კოდის გარჩევადობის საშუალებები უფროა, ვიდრე დამხმარე საშუალებები, ასევე შეგვიძლია ვთქვათ, როდესაც კომენტარს წერ დაფიქრდი, რის გამო აკეთებ ამას, იმიტომ ხომ არა, რომ კოდი ცუდად წერია და მისი განმარტება გასურს, რადგან გასაგებად რთულია? საუკეთესო შემთხვევაა, როდესაც თავად კოდი არის დაწერილი, როგორც „მოთხრობა“, რომელიც თავად გიყვება რას ასრულებს.

როდესაც პროგრამისტი წერს კოდს და ხვდება, რომ მისი კოდი გაურკვეველია, ამ დროს პირველი რა იდეაც შეიძლება მოუვიდეს, ესაა გააკეთოს კომენტარი, იმისათვის რომ კოდი გასაგები იყოს, მაგალითად Clean code წიგნში მოყვანილია ტიპური მაგალითი:

```
// Check to see if the employee is eligible for full benefits
if ((employee.flags & HOURLY_FLAG) &&
    (employee.age > 65))
```

იმის გამო, რომ მოცემულ მაგალითში if ოპერატორში კოდი რთულადაა გასაგები, ზემოთ მოყვანილია მისი განმარტება, მაშინ როდესაც შესაძლებელია მოხდეს კოდის გადაკეთება ამდაგვარად:

```
if (employee.isEligibleForFullBenefits())
```

მოყვანილ მეორე მაგალითში უკვე გასაგებია თუ რას ემსახურება if ოპერატორში მოთავსებული ფუნქცია, რადგან სახელი თვითონ ფუნქციას აქვს უკვე დარქმეული და შესაბამისად აღარც კომენტარია საჭირო, შესაბამისად შეგვიძლია ვთქვათ, უმჯობესია პროგრამისტმა თავად ფუნქციას დაარქვას სახელი, რომლის განმარტებას კომენტარით აპირებს. ასევე შეიძლება შეიქმნას ისეთი ფუნქცია, რომელზეც კარგია თუ დატანილი იქნება განმარტება, იმისათვის, რომ სხვა პროგრამისტმა უკეთ გაიგოს თუ რა შემთხვევაში გამოიყენოს კონკრეტული ფუნქცია. ქვემოთ მოყვანილ მაგალითში სწორედ აღნიშნული პრობლემა წამოჭრილი, შექმნილია ფუნქცია, რომელიც ახდენს დიდი მოცულობის ფაილის ტესტირებას:

```
// Don't run unless you
// have some time to kill.
public void _testWithReallyBigFile()
{
    writeLinesToFile(10000000);

    response.setBody(testFile);
    response.readyToSend(this);
    String responseString = output.toString();
    assertSubString("Content-Length: 1000000000", responseString);
    assertTrue(bytesSent > 1000000000);
}
```

ხოლო ზევით მითითებული კომენტარი აღნიშნავს, რომ ფუნქციის შესრულებას დიდი დრო ჭირდება და იმიტომ გაფრთხილებითი კომენტარია, ცოტა ხუმრობითაც, „ნუ გაუშვებთ პროგრამას თუ დასაკარგი დრო არ გაქვთ“.

არსებობს აგრეთვე TODO კომენტარები:

```
//TODO-MdM these are not needed
// We expect this to go away when we do the checkout model
protected VersionInfo makeVersion() throws Exception
{
    return null;
}
```

აღნიშნული კომენტარი გვიჩვენებს, რომ ეს არ არის კოდის კარგი ნაწილი, და როდესაც გაუმჯობესდება კოდი მისი წაშლა გახდება საჭირო, მაგრამ გარკვეული მიზეზით საჭიროა ამ დროისთვის კოდის აღნიშნული ნაწილის არსებობა.

#### 4. დასკვნა

აღნიშნული საკითხებიდან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ვებ-სისტემების აგებისას მნიშვნელოვანია არა მხოლოდ შედეგის მიღება, როგორც უკვე ვისაუბრეთ, არამედ მნიშვნელოვანია პროგრამის ხარისხიც, რაზეც გავლენას ახდენს ის ზემოთ ჩამოთვლილი სამი საკითხი როგორცაა: სახელების სწორი მინიჭება, ფუნქციების მართლწერა და კომენტარების სწორად გამოყენება. რა თქმა უნდა, ეს არ არის სრული ჩამონათვალი და განხილვა იმისა თუ როგორ მივიღოთ ხარისხიანი პროგრამული პაკეტი. მეტიც, შესაძლოა ჩამოთვლილი საკითხები უმნიშვნელო დეტალებადაც გვეჩვენება, თუმცა ისინი დიდ გავლენას ახდენს პროგრამული სისტემის ხარისხზე. ეს პროგრამული კოდის ის მნიშვნელოვანი ნაწილებია, რომელსაც პროგრამისტი ვერ აარიდებს თავს.

#### ლიტერატურა - References – Литература:

1. Robert C. Martin. (2008). Clean Code: A Handbook of Agile Software Craftsmanship. Massachusetts State. USA. Pearson Education. ISBN 0136083250, 9780136083252. 464 p.
2. ზოგოვაძე გ., ფრანგიშვილი ა., სურგულაძე გ. (2017). მართვის საინფორმაციო სისტემების დაპროგრამების ჰიბრიდული ტექნოლოგიები და მონაცემთა მენეჯმენტი. მონოგრ., სტუ, „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი. 1001 გვ.
3. სურგულაძე გ. (2005). სტრუქტურული დაპროგრამების მეთოდი. სტუ, თბილისი.
4. <https://en.bem.info/methodology/>

### DEVELOPING METHODS OF QUALITY ASSESSMENT AND MANAGEMENT OF WEB-SYSTEMS

Khvedelidze Nodar  
Georgian Technical University  
nodarkhvedelidze@gmail.com

#### Sunnary

We are talking about things that are quite important when building software applications, web-systems (and general software systems), in particular: assigning variables logical names, write functions correctly, using comments with the correct purpose in the code. Creating a program is a general concept, however it is very important, creating a high quality program, which will not only fulfill the purpose, but will be settled, easily readable and distinguishable. When the structure of the web system, its code is arranged logically, it can be effectively updated.

## INFORMATION SYSTEM FOR SUPPORTING BUSINESS PROCESSES OF MULTIMODAL FREIGHT FORWARDING BASED ON CLOUD SERVICES

Petriashvili Lily, Topuria Nino, Surguladze Giorgi, Mchedlishvili Archil

Georgian Technical University

l.petriashvili@gtu.ge, ntopuria@gtu.ge, gsurguladze@gmail.com, a.mchedlishvili1991@gmail.com

### Abstract

Article discusses problems of managing business processes of multimodal freight transportation, presents analysis of types of multimodal shipments with emphasis on modeling and improving automation of business processes of a freight forwarding business based on modern information technologies. Infrastructure of management information system of the problem area has been designed with database, monitoring and decision-making blocks. Sea port is presented as a large and complex management system, its structure and behavior is described using object, process and service-oriented approaches. Attention is devoted to identification of factors that may affect effectiveness of multimodal transportation (time, cost, etc.). Business processes and business rules of multimodal transportation is studied, corresponding UML diagrams are built. An integrated concept is developed for effective functioning of a sea port, based on optimization of business processes of multimodal transportation, also for developing a decision support computer system and a software for these processes. With Power BI Desktop analysis services, users get real-time insights using highly interactive visualizations, whether in the cloud or on-premises. Power BI lets us easily connect to our data sources, discover what's important, and share that with anyone or everyone we want.

**Keywords:** multimodal forwarding, Seaport resources. Business-processes. IT. ERP. UML. ORM. Power BI.

### 1. Introduction

Georgia strives to become a country which has European values, to integrate politically and economically with Europe. This is supported by geographical location of Georgia on the one hand, that the country lies at the crossing of several economic regions, giving unique opportunity to be transit country between Europe and Asia, while on the other hand, Georgia has the potential to become transportation and logistics centre of the Caucasus region [1]. Transportation infrastructure in Georgia is inconceivable without development of sea ports, with special importance dedicated to Batumi, Poti and Kulevi sea ports, as well as Anaklia sea port in the future perspective. They play one of the key roles in serving sea freight, that is important not only for our country but for Transcaucasian and Central Asian countries, since the most convenient and shortest route of the Eurasian corridor lies through Georgia.

In order to respond to developing model of effectively managing Georgian maritime transport and reacting to modern challenges, Georgia needs to develop new strategy of managing transportation system, which will be based on comprehensive approach and not only issues of optimal management of sea transport infrastructure processes will be considered but environmental factors as well, that are of current importance, accompanied by ecological processes. Respective infrastructure scheme was designed based on analysis of business requirements. Structure of MIS for managing problem area has been developed involving distributed database, monitoring and decision making blocks (Figure 1). Transport modes (Road, sea, air) differ from each other in terms of technical as well as economic perspective. As there is no ideal mode of transport, in international freight forwarding area questions often arise as to which mode or a combination of modes should be used in a specific shipment. As a result, many factors come into play that help managers make optimal decisions.

### 2. Description of Sea Port

Sea port structures vary, they comprise of a territory and aquatory, rail and automotive ways, various objects of telecommunication, civil and manufacture facilities, storehouses, security structures, berths, coast protection structures and others. Dynamic objects of a sea port are ships (passenger, cargo, mixed), rail wagons (closed, open, special), cranes (port, bridge, cable, crawler, motor, rail), shipment machinery (auto, electric, etc.), cargo (bulk, general), teams of workers, etc.

Basic operations taking place at sea ports are: load – unload (freight) operations or direct means (Ship to rail wagon, ship to automobile, ship to ship), or using port storage facilities. In order to organize freight operations in a convenient way port is divided into industrial districts, each specializing in handling a specific type of cargo. For this reason, port has relevant berths, mechanization, storage space, necessary contingent of port workers [2].




Fig.1. Multimodal shipment infrastructure model

GPS – Global Positioning System, DGPS - Differentiated Global Positioning System,  
 GSM - Global System for Mobile Communications

Port is managed using the central control (dispatcher) - regional control units.

Main task in efficiently managing the port is planning of round-the-clock and shifts work activities. round-the-clock and shifts work plan is drawn based on load/discharge district requests on work personnel, vehicles, wagons, etc. Daily-shift work plan takes into account fulfillment of following activities: serving of ships (loading, discharge) directly and also in terms of storehousing, wagon (load, discharge), vehicles, workforce deployment, maneuvering (ships transfer, berth/unberth), etc.

Round-the-clock requests are drawn taking into account the fulfillment of the planned daily norm because if the norms are not fulfilled, port is financially responsible. In addition, port has to plan and fulfil the plan of daily discharging the wagons (within average daily norms). Otherwise, port is charged by the railway for each hour of wagon detention.

**Port Operational Management Problem** can be formulated as the sequence of activities providing the following:

- 1) Reduce ships and railway wagon detention time to the minimum;
- 2) Load-unload mechanisms used at maximum capacity (cranes, special machinery and so on);
- 3) Direct shipments used at maximum (where possible).

Let us discuss solution to this problem for one of the port districts. Figure 2 gives example of a sea port's freight district structure (general scheme). Berths (B), Storehouses (S), Railway line branches (R) connected with communication lines, by means of which ships, cargo, portal cranes (C) autoloader and other objects are moved.

Positioning of dynamic objects in space within fixed period of time defines situation of port district structure. Functioning of port district is outwardly reflected on its structure as change of situations. Formalization of this structure during functioning of port districts is connected (in the form of D-networks) with introducing notion of elementary nodes (source-inflow, outflow, converters) and establishing connections among them.

**Source-inflow** models entrance patterns of ships, cargo, rail wagons and other objects into the port district (business processes, business rules);




Figure 2. B -berth, C - crane, R - railway, A - airport, F - freight cars, S - storage

**Converters** model functioning of berths, storehouses and other reload points, as well as time delays, taking place along with movement of dynamic objects in the port. If D-Network is built for a given structure of port's district, connections among its nodes are consistent with the existing communication lines. Consistency among communication lines and types of dynamic objects (ships, cargo, cranes, etc) moving on this line is established by means of object behavior rules [7]. For instance, ships of category I-III for handling purpose may be received at only berths 1 and 2. Ships of other categories may be handled at any berth. Type of cargo and types of storehousing facilities are taken into consideration.

**Ship:** Name (Identificator), length, type, condition, exploitation costs per hour of anchorage, draught of ship, storage limit, load capacity, volume, location, start processing, end processing, etc.

D-Network of a sea port district can be given as Figure 2 shows. Converters that play flow commutation role in objects are gathered into a single commutator. Sources that correspond to ships model patterns of cargo vessels (coal, ore, wood, etc.) entering the port (Figure 3). There exist also vessels that carry fruits, vegetables, sugar, salt and other types of products. Objects formed from the source-entrance go via commutator either to converter or outflow current. Role of this current is performed by ships and trains that receive cargo and further move out of the port area. Outflow objects and converters have characteristics with values that change once they enter the commutator exit. Change in values of characteristics occur in accordance with the graphs of converters and source passages.

**Airport:** Airport Name(Identificator), Location, Country, Latitude, Longitude, Altitude, Timezone, etc.;

**Freight trucks** - Identificator, type, dimensions, volume, load capacity (kg), etc.

Converters are characterized by the following features:

**B – Berth:** Identificator, length, depth, allowable load, specialization, release time, bandwidth (Power), attribution to district, etc.

**S - Storehouse:** Identificator, type, area, floors, busy percentage, allowable load, attribution to district, etc.

**C - Crane:** Identificator, type, lifting capacity, maximum arrow length, minimum arrow length, lifting height, hook release (sink) depth, lifting speed, rotation speed, hook height change speed, speed, total weight, location, etc.

**Servise staff** – Port workers running the means of reloading. They work in crews (permanent or operational) in number of 4 to 16 persons.

**Crew** - Identificator, type, qualified members, number of members, location, type of work to be performed, output norm, technological work scheme, etc.

Transformation of values of object time characteristics takes place in delay lines.

### 3. Prospective Objectives of Sea Port Research

Project works that will be developed in the future involve comprehensive study of a sea port to achieve a compromise solution in terms of business and ecology. List of possible objectives is given below:

- Define functional and non-functional requirements of a sea port, as of one, representing a large and complex information system, based on object-oriented modeling and unified modeling language (UML/2);
- Develop method of designing a conceptual scheme of multimedia databases for a sea port management information system based on categorycal data analysis and object-role modeling (ORM). Build XML databases;
- Optimization of a sea port resource management using ERP system and optimal management methods (linear programming, multimodal transport, transportation problem, imitative modeling, etc.);
- Build imitative model of a sea port's business process management system using Colour Petri Nets (CPN Tools) and study basic characteristics of these processes for the purpose of generating recommendations for their perfection [7];
- Study of ship characteristics at port terminals using the Queueing theory (Markov processes) and relevant tools (WinPepsi);
- Study the use of service-oriented architecture principles for a sea port management information system and develop corresponding project;
- Develop and test a pilot version of a sea port management information system.

Considering the above mentioned, it becomes necessary to change the logistics structure of harbors. Expressed in an enhancement of port operation, this will be reflected in effective movement of transport arriving at the port as well as on the service provided at harbors. In the end, this will lead to the effective management of port terminals. Modeling and simulation is used as a method of improvement for port operations, for planning of the site and to control resources, thus experience can be summarized and new approaches can be developed [1,3,5].




Fig.3. Classification of transport with inheritance connections

Simulation models should be developed to optimize the planning of a terminal in order to reduce waiting time and to improve complete work performance. It is possible to apply discrete models similar to ERP which will ensure automated operation of terminal where simulation of marine conditions is considered and its impact on marine logistics is demonstrated [4]. Application of such models will help reduce service time and prevent excessive arrival of sea transport at the harbors, thus ensuring process standardization.

The use of a system for an optimized solution of sea-transport logistics will allow for the integrated application of linear programming and discrete-case simulation methods, leading to an improvement of the efficiency of site planning through predicting shipments and a reliable simulation scenario. Our objective in relation to the optimization of the sequence of loading and unloading is managing the schedule of the arrival of ships, directed at ensuring the full capacity of harbors, by taking into account all factors being controllable or uncontrollable. This includes the process of accessing the pier in order to minimize inefficiency and to improve potential of terminal.

Essential factors of this approach are the stochastic process of arriving ships, the sea conditions, and appropriate extra costs for occupying additional places at the piers, in case of inappropriate time schedule. Limited resources must also be considered (i.e. crane operators, dockers, pier operators, stackers, loading equipment, tugboats, and space for containers). Also, managing operational stations by applying optimization algorithms where there are such available resources that will manage simulation replication of specific quantities. This model should also be considered when forming an effective model for shipment of goods, coordination of movement of material and information flows. The movement of sea transport should be coordinated, too. **Power BI** is a collection of software services, apps, and connectors that work together to turn your unrelated sources of data into coherent, visually immersive, and interactive insights. Custom visuals allow us to create our own visuals for use within Power BI reports. Custom visuals are written in TypeScript which is a superset of JavaScript. Once we have created our custom visual, we can publish it AppSource for other users to discover and use (Fig.4).

#### 4. Object Role Modeling (ORM)

Object-Role Modeling (ORM) is primarily a method for modeling and querying an information system at the conceptual level. ORM is so-called because it pictures the world in terms of objects (entities or values) that play roles (parts in relationships). Unlike Entity-Relationship (ER) modeling and Unified Modeling Language (UML) class diagrams, ORM treats all facts as relationships (unary, binary, ternary etc.). NORMA (Natural ORM Architect for Visual Studio) is a free and open source plug-in to Microsoft Visual Studio. It supports ORM 2 notation, and can be



used to map object-role models to a variety of implementation targets, including major database engines, object-oriented code, and XML schema.[3].




Fig.4. Power BI Report

First of all we analyze problematic demands area, definition of a technical assignment. This is the formation of facts. From these elementary facts are defined the ORM-model. Afterwards we build the ORM-diagram. Initially we analyze the requirements of a technical task of the problem area, from where established the facts. The basic facts are determined by means of the ORM-model, which will be build after the ORM-Diagram (Fig.5).

### 5. Conclusions

Simulation in maritime environments has been developed by scientists for a long time, in fact both the authors themselves and other researchers have studied technologies devoted to improving the performance of a harbor and of the infrastructure around it (railroads, motorways, etc.) [1.3.6]. For the Georgian economy it is of great importance to raise port working capacities and increase their efficiency, using extensional (for instance, building a new port in Anaklia, extension of an existing one, etc. based on investments), as well as intensional methods. The latter involves optimization of usage of the existing resources. We suppose that once simulation model of a seaport – as of managing a complex system is developed (for instance, based on Petri coloured stochastic nets or Queueing theory using Markov processes) it will become possible to build a decision support system to be used in making optimal decisions. Development of multimodal infrastructure in a sea port area and its effective management will considerably contribute to solving problems raised in the present work.

### References - literatura - Литература:

1. Meyer-Wegener K., Petriaschvili L., Surguladze G. (2014). Decision Support System for Optimization of Seaport Resource. III internat. Scientific Conference “Computing / Informatics, Education Sciences, Teacher Education”, Batumi, Georgia.
2. Gogichaishvili G., Surguladze G. (2014). Concept of Automated Management of Multimodal Freight Transportation Business Processes. Transactions of GTU. ACS, No 2(18), pp.45-50.
3. Virginia Multimodal Freight Plan. (2013). Draft Report. Prepared by Cambridge Systematics, Inc. 8573.230.[http://www.cppdc.org/Transportation\\_Data/Virginia\\_Multimodal\\_Freight\\_Plan\\_11.01.13\\_Draft\\_Final\\_-with\\_appendices.pdf](http://www.cppdc.org/Transportation_Data/Virginia_Multimodal_Freight_Plan_11.01.13_Draft_Final_-with_appendices.pdf).
4. Surguladze Gia, Kristesiashvili Khatia, Surguladze Giorgi (2014). Modeling and Research of Business Processes of Enterprise Resource Management. Monogr., GTU, Tbilisi. [http://gtu.ge/book/gia\\_sueguladze/GiaSurgul\\_BPMN\\_ERP\\_2014.pdf](http://gtu.ge/book/gia_sueguladze/GiaSurgul_BPMN_ERP_2014.pdf).

5. Surguladze G., Bulia I. (2012). Integration and Building of Web-Applications for Enterprises. ISBN978-9941-20-165-3. Monogr., GTU, Tbilisi.
6. Klikov U. (1979). Basics of Situational Control. M., MEPHI.
7. Gogichaishvili G., Surguladze G., Topuria N., Urushadze B. (2014). Construction of Management Information Systems of Distributed Business Processes Based on Petri Networks and Object-Role Modeling. Georgian National Academy of Sciences, Bulletin "Moambe", vol.8, N.1, pp.58-64.




Fig.5. ORM – Conceptual model of Seaport

### მულტიმოდალური გადაზიდვების მხარდამჭერი საინფორმაციო სისტემა ღრუბლოვანი არქიტექტურის სერვისით

ლილი პეტრიაშვილი, ნინო თოფურია, გიორგი სურგულაძე, არჩილ მჭედლიშვილი  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
l.petriashvili@gtu.ge, ntopuria@gtu.ge, gsurguladze@gmail.com, a.mchedlishvili1991@gmail.com

#### რეზიუმე

განხილულია ტვირთების მულტიმოდალური გადაზიდვის ბიზნეს-პროცესების მართვის ხელშეწყობის საინფორმაციო სისტემის დაპროექტებისა და პროგრამული რეალიზაციის საკითხები. წარმოდგენილია შავი ზღვის პორტის მაგალითზე, როგორც დიდი და რთული სისტემის ობიექტისთვის, სატრანსპორტო ექსპედიტორული საქმიანობის ბიზნეს-პროცესების მოდელირების ამოცანა UML ტექნოლოგიით, აგებულია შესაბამისი კლასთა დიაგრამები. სისტემის მონაცემთა ბაზის ასაგებად გამოყენებულია ობიექტ როლური მოდელირების ინსტრუმენტი და აგებული კონცეპტუალური სქემის გადატანა Ms SQL Server მონაცემთა ბაზაში. Power BI Desktop-ის მონაცემთა ანალიზის სერვისის გამოყენებით მომხმარებლებს შესაძლებლობა აქვთ მიიღონ საურველი ინფორმაცია რეალურ დროში ღრუბლოვანი არქიტექტურის საფუძველზე.

## მენეჯერული აღრიცხვის სისტემის აგების პრობლემური საკითხები და მათი გადაჭრა ინფორმაციული ტექნოლოგიების საშუალებით

მედეა თევდორაძე, მარიამ ნებიერიძე, ნინო ლოლაშვილი,  
თამთა რუხაძე, მარიამ დარჩიაშვილი  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
medeat@gtu.ge, mariamneberidze90@gmail.com, ninol2008@ymail.com,  
Tamtarukhadze1990@gmail.com, darchiashvilimariami@gmail.com

### რეზიუმე

განხილულია მენეჯერული აღრიცხვის ეფექტიანი სისტემის აგების საკითხები. დახასიათებულია მენეჯერული აღრიცხვის არსი, მისი როლი ორგანიზაციის საქმიანობაში და ძირითადი ამოცანები, როგორც არის ბიუჯეტირება, დანახარჯების აღრიცხვა, თვითღირებულების კალკულირება, პროგნოზირება. გაანალიზებულია ის პრობლემები, რომლებიც წარმოიშვება მენეჯერული აღრიცხვის სისტემის აგების დროს და შემოთავაზებულია ძირითადი მიდგომები, რომელთა საშუალებით შესაძლებელია პრობლემების დაძლევა. აღნიშნულია ის უპირატესობები, რომელსაც იძლევა ბიზნეს-პროცესების თეორიის გამოყენება მენეჯერულ აღრიცხვაში და დახასიათებულია ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების შესაძლებლობები. მოყვანილია მოთხოვნები მენეჯერული აღრიცხვის ინფორმაციის მიმართ, განხილულია და აგებულია ინფორმაციული ნაკადები მენეჯერული აღრიცხვის ბიზნეს-პროცესებისათვის.

**საკვანძო სიტყვები:** მენეჯერული აღრიცხვა. მენეჯერული ბიზნეს-პროცესები. მენეჯერული აღრიცხვის ინფორმაციული ნაკადები, ინფორმაციული ტექნოლოგიები.

### 1. შესავალი

მენეჯერული აღრიცხვა გულისხმობს საწარმოს დანახარჯებისა და სამეურნეო საქმიანობის შესახებ ინფორმაციის შეგროვების, გაზომვის და დამუშავების საქმიანობას [1]. მენეჯერული აღრიცხვის მთავარი მიზანია დაგეგმილი, ფაქტობრივი და პროგნოზირებადი ინფორმაციის მომზადება ორგანიზაციის საქმიანობაზე და მის გარე გარემოზე, რომელიც საჭიროა მმართველობითი გადაწყვეტილებების მისაღებად. მენეჯერული აღრიცხვის ინფორმაცია გამოიყენება მენეჯერული გადაწყვეტილებების მიღებისთვის და მათი ეფექტიანობის შეფასებისთვის.

ზოგადად მენეჯერული აღრიცხვის წარმატება ორგანიზაციაში დამოკიდებულია მისი სისტემის სწორ აგებაზე. რაც საკმაოდ რთულია, აღნიშნული სირთულეები სხვა მრავალ მიზეზთან ერთად დაკავშირებულია მენეჯერული აღრიცხვის ინფორმაციასთან, მის მოცულობასთან და მოთხოვნებთან მის მიმართ. აღნიშნული პრობლემების დაძლევა შესაძლებელია მენეჯერულ აღრიცხვაში ბიზნეს – პროცესების მიდგომების დანერგვით ინფორმაციული ტექნოლოგიების სწორი გამოყენებით და მისი ინფორმაციული მხარდაჭერის სწორი წარმართვით.

### 2. ძირითადი ნაწილი

თავდაპირველად დავახასიათოთ მენეჯერული აღრიცხვის ძირითადი ამოცანები [2]:

1. **ბიუჯეტირება** – ბიუჯეტი არის ინფორმაცია დაგეგმილი ან მოსალოდნელი შემოსავლების, ხარჯების, აქტივებისა და პასივების შესახებ. ბიუჯეტი ხელს უწყობს კომპანიას, რათა მან უფრო ეფექტურად მიიღოს და შეასრულოს გადაწყვეტილებები. ბიუჯეტირების სისტემა საშუალებას იძლევა წინასწარ შეფასდეს მმართველობითი გადაწყვეტილების სამომავლო შედეგები;

2. **დანახარჯების აღრიცხვა** - დანახარჯები წარმოაგენს საწარმოს აქტივების შემცირებას ან ვალდებულებების წარმოშობას საქონლის და სხვა რესურსების მოწოდების შედეგად, რომელიც ხორციელდება სარგებლის მიღების მიზნით. დანახარჯები ასახავენ იმ რესურსების ღირებულებას, რომლებიც გამოიყენება პროდუქციის მწარმოებელი ან მომსახურე ტიპის საწარმოს საქმიანობის პროცესში;

3. **თვითღირებულების კალკულირება** - თვითღირებულება ეს არის ხარჯი გამოხატული ფულად საშუალებებში, რომელიც გაწეულია იმ პროდუქციის (საქონლის)/ მომსახურეობის დასამზადებლად (შესაძენად)/გასაწევად, რომელთაგანაც მომავალში მოველით შემოსავლების მიღებას. თვითღირებულების გამოსათვლელად ხდება პროდუქციის (მომსახურეობის) საწარმოებლად (მისაწოდებლად) გაწეული ხარჯების შეჯამება.

თვითღირებულების განსაზღვრის სიზუსტის ასამაღლებლად უნდა დადგინდეს იქნას კავშირი ხარჯებსა და კალკულაციის ობიექტს შორის. პროდუქციის თვითღირებულების კალკულაციისთვის საჭიროა წარმოების, მარკეტინგისა და მომხარებლის სერვისის ხარჯების განსაზღვრა;

4. *პროგნოზირება* - ვიწრო თვალსაზრისით პროგნოზირება კონკრეტული პრესპექტივების სპეციალური სამეცნიერო კვლევაა ნებისმიერი პროცესის შემდგომი განვითარებისთვის. პროგნოზირება ეხმარება ინვესტორებს და მენეჯერებს რელევანტური და სანდო ინფორმაციის მიღებაში. პროგნოზირების წყარო შესაძლებელია იყოს როგორც ორგანიზაციის საკუთარი გამოკვლევები, ისე სპეციალიზირებული დაწესებულებების მიერ შეკვეთით შესრულებული სამუშაოები. პროგნოზი უნდა იყოს დროული, ზუსტი და საიმედო.

როგორც ვხედავთ, მმართველობითი აღრიცხვა საჭიროა ეფექტიანი მმართველობითი გადაწყვეტილებების მისაღებად. მაგრამ ეს შესაძლებელია მხოლოდ სწორად ორგანიზებული მმართველობითი აღრიცხვის სისტემის პირობებში. ასეთი ტიპის სისტემის აგება კი სირთულეს წარმოადგენს. კერძოდ, მმართველობითი აღრიცხვის პრობლემური საკითხებია [3,4,5]:

- მმართველობითი აღრიცხვის არსის არა სწორი და არასრული გაგება. ზოგჯერ ის დაყავთ მხოლოდ დანახარჯების აღრიცხვის სისტემამდე და მათ დანაწილებამდე დანახარჯების ერთეულების და გამოშვებული პროდუქციის სახეობების მიხედვით. მაგრამ რეალობაში მმართველობითი აღრიცხვის მთავარი მიზანი არის მმართველობითი პროცესის ორიენტაცია სტრატეგიული და ტაქტიკური მიზნების მიღწევაზე, ამიტომაც მასში ასევე უნდა ხორციელდებოდეს კონკურენტების, მყიდველების პროდუქციის, ორგანიზაციის და ა.შ. შესახებ ინფორმაციის შეგროვება და დამუშავება;

- მმართველობითი აღრიცხვის ჩანაცვლება ბუღალტრული აღრიცხვით;

- არასწორი: საწარმოს მიზნების და სტრატეგიის გამოკვეთა, ფინანსური პასუხისმგებლობის ცენტრების შექმნა, საწარმოო ბიზნეს-პროცესების ტექნოლოგიის არჩევა, ზედნადები დანახარჯების განაწილების სისტემის აგება, ინფორმაციის შეგროვების პასუხისმგებლობის სისტემის დანაწილება, ბიუჯეტის შედგენა, პერსონალის მოტივაცია და მრავალი სხვა;

- მუდმივად ცვალებადი მოთხოვნები ინფორმაციის მიმართ;

- დანერგვის გუნდის შერჩევა, კადრების შერჩევა;

- სტანდარტიზაციის და მეტროლოგიური ზაზის არარსებობა;

- თანამშრომლების უვარი ინფორმაციისა და დოკუმენტაციის დამუშავებაზე, მათი შიში სიახლეების მიმართ;

- მეთოდური სირთულეები, შესაბამისი მეთოდიკებისა და პრაქტიკული დამუშავებების არ არსებობა;

- მენეჯმენტის არასწორი ორგანიზება;

- ოპერატიული ინფორმაციის არასაკმარისობა; ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება მმართველობით აღრიცხვაში, ინფორმაციის დანაწილება ქვეგანყოფილებებს შორის, კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენება ინფორმაციის მოსაპოვებლად გაყიდვების, დანახარჯების, ამონაგების, შემოსავლების და ა.შ. შესახებ.

განსაკუთრებული სირთულე დაკავშირებულია მენეჯერული აღრიცხვის ინფორმაციულ უზრუნველყოფასთან. გასაგებია, რომ მმართველობითი აღრიცხვის მიზანია მოამზადოს ინფორმაცია შიგა მომხარებლებისთვის სწორი და ეფექტური გადაწყვეტილებების მისაღებად.

მენეჯერულ აღრიცხვაში განიხილება მრავალი სახის ინფორმაციული წყარო. ისინი იყოფა ორ ძირითად ჯგუფად – შიდა და გარე წყაროები. ინფორმაციის შიდა წყაროებია: გაყიდვების ჟურნალი, შესყიდვები, სახელფასო უწყისი, წარმოების დოკუმენტაცია, რეალიზაციის და მარკეტინგის დოკუმენტაცია და რეესტრები. მენეჯერული აღრიცხვის გარე ინფორმაციული წყაროებია: მომწოდებლები, კონკურენტი ორგანიზაციები, სამთავრობო სტრუქტურები, პოტენციური მუშა ხელი. ინფორმაცია მენეჯერულ აღრიცხვაში უნდა მიეწოდოს ხელმძღვანელებს ანგარიშების წარდგენის სახით. ხელმძღვანელისთვის წარსადგენი ტიპური ანგარიშები უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას: მასალების და პროდუქციის წარმოების კონტროლის შესახებ; მარკეტინგის და დისტრიბუციის შესახებ; პერსონალის შესახებ; ფინანსური და მმართველობითი აღრიცხვის მონაცემებს.

მოთხოვნები ინფორმაციის მიმართ, რომელიც საჭიროა მენეჯერული აღრიცხვისთვის შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად, ის უნდა იყოს:

- *ოპერატიული* – ანუ ინფორმაცია უნდა ფორმირდებოდეს პრინციპით – რაც უფრო სწრაფად იქნება, მით უკეთესი. თუ არის არჩევანი სიზუსტესა და მონაცემთა მიღების სისწრაფეს შორის, როგორც წესი, მენეჯერები უპირატესობას ანიჭებენ სისწრაფეს;

- *მიზნობრივი* – ანუ ინფორმაცია უნდა იყოს მიმართული კონკრეტული ამოცანის გადაჭრაზე;

- **დამისამართებელი** – ანუ ორიენტირებული კონკრეტულ მომხმარებელზე და მის ამოცანების გადაჭრაზე. ეს დამისამართებულობა უნდა პასუხობდეს ორგანიზაციაში არსებულ მართვის იერარქიას;
- **საკმარისი** – ეს ნიშნავს, რომ ინფორმაცია უნდა იყოს საკმარისი მმართველობითი გადაწყვეტილებების მისაღებად. ეს შეიძლება მიიღწევიდეს მონაცემთა ანალიტიკური ხასიათი ხარჯზე;
- **ეკონომიური** – მიღებასა და გამოყენებაში;
- **მოქნილი** – ანუ ადვილად მორგებადი ბიზნესის ცვლილებებზე. საბაზრო ეკონომიკა ხასიათდება დინამიზმით, განუზღვრელობით და მრავალვარიანტულობით, შესაბამისად მმართველობითი აღრიცხვა ვერ იქნება სტაბილური და უცვლელი, ის მუდმივად უნდა ექვემდებარებოდეს ცვლილებებს და განახლებას, განვითარებას.

ასევე შესაძლებელია ჩამოვაცალიზოთ მოთხოვნები იმ ინფორმაციის მიმართ, რომელსაც აფორმირებს თავად მმართველობითი აღრიცხვა, მას უნდა ახასიათებდეს:


- **ნამდვილობა**. საიმედოობა – გულისხმობს კომპეტენტური მომხმარებლის მიერ სათანადო და სწორი დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას აღრიცხვის მონაცემებზე და ანგარიშგებაზე დაყრდნობით;
- **სისრულე** – მენეჯერული აღრიცხვის სისრულე ნიშნავს ინფორმაციის საკმარისობას საწარმოს და მისი ერთეულების მართვისათვის ამ თვალსაზრისით. ყველაზე სრულყოფილია მმართველობითი აღრიცხვის სისტემები, რომლებიც მოიცავენ ანგარიშების და ორმაგი ჩანაწერების გამოყენებას, რომლებიც უზრუნველყოფენ, კონტროლს არა მარტო ხარჯებზე და მიმდინარე საქმიანობის შედეგებზე, არამედ საწარმოო მარაგებს, ინვესტიციებზე, ბიზნესის ფუნქციონალური მართვის ეფექტურობაზე;
- **რელევანტურობა** – მმართველობითი აღრიცხვის პოზიციიდან მონაცემები და ინფორმაცია არის რელევანტური, თუ ის ითვალისწინებს იმ პირობებს, რომელშიც მიიღება გადაწყვეტილებები და მათ სამიზნე კრიტერიუმებს, რომელსაც აქვს შესაძლო ალტერნატივების ნაკრები და რომლებიც ახასიათებენ თითოეული მათგანის რეალიზაციის შედეგებს;
- **მთლიანობა** – ეს ნიშნავს, რომ მმართველობითი აღრიცხვა უნდა იყოს სისტემური. ამ შემთხვევაში სისტემურობა ნიშნავს სააღრიცხვო ინფორმაციის ასახვის პრინციპების ერთობლიობას, აღრიცხვის რეგისტრებისა და შიდა ანგარიშგების ურთიერთკავშირს, საჭიროების შემთხვევაში შედარებადობის უზრუნველყოფას მის მონაცემებსა და საბუღალტრო აღრიცხვისა და შიდა ანგარიშგების მაჩვენებლებს შორის;
- **გასაგებადობა** – მმართველობითი აღრიცხვის ინფორმაციის გასაგებადობა უზრუნველყოფილია საანგარიშგებო რეგისტრებში მიღებული ინდიკატორების ანალიზის შედეგების ასახვით, ანალიტიკური ცხრილების, გრაფიკების, დინამიური რიგების და სხვა სახით მონაცემების წარმოდგენით;
- **დროულობა** – მმართველობითი აღრიცხვისათვის დროულობა ნიშნავს გადაწყვეტილებების მიღების ვადაში მენეჯერებისათვის საჭირო ინფორმაციის მიწოდებას;
- **რეგულარულობა** – მნიშვნელოვანია, რომ შიდა ანგარიშგება რეგულარული იყოს, ანუ, განმეორებითი დროში.

ყველა ზემოაღნიშნული პრობლემების გადასაჭრელად და მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად მნიშვნელოვანია მენეჯერულ აღრიცხვაში პროცესული მიდგმის დანერგვა [6]. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიენიჭოს მმართველობითი აღრიცხვის ინფორმაციის მოპოვების, შენახვის, დამუშავების და გადაცემა-მიწოდების ბიზნეს-პროცესების აგებას. ბიზნეს-პროცესების სისტემის დანერგვა მენეჯერულ აღრიცხვაში იძლევა შემდეგ უპირატესობებს: 1. სწრაფად ხდება რეაგირება ცვლილებებზე; 2. მცირდება პროცესების შესრულების დრო ხარისხის ზრდასთან ერთად; 3. შესაძლებელია ოპერაციული ეფექტიანობის შეფასება; 4. უზრუნველყოფილია ოპერაციების შეთანხმებულობა; 5. მცირდება დანახარჯები და პროცესების ღირებულება; 6. ყველა თანამშრომელი ორიენტირებული პროცესების შედეგებზე.

როგორც ცნობილია, ბიზნეს-პროცესების თეორიის გამოყენება გულისხმობს ინფორმაციული სისტემების გამოყენებას [7,8]. რა თქმა უნდა, შესაძლებელია მენეჯერული აღრიცხვის ამოცანების გადასაჭრელად ზოგადი დანიშნულების (მაგალითად, Excel-ის) ან სპეციალიზირებული პროგრამების გამოყენება. ზოგადი დანიშნულების პროგრამა Excel – იძლევა მრავალი ფუნქციების გაანგარიშების საშუალებას, მაგრამ მასში შეუძლებელია გარკვეული კომპლექსური ამოცანების გადაჭრა. ასევე პრობლემას წარმოადგენს სპეციალიზირებული პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც როგორც წესი, ემსახურება გარკვეული ტიპის ამოცანების ჯგუფების გადაჭრას. ბიზნეს-პროცესების თეორიის თანახმად მართვისათვის სასურველია ERP ტიპის პროგრამების გამოყენება.

ERP - სისტემა არის ინტეგრირებული სისტემა, რომელიც ახორციელებს კომპანიის შიდა და გარე რესურსების მართვას (მნიშვნელოვანი ფიზიკური აქტივები, ფინანსური, მატერიალური და ადამიანური რესურსები). სისტემის მიზანია ხელი შეუწყოს საწარმოში არსებული ყველა ბიზნეს ერთეულს (ბიზნეს ფუნქციებს) და სხვა საწარმოებთან ურთიერთობას საინფორმაციო მხარდაჭერით. თითოეულ მომხმარებელს გააჩნია ინფორმაციის ხელმისაწვდომობა. მენეჯერი ხედავს თავის ამოცანებს, ბალანსს საწყობში, რეზერვში. მაღაზიაში მყოფმა ყველაფერი იცის საქონლის მოძრაობისა და ხარჯების შესახებ, შესყიდვების დეპარტამენტმა ყველაფერი იცის მიწოდებაზე. ხელმძღვანელი ხედავს ინფორმაციას, რომელიც მას სჭირდება და დაუყოვნებლივ იღებს ამ ინფორმაციას მზა ანგარიშების სახით. ყოველივე ეს ამცირებს აუცილებელი შეხვედრების რაოდენობას, ამცირებს ოპერაციებს და ამცირებს არა პატიოსან ქცევას. სისტემაში ინტერაქცია გამორიცხავს არაფორმალურ კომუნიკაციას (უაწყობითი საქმიანობასთან მიმართებაში) და ასევე არ იძლევა საშუალებას, რომ შეიცვალოს რეგლამენტი, რომელიც ამცირებს შეცდომებს. ნებისმიერ შემთხვევაში, მენეჯერული აღრიცხვის ინფორმაციული სისტემის შერჩევა აუცილებელია ბიზნესის მამულის, საწარმოს ტიპისა და სპეციფიკის მიხედვით. ინფორმაციის მოპოვების ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს მისი გამოყენების ეფექტს.

იმისთვის, რომ სწორად განხორციელდეს მენეჯერული აღრიცხვის ბიზნეს-პროცესების დაპროექტება და ინფორმაციული ტექნოლოგიების დანერგვა აუცილებელია ინფორმაციული ნაკადების შესწავლა აღნიშნული საქმიანობის ფარგლებში [9,10]. მთელი ის ინფორმაცია, რომელიც ცირკულირებს მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების სისტემაში პირობითად შეიძლება იყოს დაყოფილი ორ კატეგორიად – შემომავალი და გამომავალი. გამომავალი ინფორმაცია წარმოადგენს სტანდარტიზებულ, პერიოდულ ანგარიშებს ან ანალიტიკურ მასალებს, რომლებიც მომზადებულია სპეციალურად გადაწყვეტილებების მისაღებად კონკრეტული საკითხის მიხედვით. ეს ანგარიშები და მიმოხილვები გადაეცემა გადაწყვეტილებათა მიღების ნაწილს. შემომავალ ნაკადებს აქვს უფრო რთული სტრუქტურა – ისინი ფორმირდებიან როგორც ორგანიზაციის შიგნით ასევე მის გარეთ (ნახ.1).




ნახ.1. ინფორმაციული ნაკადები მენეჯერული აღრიცხვისათვის

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მმართველობითი აღრიცხვა მოიცავს ოთხ ძირითად ამოცანას: ბიუჯეტირება, დანახარჯების აღრიცხვა, თვითღირებულების კალკულირება და პროგნოზირება. ჩვენს მიერ აგებულია ინფორმაციული ნაკადები პირველი სამი ამოცანებისათვის. ბიუჯეტირების ინფორმაციული ნაკადების აგების დროს უნდა გავითვალისწინოთ, რომ ბიუჯეტი შედგება რამდენიმე ქვებიუჯეტისაგან: გაყიდვების, წარმოების, პირდაპირი მასალების ხარჯებისა და შეძენების, შრომის პირდაპირი დანახარჯების, საწარმოო და ზედნადები დანახარჯების, საწარმოო დანახარჯების, კომერციული დანახარჯების, მმართველობითი დანახარჯების. აღნიშნულის გათვალისწინებით მიღებულია ინფორმაციული ნაკადები, წარმოდგენილი მე-2 ნახაზზე. თვითღირებულების კალკულირების დროს უნდა იყოს გათვალისწინებული შემდეგი ინფორმაციული ნაკადები: დანახარჯები, უშუალოდ დაკავშირებული პროდუქციის წარმოებასთან და რეალიზაციასთან; დანახარჯები, გაწეული საწარმოს უზრუნველყოფაზე შრომითი ხელით (პერსონალით); ანარიცხები სხვადასხვა ფონდებსა და ბიუჯეტებში; დანახარჯები ორგანიზაციის შენახვაზე, მომსახურებაზე და მართვაზე; ახალი პროდუქციის მომზადების და ათვისების დანახარჯები, სხვა დანახარჯები.


### 3. დასკვნა

როგორც უკვე აღვნიშნეთ ზემოთ, მენეჯერული აღრიცხვის ძირითადი ამოცანაა ინფორმაციის მომზადება მმართველობითი გადაწყვეტილებების მისაღებად. აქედან გამომდინარე ის წარმოადგენს საწარმოს საინფორმაციო სისტემის განუყოფელ ნაწილს. მენეჯერული აღრიცხვა ამზადებს ინფორმაციას წარმოების დანახარჯების ანალიზისა და გადაწყვეტილებების მიღებისათვის. მენეჯერული აღრიცხვის სპეციალისტი პასუხისმგებელია შექმნას ინფორმაციული სისტემა, რომელიც პასუხს გასცემს კითხვებზე: რამდენია ძირითადი პროდუქტი და რომელი სახის პროდუქციაა უფრო მომგებიანი; რამდენად გაიზარდა ნედლეულის მარაგი; რამდენია მატერიალური და შრომითი დანახარჯები პროდუქციის ერთეულზე.

დანახარჯების აღრიცხვის ჩვენს მიერ შემოთავაზებული ინფორმაციული ნაკადები წარმოდგენილია მე-3 ნახაზზე.



ნახ.2. ბიუჯეტირების ინფორმაციული ნაკადები



ნახ.3. დანახარჯების აღრიცხვა

ინფორმაცია მენეჯმენტს უნდა დაეხმაროს გარკვეული პოლიტიკის გატარებაში: დაგეგმვისას, გადაწყვეტილების მიღებისას, კონტროლისა და რეგულირების, სტრატეგიული მიზნების მიღწევაში. ამ მიზნების ეფექტური მიღწევისათვის საჭიროა სწორი მენეჯერული აღრიცხვის სისტემის აგება. იმისათვის, რომ საწარმოო იყოს მომგებიანი და კონკურენტუნარიანი მის ამოცანას წარმოადგენს ახალი, არა ტრადიციული სისტემების აგება ინფორმაციის მოსაპოვებლად. ყოველივე აღნიშნულის რეალიზება კი შესაძლებელია მენეჯერული აღრიცხვის პროცესული ორიენტირებით. ამისათვის აუცილებელია სწორი ბიზნეს-პროცესების დაგეგმვა და რეალიზება, განსაკუთრებით ინფორმაციის მოძიების, შენახვის, დამუშავების და მიწოდების სფეროში. ასევე განსაკუთრებული როლი აქვს ავტომატიზაციას მენეჯერული აღრიცხვის საქმიანობაში. და აქ გამოიკვეთება ERP ტიპის სისტემები, ვინაიდან ისინი ახდენენ კომპლექსურ ავტომატიზაციას. თანამედროვე ERP – სისტემებს შეუძლიათ შეასრულონ საწარმოს ყველა ძირითადი ფუნქცია, კომპანიის საქმიანობის სახისა და მისი წესდებისაგან დამოუკიდებლად. ამ ტიპის სისტემის დანერგვა ნიშნავს ახალ მმართველობით კონცეფციაზე გადასვლას, რომელიც თავისთავში გულისხმობს მართვის ახალი სტანდარტებისა და ინსტრუმენტების გამოყენებას. ინფორმაციზაციის და ბიზნეს-პროცესების აგების პროცესების საფუძველს წარმოადგენს ინფორმაციული ნაკადები, ამ მიზნით წინამდებარე ნაშრომში შემოთავაზებულია ინფორმაციული ნაკადების სქემები ბიუჯეტირებისათვის, ხარჯების აღრიცხვისათვის და თვითღირებულების კალკულირებისათვის.

**ლიტერატურა - References - Литература:**

1. ბესიკ ბაუჩაძე. (2012). მართველობითი აღრიცხვა, თბილისი, გამოცემა „უნივერსალი“
2. პროექტის ხელმძღვ. ლ. ჭუმბურიძე, კოორდინატორი კ. დათიაშვილი, მთარგმნ. ბ. ალავერდაშვილი, რედ. ი. გაიშვილი, ნ. ბოლოკაძე, მ. გველესიანი. (2016). მართველობითი აღრიცხვა,

სახელმძღვანელო წიგნი F2, საერთაშორისო პრაქტიკა, თარგმნა ინგლისურიდან. თბილისი ACCA პროფესიონალ ბუღალტერთა ასოციაცია, თბილისი

3. Кавич А.Ю., Трунина Ю.А. (2012). Проблемы внедрения управленческого учета в организации. Экономика, управление, финансы: материалы II междунар. науч. конф. (г. Пермь, декабрь 2012). Пермь: Меркурий, 125-128

4. Семина, Л.А. (2015). Проблемы постановки и внедрения системы управленческого учета в организациях. Аудиторские ведомости. № 6. 77-83

5. Суйц, В.П. (2012). Проблемы организации и технологии управленческого// Вестник Московского университета. Сер. 6, Экономика. № 3. 94-102

6. Тевдорაძე М.Т., Баджиашვილი А.С., Лолашვილი Н.Ш. (2017). Проектирование и оптимизация бизнес-процессов крупного предприятия. Избр. вопросы современной науки. -М. Изд. «Перо». 112-144

7. Исаев Г.Н. (2010). Информационные системы в экономике: учебник для студентов вузов, обучающихся по специальностям «Финансы и кредит», «Бухгалт. учет, анализ и аудит». М.: Изд. «Омега-Л»

8. Акперов И.Г. (2013). Информационные технологии в менеджменте: -М.: НИЦ ИНФРА

9. Венделева М.А. (2013). Информационные технологии в управлении. -М.: Юрайт

10. Максимов Н.В. (2013). Современные информационные технологии. -М.: Форум.

## PROBLEMATIC ISSUES OF MANAGERIAL ACCOUNTING SYSTEM BUILDING AND THEIR SOLUTION THROUGH INFORMATION TECHNOLOGY

Tevdoradze M., Nebideridze M., Lolashvili N.,

Rukhadze T., Darchiashvili M.

Georgian Technical University

### Summary

This article is dedicated to the discussing of the issues of an effective managerial accounting system building. There is given characterizations of the essence of managerial accounting, its role in the organization's activities and its basic tasks, such as budgeting, accounting of expenses, cost calculation, prediction. The problems that arise during the building of the managerial accounting system are analyzed and the basic approaches are offered to overcome of problems. The advantages of the business-process theory usage in managerial accounting are underlined, and also there are characterized the possibilities of usage of information technologies. Requirements for managerial accounting information are given, also there are discussed questions of information streams in managerial accounting and offered information streams for budgeting, accounting of expenses and cost calculation.

## ფაზური გადასვლები ეკონომიკურ სისტემებში

ვალადა სესაძე, ნელი სესაძე, გელა ჭიკაძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

v\_sesadze@gtu.ge, nelisesadze@mail.ru, gchikadze@list.ru

### რეზიუმე

გადმოცემულია მეცნიერების ახალი მიმართულების -- ეკონოფიზიკის ძირითადი დებულებები. გაანალიზებულია ფაზური გადასვლების გამოყენების შესაძლებლობა ეკონომიკაში. აგრეთვე მოცემულია  $f(\gamma, t)$  ფუნქციის ალგორითმი ეკონომიკური ტრანექტორიის განმსაზღვრელი ფაზური გადასვლების მოძებნის მიზნებისათვის. გაკეთებულია დასკვნა, რომ აღნიშნული ახალი მიმართულება განხილულ უნდა იქნას როგორც ეკონომიკური თეორიის შემდგომი განვითარება. ეკონომიკური ზრდის მოდელის განხილვა სინერგეტიკული მიდგომის, შეერთება-შთანთქმის გათვალისწინებით გვაძლევს საშუალებას გავაკეთოთ დასკვნა, რომ ამ პროცესში ადგილი აქვს ნახტომისებურ გადასვლას ერთი წონასწორული მდგომარეობიდან მეორეში (ბიფურკაციული პროცესი).

**საკვანძო სტიტყეები:** ეკონოფიზიკა. ფაზური გადასვლა. ეკონომიკური თეორია. სინერგეტიკა.



## 1. შესავალი

მსოფლიო ეკონომიკაში გლობალური ფინანსური კრიზისების გახშირებას მეცნიერთა ერთი ნაწილი ეკონომიკური თეორიის კრიზისად მიიჩნევს. მათი აზრით, საჭირო ხდება ალტერნატიული თეორიებით სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემათა გაანალიზება. [1]. ახალი მიდგომა ეკონომიკურ და სოციალური პრობლემების კვლევაში შემოვიდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებიდან მეოცე/ოცდამეერთე საუკუნეების მიჯნაზე რომლის კვლევის საგანიც გახდა ბუნების და ფიზიკური თეორიის ფუნდამენტური კანონების გამოყენებით ეკონომიკური პროცესების კვლევა, როდესაც ეკონომიკის ზოგიერთ სექტორში დაგროვდა უამრავი რეალური სტატისტიკური მონაცემი დროის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში. (მაგალითად, სტატისტიკური ინფორმაცია ფინანსურ ბაზარზე ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვის ფასების, მოსახლეობის სხვადასხვა ფენის შემოსავლების შესახებ და სხვა.), რომელთა ანალიზიც ვერ მოხერხდა ეკონომიკური თეორიის ჩარჩოებში [2,3].

## 2. ძირითადი ნაწილი

ეკონომიკის მსგავსი პრობლემების გადაწყვეტისას ფიზიკოსები ემყარებიან ანალოგიების მეთოდს [1, 2, 4]. კონკრეტული ეკონომიკური პროცესის განხილვის დროს ძებნიან შესაბამის ანალოგიურ ფიზიკურ მოვლენას და ადგენენ შესაბამის ფიზიკურ მოდელს, რომელიც აღიწერება შესაბამისი მათემატიკური აპარატით. მაგალითად, საფონდო ბირჟაზე აქციების ფასების რხევების ანალიზისათვის იყენებენ ბროუნის მოძრაობის მოდელს. შემოსავლების მიხედვით მოსახლეობის განაწილება განიხილება აირში ნაწილაკების სიჩქარის მიხედვით განაწილების მსგავსად. კომპანიის განვითარების ტრაექტორიის ნახტომისებური ცვლილება განიხილება ფაზური გადასვლების ანალოგიით [3].

ფიზიკაში ტერმინი, ფაზური გადასვლები განმარტებულია, როგორც ნივთიერების თვისების დამახასიათებელი პარამეტრების ნახტომისებური ცვლილება. ეს აუცილებელია ოპტიმალური მმართველი ზემოქმედების ფორმირებისათვის და მიღებული შედეგების კონტროლისათვის [5,6].

ფიზიკა განასხვავებს ფაზური გადასვლების 2 ტიპს-პირველი და მეორე სახის ფაზურ გადასვლას. ფაზური გადასვლების პირველი ტიპის დროს ნახტომისებურად იცვლება ყველაზე მთავარი, პირველადი, ექსტენსიური ფიზიკაში პირველი რიგის ფაზური გადასვლების მაგალითებს წარმოადგენს: გამოდნობა და გამყარება; ადუღება და კონდენსაცია; სუბლიმაცია. მეორე რიგის ფაზური გადასვლებს ადგილი აქვს მაშინ, როდესაც იცვლება ნივთიერების აღნაგობის სიმეტრია. ფიზიკაში მეორე რიგის ფაზური გადასვლების მაგალითებია: პარამაგნეტურის გადასვლა ფერომაგნეტურში ან პარამაგნეტურის გადასვლა ანტიფერომაგნეტურში. მეტალების და შენადნობების გადასვლა ზეგამტარობის მდგომარეობაში. ამორფული მასალების გადასვლა მინისმაგვარ მდგომარეობაში.

ფიზიკური ფაზური გადასვლების ანალოგებს ეკონომიკაში წარმოადგენს ეკონომიკური სისტემების სასიცოცხლო ციკლის განსაზღვრული ეტაპები, რომლის დროსაც იცვლება სტატუსი, მიმდინარეობს ორგანიზაციათა შერწყმა, შთანთქმა, ეკონომიკური სისტემის დანაწევრება. ეკონომიკა თავისი მრავალრიცხოვანი მონაწილეებით საქონელბრუნვით, ფულის მიმოქცევით, სატრანსპორტო ნაკადებით, საქონლის წარმოებით, მოხმარებით, შენახვით მსგავსი სისტემების ანალოგს შეიძლება წარმოადგენდეს, რომლის გამოც შესაძლებელი ხდება კოლექტიური-სინერგეტიკული ურთიერთქმედებები, რომლებსაც მიყავთ სისტემა გარდაქმნისაკენ [5,6].

სისტემა ნახტომს განიცდის, როდესაც აღწევს შიდა და გარე ფლუქტუაციების ზეგავლენით განსაზღვრულ ზღვრულ პარამეტრებს (კრიტიკულს ან ბიფურკაციულს).

ფაზური გადასვლების ფიზიკაში გამოიყენება შემდეგი მაჩვენებელი: ხვედრი თერმოდინამიკური პოტენციალი  $J(T,P)$ , სადაც  $T$ -ტემპერატურაა,  $P$ -წნევაა. ეკონომიკური სისტემებისათვის შესაძლებელია აღებულ იქნას ეკონომიკური ტრაექტორიის განმსაზღვრელი ფუნქცია  $f(y, t)$ , სადაც  $y$  ეკონომიკური პარამეტრების ერთობლიობაა  $y_1, y_2, \dots, y_n$ , რომელზედაც დამოკიდებულია  $f(y, t)$ .

პარამეტრებად შეიძლება აღებულ იქნას ამონაგები  $B$ , საკვლევი პერიოდის სრული დანახარჯები  $R$ , მოგება  $P$ , წმინდა შემოსავალი  $G$ , რაც მოიცავს შრომის ანაზღაურების ფონდსაც ( $L$ ), და მოგებას( $P$ ),

მატერიალური დანახარჯები  $C$ , რომელიც ტოლია სრულ დანახარჯებისა და  $(L)$  -ის სხვაობის. აღნიშნულ მაჩვენებლებს შორის არსებობს შემდეგი ტიპის ურთიერთდამოკიდებულება:

$$B = R + P, \quad G = L + P, \quad C = R - L. \quad (1)$$

მოცემული განტოლებები შესაძლებელია თანაფარდობის სახითაც წარმოვადგინოთ:


$$B/L = z, \quad R/L = r, \quad P/L = p, \quad G/L = g, \quad C/L = c, \quad (2)$$

სადაც,  $p$  სიდიდე ახასიათებს მიღებული მოგების სიდიდეს ერთი ერთეული შრომის ანაზღაურებაზე.  $P/R$  – მოგების ნორმაა.


$f(\gamma, t)$  ფუნქციის პარამეტრებზე დამოკიდებულება შეიძლება განსაზღვრულ იქნას პოტენციური ფუნქციის სახით უმცირეს კვადრატთა მეთოდით. ფიზიკური ფაზური გადასვლების დიაგრამების ნაცვლად გამოიყენება რეალური ეკონომიკური ტრაექტორიები. პოტენციური ფუნქციის გრაფიკზე არსებობს წონასწორობის წერტილები, რომელთა შორის მოძრაობაც განხილულ იქნება როგორც ფაზური გადასვლა, რადგან ახალი მდგომარეობა განსხვავდება ახალი მდგომარეობისაგან ეკონომიკურ ან სხვა ურთიერთობათა სტრუქტურით [7,8]. კომპანიის განვითარების მკვეთრი ნახტომისებური ცვლილება-მისი ახლად დაბადება, ახალი თვისების წარმოქმნა, განხილვა როგორც პირველი რიგის ფაზური გადასვლები. მსგავსი სიტუაცია შეიძლება შეიქმნას კომპანიის მიერ საკმარისად დიდი რესურსების შექმნის, ინვესტიციების მოზიდვის, კრედიტების აღების, საქონლის, მომსახურების გასაღებიდან უზარმაზარი შემოსავლების მიღების, ახალ ბაზრებზე ტექნოლოგიების ხარჯზე, მეორე რიგის ეკონომიკური ფაზური გადასვლების მაგალითებია კომპანიათა გაერთიანება, შთანთქმა, გაყოფა, დანაწევრება, დაცემა.

$f(\gamma, t)$  ფუნქციის პოვნის ალგორითმი შესაძლოა დაიყოს რამდენიმე ეტაპად. პირველ ეტაპზე მიმდინარეობს განსაზღვრულ სისტემაზე დაკვირვება. შემდეგ მიმდინარეობს მოძიებული მონაცემების ანალიზი, საბოლოოდ კი განისაზღვრება  $f(\gamma, t)$  სახე (ნახ.1). შექმნილი მოდელის მიხედვით კეთდება სისტემის შემდგომი ქცევის პროგნოზი მიღებული პროგნოზი.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფიზიკური პარამეტრებისაგან განსხვავებით ეკონომიკური პარამეტრების მოძიება გართულებულია ადამიანის ცუდად ფორმალიზებული საქმიანობით. სტატისტიკური მონაცემების დისკრეტულობით. შეიძლება დავასკვნათ, რომ ეკონომიკური ფაზური გადასვლები ეკონომიკური სისტემის განვითარების წყაროს წარმოადგენს.  $f(\gamma, t)$  ფუნქციის პოვნა საწარმოს საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის ანალიზის შესაძლებლობას იძლევა, რაც თავის მხრივ პროგნოზის გაკეთების საშუალებას მოგვცემს (ნახ.2).



ნახ. 1.  $f(\gamma, t)$  წარმოებული ფუნქცია 1 რიგის ფაზური გადასვლების სფეროში



ნახ.2.  $f(\gamma, t)$  მეორე წარმოებული ფუნქცია 2 რიგის ფაზური გადასვლების სფეროში

განვიხილოთ ფაზური გადასვლების მაგალითი საწარმოთა შერწყმის და შთანთქმის მაგალითზე. ორი ჯგუფის კომპანიათა არსებობა. ერთ ნაწილს ვუწოდებთ “კომპანია მსხვერპლს”, ხოლო მეორე ნაწილს “კომპანია მტაცებელს”. საკვლევი მოდელი ითვალისწინებს კომპანიების შერწყმისა და შთანთქმის

შედეგად კაპიტალის სრული ან ნაწილობრივი გადასვლას ერთი ფორმიდან მეორეში და გამოიყენება იმ კომპანიებისათვის, რომლებიც ქმნიან კლასტერებს, ჰოლდინგებს და სხვ. [5,6].

შესასწავლი მოდელის განტოლებათა სიხის სისტემა ჩაიწერება სახით:


$$\dot{x} = A + \lambda x(1 - x/N) - \theta xy \tag{3}$$

$$\dot{y} = -\theta xy + s/\tau_r F(K, z \times L)/L - \lambda y \tag{4}$$

$$\dot{k} = sf(k, z) - (\delta + n)k \tag{5}$$

სადაც:  $\dot{x}$ ,  $\dot{y}$ ,  $\dot{k}$  - წარმოებულებია დროის მიხედვით და ახასიათებს შესაერთებელი კომპანიებში ძირითადი კაპიტალის დაგროვებას -  $x$  “კომპანია მსხვერპლში”, -  $y$  “კომპანია მტაცებელში”, -  $k$  “კომპანია კომპლექსში”. (3) ÷ (5) განტოლებებში  $x$ ,  $y$ ,  $k$  ცვლადები წარმოადგენენ შესაბამისი კომპანიების კაპიტალის დაგროვების ზღვრულ მაჩვენებლებს.  $L_1, L_2, L = L_1 + L_2$ -ამ კომპანიებში დასაქმებულთა რიცხვია, სადაც  $n$  - დასაქმებულთა რიცხვის წლიური მატების ტემპია.

(3) ÷ (5) განტოლებათა სისტემის ბიფურკაციული ანალიზი ჩატარდა Maple პროგრამულ პროდუქტში. ექსპერიმენტალური მონაცემების დამუშავება განხორციელდა უმცირეს კვადრატთა მეთოდით, პოტენციალურ ფუნქციის სახით გამოყენებული იქნა მატერიალური დანახარჯების ფარდობა ხელფასთან. “კომპანია მსხვერპლში” კაპიტალის მატების ტემპის აბსოლუტური სიჩქარის  $b$  ზრდასთან ერთად მუდმივად მცირდება შთანთქმისა და შერწყმის ხვედრითი წილი  $\bar{y}$  შრომითი რესურსების ერთეულზე ცვლილებების მთელ ველში  $C < C_C$  მნიშვნელობისას როცა სრულდება პირობა  $C > C_C$ , მაშინ  $\bar{y}$ -ის შემცირება მიმდინარეობს უწყვეტად მხოლოდ  $b$  მნიშვნელობამდე, რაც შეესაბამება მოზრუნების წერტილს (წერტილი  $LP1$ ) გზის ჰისტერეზისულ ნაწილში (ნახ.3).



ნახ.3. (3)- (5) განტოლებათა სისტემაში  $\bar{y}$  სტაციონარული მნიშვნელობის დამოკიდებულება  $b$  პარამეტრზე.  $A_1 = 0,3$ ;  $\gamma = 11$ ;  $\alpha = 0,8$ ;  $\beta = 0,5$ ;

$\bar{y}$  შრომითი რესურსების მნიშვნელობის შემდეგი შემცირების დროს სრულდება ნახტომი,  $\bar{y}$  მნიშვნელობა ეცემა სტაციონარული მნიშვნელობის ქვედა ტოტამდე. უკუმიმართულებით მრუდზე მოძრაობისას ნახტომი სრულდება  $LP2$  წერტილში.

ჰისტერეზისის მრუდზე ამ წერტილებს შორის არე წარმოადგენს არამდგრადი მდგომარეობების არეს, ხოლო არე, რომელიც მდებარეობს  $LP1$  წერტილს ზემოთ და  $LP2$  წერტილს ქვემოთ წარმოადგენს მდგრადი მდგომარეობათა არეს.

ეკონომიკური ზრდის მოდელი შეერთება შთანთქმის პროცესის გათვალისწინებით გვაძლევს სინერგეტიკული მიდგომის გამოყენების შესაძლებლობას, ამ პროცესში ადგილი აქვს ნახტომისებურ გადასვლას ერთი წონასწორული მდგომარეობიდან მეორეში (ბიფურკაციული პროცესი) და ეკონომიკური პროცედების ანალიზისას შესაძლებელი ხდება ფაზური გადასვლების მეთოდის გამოყენება.

**3. დასკვნა**

კომპანიის განვითარების ტრაექტორიის ნახტომისებური ცვლილება წარმოადგენს პირველი გვარის ფაზურ გადასვლას. ამასთან ახალი სტრუქტურა შესაძლებლობას აძლევს სისტემას გადავიდეს განვითარების ახალ ტრაექტორიაზე. ეს კი შესაძლებელი იქნება კომპანიის მიერ საკამარისად დიდი რესურსების შექმნის, ინვესტიციების მიზიდვის, კრედიტების, თავისი საქონლის გაყიდვების შემოსავლების, მომსახურების, ახალ ბაზარზე ტექნოლოგიების და ა.შ. ხარჯზე, ან პირიქით, ამ რესურსების

დაკარგვით. ამასთან კომპანია იღებს ახალ სტატუსს (გადადის ახალ მდგომარეობაში): მაღალი ბრუნვადი კომპანია ზრდადი ბრუნვით ან სხვა დაბალშემოსავლიანი კომპანიის ეკონომიკური მდგომარეობა კლებად ბრუნვით.

### References - literatura - Литература:

1. Современная физика в поисках экономической теории. Под ред. В.В.Харитоновой и А.А.Ежова (2007) Экономфизика.. - М.:МИФИ
2. Садченко К.В. (2012) Экономические фазовые переходы и пирамидальный жизненный цикл компаний <http://Ephes.ru/artickl/content/article.php?art=3asadchenko.htm>.
3. Колемаев, В. А. (2002) Математическая экономика / В. А. Колемаев. М. : ЮНИТИ.
4. Mantenga R.N., Stanley H.E. (2002) Introduction to Econophysics: Correlations and Complexity in Finance. Cambridge University Press,
5. ა. გუგუშვილი. (2000) მართვის თეორია, სინერგეტიკა, ნაწ.3. „ტექნიკური უნივერსიტეტი“. თბ.
6. ვ. სესაძე, ნ. სესაძე. (2008) სინერგეტიკა ეკონომიკური სისტემების კვლევაში. „ტექნიკური უნივერსიტეტი“. თბ.
7. <https://economics.studio/ekonomicheskaya-teoriya/metodyi-issledovaniya-ekonomiki-ispolzuyemye-48977.html>
8. <https://economics.studio/ekonomicheskaya-teoriya/opredeleniya-ekonofiziki-ispolzuyemye-48976.html>

## PHASE TRANSITIONS IN ECONOMIC SYSTEMS

Sesadze Valida, Seadze Neli, Chikadze Gela

### Summary

The review of a new tendency of econophysics which is based on the principles of economy and physics is presented in article. Within econophysics methods of modern theoretical physics are applied to the analysis of economic and economical and statistical models. The current new trend is one of the main tendencies of cross-disciplinary researches now. Using various disciplines based on the analysis of economic problems in article the possibility of use of phase transition in economy is analyzed.

## ქანგბადმზომში თერმოკომპენსაციის პრობლემის გადაწყვეტა

ელგუჯა ბუცხრიკიძე  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
[elguja-bucxrikidze@mail.ru](mailto:elguja-bucxrikidze@mail.ru)

### რეზიუმე

წარმოდგენილია ქანგბადის კონცენტრაციის გამზომ ხელსაწყოში რეალიზებული თერმოკომპენსაციის ანალოგიური სქემა. აღწერილია ამ სქემის მუშაობის პრინციპი და ჩატარებულია სქემის მუშაობის მათემატიკური ანალიზი, რაც უდაოდ გაუადვილებს ამ სქემის გამოყენებას ნებისმიერ დაინტერესებულ სპეციალისტს. ხაზგასმულია რომ სქემა არის უნივერსალური და შესაძლებელია მისი გამოყენება უამრავი მსგავსი ტიპის ამოცანების გადასაჭრელად.

**საკვანძო სიტყვები:** თერმოკომპენსაცია; სენსორი; სიგნალი; სქემა.

### 1. შესავალი

სხვადასხვა არაელექტრული სიდიდეების გაზომვის დროს, ხშირ შემთხვევებში, სენსორიდან (სენსორი არის მოწყობილობა, რომელიც არაელექტრული გასაზომი პარამეტრის შესაბამის ელექტრულ სიგნალს იძლევა) გამოსული სიგნალის სიდიდე ზოგადად წარმოადგენს როგორც გასაზომი პარამეტრის, ასევე სხვა პარამეტრების, მათ შორის ტემპერატურის ფუნქციას. ე.ი. ამ დამოკიდებულებას ზოგადად აქვს შემდეგი სახე:  $Y = f(x_1; x_2; \dots; x_n)$  სადაც  $Y$  სენსორიდან გამომავალი სიგნალის სიდიდეა,  $x_1$

გასაზომი პარამეტრის სიდიდე,  $x_2; \dots x_n$  კი ყველა სხვა დანარჩენი პარამეტრების სიდიდეებია, რომელთა შორისაც ერთერთი ტემპერატურაა. ამიტომ იმისათვის რომ მივიღოთ სიგნალი, რომლის სიდიდე იქნება მხოლოდ გასაზომი პარამეტრის ფუნქცია, საჭიროა სენსორის გამომავალი სიგნალის ისე დამუშავება, რომ მოშორებული იქნას გასაზომი პარამეტრის გარდა ყველა სხვა დანარჩენი პარამეტრების შესაბამისი მდგენელები.

ამ ამოცანის ზოგადი სახით გადაწყვეტა საკმაოდ რთულ საქმეს წარმოადგენს. ძალიან ხშირ შემთხვევაში დასმულ ამოცანას ცალსახა ამონახსნი თეორიულადაც კი არ გააჩნია, ამიტომ სენსორის ისეთნაირად დაამუშავებენ და გათვლიან, რომ ეს ფუნქციონალური დამოკიდებულება ერთ, ან მაქსიმუმ ორ ცვლადზე დაიყვანონ. თანაც ცდილობენ რომ ფუნქცია რთული არ იყოს. (სასურველია წრფივი დამოკიდებულება, რაც ძალიან ხშირად ვერ ხერხდება).

## 2. ძირითადი ნაწილი

ჟანგბადის კონცენტრაციის გამზომი ხელსაწყოში გასაზომი პარამეტრის, ჟანგბადის კონცენტრაციის გასაზომად გამოყენებულია ელექტროქიმიური უჯრედი დახურული ელექტროდული სისტემით. ელექტროდული სისტემა შესაფასებელი არედან გამოყოფილია ფტოროპლასტის მემბრანით. აღნიშნულ სისტემაში ელექტროდებს შორის გენერირებული დენი პროპორციულია მემბრანის დიფუზიის კოეფიციენტისა და მემბრანის გარეთ, შესაფასებელ არეში ჟანგბადის პარციალური წნევისა. პარციალური წნევა თავის მხრივ პროპორციულია ტემპერატურისა(!) და ჟანგბადის კონცენტრაციისა. რადგანაც შესაფასებელ არეში ჟანგბადის პარციალური წნევის სიდიდის მოსალოდნელი მნიშვნელობებისათვის დიდი სიზუსტით სრულდება მენდელეევი-კლაპეირონის განტოლება, ამიტომ  $P = P_0 (1 + \alpha \Delta t)$  სადაც  $P$  არის ჟანგბადის პარციალური წნევა სინჯში,  $P_0$  არის მისი პარციალური წნევა ამოსავალ ტემპერატურაზე,  $\Delta t$  ტემპერატურული სხვაობაა სინჯის ტემპერატურასა და ამოსავალ ტემპერატურას შორის, ხოლო  $\alpha$  არის ტემპერატურული კოეფიციენტი რომლის თეორიული მნიშვნელობაა  $\alpha = 1/273 \text{ } ^\circ\text{C}^{-1}$ , ანუ დაახლოებით იგი ტოლია  $0,3\% \text{ } 1^\circ\text{C}^{-1}$  - ზე.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული მემბრანის დიფუზიის კოეფიციენტზე ჟანგბადის მიმართ ტემპერატურის ფუნქციის წარმოადგენს. ე.ი. როგორც მოყვანილი მსჯელობიდან ჩანს თერმოკომპენსაციის სქემაში გასათვალისწინებელი ტემპერატურული კოეფიციენტი შედგება ორი მდგენელისაგან, რომელთაგან ერთი გამოწვეულია ტემპერატურის ცვლილების გამო მუდმივი კონცენტრაციის პირობებში, ჟანგბადის პარციალური წნევის ცვლილებით, ხოლო მეორე ტემპერატურის ცვლილების გამო მემბრანის დიფუზიის კოეფიციენტის ცვლილებით.


დიფუზიის კოეფიციენტის ტემპერატურაზე დამოკიდებულება საკმაოდ რთული მატემატიკური ფუნქციით აღიწერება. ლიტერატურაში მითითებულია რომ დიფუზიის კოეფიციენტის ლოგარითმისა და აბსოლუტური ტემპერატურის შებრუნებული სიდიდის დამოკიდებულების გრაფიკს აქვს წრფივი სახე, თუმცა ეს მხოლოდ ხარისხობრივად ნაჩვენებია და რაოდენობრივი დამოკიდებულებისათვის უნდა დავყვარდნოთ ექსპერიმენტულ მონაცემებს.

აღნიშნულ დამოკიდებულებაში ხშირ შემთხვევებში დამოკიდებულების მრუდს აქვს გარდატეხის წერტილი ტემპერატურის იმ მნიშვნელობებისათვის სადაც პოლიმერი გადადის მინისმაგვარ მდგომარეობაში. ფტოროპლასტის  $\Phi 4$  - ს შემთხვევაში მახასიათებლებიდან ჩანს რომ მისი კრისტალების დნობის ტემპერატურაა  $327 \text{ } ^\circ\text{C}$ , ხოლო ხოლო მისი ამორფული უბნების მინისმაგვარ მდგომარეობაში გადასვლის ტემპერატურაა  $-100 \text{ } ^\circ\text{C}$ -დან  $-120 \text{ } ^\circ\text{C}$  -მდე. აქ მოყვანილი მონაცემებიდან ჩანს რომ ჩვენს სამუშაო ტემპერატურულ დიაპაზონში ( $\sim 5 \text{ } ^\circ\text{C} - 50 \text{ } ^\circ\text{C}$ ) ამ მასალისათვის ამ კუთხით თვისობრივ ცვლილებას ადგილი არ ექნება.

ჩვენს მიერ ჩატარებულმა ექსპერიმენტებმა აჩვენა რომ ჩვენთვის საინტერესო ტემპერატურულ და ჟანგბადის კონცენტრაციის სავარაუდო ცვლილების დიაპაზონებში ტემპერატურული კოეფიციენტი მისი ორივე მდგენელის გათვალისწინებით  $\alpha = 4,5\% \text{ } 1^\circ\text{C}^{-1}$  - ზე.

ესეგი კონცენტრაციის შესაბამის სიგნალს, რომელსაც იძლევა სენსორი დენის სახით, აქვს შემდეგი სახე:  $I = I_0 + I_0 \alpha \Delta t$  სადაც  $I$  არის სენსორის დენი სამუშაო ტემპერატურაზე;  $I_0$  დენი საყრდენ ტემპერატურაზე;  $\alpha$  ტემპერატურული კოეფიციენტი მისი ორივე მდგენელის გათვალისწინებით.  $\Delta t$  კი სხვაობა საყრდენ და სამუშაო ტემპერატურებს შორის. ეს ფორმულა თუ მას გადავიყვანთ ძაბვებში, მიიღებს სახეს:  $U(c;t) = U(c) + U(c) \alpha \Delta t$  სადაც  $U(c)$  ძაბვის მხოლოდ კონცენტრაციის სიდიდის შესაბამისი, ხოლო

$U(c) \propto \Delta t$  შესაბამისად ტემპერატურათა სხვაობით გამოწვეული მდგენელება. ცხადია რომ თერმოკომპენსაციის სქემამ უნდა მოგვცეს ამ უკანასკნელის შესაბამისი სიგნალი, ხოლო შემდეგ უნდა მოხდეს ამ სიგნალთა აჯამვა. ამ ამოცანის გადასაწყვეტად შემოთავაზებულია ანალოგური ელექტრული სქემა, რომელიც ნაჩვენებია 1-ელ ნახაზზე.



ნახ. 1

გავარჩიოთ ამ სქემის მუშაობის პრინციპი: DA1 მიკროსქემაზე აწყობილია ამჟამავი სქემა, რომლის საშუალებითაც ხდება  $U(c) = U(c;t) - U(c) \Delta t$  განტოლების რეალიზაცია, R4 და R5 წინაღობები ტემპერატურული სიგნალის მასშტაბირების საშუალებას იძლევა.

$U(c)$  სიგნალი, რომელიც უკვე არის მხოლოდ ქანგბადის კონცენტრაციის პროპორციული, R6 წინაღობით მოდებულია DA2:1 დიფერენციალური გამაძლიერებლის ინვერტირებად შემავალზე. ამიტომ, რადგანაც არაინვერტირებადი შეასვლეელი დამიწებულია, შეგვიძლია დავწეროთ რომ:

$$U(c)/R6 = U1/(R(t) + R) \quad \text{აქედან} \quad U1 = U(c) * (R(t) + R) / R6 \quad (1)$$

სადაც სიმარტივისათვის R-ით აღნიშნულია R7-სა და R8-ს ჯამი; R(t) არის თერმორეზისტორის წინაღობის სიდიდე.

თერმორეზისტორად შერჩეული გვაქვს TKA2-ს ტიპის თერმორეზისტორი, რომელიც სპილენძის მიკრომავთულითაა დახვეული, ამიტომაც პარამეტრების სტაბილობით გამოირჩევა და ინერციულობის მისაღები სიდიდე აქვს. თერმოწინაღობის ამ ვარიანტზე შეჩერება იმითაცაა განპირობებული, რომ მისი წინაღობა ტემპერატურაზე წრფივადაა დამოკიდებული.

DA2:2-ს ინვერტირებად შემავალზე დენების ჯამის 0-თან ტოლობის თანახმად:

$$(U(t) - U2) / R11 = - (U1 - U2) / R10 \quad (2)$$

თავის მხრივ DA2:1 -ს ინვერტირებად შემავალზე ვირტუალური მიწის არსებობის გამო, R(t) და R ძაბვის დამყოფი ყოფს  $U1$  ძაბვას. ამიტომ

$$U2 = U1 * R / (R(t) + R) \quad (3)$$

თუ(3) განტოლებას ჩავსვავთ (2)-ში და გავითვალისწინებთ რომ  $R11 = R10$  მარტივი მათემატიკური გარდაქმნებით მივიღებთ რომ:

$$U(t) = U1 * (R - R(t)) / (R + R(t))$$

მიღებულ შედეგში ჩავსვავთ  $U1$ -ის მნიშვნელობა (1) განტოლებიდან

$$U(t) = U(c) * [ (R(t) + R) / R6 ] * [ (R - R(t)) / (R + R(t)) ] \quad \text{ანუ}$$

$$U(t) = U(c) * [ (R - R(t)) / R6 ] \quad (4)$$

ეს არის საძიებელი განტოლების საბოლოო სახე. ამ განტოლებაში R წარმოადგენს სქემის ორი წინაღობის ჯამს. ეს მოხერხებულია იმით რომ ეს ჯამი დიდი სიზუსტით უნდა იყოს საყრდენ ტემპერატურაზე თერმორეზისტორის წინაღობის ტოლი. რადგანაც შერჩეული თერმორეზისტორის წინაღობა აღიწერება წრფივი დამოკიდებულებით

$R(t) = R(t_0) + K \cdot \Delta t$  სადაც  $R(t_0) = R$  თერმორეზისტორის წინააღმდეგობაა საყრდენ ტემპერატურაზე  $K$  კი პროპორციულობის კოეფიციენტი. (4)-დან ამ პირობების გათვალისწინებით მივიღებთ რომ  $U(t) = U(c) \cdot \alpha \Delta t$  ეს ზუსტად იმ სახის გამოსახულებაა, რომელიც საჭიროა მოედოს ამჟამავ სქემაზე, ხოლო კოეფიციენტი სქემის გაწყობის დროს შეირჩევა  $R_5$  წინააღმდეგობის სიდიდის ცვლილებით. უნდა აღინიშნოს, რომ თერმოკომპენსაციის შემოთავაზებული სქემა უნივერსალურია. იგი საშუალებას იძლევა იმუშაოს როგორც ptc ასევე ntc ტიპის თერმისტორებთან და გამოყენებული იქნას უამრავი მსგავსი ტიპის ამოცანების გადასაჭრელად.

### 3. დასკვნა

დასასრულს, უნდა აღინიშნოს რომ განხილული ელექტრული სქემა სრულად აკმაყოფილებს დასმული პრობლემის გადაწყვეტას და ამასთანავე იგი, მისი უნივერსალურობიდან გამომდინარე, მსგავსი ტიპის ამოცანების გადაწყვეტის საშუალებას იძლევა.

#### ლიტერატურა - References – Литература:

1. Журнал "Полимерные материалы" №8 2018
2. ГОСТ 10007-80 Фторопласт-4. Технические условия.
3. Николаев Н.И. (1980). Диффузия в мембранах. – М.: Химия
4. Stannett V. (1968). Diffusion in Polymers London, New York Academic Press
5. Титце У., Шенк К. (2008). Полупроводниковая схемотехника ДМК пресс
6. Гаврилов С.А. (2016). Схемотехника. Мастер-класс. Наука и Техника.

#### SOLUTION OF THE PROBLEM OF THERMAL COMPENSATION IN AN OXYGEN METER

Butskhrikidze Elguja

Georgian Technical University

elguja-bucxrikidze@mail.ru

#### Summary

The article presents an analog thermal compensation scheme implemented in a device for measuring oxygen concentration. The principle of operation of this scheme and mathematical analysis of the circuit operation is described. This will undoubtedly facilitate the use of this scheme by an external user. It is emphasized that the scheme is universal and can be used to solve many similar problems.

## ფინანსურ საქმიანობაში ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების ზეგავლენა კომპანიის ეფექტიანობაზე

მედეა თევდორაძე, ვერიკო გუდავა, დოდო აფციაური,  
სამსონ დარჩია, თამაზ ალიბეგაშვილი  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
medeat@gtu.ge, vgudava14@gmail.com, dodoaptsiauri@gmail.com,  
darchiasamson@yahoo.com, tazoalibegashvili@gmail.com

#### რეზიუმე

დახასიათებულია ორგანიზაციის ფინანსური საქმიანობა, განხილულია მისი ძირითადი მიმართულებები. გაანალიზებულია ის სირთულეები და პრობლემები, რომელიც ახასიათებს ფინანსურ საქმიანობას. შემოთავაზებულია პრობლემების გადაჭრის ძირითადი მიდგომები. ასევე განხილულია ფინანსურ საქმიანობაში ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება, დახასიათებულია ის უპირატესობები, რომელსაც იძლევა ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება, აღწერილია შედეგები, რომელიც მოყვება ფინანსური საქმიანობის სწორი ბიზნეს-პროცესების აგებას და მათ მართვაში ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებას. შემოთავაზებულია ფინანსური საქმიანობის ბიზნეს-პროცესების ჩამონათვალი და მიზნობრივი ინდიკატორების სისტემა ფინანსური საქმიანობისათვის. დახასიათებულია ფინანსური საქმიანობის ავტომატიზაციის ზეგავლენა ორგანიზაციის ეფექტიანობაზე. შემოთავაზებულია ის ფაქტორების და პარამეტრების სისტემა, რომელიც ასახავს უშუალო კავშირს ფინანსურ საქმიანობასა და ორგანიზაციის ეფექტიანობას შორის

**საკვანძო სიტყვები:** ფინანსური საქმე. ავტომატიზაცია, ბიზნესპროცესები. ინფორმაციული სისტემა. ინფორმაციული ტექნოლოგიები. ორგანიზაციის ეფექტიანობა.

### 1. შესავალი

თანამედროვე სამყაროში საბაზრო კონკურენციის პირობებში სულ უფრო ფართოდ გამოიყენება საინფორმაციო ტექნოლოგიები. საინფორმაციო ტექნოლოგიები წარმატებით გამოიყენება წარმოების მართვაში, ვაჭრობაში, ბუღალტერიაში, საქმის წარმოებაში და ა. შ., რაც ხელს უწყობს ინფორმაციის ოპერატიულ და ზუსტ დამუშავებას. იგივე ტენდენციები ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების თვალსაზრისით შეინიშნება კომპანიების საფინანსო საქმიანობაში. საწარმოს ფინანსური საქმიანობა არის საწარმოს მუშაობის ფორმები და მეთოდები, რომელიც გამოიყენება მისი ფუნქციონირების ფინანსური მხარდაჭერისთვის და მათი მიზნების მისაღწევად; ეს არის პრაქტიკული ფინანსური საქმიანობა, რომელიც უზრუნველყოფს საწარმოს სასიცოცხლო დონეს, აუმჯობესებს შედეგს.

### 2. ძირითადი ნაწილი

საწარმოს (ფირმის, კორპორაციის) ფინანსური მართვა წარმოადგენს რთული პროცესების ერთობლიობას ფულადი ნაკადების მართვის სფეროში, ფინანსურ ურთიერთობებში, რესურსების მართვაში და ა. შ. [1]. ფინანსურ საქმიანობას გააჩნია მრავალი ასპექტი, ის მოიცავს: ბუღალტრულ და ფინანსურ აღრიცხვას, მმართველობით აღრიცხვას, ფინანსურ ანალიზს და ფინანსურ მენეჯმენტს. მცირე ზომის საწარმოებში ფინანსური მენეჯმენტის ამოცანებიდან უპირატესად სრულდება ბუღალტრული ამოცანები, საწარმოს ზომის ზრდასთან ერთად სიმძიმის ცენტრი გადადის ფინანსურ მენეჯმენტზე. შეიძლება ითქვას, რომ ფინანსურ საქმიანობაში ყველაზე რთულ ამოცანებს მოიცავს ფინანსური მენეჯმენტი [2]. აქ შეიძლება ჩამოვთვალოთ შემდეგი ამოცანები: ფინანსური რესურსების დამოგების ზრდის უზრუნველყოფა, რენტაბელურობის ზრდა; ბიუჯეტისა და ბანკების, მომწოდებლებისა და თანამშრომლების, სხვა კრედიტორების წინაშე ფინანსური ვალდებულებების შესრულება, რომელიც გამომდინარეობს ფინანსური გეგმიდან, ანგარიშსწორების უზრუნველყოფა; საწარმოო ფონდებისა და ინვესტიციების ეფექტიანი გამოყენების უზრუნველყოფა; ფინანსური, საკრედიტო და საკასო გეგმების შემუშავება და რეალიზაცია; საწარმოო ფონდების ეფექტიანი გამოყენების ღონისძიებების განხორციელება, საკუთარი საბრუნავი საშუალებების ნორმატივებამდე მიყვანის უზრუნველყოფა, მათი ბრუნვადობის უზრუნველყოფა; ფინანსური რესურსების გამოყენების კონტროლი, საბრუნავი საშუალებების შენარჩუნება და მათი ბრუნვადობის დაჩქარება.

ფინანსური მართვის პრობლემებს წარმოადგენს [2]: მართველობითი აღრიცხვის სისტემის აგება, სტრატეგიული დაგეგმვა, სტრატეგიული და მიმდინარე გეგმების შეთანხმება; ფინანსური და საოპერაციო ბერკეტების გაანგარიშება, ნულოვანი ზარალის წერტილების და ფულადი ნაკადების გაანგარიშება; საბრუნავი კაპიტალის მართვის ანალიზი და შეფასება; ძირითადი კონკურენტების ხარჯების შესახებ ინფორმაციის ანალიზი. ასევე სირთულეს წარმოადგენს მაჩვენებლების სისტემის შემუშავება, კერძოდ, უნდა აღინიშნოს, რომ შეფასების მიზნებისთვის უნდა იქნას გათვალისწინებული მთელი რიგი მაჩვენებლები, როგორც გარე ისე შიგა წყაროებიდან.

ფინანსური მენეჯმენტის ეფექტიანობა მიიღწევა საწარმოთა მართვის პროცესის ყველა ფუნქციისა და ეტაპის კომპლექსური ურთიერთკავშირის მეშვეობით, ფინანსური მენეჯმენტის ტექნოლოგიების ორგანიზებამ უნდა გაითვალისწინოს სისტემური ხასიათი, ასევე ფინანსური მენეჯმენტის სიტუაციური სპეციფიკა. ეს ყველაფერი შეუძლებელია განხორციელდეს საინფორმაციო ტექნოლოგიების გარეშე. ფინანსური მენეჯმენტის ავტომატიზება, ისევე როგორც ყველა სხვა შემთხვევაში, მნიშვნელოვნად აუმჯობესებს და აჩქარებს სამუშაოს ხარისხს, კერძოდ [3]:

- ფინანსური მართვის პროცესები შეიცავს დიდი რაოდენობით რუტინულ გათვლებს (ფინანსურ დაგეგმვაში პირველადი მონაცემების დამუშავება და კონსოლიდაცია, ფულადი ნაშთების გაანგარიშება გადახდის გრაფიკის მიხედვით და ა.შ.), რაც მეტად შრომატევადია;
- ფინანსური დაგეგმარების პროცესში მიმდინარეობს პარამეტრების საფუძველზე ვარიანტების შერჩევა, დაკავშირებული ინდიკატორების გადახედვა, დაკავშირებული გეგმების კორექტირება; ავტომატიზაცია, ამცირებს ვარიანტების მომზადების დროს, რაც იძლევა იმის საშუალებას განხილულ იქნას ბევრი ვარიანტი და განხორციელდეს მათი შედარებითი ანალიზი;
- მონაცემთა დიდი მოცულობიდან გამომდინარე დავალიანებების მართვის პროცესი შემოიფარგლება, როგორც წესი, მათი ჩამოწერის შემდგომი ფაქტიური მდგომარეობის ანალიზით; ავტომატიზაცია ამ შემთხვევაში იძლევა პრევენციული ღონისძიებების გატარებას;



- გადახდების მართვის ოპერატიული დაგეგმვა ავტომატიზაციის საფუძველზე მეტად ეფექტურია.

მთლიანობაში, ფინანსური მენეჯმენტის ავტომატიზაცია მმართველს აძლევს პროგნოზირების, ინსტრუმენტების შერჩევისა და საწარმოს მომავალი ფინანსური მდგომარეობის ანალიზის შესაძლებლობას, მას შეუძლია განახორციელოს თავის ამჟამინდელი მდგომარეობის მონიტორინგი დროული და ადეკვატური მართვის გადაწყვეტილებების მისაღებად [4].

ფინანსურ საქმიანობაში ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების მიხედვით გამოიკვეთება სხვადასხვა მიდგომა [5]. ეს შეიძლება იყოს ზოგადი დანიშნულების პროგრამები, მაგალითად Excel-ი. აღნიშნულ პროგრამაში რეალიზებულია უამრავი ფუნქცია, რომელიც კარგად გამოიყენება ფინანსურ საქმიანობაში, მაგრამ ეს ფუნქციები არ არის საკმარისი მთელი რიგი ამოცანის გადასაჭრელად. იგივე შეიძლება ითქვას სტატისტიკურ-მათემატიკურ და ეკონომიკურ სტანდარტულ პაკეტებზე, ამიტომ ძალიან ხშირად ფინანსურ საქმიანობაში გამოიყენება სპეციალიზირებული პროგრამული უზრუნველყოფა. ასეთ პროდუქტებს მიეკუთვნება მაგალითად: AltInvest, Project Expert, და ა. შ. ზოგადად, სპეციალიზირებული პროგრამული პროდუქტი იძლევა საშუალებას განვითარდეს ბიზნეს გეგმები და საინვესტიციო პროექტები, მოხდეს მათი შეფასება. ამ პროგრამული პროდუქტების დახმარებით შესაძლებელია საპროგნოზო ფინანსური ანგარიშგების წარმოება (ბალანსი, მოგება/ზარალის ანგარიში, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიში), აგრეთვე ეკონომიკური ეფექტიანობის მაჩვენებლების გაანგარიშება.

სპეციალიზირებული პროგრამული პროდუქტით ჩატარებული ფინანსური ანალიზი მოიცავს ფართო სპექტრის ფინანსურ ანგარიშგებას, კერძოდ - ლიკვიდურობის და გადახდისუნარიანობის, ფინანსური სტაბილურობის, ბრუნვაძობის და მომგებიანობის, ფულადი ნაკადებისა და ა.შ.; ანალიზის დროს ფინანსური მდგომარეობის ამ ასპექტების დასახასიათებლად გამოიყენება როგორც აბსოლუტური, ისე ფარდობითი მაჩვენებლები. ფარდობითი მაჩვენებლები ან ფინანსური კოეფიციენტები გამოითვლება ფინანსური მდგომარეობის აბსოლუტური მაჩვენებლების ან მათი წრფივი კომბინაციების შეფარდებით. ხშირად, მომხმარებელს აქვს საშუალება თავად შეიყვანოს კოეფიციენტების გაანგარიშების ფორმულები. ეს ინსტრუმენტი საშუალებას იძლევა გამოყენებულ იქნას საკუთარი მეთოდოლოგია, რათა შესაძლებელი იყოს ნებისმიერი სტრუქტურის მონაცემების ანალიზი. ხშირად შესაძლებელია ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე ჩამოყალიბდეს ფინანსური მაჩვენებლების პროგნოზი, ასევე მოხდეს უახლოესი პერიოდის ფინანსური მაჩვენებლების გამოთვლა.


არის კიდევ ერთი ტიპის პროგრამები, რომელთა გამოყენებით შესაძლებელია ფინანსური საქმიანობის ამოცანების გადაჭრა. ეს არის ERP-ტიპის ინფორმაციული სისტემები. შეიძლება ითქვას, რომ საფინანსო საქმიანობაში ბიზნეს-პროცესების დანერგვის შემთხვევაში ეს არის ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების საუკეთესო ვარიანტი. აღნიშნული ტიპის პროგრამების მეშვეობით ხორციელდება ფინანსური მენეჯმენტის პრაქტიკულად ყველა მონაცემის ფორმირება და ამოცანის გადაჭრა. ბიზნესის ზომიდან გამომდინარე მიზანშეწონილია საფინანსო საქმიანობის პროცესულ ორიენტაციაზე გადაყვანა და, რა თქმა უნდა, ERP-ტიპის ინფორმაციული სისტემის გამოყენება.

უნდა აღინიშნოს, რომ საფინანსო ბიზნეს-პროცესები არის დამხმარე [6]. მათი ამოცანა მდგომარეობს - გაყიდვების, წარმოების, ლოგისტიკის, მომარაგების, ადმინისტრაციის პროცესების დახმარებაში. ისინი უნდა უზრუნველყოფდნენ მოგების მაქსიმუმს, რაციონალურად იყენებდნენ საბრუნავ და ძირითად საშუალებებს, გაამარტივონ ფულის მოპოვების პროცესი. დახმარება კი გამოიხატება ამა თუ იმ მმართველობითი გადაწყვეტილებების გავლენის შეფასებაში, ოპერატიული საქმიანობის დაფინანსების მოცულობის ოპტიმალური დონის უზრუნველყოფაში მისაღები ღონისძიებებით, დანახარჯების კონტროლში, სტრატეგიული მიზნების მიღწევის მაჩვენებლების მონიტორინგში. აღნიშნული ამოცანებიდან გამომდინარე ფინანსურ ფუნქციაში ჩვენ ვთავაზობთ შემდეგი ძირითადი პროცესების გამოყოფას: *კომპანიის ფულადი ნაკადებისა და მოგების გრძელვადიანი დაგეგმვა; მიმდინარე ფინანსური დაგეგმვა და საბრუნავი საშუალებების მართვა; ფულადი ნაკადების ოპერატიული მართვა; მმართველობითი ოპერატიული აღრიცხვა; თვითღირებულების კალკულაცია, ხარჯების მართვა, კონტროლინგი; საოპერაციო საქმიანობის და საინვესტიციო პროექტების დაფინანსება, კრედიტორებთან და ინვესტორებთან მუშაობა; ეკონომიკური საქმიანობის ანალიზი.* თუმცა შეიძლება აღინიშნოს, რომ ყველა კომპანია თავად განსაზრავს ფინანსური სამსახურის ბიზნეს-პროცესებს.

ბიზნეს-პროცესების თეორიის დანერგვის დროს აუცილებელია ინდიკატორების სისტემის შემუშავება, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია ბიზნეს-პროცესების შესრულების შედეგების შეფასება. ეს ამოცანა უფრო მარტივია ძირითადი საწარმოო პროცესების შემთხვევაში, მაგრამ საფინანსო პროცესების შემთხვევაში ეს უფრო რთულია, ვინაიდან აღნიშნული პროცესები არის დამხმარე [7]. შემდეგ ჩვენ ვთვლით, რომ საფინანსო ბიზნეს-პროცესების შესაფასებლად, შეიძლება იყოს გამოყენებული

შემდეგი მიზნობრივი პარამეტრები: EBIT – მოგება, რომელიც რჩება ყველა ხარჯის გაწევის შემდგომ, გარდა პროცენტებისა და გადასახადების დაბეგვრისა; Gross Margin – მომგებიანობის დონე (როგორც წესი, პროცენტში); Turnover ratio – ბრუნვადობის კოეფიციენტი: კადრების როტაცია, გაყიდვების საშუალო მოცულობა; დებიტორული და კრედიტორული დაავალიანების ბრუნვის პერიოდების შეფარდება.

როგორც ცნობილია, ბიზნეს-პროცესების დანერგვის შედეგად საწარმოს აქვს გარკვეული შედეგები, როგორც არის: პროცესების შესრულების დროის შემცირება მათი ხარისხის ზრდასთან ერთად; საქმიანობის შედეგების შეფასების შესაძლებლობის არსებობა; ოპერაციების შეთანხმებულობის უზრუნველყოფა; პროცესების ღირებულებისა და ზედნადები ხარჯების შემცირება; პერსონალის მოტივირების შესაძლებლობა. იმისათვის, რომ უფრო ზუსტად შევაფასოთ საფინანსო საქმიანობაში ბიზნესპროცესების დანერგვისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების შედეგები განვიხილოთ ორგანიზაციის ეფექტიანობის შეფასების საკითხები [8,9,10]. არსებობს მრავალი კლასიფიკაცია იმ ფაქტორებისა, რომლებიც გავლენას ახდენენ ორგანიზაციის ეფექტიანობაზე, მაგრამ ჩვენ გამოვყოფთ მათ დაყოფას გარე და შიდა ფაქტორებად (ნახ.1) [11,12,13] და ვირჩევთ შემდეგ ფაქტორებსა და მაჩვენებლებს.



ნახ.1. ორგანიზაციის ეფექტიანობაზე გველენის მქონე ფაქტორები

ვინაიდან ორგანიზაცია გავლენას ვერ ახდენს გარე ფაქტორებზე, დავახასიათოთ შიდა ფაქტორები. საწარმოს წარმატება თუ წარუმატებლობა მნიშვნელოვნად დამოკიდებულია გამოშვებულ პროდუქციაზე და იმ ხარჯებზე, რომელსაც გასწევს ორგანიზაცია, მათ სტრუქტურაზე. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც დაკავშირებულია წარმოებული პროდუქციის სახეობებთან – ეს არის საშუალებების სტრუქტურა და მათი შემადგენლობა, ასევე მათი მართვის რაციონალური სტრატეგია. ორგანიზაციის წარმატება საკმაოდ დამოკიდებულია მიმდინარე აქტივების მართვის ხარისხზე.

შემდეგი ფაქტორი – ფინანსური საშუალებების შემადგენლობა და სტრუქტურა, მათი მართვის სწორად შერჩეული სტრატეგია და ტაქტიკა. რაც უფრო მეტი ფინანსური საშუალება გააჩნია საწარმოს და, პირველ რიგში მოგება, მით უფრო თავდაჯერებულად შეიძლება იყოს ის კონკურენციის პირობებში. მოგების გამოყენების პოლიტიკა იკავებს პირველ ადგილს ფინანსური მდგრადობის განხილვის დროს, აქ გამოიკვეთება ორი მიმართულება: მიმდინარე საქმიანობის ფინანსირება და ინვესტირება კაპიტალურ დანახარჯებში. ასევე მნიშვნელოვანია ფინანსური საშუალებები, დაკავშირებული სასესხო კაპიტალთან. დიდ როლს თამაშობენ ფინანსური რეზერვები. კიდევ შესაძლებელია ისეთი ფაქტორების დასახელება, როგორც არის პერსონალის ფაქტორი, მნიშვნელოვან როლს თამაშობს საჭირო პერსონალის არსებობა, კადრების მომზადება, მოტივაციისა და წახალისების სისტემის არსებობა.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ისეთი ფაქტორი, როგორც არის ტექნოლოგია – ეს არის ისეთი მაჩვენებლების სისტემა, რომლებიც პირდაპირ დამოკიდებულია სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესზე, ასევე საქმიანობის სფეროზე და ბაზრის მოთხოვნებზე. აქ შეგვიძლია ჩამოვთვალოთ ისეთი მაჩვენებლები, როგორც არის: საწარმოს მატერიალური და ტექნიკური ბაზის უზრუნველყოფა, მათი მდგომარეობა და გამოყენების ეფექტიანობა. ასევე შესაძლებელია გამოვყოთ შემდეგი მაჩვენებლები: ძირითადი ფონდების ღირებულება, ძირითადი საშუალებების სტრუქტურა, დანადგარების მწარმოებლურობა, ამორტიზაციის დონე, ფონდების მოცულობა, მათი უკუგება და სხვა. აღნიშნული ფაქტორების ჯგუფები მიუკუთვნება სტრატეგიულებს, ამ ფაქტორებზე დამოკიდებულია საწარმოს კონკურენტუნარიანობა და ეფექტიანობა.

საწარმოო პროცესის საფუძველს კი წარმოადგენს მატერიალური რესურსების ფაქტორი. მატერიალური რესურსებით დროულ უზრუნველყოფაზე და მათ ხარისხზე დამოკიდებულია წარმოებისა და რეალიზაციის მოცულობა.

თუ ჩვენ ანალიზს გავუკეთებთ ზემოთ მოყვანილ ფაქტორებს და პარამეტრებს, დავინახავთ მათ უშუალო კავშირსა და დამოკიდებულებას ფინანსურ საქმიანობასთან, ვინაიდან მათ უმრავლესობაზე პასუხისმგებელია ორგანიზაციის საფინანსო სექტორი.

### 3. დასკვნა

თანამედროვე ორგანიზაციის კონკურენტუნარიანობისა და მომგებიანობის უზრუნველყოფისათვის მნიშვნელოვანია მისი მართვის პროცესებზე ორიენტაცია. იგივე მოთხოვნა ძალაშია საფინანსო საქმიანობასთან დაკავშირებით. ამავდროულად აუცილებელია სწორი ავტომატიზაცია საფინანსო საქმიანობის, რომელიც იძლევა მთელ რიგ უპირატესობას, როგორც არის გაუმჯობესებული აღრიცხვა, ანგარიშგება, რეპორტირება, ანალიტიკა, ბიუჯეტირება, ანალიზი; სწორი გათვლები და ანალიზი კი იძლევა საშუალებას მივიღოთ მაქსიმალური შედეგი. აღნიშნული უპირატესობები დადებითად მოქმედებს საფინანსო სექტორის საქმიანობაზე. და თუ ამავ დროულად გავანალიზებთ ორგანიზაციის საქმიანობის ეფექტიანობის მაჩვენებლებს დავინახავთ, რომ მათი უმრავლესობა პირდაპირ არის დაკავშირებული და დამოკიდებული საფინანსო სექტორის მუშაობაზე, ამ მუშაობის ხარისხზე. აქედან გამომდინარეობს დაკვნა, რომ საფინანსო საქმიანობის ავტომატიზაცია პირდაპირ კავშირშია ორგანიზაციის ეფექტიან მუშაობასთან და მაქსიმალურად უწყობს ხელს მის ამალვას.

### ლიტერატურა - References - Литература:

1. Балабанов И.Т. (2006). Основы финансового менеджмента. М.: Финансы и статистика
2. Гаврилова А.Н., Сысоева Е.Ф., Барабанов А.И. (2006). Финансовый менеджмент. -М.: КНОРУС
3. Исаев Г.Н. (2010). Информационные системы в экономике. 3-е изд., -М.: Изд. «Омега-Л»
4. Акперов И.Г. 2013. Информационные технологии в менеджменте. -М.: НИЦ ИНФРА
5. Венделева М.А. 2013. Информационные технологии в управлении. - М.: Юрайт
6. თევდორაძე მ., აფციაური დ., გუდავა ვ., რუხაძე თ., დარჩია ს, ლობაჯანიძე ლ. (2015). ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება კომპანიის ფინანსურ მართვასა და მარკეტინგში. საერთაშ.სამეცნ.კონფ. „საინფორმაციო და კომპიუტერული ტექნოლოგიები, მოდელირება, მართვა“. შრ. სტუ.3-5 ნომბერი 2015. თბ., 208-213
7. Панов М.М. (2013). Оценка деятельности и система управления компанией на основе КРІ. М:Инфра-М.
8. Бармашова Л.В., Кучерова Е.Н. (2010). Концептуальные аспекты устойчивого развития предприятия. Моногр. Вязьма: ВФ ГОУ МГИУ.
9. Кожемяко С.В. (2015). Повышение конкурентоспособности как фактор развития предприятия. Актуальные вопросы экономических наук № 44, 70-74
10. Селезнева Н.Н., Ионова А.Ф. (2007). Финансовый анализ. Управление финансами. 2-е изд., -М.: ЮНТИ-ДАНА.
11. Шеремет А.Д. (2009). Анализ и диагностика финансово-хозяйственной деятельности предприятия. - Москва.: ИНФРА-М.
12. Строителева Е.В. (2015). Финансовые аспекты в обеспечении конкурентоспособности организации. Евразийский Союз Ученых. №7-1 (16). 146-147
13. Рябец П.С., Бондаренко Т.Н. (2016). Анализ факторов, влияющих на финансовые результаты деятельности предприятия. Междун. Ж. прикладных и фундаментальных исследований. № 6-4. 761-764.

### IMPACT OF INFORMATION TECHNOLOGIES USAGE IN FINANCIAL ACTIVITY ON THE EFFECTIVENESS OF COMPANY

Tevdoradze M., Gudava V., Aptsiauri D., Darchia S., Alibegashvili T.  
Georgian Technical University

#### Summary

The article describes financial activity of organization and discusses its main directions. The main difficulties and problems of financial activity are analyzed. Also, the usage of information technology in

financial activities is described. There are characterized the advantages of information technologies usage in financial activity. Also there are described the results of the establishment of proper business processes of financial activity and the usage of information technologies in their management. The example of financial business-processes is presented also there are offered Key Performance Indicators (KPI) for financial activity. The impact of usage of information technologies in financial activity on the effectiveness of the organization is characterized. It is offered the system of factors and parameters which demonstrates the connection between financial activity and effectiveness of organization

## მონაცემთა დაცვის ღრუბლოვანი სერვისები

ოთარ შონია<sup>1</sup>, ნინო თოფურია<sup>1</sup>, სოფიო ქათამაძე<sup>2</sup>  
1-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, 2-ფინკა ბანკი  
o.shonia@gtu.ge, nino.topuria@gtu.ge, skatamadze88@gmail.com

### რეზიუმე

განხილულია მონაცემთა დაცვისა და მონიტორინგის ღრუბლოვანი სერვისები. წარმოდგენილია Windows Azure პლატფორმის შესაძლებლობები და Microsoft Operation Management Suit (OMS) გადაწყვეტილება, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია ვმართოთ და დავიცვათ ინფორმაცია განთავსებული „ღრუბელზე“ და ლოკალურ სისტემაზე. განხილულია კონკრეტული სერვისების მაგალითები, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია რისკების დროული იდენტიფიცირება.

**საკვანძო სიტყვები:** მონაცემთა დაცვა. ღრუბლოვანი სერვისები. უსაფრთხოება. აუდიტი. მონიტორინგი.

### 1. შესავალი

Windows Azure წარმოადგენს Microsoft-ის ღრუბლოვან პლატფორმას. აღნიშნული პლატფორმა იძლევა აპლიკაციების შემუშავების და შესრულების ასევე მონაცემების სერვერებზე შენახვის საშუალებას, რომლებიც განთავსებულია სპეციალურ დატაცენტრებში. ის ახორციელებს ორი ღრუბლოვანი მოდელის რეალიზებას - პლატფორმა, როგორც სერვისის (Platform as a Service, PaaS) და ინფრასტრუქტურა, როგორც სერვისის (Infrastructure as a Service, IaaS). აღსანიშნავია, რომ Azure არ არის მხოლოდ Windows-თან დაკავშირებული. მას პლატფორმისგან დამოუკიდებელი გადაწყვეტილებებიც გააჩნია, როგორებიც არის PHP, Java და Python. ასევე არსებობს Oracle-ის მხარდაჭერა [1]-[4]. Windows Azure-ს ღრუბლოვანი სერვისის მოიცავს ფუნქციებს, რომლებიც ძალიან მნიშვნელოვანია დეველოპერებისთვის და IT-პროფესიონალებისთვის.

### 2. ძირითადი ნაწილი

Microsoft Operation Management Suit (OMS) გვეხმარება ვმართოთ და დავიცვათ ინფორმაცია განთავსებული ქლაუდზე და ლოკალურ სისტემაზე და ყოველმხრივ შევისწავლოთ მონაცემები, რომელიც შეეხება ორგანიზაციის საინფორმაციო უსაფრთხოებას. ამისათვის, სამართავ პანელში უნდა გამოირჩეს სხვადასხვა სახის ინფორმაციები, რომლებიც მნიშვნელოვანია კომპანიისთვის. მონიტორინგის სამართავი პანელი „Security and Audit“ - ეს არის საწყისი გვერდი, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია ყველა იმ ფუნქციასთან წვდომა, რომლებიც დაკავშირებულია OMS უსაფრთხოებასთან. პანელში ერთიანდება უსაფრთხოების ზოგადი ინფორმაცია ორგანიზაციის ქსელში ჩართული კომპიუტერების შესახებ. ამას გარდა, შესაძლებელია ვიხილოთ დიაგრამების სახით ყოველგარი მონაცემი გასული 24 საათის, 7 დღის ან კონკრეტულ დროზე დაყრდნობით. სამართავ პანელში სრული მონიტორინგისთვის საჭიროა Microsoft Operation Management Suite-ის პროგრამაში პარამეტრებიდან დავამატოთ „უსაფრთხოება და აუდიტი“.

OMS მონიტორინგის პანელში „უსაფრთხოება და აუდიტი“ ინფორმაცია იყოფა ხუთ ძირითად კატეგორიად:

- Security Domains - ამ ნაწილში შესაძლებელია უფრო დეტალურად დავაკვირდეთ უსაფრთხოების ჩანაწერებს დროის დინამიკაში, მივიღოთ ინფორმაცია განახლებებზე, იდენტიფიკაციები და ასევე შესაძლებელია სწრაფი წვდომა Azure-ს უსაფრთხოების მონიტორინგის პანელზე;

- Important Issues - ამ განყოფილებაში შესაძლებელია სწრაფად განისაზღვროს აქტიური პრობლემების რაოდენობა და სირთულის დონე;

- Detection (Trial) - ეს ნაწილი საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ თავდასხმის სქემა გაძლიერებული უსაფრთხოების სისტემის ვიზუალიზაციის საშუალებით, რომელიც დაკავშირებულია რესურსებთან;

- Threat Analysis - ეს განყოფილება გვაძლევს საშუალებას განვსაზღვროთ შემოტევის სქემები სერვერებიდან გამომდინარე დამაზიანებელი IP-მიმომცვლის ჯამური ვიზუალიზაციით. ჩანს დამაზიანებელი ფაილის ფორმატი და რუკა, სადაც განლაგებული IP მისამართის ფიზიკური მდებარეობა;

- Common Security Requests - ეს ნაწილი შეიცავს უსაფრთხოების ძირითად ინსტრუქციებს, რომელიც შესაძლებელია გამოვიყენოთ მონიტორინგისთვის.

აღსანიშნავია, რომ შესაძლებლობის მიხედვით უნდა გაკეთდეს ვარაუდი პოტენციური თავდასხმის რისკზე, მაგრამ ეს ყოველთვის შესაძლებელი არ არის. პრობლემის გამოჩენის შემთხვევაში აუცილებელია კონკრეტული ქმედებების ორგანიზება, რათა მინიმალური ზიანი მიაყენოს ინფორმაციას.

მონიტორინგის პანელში Malware Assessment დახმარებით შეგვიძლია გამოვაკლინოთ უსაფრთხოების შემდეგი პრობლემები:

- აქტიური საფრთხეები - კომპიუტერები, რომლებშიც დარღვეულია უსაფრთხოების სისტემა და სისტემები, რომლებშიც აღმოჩენილია აქტიური საფრთხეები.


- ფიქსირებული საფრთხეები - კომპიუტერები, რომლებშიც აღმოჩენილი იყო საფრთხე და აღმოიფხვრა.

- მოძველებული ხელმოწერები - კომპიუტერები, რომლებშიც აქტიურია უსაფრთხოების სისტემა, მაგრამ მოძველებულია ხელმოწერები.

- დაცვის გარეშე - კომპიუტერები, რომლებშიც არ არის დაყენებული თავდასხმის საწინააღმდეგო პროგრამები.

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი რეკომენდაცია უსაფრთხოებას თანდაკავშირებით - არის უახლესი განახლებები სისტემისთვის. აუცილებელია ეს პროცესი გათვალისწინებული იყოს მართვის სტრატეგიაში. Microsoft Monitoring Agent (HealthService.exe) კითხულობს განახლებების შესახებ ინფორმაციას კომპიუტერებში და შემდგომ აგზავნის ამ ინფორმაციას OMS-ის ღრუბლოვანი ბაზაში დამუშავებისთვის.

Microsoft Monitoring Agent-ის სერვისი კონფიგურირებულია როგორც ავტომატური სერვისი და ყოველთვის უნდა იყოს გაშვებული ძირითად კომპიუტერზე (ნახ.1).



ნახ.1. MMA-ს ავტომატური სერვისი

განახლებისთვის გამოიყენება შესაბამისი ლოგიკა და შემდგომ ღრუბლოვანი სერვისი ინახავს შესაბამის ინფორმაციას. გამოტოვებული განახლებები გამოისახება Update-ის მონიტორინგის პანელში, სადაც შესაძლებელია მუშაობა გამოტოვებულ განახლებებთან. სერვერებისთვის რომლებთანც ესაჭიროებათ განახლება იქმნდება შესაბამისი განახლების სქემა მონიტორინგის პანელში შესაძლებელია მივიღოთ ინფორმაცია განახლებების, მნიშვნელოვანი მდგომარეობის შესახებ (ნახ.2).

Critical or Security Updates გამოყენებით IT-ადმინისტრატორებს შეუძლიათ მიიღონ დაწვრილებითი ინფორმაცია გამოტოვებული განახლებების შესახებ [5].



ნახ.2. იდენტიფიკაციის პანელი

### 3. იდენტიფიკაციისა და წვდომის მონიტორინგი

მომხმარებლებისთვის, რომლებიც მუშაობენ ქსელში ნებისმიერი წერტილიდან სხვადასხვა მოწყობილობის გამოყენებით და აქვთ წვდომა დიდი მოცულობის ღრუბლოვანი ბაზებთან, ყოველთვის მნიშვნელოვანია უსაფრთხოების საკითხი. შემოტევები, რომლებსაც ჩვენ ვაკავშირებთ მონაცემების მოპარვასთან, ძირითადად მიმართულია ქსელში შემოღწევისკენ.


პირველი ეტაპის გადალახვის შემდეგ ჰაკერი იწყებს ძიებას და მისი ამოცანაა აღმოაჩინოს პივილეგირებული, ჩვენთვის მნიშვნელოვანი ფაილი. შემოტევების თავიდან ასაცილებლად უნდა მივიღოთ კონკრეტული ზომები, რომ საფრთხე არ შეექმნას ჩვენთვის მნიშვნელოვან ინფორმაციას. OMS-ის ფუნქცია „Security and Audit“ შესაძლებელია გამოვიყენოთ იდენტიფიკაციისა და წვდომის მონიტორინგისთვის (ნახ.2).

მართვის სტრატეგიის ჩარჩოებში რეგულარული მონიტორინგის დროს აუცილებელია იდენტიფიკაციის მინიტორინგიც. IT-ადმინისტრატორი ვალდებულია განასხვავოს ერთმანეთისგან მომხმარებლები, რომლებსაც აქვთ ინფორმაციაზე წვდომის უფლება და პირები რომლებიც თაღლითური გზებით ცდილობენ მოიპოვონ ინფორმაცია. მომხმარებლის მრავალჯერადი უშედეგო მცდელობა ქსელში შემოსასვლელად შესაძლებელია იყოს მანიშნებელი იმასა, რომ ჰაკერმა მოიპოვა რეალური მომხმარებლის ID და ცდილობს პაროლის ამოცნობის საშუალებით შემოაღწიოს ქსელში. სწორედ OMS-ის ფუნქცია IT პერსონალს აწვდის ინფორმაციას ქსელზე შესაძლო თავდასხმის შესახებ. Logons Over Time-ის საშუალების მონიტორინგის პანელი გვაძლევს ინფორმაციას თუ რამდენჯერ განხორციელდა წარუმატებელი წვდომა ბაზასთან დროის კონკრეტულ მონაკვეთში [4]. იმ შემთხვევებში თუ სისტემაში შემოსვლის მცდელობებს ანხორციელებს პროგრამა, ჩვენთვის ცნობილი გახდება პროცესის სახელწოდება და შეგვიძლია სრულად გამოვიკვლიოთ სამიზნე სისტემა (ნახ.3).

### 3. დასკვნა

ნებისმიერი კომპანიის ფუნქციონირებისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია მონაცემთა დაცვა და შესაძლო დანაკარგების მინიმიზაცია. კომპანიები სამუშაო სპეციფიკის გათვალისწინებით, ხშირად ახალი რისკების და გამოწვევების წინაშე დგას. იმისათვის, რომ მოხდეს ამ რისკების მინიმიზაცია, აუცილებელია პირველ რიგში მათი დროული იდენტიფიცირება. აქედან გამომდინარე, ბევრი არსებული

ფაქტორის გათვალისწინებით, თუ დავნერგეთ საერთაშორისო დონეზე აღიარებულ ტექნოლოგიებს, ხოლო Microsoft Azure Monitoring ერთ-ერთი მათგანია, შესაძლებელია ინფორმაციის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული მრავალი პრობლემის აღმოფხვრა. არსებული პლატფორმა მუდმივად სინქრონიზებულია მიმდინარე განახლებებთან და შესაბამისად დაცულია მოსალოდნელი კიბერშეტევებისგან.



ნახ. 3. მონაცემთა ბაზასთან წარუმატებელი წვდომის პანელი

### ლიტერატურა - References - Литература:

1. შონია ო., თოფურია ნ. (2017). მონაცემთა დაცვის ლოკალური და ღრუბლოვანი სერვისები. სტუ. „ტექნიკური უნივერსიტეტი“. თბილისი
2. შონია ო., თოფურია ნ., მასურაძე გ. (2009). ინფორმაციის უსაფრთხოების სისტემის აგება კორპორაციის MICROSOFT-ის ტექნოლოგიების გამოყენებით. სტუ. თბილისი, 2009.
3. Microsoft Azure, [Microsoft Azure Essentials - Fundamentals of Azure](#)
4. Azure Management – Monitoring, <https://docs.microsoft.com/en-us/azure/monitoring/>

## CLOUD SERVICES FOR CLOUD DATA PROTECTION

Shonia Otar<sup>1</sup>, Topuria Nino<sup>1</sup>, Katamadze Sophio<sup>2</sup>

1 - Georgian Technical University

2-FINCA Bank

o.shonia@gtu.ge, nino.topuria@gtu.ge, skatamadze88@gmail.com

### Summary

In the article cloud services of protection and monitoring of data are considered. The functions of the platform are Windows Azure and the Microsoft Operation Management Suit (OMS), which allows us to manage and protect information located on the "cloud" and local system. Consider examples of specific services, which allows us to identify risks in a timely manner.

# ინფორმაციული ტექნოლოგიების სტრატეგიის გავლენა ბიზნესზე

მედეა თევდორაძე, ნინო წულუკიძე, ეკატერინე დადიანი,  
ანასტასია ბაჯიაშვილი, მაია სალთხუციშვილი  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
medeat@gtu.ge, ninotsulukide91@gmail.ge, dadiani.eka@gmail.com,  
nato205@gmail.com, maia.saltkhucishvili@yahoo.com

## რეზიუმე

განხილულია ინფორმაციული ტექნოლოგიების (იტ) სტრატეგია და მისი ზეგავლენა ბიზნესზე. ამასთან დაკავშირებით დახასიათებულია ბიზნეს-სტრატეგია და ინფორმაციული ტექნოლოგიების სტრატეგია, განხილულია ინფორმაციული ტექნოლოგიების სტრატეგიის ძირითადი კომპონენტები, მოთხოვნები მის მიმართ. განსაკუთრებულად გაანალიზებულია მოთხოვნები იტ-ის ინფრასტრუქტურის მიმართ. აღნიშნულია კავშირი ბიზნეს- და ინფორმაციულ ტექნოლოგიების სტრატეგიებს შორის. მოყვანილია ის მიზნობრივი პარამეტრები, რომელთა საშუალებით შესაძლებელია შეფასდეს ბიზნეს- და ინფორმაციული ტექნოლოგიების სტრატეგიის შესრულების შედეგები და გაანალიზებულია კავშირი ბიზნესსა და ინფორმაციული ტექნოლოგიების სტრატეგიას შორის.

**საკვანძო სიტყვები:** ბიზნესი. ბიზნესსტრატეგია, ინფორმაციული ტექნოლოგია. IT-სტრატეგია.

## 1. შესავალი

ყოველ წარმატებულ კომპანიას უნდა ჰქონდეს შემუშავებული ბიზნეს-სტრატეგია იმის გააზრებით რომ ეს ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია მომავალში წარმატების მისაღწევად. ბიზნეს-სტრატეგია - არის კომპანიის მიზნების მისაღწევად შექმნილი ქმედებების ინტეგრირებული მოდელი. სხვა სიტყვებით ის წარმოადგენს შესაძლებლობების მოძებნას ბიზნესის მიზნების მიღწევისთვის. ბიზნეს-სტრატეგიაზე დამოკიდებულია კომპანიის წარმატება, მომგებიანობა და კონკურენტუნარიანობა [1].


უნდა ითქვას, რომ დღეს ბიზნესი წარმოუდგენელია ინფორმაციული ტექნოლოგიების გარეშე. ზუსტად იტ-ი უზრუნველყოფენ კომპანიის მომგებიანობას და კონკურენტუნარიანობას. თითქმის ნებისმიერ თანამედროვე საწარმო-ორგანიზაციას გააჩნია იტ-ის სამსახური, რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციულ ტექნოლოგიებისა და სისტემების ფუნქციონირებას. შეიძლება ითქვას, რომ იტ-ს ასევე სჭირდება სტრატეგიის შემუშავება, და ეს სტრატეგია მხარდაჭერი უნდა იყოს ბიზნეს-სტრატეგიის. ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების ეფექტიანობა გამომდინარეობს მისი სწორი სტრატეგიიდან. ინფორმაციული ტექნოლოგიების სტრატეგია არის მთლიანი გეგმა, რომელიც მოიცავს მიზნებს, პრინციპებს და ტაქტიკურ ნაბიჯებს, რომელიც უკავშირდება ტექნოლოგიების გამოყენებას ორგანიზაციაში [2].

## 2. ძირითადი ნაწილი

თავდაპირველად დავახასიათოთ თავად ბიზნეს-სტრატეგია. მაგალითისთვის განვიხილოთ დიდი ორგანიზაციები, რომლებსაც განსხვავებული სტრატეგიული ბიზნეს-ერთეულები (საწარმოები, განყოფილებები, საქმიანობის მიმართულებები) გააჩნიათ თავიანთ შემადგენლობაში, აქ სტრატეგიული პროცესი სამ დონეზე მიმდინარეობს: კორპორაციული მართვის დონე, ბიზნესის ერთეულის მართვის დონე, ფუნქციური ხელმძღვანელობის მართვის დონე. ცხადია, სტრატეგიული პროცესის სამივე დონე ურთიერთდაკავშირებულია (ნახ.1) [2]. ქვემოთ (ცხრილი 1) შეჯამებულია ძირითადი ამოცანები, რომლებიც, როგორც წესი, გადაიჭრება სტრატეგიული მართვის სამ დონეზე.

როგორც ჩანს 1-ელი ნახაზიდან IT-სტრატეგია არის ერთ-ერთი ფუნქციონალური სტრატეგია, რომელთანაც მუშაობა ხორციელდება საერთო სტრატეგიული პროცესის ფარგლებში. ინფორმაციული ტექნოლოგიების სტრატეგია სჭირდება ნებისმიერ საწარმოს, სადაც კი ხორციელდება ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და სისტემების გამოყენება. კავშირი ბიზნეს- და იტ-ის სტრატეგიებს შორის ნათლად ჩანს ნახაზიდან: იტ-ის სტრატეგია ბიზნეს-სტრატეგიის ქვეკომპონენტია და ის უნდა უზრუნველყოფდეს ბიზნესის მხარდაჭერას იტ-ის მიერ [8].





ნახ.1. სტრატეგიის დონეები

ინფორმაციული ტექნოლოგიების სტრატეგიას გააჩნია რამდენიმე ასპექტი, ესენია: ორგანიზება, შიდა პროცესები, არქიტექტურა, პროგრამული უზრუნველყოფა, სტანდარტები, კადრები, სტრატეგიული პარტნიორობა, რისკების კონტროლი, გეგმები, ფინანსები [3]. იტ-ს სტრატეგიასთან მუშაობის ეტაპები ანალოგიურია კორპორაციული, კონკურენტუნარიანი ან სხვა ფუნქციონალური სტრატეგიების მუშაობის ეტაპებისა, მაგრამ, ამავე დროს, მათ აქვთ გარკვეული სპეციფიკა.

სხვადასხვა დონის სტრატეგიული საკითხები

ცხრ.1

სტრატეგიის დონე	საკითხები
კორპორაციული	<ul style="list-style-type: none"> <li>• სად (რომელ ბაზრებზე) შეიძლება ფულის მოძიება?</li> <li>• რომელ პროდუქტებს ვთავაზობთ მომხმარებლებს?</li> <li>• რომელი გეოგრაფიული რეგიონები მუშაობს ?</li> <li>• როგორია ორგანიზაციის ვერტიკალური საზღვრები?</li> <li>• კორპორატიული მართვის სქემა (ბიზნეს ერთეულის მართვა)</li> <li>• შერწყმა და შთანთქმა</li> <li>• ბიზნეს ერთეულების შექმნა და ლიკვიდაცია</li> </ul>
ბიზნეს ერთეულის	<ul style="list-style-type: none"> <li>• როგორ შევქმნათ და შევინარჩუნოთ უპირატესობები კონკურენტებზე?</li> </ul>
ფუნქციური	<ul style="list-style-type: none"> <li>• როგორ ვუზრუნველყოთ ბიზნეს სტრატეგიის განხორციელება კონკრეტულ ფუნქციურ სივრცეში?</li> <li>• რა ახალი ბიზნეს მიზნები შეიძლება იქნეს დასახული და მიღწეული კონკრეტული ფუნქციონალური დონის ინსტრუმენტების გამოყენებით?</li> </ul>

ასე რომ, ჩვენ შეგვიძლია განვსაზღვროთ სტრატეგიული პროცესის შემდეგი ეტაპები იტ-ს სფეროში[3]:

1. ორგანიზაციაში იტ-ს არსებული სიტუაციის ანალიზი, რაც გულისხმობს შემდეგი საკითხების შესწავლას: არსებული აპარატურა, პროგრამული უზრუნველყოფა, ადამიანური რესურსები, იტ-ის სიმწიფის ხარისხი, საწარმოს არქიტექტურის სხვა ელემენტები;

2. იტ-ს სტრატეგიის შემუშავება, მათ შორის მიზნების განსაზღვრა იტ-სთვის (SMART კრიტერიუმების შესაბამისად), ასევე მიმართულებების, პროექტების, სხვა ორგანიზაციული პროცედურების შემუშავება ამ მიზნების მისაღწევად;

3. იტ-ს სტრატეგიის განხორციელება - დაგეგმილი პროექტების განხორციელება;

4. იტ-ის ეფექტიანობის მონიტორინგი და იტ-ის სტრატეგიის კორექტირება. ამ შემთხვევაში, საუბარი შეიძლება იყოს არა მხოლოდ რეალიზებული სტრატეგიული ქმედებების გათვითცნობიერებაზე, არამედ

ბიზნესის ეფექტიანობის მაჩვენებლების ანალიზზე, რომელიც დაფუძნებულია იტ-ის პროექტების შედეგებზე. იტ-ის სტრატეგია, როგორც ნებისმიერი სხვა სტრატეგია, უნდა განიხილოს "ცოცხალ დოკუმენტად", რომელიც წარმოადგენს ინფორმაციის საცავს დაგეგმილი, განსახორციელებული და განხორციელებული პროექტების შესახებ იტ-ის სფეროში. იტ-ის სფეროში მნიშვნელოვანი ცვლილებების გადაწყვეტილების მიღების დროს იტ-ის სტრატეგიის აქტუალობის შენარჩუნებისათვის, საჭიროა მისი კორექტირება.

იტ-ის სტრატეგია შეიძლება შეიცავდეს შემდეგ საკითხებს:

- ბიზნესის სტრატეგიის ფარგლებში შემუშავებული ბიზნეს მიზნები;
- მიზნები იტ-სთვის, რომლებიც მიმართულია ბიზნეს-მიზნების მიღწევაზე. განისაზღვრება ორგანიზაციაში მიმდინარე იტ-ის სიტუაციის და მისი ბიზნეს-მიზნების ანალიზიდან გამომდინარე;
- ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარების მიმართულებები იტ-ის მიზნების მისაღწევად;
- პროექტები, რომლებიც უნდა განხორციელდეს ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარების თითოეული მიმართულებით. ზოგადად, ყველა საინფორმაციო ტექნოლოგიების პროექტი წარმოადგენს "იტ-ის პროექტების პორტფელს";
- თითოეული რეალიზებული პროექტის დახასიათება გარკვეული მიზნების კრებულთ;
- თითოეული პროექტის ამოცანების ნაკრების თანმიმდევრობას, საჭირო რესურსებს და მათი განხორციელების ვადებს (სამუშაო გრაფიკს). იტ-ის სტრატეგიის ფარგლებში, მიზანშეწონილია განხილულ იქნას მხოლოდ გამსხვილებული სამუშაო გეგმა, რომელიც ასახავს ძირითად ეტაპებს;
- სტრატეგიის განხორციელების პროცესის მონიტორინგისთვის როგორც ერთიანად ასევე ინდივიდუალური პროექტების მიხედვით, რაოდენობრივი და თვისობრივი მაჩვენებლების, მიზნობრივი მაჩვენებლების ჩამონათვალი. ერთად ისინი ქმნიან "შედეგების რეგისტრს";
- იტ-ის პროექტების ბიუჯეტი და იტ-ს საერთო ბიუჯეტი.

შემდეგ მოყვანილია IT-სტრატეგიის შესაძლო ნაწილები [2]: ბიზნესის მოთხოვნა ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართ; ინფორმაციული ტექნოლოგიების ხედავ და მისია; ინფორმაციული ტექნოლოგიების მიზნები; ძირითადი ცვლილებები ინფორმაციულ ტექნოლოგიებში 1-3 წლიან პერსპექტივაში (ინფორმაციული სისტემების, იტ-ის ინფრასტრუქტურის,

როგორც ცნობილია KPI კვანძოვანი შესრულების ინდიკატორია, რომელიც ახასიათებს სტრატეგიული მიზნების მიღწევას [1]. ინფორმაციული ტექნოლოგიების შემთხვევაში ეს შეიძლება იყოს: იტ-ის განყოფილების თანამშრომლების შეფარდება ორგანიზაციის თანამშრომლების საერთო რაოდენობასთან, ან იტ-ის დანახარჯების შეფარდება ორგანიზაციის ბრუნვასთან ან იტ-ის ინვესტიციების შეფასება. რაც შეეხება მოთხოვნებს იტ-ის მიმართ, რომელიც უნდა აისახოს იტ-ის სტრატეგიაში – ტრადიციულად სხვადასხვა კომპანიების მოთხოვნები იტ-ის მიმართ დამოკიდებულია ბიზნესის სპეციფიკაზე. მაგალითისათვის, მსხვილი სავაჭრო კომპანიებისათვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია გაყიდვების ქსელის სწრაფი გაფართოვება: ახალი მაღაზიებისა და საწყობების გახსნა, მათი ინტეგრირება საერთო იტ-სისტემაში. ამასთან დაკავშირებით სავაჭრო ქსელების იტ-ინფრასტრუქტურა ხასიათდება მასშტაბურობით და ფართო ტერიტორიალური განაწილებით. საბანკო სექტორში პრიორიტეტები ტრადიციულად ენიჭება უსაფრთხოებას: ფინანსური და პირადი ინფორმაციის დაცვას.

შემდეგ მოყვანილია ის მოთხოვნები, რომელთა გააჩნით მსხვილ კომპანიებს იტ-ის მიმართ:

- ყოველ კლიენტთან პერსონალური მუშაობის რეჟიმზე გადასვლისას საჭიროა უზარმაზარი მოცულობის ინფორმაციის შენახვა, დამუშავება და დაცვა. თუკი ბანკებისათვის კლიენტების პირად ინფორმაციასთან მუშაობა ყოველთვის საკვანძო საკითხი იყო სხვა ტიპის ორგანიზაციებისათვის ეს ახალი ტენდენციაა;

- ფასდაკლებისა და საბონუსე ბარათების მასიური გაცემა, სხვადასხვა პრომო-აქციების და ლოიალობის სხვადასხვა პროგრამების ამოქმედება სავაჭრო კომპანიებს აძლევს საშუალებას შეაგროვოს და ანალიზი გაუკეთოს მისი მომხმარებლების პერსონალურ მონაცემებს, რომლებიც ასევე უნდა იქნეს შენახული და დაცული;

- სრული მოცულობით და ერთნაირი ხარისხის მასობრივი მომსახურების გაწევის საჭიროება მომსახურების ყველა წერტილში საჭიროებს განაწილებული იტ-სისტემის ცენტრალიზებულ მართვას;

- საბანკო ბიზნესის სტანდარტად ყალიბდება ოპერაციების გამჭვირვალობა მთელი საბანკო ქსელის მასშტაბით და კლიენტების მომსახურების თანაბრად მაღალი დონე ყველა განყოფილებასა და ფილიალებში ტერიტორიული დაყოფის მიუხედავად;

- მობილური და ინტერნეტ-ტექნოლოგიების სწრაფი განვითარება უზიდავს კომპანიებს სწრაფად გადაწყვეტილებების მიღებისაკენ და ცვლილებებზე რეაგირებისაკენ. ინტერნეტი - და მობილური გაყიდვები, RFID-ი, გადახდის უკონტაქტო ტექნოლოგიები, თვითმომსახურების სალაროები (Self Checkout) - თანამედროვე მყიდველის მოპოვების ბრძოლაში კომპანიები მუდმივად იგონებენ ახალ ტექნოლოგიებს პროდუქციის გაყიდვისათვის.

ასეთი ტენდენციები განსაკუთრებულად მნიშვნელოვანს ხდიან შემდეგ მოთხოვნებს იტ-ინფრასტრუქტურის მიმართ: *შეუფერხებელი (უწყვეტი) მუშაობა; მამტაბირება; უსაფრთხოება; ცვლილებების სიჩქარე; გამჭვირვალობა და მართვადობა; ფლობის ადეკვატური ღირებულება; მოდულური სტრუქტურა* [4,5]. განვიხილოთ თუ როგორ აისახება მოცემული მოთხოვნები თანამედროვე მსხვილი კომპანიების იტ-ის აუცილებელ თვისებებში.

პირველ რიგში, იტ-ინფრასტრუქტურა ხელს არ უნდა უშლიდეს ბიზნეს-პროცესებს. ხანმოკლე შეფერხებებიც კი იწვევს კრიტიკული ბიზნეს-პროცესების შეყოვნებას, მსხვილ ფინანსურ და სარეპუტაციო დანაკარგებს. შესაძლო პრობლემები და სისტემის ამოვარდნები ჯობია თავიდან იქნეს აცილებული ან შეჩერებული საწყის ეტაპზე, ვიდრე ხდებოდეს მათი გამოსწორება გვიან სტადიაში. მსხვილ კომპანიებში **შეუფერხებელი მუშაობისათვის** გამოიყენება პროაქტიური მონიტორინგის სიტემები [8].

მნიშვნელოვანია **გონივრული ღირებულების იტ ინფრასტრუქტურის ფლობა**. **მოდულური სტრუქტურა** ინფრასტრუქტურის ნაწილის შეცვლის, ახალი ფუნქციონალის დამატების და მოძველებული კომპონენტების ჩამოწერის საშუალებას იძლევა მინიმალური დანახარჯების პირობებში. ხოლო გავრცელებული და გამოცდილი ტექნოლოგიები სხვა სისტემებთან ინტეგრაციას აიაფებენ და სისტემის ოპერირებაზე პასუხისმგებელი სპეციალისტების ძეზნის პროცესს ამარტივებს. ამიტომ თავდაპირველად იტ ინფრასტრუქტურა მოდულური სტრუქტურის პრინციპით და „მეინ სტრიმ“ ტექნოლოგიების გამოყენებით უნდა იყოს აგებული: ეს საშუალებას იძლევა მასში ცვლილება შეტანილ იქნას უმოკლეს ვადასა და მინიმალური დანახარჯებით.

თანამედროვე ტექნოლოგიები ისეთი ხასიათისაა, რომ მსხვილი კომპანიებისათვის ბიზნესის სპეციფიკა იტ-ის ინფრასტრუქტურასთან მიმართებაში მეორე პლანზე გადადის. ბიზნესი ხდება უფრო ტექნოლოგიური, ჩნდება ბევრი ახალი მექანიზმი, რაც გარდაუვალს ხდის იტ-ის ინფრასტრუქტურის გართულებას, თუკი ადრე იტ-ი მხოლოდ ბიზნეს-პროცესების მხარდამჭერი იყო ახლა ის ბიზნესის განუყოფელი ნაწილი ხდება [6].

### 3. დასკვნა

დასკვნის სახით შეგვიძლია ავლნიშნოთ, რომ კარგი ინფორმაციული ტექნოლოგიების სტრატეგია: უნდა იყოს დაკავშირებული ბიზნესის სტრატეგიული განვითარების მიზნებთან; უნდა იყოს ეტაპობრივი, ანუ ითვალისწინებდეს ცვლილებების არსებობას; უნდა იყოს მრავალ პლატფორმიანი, ანუ არ უნდა იყოს დაკავშირებული ტექნიკის ან პროგრამული უზრუნველყოფის ერთ კონკრეტულ მომწოდებელთან; უნდა ითვალისწინებდეს სათადარიგო ვარიანტებს მოვლენების დაუგეგმავი განვითარების შემთხვევაში.

დღეს ნებისმიერ კომპანიას ამა უ იმ სახით აქვს ინფორმაციული ტექნოლოგიების სტრატეგია, რომელიც ეხმარება ხარჯების შემცირებაში, ბიზნესის მართველობის გაუმჯობესებაში, ახალი შესაძლებლობების მიღებაში. ინფორმაციული ტექნოლოგიების არსებობა კომპანიის ხელმძღვანელობას ეხმარება იმის გააზრებაში, თუ რა პროექტები იქნება შესრულებული მისი საშუალებით, რამდენად გაიზრდება ბიზნესის მომგებიანობა, როგორ შეუწყობს ხელს ის ბიზნესის ზრდას. რამდენად გამარტივდება ინფორმაციული ტექნოლოგიების კუთხით გრძელვადიანი გადაწყვეტილებების არჩევანი, იმ ბიზნეს პროცესების ავტომატიზაცია, რომელიც ყველაზე მნიშვნელოვანია ბიზნესისთვის. მისი საშუალებით შესაძლებელია ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის ელემენტების დარეზერვირება, შედარებით იაფი შესყიდვების განხორციელება თუ ეს წინასწარ სწორად იქნება დაგეგმილი. ასევე დიდ როლს თამაშობს ინფორმაციული ტექნოლოგიების სტრატეგია ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფაში [7].

### ლიტერატურა - References - Литература:

1. თევდორაძე მ., ბაჯიაშვილი ა., ლოლაშვილი ნ., ბაღიშვილი გ. (2017). ბიზნეს-პროცესების მართვის ინფორმაციული სისტემები. ნაწ.1. გამოც.2. სტუ, თბ.
2. თევდორაძე მ., თავბერიძე რ., ლოლაშვილი ნ., სალთხუციშვილი მ. (2013). მენეჯმენტის ინფორმაციული სისტემები და ტექნოლოგიები. სტუ, თბ.,
3. თევდორაძე მ., ლოლაშვილი ნ., ბაჯიაშვილი ა., სალთხუციშვილი მ., გოგოლაძე ს., რუხაძე თ. (2017). ბიზნეს-პროცესების მართვის ინფორმაციული სისტემებისა და ტექნოლოგიების ეფექტიანობა და მისი გავლენა ორგანიზაციის საქმიანობაზე ბანკების მაგალითზე. მონოგრ. სტუ, თბ.,
4. [www.info-strategy.ru](http://www.info-strategy.ru)
5. <http://micom.net.ru/uslugi/it-infrastruktura>
6. <https://www.kp.ru/guide/it-infrastruktura-predpriyatija.html>
7. <http://www.itsec.ru/articles2/control/informac bezop i biznes strateg firmy>
8. სურგულაძე გ., ურუშაძე ბ. (2014). საინფორმაციო სისტემების მენეჯმენტის საერთაშორისო გამოცდილება (BSI, ITIL, COBIT). სტუ. „ტექნიკური უნივერსიტეტი“. თბ.

## THE IMPACT OF THE INFORMATION TECHNOLOGY STRATEGY ON BUSINESS

Tevdoradze M., Tsulukidze N., Dadiani E., Bajiashvili A., Saltkhucishvili M.

Georgian Technical University

medeat@gtu.ge, ninotsulukide91@gmail.ge, dadiani.eka@gmail.com,

nato205@gmail.com, maia.saltkhucishvili@yahoo.com

### Summary

The given article discusses the strategy of information technologies (IT) and its influence on the business. Accordingly, the business-strategy and IT strategy are described here, moreover, the important components and requirements to IT strategy are discussed in details. Especially are analyzed requirements to IT infrastructure. The connection between business- and IT strategies is also explained. Finally, the key performance indicators (KPI) parameters are offered, with help of which the received results of business and IT strategies can be assessed. Also it is analyzed the connection between business and IT strategy.

## მონაცემთა ბაზის დაპროექტება და პროგრამული რეალიზაცია ინტერდისციპლინური სწავლებისათვის

გია სურგულაძე, ნინო თოფურია, მარინა ხარიტონაშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

g.surguladze@gtu.ge, nino.topuria@gtu.ge, mari.kharitonashvili@gmail.com,

### რეზიუმე

განხილულია ინტერდისციპლინარული სწავლების კონცეფცია და ინტეგრირებული გაკვეთილის დაგეგმვის პროცესის ინტენსიფიკაციის მიზნით მონაცემთა ბაზის დაპროექტების თეორიული ასპექტები. კვლევის საპრობლემო სფეროა საჯარო სკოლის გაკვეთილი (ან უნივერსიტეტის ლექცია), რომელსაც ატარებს პედაგოგი კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებით. კერძოდ შემოთავაზებულია ინფორმატიკის, გეოგრაფიის, ისტორიის, მათემატიკის, ფიზიკის (ან სხვა საგნების) ერთიანი მონაცემთა ბაზის კონცეპტუალური მოდელის დაპროექტების ამოცანა და მისი გადაწყვეტა კატეგორიული ანალიზის, ლოგიკურ-ალგებრული აპარატისა და ობიექტ-როლური მოდელირების ტექნოლოგიის გამოყენებით.

**საკვანძო სიტყვები:** ინტერდისციპლინური სწავლება. ინტეგრირებული გაკვეთილი. მონაცემთა ბაზა. კონცეპტუალური მოდელი. ობიექტ-როლური მოდელირება.

## 1. შესავალი

თანამედროვე განათლება ევოლუციის გარდამავალ ეტაპზეა, იგი თანდათან გადადის ინდუსტრიული საზოგადოებიდან ინფორმაციულ საზოგადოებამდე და შესაბამისად თანამედროვე საზოგადოებას გაუჩნდა ახალი მოთხოვნები განათლებასა და შესაბამისად მაღალკვალიფიციური კადრების მომზადების საკითხებში. ინტერდისციპლინარული პროცესების გამოვლენასა და რეალიზებას გარკვეული ადგილი უჭირავს მეცნიერებათა ინტეგრაციისა და დიფერენციაციის პროცესში და ამავდროს იგი წარმოადგენს სწავლების დიდაქტიკური პრობლემების გადაჭრის მნიშვნელოვან საშუალებას.

პროგრამის აქტუალურობას განაპირობებს თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე სოციალური პროცესები და სამეცნიერო ტენდენციები. ინტერდისციპლინარული პროცესების მოდელირება გულისხმობს საგანმანათლებლო პროცესებისა და მათთან კავშირის მქონე სხვადასხვა მოვლენის განხილვას ერთ სისტემურ მთლიანობაში. ეს საჭიროა იმისათვის, რომ შევინარჩუნოთ ერთიანი ხედვა ყველა საჭირობოროტო საკითხსა, თუ მწვავე პრობლემაზე, რათა თავიდან ავიცილოთ უმართავი, ერთმანეთთან შეუთანხმებელი პროცესები. მოდერნიზაციის ერთ-ერთი მთავარი პრინციპია - ინტერდისციპლინარული განათლება, რომელიც მოითხოვს საგანმანათლებლო პროგრამების შინაარსის გაუმჯობესებას და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებას. მართვის საინფორმაციო სისტემების დასაპროექტებლად აუცილებელია კონცეპტუალური მოდელის ანუ საპრობლემო სფეროს ER-მოდელის აგება, რომლის საფუძველზეც შემდგომ ხდება მონაცემთა რელაციური ბაზის სტრუქტურების დაპროექტება [1].

ცნობილია, რომ მონაცემთა ბაზის აპლიკაციის ხარისხი კრიტიკულადაა დამოკიდებული მის დაპროექტებაზე. ინფორმაციული სისტემების განსაზღვრა ყველაზე უკეთ კონცეპტუალურ დონეზე ხდება, სადაც გამოიყენება ისეთი კონცეფციები და ენა რომელიც ადვილი გასაგებია ადამიანისათვის. კონცეპტუალური დაპროექტება შეიძლება შეიცავდეს მონაცემებს, პროცესებს და ქვევით პერსპექტივებს, ხოლო მონაცემთა ბაზების მართვის სისტემა დაპროექტებისას იყენებს ცნობილი ლოგიკური მოდელებიდან ერთ-ერთს. მონაცემთა ბაზის დაპროექტება მოიცავს საპრობლემო არის ფორმალური მოდელის აგებას ანუ მის აღწერას.

პრედიკატების ლოგიკა არის ლოგიკური გრამატიკა დანართების შინაარსის ასაგებად, მაგრამ ძალზე ღარიბია და ნაკლებად განვითარებული - იგი არ ფლობს სინტაქსურ კატეგორიებს, რათა განასხვავოს ერთმანეთისგან მთავარი და არამთავარი პრედიკატები. კატეგორიები რომლებსაც ვიხილავთ, არის ლოგიკური გრამატიკის შემადგენელი ნაწილი, რომელიც, როგორც ზოგადი ენის სამირკველი, ბევრად მდიდარია, ვიდრე ტრადიციული პრედიკატების ლოგიკა და რომელიც ცხადია დამოუკიდებელი უნდა იყოს ბუნებრივი ენის ემპირიული გრამატიკისგან [2]. ასეთ კატეგორიებს მიეკუთვნება უპირველეს ყოვლისა მსჯელობა ლოგიკური ენის დონეებზე, ანუ დიფერენცირება კონკრეტულ და აბსტრაქტულ დონეებზე და მათ ობიექტებზე (ტიპების ლოგიკა). ლოგიკურ გრამატიკაში ემატება მნიშვნელოვანი კატეგორიები, რათა შესაძლებელი იყოს კონცეპტუალური სქემის მეთოდურად აგება.

## 2. ძირითადი ნაწილი


ობიექტ-როლური მოდელირება (ORM) ამარტივებს დაპროექტების პროცესს [3], იყენებს რა ბუნებრივ, სალაპარაკო ენას, ასევე ინტუიციურ დიაგრამებს, რომელთა შევსებაც შეიძლება მაგალითების საშუალებით და შესაძლებელია ინფორმაციის შემოწმება მარტივ, ელემენტარულ ფაქტებზე დაყრდნობით. ვინაიდან მოდელი გამოსახულია ისეთ ბუნებრივ ტერმინებში, როგორცაა ობიექტი და როლი, იგი უზრუნველყოფს მოდელირების კონცეპტუალურ მიდგომას. ობიექტ-როლური მოდელირება კონცეპტუალური მოდელირების განვითარებულ ტექნიკას წარმოადგენს, რომელიც პრაქტიკულად არის სემანტიკური მოდელირების ინსტრუმენტი ფაქტებზე დაყრდნობით. ბუნებრივი ენის და ინტუიციური დიაგრამების (რომელთა შევსებაც ხდება მაგალითებით) გამოყენება და ასევე საპრობლემო სფეროს აღწერა ელემენტარული ფაქტების საფუძველზე, საგრძნობლად ამარტივებს დაპროექტების პროცესს (ნახ.1). ეს ფაქტები შეიძლება დაყოფილ იქნეს უფრო მცირე ფაქტებად, ინფორმაციის დაკარგვის გარეშე [3,4].

როგორც აღვნიშნეთ, თავდაპირველად აუცილებელია საპრობლემო სფეროს შესწავლა, არსებული ბიზნეს-პროცესებისა და ბიზნესწესების საფუძველზე ჩამოყალიბდება ფაქტები, ანუ იმ კანონზომიერებათა ერთობლიობა, რომელიც უნდა აისახოს მონაცემთა ბაზის მოდელში. ამგვარად, მიღებული სემანტიკური ფაქტების სიმრავლის ფიზიკური გადატანით ავტომატიზებული დაპროექტების NORMA ინსტრუმენტით MS Visual Studio.Net გარემოში, განისაზღვრება ჩვენი სისტემის ობიექტ-როლური მოდელი, რომლის მიხედვითაც შემდგომ აიგება ER-დიაგრამა [2]. NORMA (Natural ORM Architect) არის მოდელირების ინსტრუმენტი ობიექტ-როლური დიაგრამების დასაპროექტებლად ORM2-ნოტაციის ბაზაზე [3].

<p><b>Scientist is an entity type.</b>  <b>Reference Scheme:</b> Scientist has Scientist_ID.  <b>Reference Mode:</b> .ID.  <b>Data Type:</b> Numeric: Auto Counter.</p> <p><b>Fact Types:</b>                  Scientist has Scientist_ID.                  Scientist has FirstName.                  Scientist has LastName.                  Scientist belongs to Invention.                  Scientist is of Gender.                  Scientist has Birth_Year.                  Scientist has Dead_Year.                  Scientist was born in City.                  FirstName is a value type.  <b>Data Type:</b> Text: Variable Length (30).  <b>Fact Types:</b>                  Scientist has FirstName.                  LastName is a value type.  <b>Data Type:</b> Text: Variable Length (30).  <b>Fact Types:</b>                  Scientist has LastName.                  Invention is an entity type.  <b>Reference Scheme:</b> Invention has Invention_ID.  <b>Reference Mode:</b> .ID.  <b>Data Type:</b> Numeric: Auto Counter.</p>	<p><b>Fact Types:</b>                  Invention has Invention_ID.                  Scientist belongs to Invention.                  Invention has Invention_Date.                  Gender is an entity type.  <b>Reference Scheme:</b> Gender has Gender_code.  <b>Reference Mode:</b> .code.  <b>Data Type:</b> Text: Fixed Length (100).  <b>Fact Types:</b>                  Gender has Gender_code.                  Scientist is of Gender.                  Birth_Year is a value type.  <b>Fact Types:</b>                  Scientist has Birth_Year.                  Dead_Year is a value type.  <b>Fact Types:</b>                  Scientist has Dead_Year.                  City is an entity type.  <b>Reference Scheme:</b> City has City_nr.  <b>Reference Mode:</b> .nr.  <b>Data Type:</b> Numeric: Signed Integer.  <b>Fact Types:</b>                  Invention has Invention_Date.                  Cityname is a value type.  <b>Data Type:</b> Text: Variable Length (10).</p>
--	--

ნახ.1. პრედიკატების აღწერა NORMA -ინსტრუმენტით

მე-2 ნახაზზე მოცემულია კონცეპტუალური მოდელი, რომელიც აგებულ იქნა ობიექტის ფაქტების შეტანით NORMA ინსტრუმენტის ინტერფეისით.




ნახ.2. ORM-მოდელის ფრაგმენტი

სისტემა პრედიკატების საფუძველზე ავტომატურად აერთიანებს რამდენიმე ობიექტის მონაცემებს და გვაძლევს პირველი დონის კონცეპტუალურ სქემას. ესაა სწორედ საკვლევი სფეროს ობიექტ-როლური მოდელი. ჩვენ შემთხვევაში კონცეპტუალური სქემა აღწერს ინტეგრირებული გაკვეთილის მოსამზადებელ მონაცემთა ბაზის სტრუქტურას. რა სემანტიკური ინფორმაციაა ჩასადები ბაზაში, რომელიც უნდა გამოიყენოს მასწავლებელმა. მაგალითად, გვინდა ინფორმატიკის სფეროში (როგორც ინტერდისციპლინური საგანი) გაკვეთილის მომზადება თემაზე „კომპიუტერული მეცნიერებების გამოჩენილი ადამიანები“. ასეთი თემა აუცილებლად იკვეთება ისტორიასთან (რა, როდის), გეოგრაფიასთან (ქვეყანა),

საბუნებისმეტყველო მეცნიერებებთან (მათემატიკა, ფიზიკა, ბიოლოგია და სხვ.). კონკრეტულად მონაცემთა ბაზაში უნდა გვქონდეს ინფორმაცია აღნიშნული სფეროს მეცნიერების, გამომგონებლების, ინჟინრების და სხვ., ქვეყანებისა და უნივერსიტეტების, სადაც ისინი მოღვაწეობდნენ (ან მოღვაწეობენ), გამოგონების არსი, განმარტება, შედეგი, რომელ სფეროსი (ფიზიკა, ქიმია, გამოყ\_მათემატიკა, კომპ\_არქიტექტურა, პროგრამირება ან სხვ.) და ა.შ. მასწავლებლს მოუწევს ერთი კონკრეტული საკითხის განხილვისას შეეხოს მის სხვადასხვა სფეროს.

მონაცემთა ბაზაში ინფორმაცია ინდექსირებულია (ალფაბეტით, ქვეყნით, უნივერსიტეტების იდენტიფიკატორებისთ ან დასახელებით, მეცნ\_სფეროთი, თარიღით ან სხვ.).

შემდეგ ეტაპზე NORMA ინსტრუმენტი ხდება მეორე დონის კონცეპტუალური მოდელის აგება. ესაა არსთა-დამოკიდებულების (Entity Relationship) მოდელი (ნახ.3). ასეთი შუალედური პროცედურით გადაიღვა ერთი ნაბიჯი მონაცემთა ბაზის ფიზიკური სტრუქტურის ასაგებად. ჩვენი მონაცემთა ბაზის პროგრამული რეალიზაცია განვახორციელებთ Ms SQL Server პაკეტის გამოყენებით. ამისათვის საჭიროა ER-მოდელის საფუძველზე DDL (Data Definition Language) ფაილის ფორმირება, რომლის ტექსტი (ჩვენი მაგალითისათვის) მოცემულია 1-ელ ლისტინგში.



ნახ.3. ER-მოდელი ბარკერის დიაგრამის სახით


// --- ლისტინგი\_1 ----- ბაზის აღწერის ფრაგმენტი -----

```
START TRANSACTION ISOLATION LEVEL SERIALIZABLE, READ WRITE;
CREATE SCHEMA ORMModel1 DEFAULT CHARACTER SET UTF8;
SET SCHEMA 'ORMMODEL1';
CREATE TABLE ORMModel1.Scientist
(
    scientistID INTEGER GENERATED ALWAYS AS IDENTITY (START WITH 1 INCREMENT BY 1) NOT NULL,
    birth_Year DATE NOT NULL,
    cityNr INTEGER NOT NULL,
    dead_Year DATE NOT NULL,
    firstName CHARACTER VARYING NOT NULL,
    genderCode CHARACTER NOT NULL,
    inventionID INTEGER NOT NULL,
    lastName CHARACTER VARYING NOT NULL,
    premiumName CHARACTER VARYING NOT NULL,
    universityName CHARACTER VARYING NOT NULL,
    CONSTRAINT Scientist_PK PRIMARY KEY (scientistID),
    CONSTRAINT Scientist_UC1 UNIQUE (inventionID),
    CONSTRAINT Scientist_UC2 UNIQUE (premiumName),
    CONSTRAINT Scientist_genderCode_RoleValueConstraint1 CHECK (genderCode IN ('F', 'M'))
);
CREATE TABLE ORMModel1.Invention
(
    inventionID INTEGER GENERATED ALWAYS AS IDENTITY (START WITH 1 INCREMENT BY 1) NOT NULL,
    invention_Date DATE NOT NULL,
    sphere CHARACTER VARYING NOT NULL,
    CONSTRAINT Invention_PK PRIMARY KEY (inventionID) );
CREATE TABLE ORMModel1.City
```

```
(
    cityNr INTEGER NOT NULL,
    cityname CHARACTER VARYING NOT NULL,
    country CHARACTER VARYING NOT NULL,
    CONSTRAINT City_PK PRIMARY KEY(cityNr) );
CREATE TABLE ORMModel1.Premium
(
    premiumName CHARACTER VARYING NOT NULL,
    awarded_Date DATE NOT NULL,
    CONSTRAINT Premium_PK PRIMARY KEY(premiumName) );
CREATE TABLE ORMModel1.University
(
    universityName CHARACTER VARYING NOT NULL,
    univ_Country CHARACTER VARYING NOT NULL,
    CONSTRAINT University_PK PRIMARY KEY(universityName) );
...

```

მე-4 ნახაზზე ასახულია DDL-კოდის გენერაციის პროცესი Ms Visual Studio.NET გარემოში.



ნახ. 4. DDL-კოდის გენერაციის პროცესი

### 3. დასკვნა

ამგვარად, ORM-დიაგრამიდან ავტომატიზებული რეჟიმში ავსებთ ER-მოდელი, რომლის საფუძველზეც შეიქმნება რელაციურ მონაცემთა ბაზების ლოგიკური სტრუქტურის აღწერა, ანუ .DDL ფაილები. SQL-Server-ის ან სხვა მონაცემთა ბაზების მართვის სისტემაში .DDL ფაილები ავტომატურად ააგებს ლოგიკურ და ფიზიკურ სტრუქტურებს. მიღებული დიაგრამებიდან Natural ORM Application პროგრამული პაკეტით გენერირდება DDL კოდი, რომელიც ქმნის მონაცემთა რელაციურ ბაზის სტრუქტურას SQL Server სისტემის გარემოში.

### ლიტერატურა - References - Литература:

1. ჩოგვაძე გ., ფრანგიშვილი ა., სურგულაძე გ. (2017). მართვის საინფორმაციო სისტემების დაპროგრამების ჰიბრიდული ტექნოლოგიები და მონაცემთა მენეჯმენტი. მონოგრა., ISBN 978-9941-20-790-7. სტუ, „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი, -1001 გვ.
2. სურგულაძე გ., ვედუცინდი ჰ., თოფურია ნ. (2006). განაწილებული ოფისსისტემების მონაცემთა ბაზების დაპროექტება და რეალიზაცია Value at Risk ტექნოლოგიით. სტუ, თბ., „ტექნიკური უნივერსიტეტი“
3. Halpin T. (2005). ORM2, Graphical Notation, Neumont University. [http://www.orm.net/pdf/ORM2\\_TechReport1.pdf](http://www.orm.net/pdf/ORM2_TechReport1.pdf).
4. სურგულაძე გ., თოფურია ნ. (2007). მონაცემთა ბაზების მართვის სისტემები: ობიექტოლოგიური მოდელირება (ORM/ERM, SQL Server). სახელმძღვანელო, სტუ, თბ., „ტექნიკური უნივერსიტეტი“.

## DATABASE DESIGN AND SOFTWARE IMPLEMENTATION FOR INTERDISCIPLINARY STUDIES

Surguladze Gia, Topuria Nino, Kharitonashvili Marina  
Georgian Technical University

g.surguladze@gtu.ge, nino.topuria@gtu.ge, mari.kharitonashvili@gmail.com,

### Summary

The concept of interdisciplinary teaching and the theoretical aspects of database design is intended to intensify the integrated lesson planning process. The field of research is a lesson of the public school (or (lecture) of the university), which is conducted by a teacher using computer technologies. Specifically, the task of designing the conceptual model of the unified database of informatics, geography, history, mathematics, physics (or other subjects) is proposed and solved by using categorical analysis, logical-algebraic method and object-role modeling technologies.



# ორგანიზაციაში ელექტრონული დოკუმენტბრუნვის წარმოების ინსტრუმენტები

ნინო თოფურია, ნინო ლომიძე

nino.topuria@gtu.ge, ninolomidze1993@gmail.com

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

## რეზიუმე

განხილულია ორგანიზაციაში ელექტრონული დოკუმენტბრუნვის წარმოების ინსტრუმენტები. კერძოდ, eSchool, eFlow, Microsoft SharePoint და Microsoft Teams. წარმოდგენილია თითოეული ინსტრუმენტის მუშაობის პრინციპები, განხილულია საიტის აწყობა და ელექტრონული დოკუმენტბრუნვის წარმოების პრინციპები კონკრეტული მაგალითების საშუალებით. შეფასებულია თითოეული ინსტრუმენტი, ნაჩვენებია მათი დადებითი და უარყოფითი მხარეები.

**საკვანძო სიტყვები:** ელექტრონული დოკუმენტბრუნვა, სამუშაო პროცესები, eSchool, eFlow, MsSharePoint, MsTeam.

## 1. შესავალი

აღსანიშნავია, რომ საქართველოს მთავრობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტი ელექტრონული მმართველობის დანერგვაა, რა პროცესშიც საჯარო სამსახურის ბიურო აქტიურად არის ჩართული. სწორედ ამის ერთ-ერთი ნათელი მაგალითია ელექტრონული სისტემის დანერგვა სხადასხვა სამინისტროებში [1].

ელექტრონული დოკუმენტბრუნვის საქართველოში შექმნილი პროგრამებია: eflow (შინაგან საქმეთა სამინისტრო), დეს (იუსტიციის სამინისტროს სსიპ–საჯარო რეესტრი), edocument (ფინანსთა სამინისტროს სსიპ). აღსანიშნავია, რომ ზემოჩამოთვლილ პროგრამებს აქვთ ინტერფეისი ქართულ ენაზე და შესაბამისი ლიტერატურის გაცნობის ან ტრენინგების გავლის შემდეგ ორგანიზაციის თანამშრომლები შეძლებენ ამ გარემოში მუშაობას. კერძოდ, დოკუმენტების ატვირთვას, გადაგზავნას ერთი განყოფილებიდან მეორეში, ვიზირებას და ა.შ. უნდა აღინიშნოს, რომ მომხმარებელი იყენებს უკვე მზა პლატფორმას, სადაც დოკუმენტის მოძრაობის მარშრუტი წინასწარ გაწერილია.

Web 2.0 არის პრინციპების ერთობლიობა, რომელიც მომხმარებელს სთავაზობს პლატფორმას, სადაც მას თავად შეუძლია „ააწყოს“ ელექტრონული დოკუმენტბრუნვა ორგანიზაციისათვის და სწორედ ეს არის Web 2.0-ის წარმატების ფორმულა ანუ მომხმარებელს შეუძლია თავად მიიღოს მონაწილეობა, გაავრცელოს ახალი ინფორმაცია, განათავსოს რეკლამები [2]-[5].


## 2. ძირითადი ნაწილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ დღესდღეობით განახორციელა ბევრი პროექტი, რითაც ხელი შეუწყო სკოლის განვითარებას და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვას. მათი მხარდაჭერით ხორციელდება მასწავლებლების, მოსწავლეების და მშობლების ინტერნეტსივრცეში ჩართვა და მათთვის სწავლების პროცესის შემსუბუქება.

eSchool - სკოლების მართვის საინფორმაციო სისტემის მთავარი ამოცანაა ეფექტური მენეჯმენტის განხორციელება, რაც გულისხმობს ზუსტი მონაცემების შეგროვებას, დამუშავებას, ონლაინ რეჟიმში განახლებასა და ანგარიშგებას (ნახ.1) .

ელექტრონული ჟურნალის მოდელის მეშვეობით შესაძლებელია სასწავლო პროცესის მართვის გაუმჯობესება, კერძოდ სწავლების ელექტრონული განრიგის შედგენა და მართვა, დასწრებისა და აკადემიური მოსწრების ელექტრონული კონტროლი, შეფასების ავტომატური კალკულაცია, ავტომატური ანგარიშგების წარმოება. (<https://eschool.emis.ge/>).

eFlow - ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ბიზნესპროცესების მაქსიმალურ გამარტივებას, ხელმისაწვდომობასა და ავტომატიზაციას. მისი გამოყენებით ხდება დროითი რესურსების შემცირება, ადამიანური რესურსების დაზოგვა, დავალებების ელექტრონული მართვა, მარტივი იმპლემენტაცია, მონაცემთა ერთიანი ბაზა, დოკუმენტბრუნვის ეფექტური სისტემა, დოკუმენტების ელექტრონული რეგისტრაცია და იდენტიფიკაცია. (<https://eflow.emis.ge/>) (ნახ.2).



ნახ. 1 eSchool-ის ფანჯარა



ნახ. 2. eFlow-ს ფანჯარა

გამოიკვეთა უარყოფითი მხარეებიც, რაც ხელში უშლის უნივერსიტეტს ან კერძო კომპანიებს მის გამოყენებაში, ესენია:

- უსაფრთხოება, მომხმარებლის დაყოფა კატეგორიებად, VPN შეზღუდვა წვდომა მხოლოდ სკოლის კომპიუტერით, შეუძლებელია მოსწავლეებისთვის და მშობლებისთვის ინფორმაციის გაზიარება.
- უსაფრთხოება - ეს სისტემა სრულყოფილად არ არის დაცული, რადგანაც ყველაფერი დამოკიდებულია მხოლოდ პირადობის ნომერზე, რისი მოპოვების შედეგადაც ჩვენთვის არასასურველ ადამიანს საკმაოდ მარტივად შეუძლიათ ჩვენთვის გამოყოფილ ინტერნეტ სივრცეს პაროლი შეუცვალოს და არასასურველი ცვლილებები მოახდინოს.
- სისტემა საკმაოდ მოუხერხებელია, რადგან სამინისტრომ სისტემასთან წვდომის უზრუნველსაყოფად მონაცემთა ცენტრისა და კონკრეტულ სუბიექტს შორის დაცული VPN კავშირის ორგანიზება მოახდინა, რაც უზრუნველყოფს უსაფრთხო დაკავშირებას, თუმცა წარმოადგენს გარკვეულ დისკომფორტს თანამშრომლებისათვის. მათ არ შეუძლიათ საკუთარი კომპიუტერიდან მოახდინონ წვდომა მოცემულ სისტემასთან.
- შეზღუდვები - ეს ის საკითხია, რომელიც გამოკითხულთა სამივე კატეგორიას აწუხებს, მშობლებს არ შეუძლიათ საკუთარი შვილის აკადემიური მოსწრების ნახვა მასწავლებლების გარეშე, მოსწავლეებს არ შეუძლიათ სისტემატიურად შეამოწმონ მიღებული შეფასება, ხოლო მასწავლებლებს არ შეუძლიათ ელექტრონულად ეკონტაქტონ მოსწავლეებს, მშობლებს, აუტვირთონ სხვადასხვა სასწავლო მასალები.

მაგალითისთვის განვიხილოთ Web 2.0 პრინციპზე შემუშავებული Microsoft SharePoint და Teams. მათი გვერდები ინტერაქტიულია, საშუალებას იძლევა გავაზიაროთ და ავტვირთოთ ჩვენთვის სასურველი ინფორმაცია, გვეხმარება შორს მყოფ ადამიანებთან ურთიერთობაში ასეთი ტიპის MsSharePoint საიტებს აქტიურად იყენებენ მარკეტინგსა და ბიზნესში, რათა განავითარონ თავიანთი ბიზნესი და გააუმჯობესონ მომხმარებლებთან ურთიერთობა.

MsSharePoint არის უნივერსალური კორპორატიული პორტალი, რომელიც იძლევა დოკუმენტების მართვის საშუალებას. იგი გამოიყენება შიდაკორპორატიული საიტების შესაქმნელად ფართო ფუნქციური შესაძლებლობებით: სამიუბო სისტემა, მონაცემებთან წვდომის განსაზღვრა და ინდექსირება, ხელმოწერების უზრუნველყოფა, დოკუმენტების ვერსიების შექმნა და მათთან ერთი ფანჯრის პრინციპით მუშაობა. უზრუნველყოფს კორპორატიული დოკუმენტების შენახვას საერთო საქალაქო დონეზე, შეიძლება შეიქმნას ნებისმიერი რაოდენობის საქალაქო დონე და მათში შესაძლებელია ნებისმიერი რაოდენობის დოკუმენტების შენახვა. საიტების დანიშნულება შეიძლება იყოს ერთმანეთისგან განსხვავებული [2]-[5].

Microsoft Teams სიღრმისეულად აერთიანებს Office 365, რათა უზრუნველყოს მომხმარებლები მაქსიმალურად გუნდური მუშაობისთვის და საშუალებას იძლევა შეიქმნას გაცილებით ღია და მოქნილი სამუშაო გარემო. იგი აგებულია Microsoft-ის ტექნოლოგიებზე და აერთიანებს Office 365 ჯგუფის

პროგრამებს. ბრძანებების ჩამონათვალიდან გამოიყენება იდენტიფიკატორები, რომელიც ინახება Azure Active Directory-ში და ხდება მათი ინტეგრაცია Office 365 სხვა მომსახურებებთან[6]. Microsoft Teams თუ SharePoint Team საიტების შორის არსებობს განსხვავებები და მათ შორის მსგავსებებიც.

**საიტების შექმნა.** სიფრთხილის გამოჩენა გვმართებს Microsoft Teams საიტის დიდი რაოდენობით შექმნასთან, რაც იწვევს გაუგებრობას. რთულია გავიგოთ ვისთვისაა ეს საიტი განკუთვნილი. თქვენ შეგიძლიათ შექმნათ ახალი SharePoint საიტი ყველა პროექტისთვის, ხოლო Microsoft Teams არის საერთო სივრცე სხვადასხვა ჯგუფის ყველა თანამშრომლისთვის, როდესაც SharePoint ვებ-საიტი განკუთვნილია მცირე ჯგუფებისთვის, რათა ორიენტირებული იყოს კონკრეტულ საკითხებზე (ნახ.4, ნახ.5).

**ხელმისაწვდომობა.** შეგიძლია წვდომა გვკონდეს SharePoint საიტთან იმ შემთხვევაშიც კი თუ არ გვაქვს სპეციალური პროგრამა SharePoint Team Services, ხოლო Microsoft Teams ეს ფუნქცია გამორთული აქვს. არ იღებს სტუმრებს, მაგრამ შესაძლებელია ამ დამატებითი ფუნქციის ჩართვა კონფიგურაციის შემდგომ. რის შემდგომაც Microsoft Teams და SharePoint გვაძლევს საშუალებას წვდომა ქონდეთ გარე წევრებსაც, მაგრამ Sharepoint-ისთვის ეს ფუნქცია არის სტანდარტული.

**ფუნქციები.** ორივე პროგრამა საშუალებას გვაძლევს დაგეგმარების ფუნქციის გამოყენების, კალენდრის და დოკუმენტების ბიბლიოთეკის, რაც საკმაოდ სასარგებლოა, რათა გუნდის წევრებს ქონდეთ წვდომა შესაბამის ინფორმაციასთან, მაგრამ Microsoft Teams არ აქვს სამუშაო პროცესების ავტომატიზაციის ფუნქცია, არ აქვს დოკუმენტების გაზიარების, დამტკიცების, ხელმოწერის ფუნქცია, რაც SharePoint საიტისთვის წარმოადგენს სტანდარტულ ფუნქციას. მისი მეშვეობით ხდება დოკუმენტბრუნვა და ავტომატიზაცია. ელექტრონული დოკუმენტბრუნვის რეალიზაციისათვის არსებობს ჩამოშენებული სამუშაო პროცესების შაბლონები (workflow templates), ხოლო თუ შაბლონით ვერ ხერხდება საჭირო მიზნის მიღწევა, მაშინ საიტის სამუშაო პროცესები აღიწერება "Workflow with SharePoint Designer" სექციაში.

მე-3 ნახაზზე წარმოდგენილია შესასრულებელი სამუშაო პროცესების სია, სადაც აღნიშნულია შემსრულებელი. ნახაზზე ჩანს, რომ ერთი სამუშაო პროცესი შესრულდა, მეორე შესრულების პროცესშია, ხოლო მესამე ჯერ არ დაწყებულა.

Title	Assigned To	Status
ელ.ჭურნალის შევსება	eter gudadze	In Progress
ექსტერნის ტესტები	nino lomidze	Completed
პრინტერის ინვოისის გაფორმება NEW	giuli shengelia	Not Started
საინვენტარიზაციო ოქმის გადახედვა და შედგენა NEW	giuli shengelia	Not Started
საინვენტარიზაციო ოქმის გადახედვა და შედგენა NEW	eka maxashvili	In Progress
საინვენტარიზაციო ოქმის გადახედვა და შედგენა NEW	xatuna takadze	Completed

ნახ. 3. სამუშაო პროცესების სია

მაშასადამე, Microsoft Teams და Microsoft SharePoint არის Web 2.0 პრინციპზე შემუშავებული ვებ-პლატფორმები და საშუალებას გვაძლევს გავაზიაროთ და ავტვირთოთ ჩვენთვის სასურველი ინფორმაცია, გვეხმარება შორს მყოფ უკუკავშირის მიღებაში სასურველ საკითხზე. სწორედ ამიტომ, ასეთი ტიპის საიტებს აქტიურად იყენებენ მარკეტინგსა და ბიზნესში, რათა განავითარონ თავიანთი ბიზნესი და გააუმჯობესონ მომხმარებლებთან ურთიერთობა, თუმცა საკმაოდ სოლიდურია მომსახურების ღირებულება.

### 3. დასკვნა

სტატიაში ვცადეთ წარმოგვედგინა ელექტრონული დოკუმენტბრუნვის ინსტრუმენტების შედარებითი ანალიზი. ბუნებრივია, ორგანიზაციებმა თვითონ უნდა გადაწყვიტონ რომელი პლატფორმა არის მათთვის მისაღები მათი ფუნქციებისა და ღირებულების გათვალისწინებით.

ლიტერატურა - References - Литература:

1. დოკუმენტრუნვის ელექტრონული სისტემა, <http://www.csb.gov.ge/ge>
2. თოფურია ნ. (2017). ბიზნეს-პროცესების ავტომატიზაციი SharePoint Server-ის ბაზაზე“. მონოგრაფია, თბილისი.
3. Londer O.. (2016). Penelope Coventry Microsoft SharePoint. Step by Step
4. Cloud technologies - <http://cloudtechinc.com/>

**ELECTRONIC DOCUMENT MANAGEMENT TOOLS  
IN THE ORGANIZATION**

Topuria Nino, Lomidze Nino  
Georgian Technical University

**Summary**

The article discusses tools for electronic document management in the organization - eflow, Microsoft SharePoint and Microsoft Team. The principles of work on each tool are presented, the creation of sites and the principles of electronic document management for specific examples are explained. Each tool is evaluated demonstrating advantages and disadvantages.

**თვითმმართველი ქალაქის ბიუჯეტის დაგეგმვაში ექსპერტულ  
შეფასებათა მეთოდების გამოყენება და ბიზნესპროცესების  
უნიფიცირებული მოდელირება**

მამუკა მიქაუტაძე, გია სურგულაძე, თინათინ კაიშაური

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
[mamukamikautadze1974@gmail.com](mailto:mamukamikautadze1974@gmail.com), [g.surguladze@gtu.ge](mailto:g.surguladze@gtu.ge), [kaishauri@mail.ru](mailto:kaishauri@mail.ru)

**რეზიუმე**

განხილულია თვითმმართველი ქალაქების მდგრადი ეკონომიკური განვითარების მიზნით საბიუჯეტო დაგეგმვისა და მონიტორინგის სისტემის სრულყოფის საკითხი უახლესი ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების საფუძველზე. კერძოდ, შემოთავაზებულია ასეთი სისტემის მხარდაჭერი პროგრამული უზრუნველყოფის შექმნის კონცეფცია, ამ პროცესში მონაწილეობენ ბიზნეს-ანალიტიკოსი (პროექტის მენეჯერი) და ექსპერტები (ორგანიზაციის სპეციალისტები. რომლებიც უშუალოდ მონაწილეობენ ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში). პრობლემა მდგომარეობს ექსპერტთა ცოდნის მოპოვებასა და მის დამუშავებაში, რომლის შედეგები აისახება ავტომატიზებული სისტემის მონაცემთა საცავში. სტატიაში წარმოდგენილია თვითმმართველი ქალაქის ბიუჯეტის დაგეგმვის საინფორმაციო სისტემის მონაცემთა საცავის აგების ამოცანა. ცოდნის მიღების მიზნით გამოიყენება ექსპერტულ შეფასებათა მეთოდები. ქალაქის ბიუჯეტის დაგეგმვის სისტემის სრულყოფა უზრუნველყოფს უკეთესი გადაწყვეტილების მიღებას.

**საკვანძო სიტყვები:** ქალაქი. ბიუჯეტი. დაგეგმვა. ინფორმაციული ტექნოლოგიები. ექსპერტული შეფასება. მოდელირება. მონაცემთა საცავი. პროგრამული სისტემა.

**1. შესავალი**

ქვეყნის ეკონომიკის სტაბილური განვითარებისათვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა ეფექტიანი პოლიტიკის ფორმირება და ფუნქციონირება. მისი მიღწევა შესაძლებელია ქვეყანაში არსებული საბიუჯეტო სისტემის სრულყოფით. ამისათვის კი საჭიროა პრობლემური საკითხების შესწავლა-განალიზებითა და მათი გადაჭრისათვის საჭირო ღონისძიებების შემუშავება. აუცილებელია ასევე ამ

სფეროში დაგროვილი ცოდნის გაანალიზება, შესაბამისი საბიუჯეტო სისტემის ფუნქციონირებისას არსებული ხარვეზების გათვალისწინება, რათა სამომავლოდ თავიდან იქნეს აცილებული მათი ხელახალი განმეორება. ასეთი ცოდნა აკუმულირებულია საბიუჯეტო სისტემის (გეგმების) აგების სპეციალისტებში. სწორედ ისინი მოიაზრებიან ექსპერტებად და მათი ცოდნისა და შეფასებების ფორმალიზაცია და ტრანსფორმაცია შეადგენს ჩვენი პროექტის პირველ ეტაპს, რათა აგებულ იქნას თვითმმართველი ქალაქის საინფორმაციო სისტემა [1-3].

როგორც ცნობილია, თვითმმართველი ქალაქებია: თბილისი, რუსთავი, ქუთაისი, ფოთი და ბათუმი. ჩვენ წარმოდგენილ ნაშრომში გაანალიზებულია ქალაქ რუსთავის ბიუჯეტის 2014-2016 წლის შედეგები.

თვითმმართველი ქალაქების ფინანსური რესურსების მაქსიმალურად ეფექტიანად და მიზნობრივად ხარჯვის მიზნით, საბიუჯეტო პროცესი საჭიროებს დახვეწასა და სრულყოფას. ამ პრობლემის მოსაგვარებლად აუცილებელია, თანამედროვე ტექნოლოგიების, მეცნიერული მეთოდებისა და რეკომენდაციების შემუშავება. ჩვენი კვლევა სწორედ ამ პრობლემის გადაჭრას ემსახურება და იგი ეხება თვითმმართველი ქალაქის ბიუჯეტის დაგეგმვისა და შესრულების ავტომატიზებული კონტროლის სისტემის დამუშავებას და გამოყენებას [4,5].

ავტომატიზებული კონტროლის სისტემა უზრუნველყოფს: ფინანსების მართვის გამჭვირვალობას, საბიუჯეტო ხარჯების მიზნობრიობისა და ეფექტიანობის დონის ამაღლებას; ბიუჯეტის წლიურ და საშუალოვადიან პროგნოზებს; სტრატეგიული დაგეგმვისა და მიმდინარე ხარჯების გეგმებს შორის მჭიდრო ურთიერთკავშირს; ბიუჯეტიდან კონკრეტულ შედეგებზე ორიენტირებული ხარჯებისა და პროგრამების დაფინანსების კონტროლს; ბიუჯეტის ხარჯების დაფინანსებისას საბიუჯეტო ხარჯების სოციალური ორიენტაციის გაძლიერებას; რეალური სექტორის განვითარებისათვის ხელშეწყობას; საბიუჯეტო ხარჯების ინვესტიციური ორიენტაციის გაძლიერებას; სახელმწიფო ინვესტიციური პოლიტიკის პრაქტიკული რეალიზების ყოველმხრივ განვითარებას; საბიუჯეტო ინვესტიციების ეფექტიანობის ამაღლებას და სხვ.

## 2. ძირითადი ნაწილი


ცოდნის მოპოვების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყარო საკვლევი ობიექტის სპეციალისტები, ანუ ექსპერტებია. ექსპერტულ შეფასებათა მოპოვებისა და დამუშავების ავტომატიზებული სისტემის ძირითადი მიზანია ორგანიზაციების სტრატეგიული განვითარების გეგმების (ჩვენ შემთხვევაში, საბიუჯეტო დაგეგმვა) შედეგების პროცესის ავტომატიზაცია. თვით ასეთი გეგმების ოპტიმალური ან „უკეთესი“ ვარიანტების შერჩევას აქვს გლობალური მიზანი - ესაა ორგანიზაციის მუშაობის ეფექტიანობის ამაღლება (სწორი დაგეგმვის გზით). ამ საკითხებს ყოველთვის განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა და ექცევა როგორც საზღვარგარეთ, ასევე ჩვენ ქვეყანაში [2].

ასაგები სისტემის ძირითადი მოთხოვნები შეიძლება ასე ჩამოვყალიბოთ: - შეიქმნას ბიზნეს-ანალიტიკოსის (კონსულტანტის) ავტომატიზებული სამუშაო ადგილი (სერვერზე, ან ცალკე კლიენტის სახით). აიგოს მონაცემთა საცავი (განაწილებული ბაზის საფუძველზე), ორგანიზაციის ხელმძღვანელებისა და სპეციალისტების ცოდნის ამსახველი ინფორმაციით (კლიენტების სახით). შეიქმნას ალგორითმული და პროგრამული პაკეტი, რომლებიც შეაჯერებს ექსპერტულ შეფასებათა შედეგებს და გამოიმუშავებს კოლექტიურ გადაწყვეტილებებს. მოხდება ამ გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში გატარების ღონისძიებათა შემუშავება და მათი დანახარჯების ანალიზი და შეფასება. აიგება კონსულტანტისა და ექსპერტების სამუშაო ადგილების ინტერფეისული პროგრამები [3].

ამგვარად, თვითმმართველი ქალაქის ხელმძღვანელობა და მთავარი სპეციალისტები თვითონ არიან ექსპერტები, ეხმარებიან კონსულტანტს საბოლოო გადაწყვეტილებათა მოძებნაში. კონსულტანტს აქვს მეთოდოლოგია, თუ როგორ წარმართოს მუშაობა ექსპერტებთან. ეს მეთოდოლოგია გულისხმობს ობიექტის კვლევისათვის სისტემური მიდგომისა და ექსპერტულ შეფასებათა მეთოდების გამოყენებას [6].

ამერიკელი მეცნიერები ეკონომიკური დაგეგმვისა და ფორმების მუშაობის კონსულტირების სფეროში, რობერტ აბრამსონი და უოლტი ჰალსეტი გთავაზობენ ოთხეტაპიან მოდელს ორგანიზაციის გამოსაკვლევად და სტრატეგიული ღონისძიებების შესადგენად (ნახ.1) [2].

ბიუჯეტის გეგმის (ბიზნეს-პროგრამის) ექსპერტულ შეფასებათა გადაწყვეტილების მიღების მხარდამჭერი ავტომატიზებული სისტემა ემსახურება ორგანიზაციის განვითარების (სტრატეგიული) გეგმის სწორად ჩამოყალიბებას. ალტერნატიული ბიზნეს-პროგრამებიდან უკეთესის შერჩევას. ამგვარად, სისტემის საბოლოო პროდუქტი ორგანიზაციის განვითარების სტრატეგიული გეგმაა, რომელიც კომპიუტერშია ჩადებული თავისი პროგრამული პაკეტითა და ინფორმაციული ბაზებით და რომელსაც სისტემა ინფორმაციის სახით მიაწვდის გადაწყვეტილების მიმღებს.



ნახ.1. სტრატეგიული დაგეგმვის ოთხეტაპიანი სქემა

ექსპერტულ შეფასებათა სხვადასხვა მეთოდი და ხერხი არსებობს [6]. მათ შორის „ჯგუფურ მეთოდს“ მიეკუთვნება ექსპერტების „ერთობლივი მუშაობის“ ხერხი, რომლის საფუძველზე მიიღება ჯამური შეფასება მთლიანი ჯგუფის მიერ. ჯგუფურ მეთოდის მაგალითია „დელფის“ მეთოდი - ესაა ინდივიდუალურ შეფასებათა შედეგების თანმიმდევრობითი გაცნობა თითოეული ექსპერტის მიერ [6].

„დელფის“ მეთოდის ძირითადი პრინციპები მდგომარეობს ექსპერტების ანონიმურ გამოკითხვაში მათი ურთიერთზეგავლენის მოხდენის გამორცხვის მიზნით. უკუკავშირი ექსპერტების ჯგუფის მართვის პროცესის განსახორციელებლად წარმოებს მათი შეფასებების გადამუშავების შედეგად მიღებული ინფორმაციის ერთად განხილვის საშუალებით. პროცესს წარმართავს კონსულტანტ-ანალიტიკოსი. ამ მეთოდის მიზანი არაა ექსპერტთა შეხედულების სრული დამთხვევა. მომდევნო ეტაპის გამოკითხვის შედეგების ანალიზი უჩვენებს მათი შეხედულებების დაახლოებაზე, მაგრამ, არა სრულ დამთხვევაზე, გამოკითხვა რამდენიმე ტურად მიმდინარეობს [6].

დიდი ინფორმაციული ნაკადებისა და მათი დამუშავების მცირე დროის პირობებში (ან არასრული ინფორმაციისას) განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებას. ჩვენი მიზანია ექსპერტულ შეფასებათა ავტომატიზებული დამუშავების პროგრამული პაკეტის შექმნის კონცეფციის შემუშავება თვითმმართველი ქალაქების საბიუჯეტო დაგეგმვისათვის.

დასმული ამოცანა უნდა გადაწყდეს ობიექტ-ორიენტირებული და უნიფიცირებული მეთოდების საფუძველზე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აქ მოდელირების UML (Unified Modeling Language) ტექნოლოგიის გამოყენება [1,3]. რთული პროგრამული პაკეტების დაპროექტებისა და რეალიზაციის CASE-მეთოდებით შესაძლებელია ჯგუფური გადაწყვეტილების მიღების მხარდამჭერი ავტომატიზებული სისტემების დამუშავება, რაც განსაკუთრებით აქტუალური ამოცანაა.

### 3. დასკვნა

თვითმმართველი ქალაქების მდგრადი ეკონომიკური განვითარების მიზნით აუცილებელია საბიუჯეტო დაგეგმვისა და მონიტორინგის სისტემის სრულყოფა უახლესი ინფორმაციული ტექნოლოგიების საფუძველზე. სტრატეგიული დაგეგმვის მხარდამჭერი სისტემის პროგრამული

უზრუნველყოფის შექმნის პროცესში მნიშვნელოვანია ორგანიზაციის სპეციალისტების (ექსპერტები) და ბიზნეს-ანალიტიკოსის მონაწილეობა. ექსპერტთა ცოდნის მოპოვებისა და მისი დამუშავების პროცესის შედეგები განთავსებულ უნდა იყოს ავტომატიზებული სისტემის მონაცემთა საცავში. თვითმმართველი ქალაქის ბიუჯეტის დაგეგმვის საინფორმაციო სისტემის მონაცემთა საცავის აგების ამოცანის გადაწყვეტა, ცოდნის მიღების მიზნით ექსპერტულ შეფასებათა მეთოდების გამოიყენება უზრუნველყოფს ქალაქის ბიუჯეტის დაგეგმვის სისტემის სრულყოფას უკეთესი გადაწყვეტილების მიღებისა და შეფასების საფუძველზე.

#### ლიტერატურა - References - Литература:

1. ჩოგოვაძე გ., ფრანგიშვილი ა., სურგულაძე გ. (2017). მართვის საინფორმაციო სისტემების დაპროგრამების ჰიბრიდული ტექნოლოგიები და მონაცემთა მენეჯმენტი. მონოგრ., ISBN 978-9941-20-790-7. სტუ. „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი, -1001 გვ.
2. Абрамсон Р., Халсет У. (1987). Повышение эффективности работы предприятия с помощью планирования. Пер. с англ., Тбилиси
3. ფრანგიშვილი ა., სურგულაძე გ., ვაჭარაძე ი. (2009). ბიზნეს-პროგრამების ექსპერტულ შეფასებებში გადაწყვეტილებათა მიღების მხარდამჭერი მეთოდები და მოდელები. მონოგრ., ISBN 978-9941-14-450-9. სტუ. „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი.
4. საქართველოს კანონი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესახებ. (2006). საქართველოს პარლამენტი. სარეგისტრ-კოდი: 190.020.020.05.001.002.246. ელ-რესურსი: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/26332?publication=5> (გადამოწმ. 08.2018)
5. საქართველოს ორგანული კანონი. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი (2014). საქართველოს პარლამენტი. სარეგისტრ-კოდი: 010250000.04.001.016100. ელ-რესურსი: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2244429?publication=36> (გადამოწმ. 08.2018)
6. ბუკია გ., სურგულაძე გ., დოლიძე თ., შარაშიძე ბ., შონია ო. (1990). ექსპერტთა შეფასებების დამუშავება PC-ზე. სახ.მეურნ.მართვის ინსტიტუტი, მეცნიერების და ტექნიკის კომიტეტი. თბილისი.

### USING EXPERT ASSESSMENT METHODS IN PLANNING SELF-ADMINISTERED CITY BUDGETS AND UNIFIED MODELING OF THEIR BUSINESS-PROCESSES

Mikautadze Mamuka, Surguladze Gia, Kaishauri Tinatin

Georgian Technical University

[mamukamikautadze1974@gmail.com](mailto:mamukamikautadze1974@gmail.com), [g.surguladze@gtu.ge](mailto:g.surguladze@gtu.ge), [kaishauri@mail.ru](mailto:kaishauri@mail.ru)

#### Summary

The issue of improving the system of budget planning and monitoring of sustainable economic development of self-governing cities on the basis of using the latest information technologies is considered. In particular, it is proposed to create the concept of building software for decision support system. In this process, the business analyst (project manager) and experts (experts of the organization who are directly involved in the budget planning process) participate. The problem is the acquisition of expert knowledge and their processing, the results of which are placed in the data warehouse of the automated system. The article presents the task of creating a data warehouse for the information system of budget planning of a self-governing city. With the purpose of acquiring knowledge used methods of expert estimates. Improving municipal budget planning system ensures better decision-making.

# საინფორმაციო ტექნოლოგიების როლი ცოდნის მართვაში

ლილი პეტრიაშვილი<sup>1</sup>, ქეთევან არევამე<sup>2</sup>,  
ემელიანე გოგილიძე<sup>1</sup>, ცირა ელგენდარაშვილი<sup>1</sup>

1-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

2 - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

[l.petriashvili@gtu.ge](mailto:l.petriashvili@gtu.ge), [keteva.arevadze.3@gmail.com](mailto:keteva.arevadze.3@gmail.com), [emelianegogilidze@yahoo.com](mailto:emelianegogilidze@yahoo.com),  
[c.elgendarashvili@gtu.ge](mailto:c.elgendarashvili@gtu.ge)

## რეზიუმე

განხილულია საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების საკითხები ორგანიზაციული და ინსტიტუციური მართვის მიზნით, როგორც ერთ-ერთი ეფექტური და მნიშვნელოვანი მეთოდი, ახალი შესაძლებლობების აღმოჩენა ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების გარეშე შეუძლებელია. ორგანიზაციის წარმატებისათვის მნიშვნელოვანია ბიზნესპროცესებში ტექნოლოგიური სიახლეების გამოყენება, რათა კონკურენტულ გარემოში არ დაკარგოს აქტუალურობა.

**საკვანძო სიტყვები:** ცოდნის მენეჯმენტი. ექსპლიციტური ცოდნა. SECI. სოციალიზაცია. ინტერნალიზაცია. ექსტერნალიზაცია.

## 1. შესავალი

ინფორმაციული სისტემა არის ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით სხვადასხვა პირებს/სტრუქტურებს შორის დაგროვილი ცოდნის თავმოყრის და ახალი ცოდნის შექმნის საშუალება. სისტემა აღწერს ცოდნის მენეჯმენტის ისტრუმენტებს, რომელთა გამოყენებით შესაძლებელი ხდება ბიზნესპროცესებში ჩართული მხარეების კოლობორაცია და კომუნიკაცია. ინფორმაციული სისტემა არაფერია ცოდნის მენეჯმენტის გარეშე. ცოდნის მენეჯმენტი მოიცავს სხვადასხვა ტიპის ფაქტებს, მონაცემებს, რომლებიც განთავსებულია ინფორმაციულ მატერიალურ ან ელექტრონულ საცავებში. ეს მონაცემები მაშინ გარდაიქმნება ინფორმაციად, როდესაც გამოყენებული იქნება გარკვეულ პროცესებში, აღნიშნული კონკრეტული ინდივიდების გონებაში კიდევ ერთხელ გადამუშავდება და განსხვავებული ინტერპრეტაციით ჩამოყალიბდება როგორც ცოდნა. ცოდნა ეს არის მონაცემების/ფაქტების ერთობლიობა, რომელიც ინდივიდების გონებაში მათი მოთხოვნების შესაბამისად განახლებულად ფორმირდება.

## 2. ძირითადი ნაწილი


ცოდნის მენეჯმენტს განმარტავენ, როგორც სტატიკური ცოდნის შექმნის, თავმოყრის, გაზიარების და ბიზნეს პროცესებში გამოყენების საშუალებას, ასევე არსებობს მოსაზრება, რომ ცოდნის მენეჯმენტი არის კომპეტენტური ადამიანებისგან ინფორმაციის მიღების პროცესს, რომელიც ორგანიზაციული პროცესების გადაწყვეტილების მიღებისთვის გამოიყენება. მიუხედავად განსხვავებული ხედვისა ორივე მხარის მიზანი ერთია, ესაა: კონკურენტულ ბაზარზე უპირატესობის მოსაპოვებლად ორგანიზაციაში არსებული ცოდნის გამოიყენება [1]. ჩნდება კითხვა, საიდან მოდის ცოდნა? ფინანსური ბალანსების „შიტებიდან“, რომელიც დაფუძნებულია მატერიალურ კაპიტალზე? ზუსტი პასუხი არ არსებობს, თუმცა, ეს არის ის რასაც საქონლის ბაზრის ინვესტორები ეძებენ, როდესაც კომპანიის საბაზრო ღირებულების აწევა სურთ. ისინი კომპანიის ფულად ნაკადებს ეძებენ განსაკუთრებულ ცოდნაში. ორგანიზაციაში ცოდნის მუდმივი მოძრაობა, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება და მართვის სწორი მეთოდები ეს არის ის ჩამონათვალი რასაც ინვესტორები პრიორიტეტს ანიჭებენ.

გასულ წლებში პრიორიტეტი ენიჭებოდა სამეცნიერო ცოდნას. ცოდნის მოძრაობის შედეგად, დღეს, აქტიურად მუშაობენ ხელოვნური ინტელექტის განვითარებაზე. ცოდნის განვითარება მჭიდროდაა დაკავშირებული ადამიანის განვითარებაზე. ერთმანეთისგან განარჩევენ ექსპლიციტურ და ტაქტიკურ ცოდნას. 1-ელ ნახაზზე წარმოდგენილია ცოდნის მოძრაობის ტაქტიკური და ექსპლიციტური სტრუქტურა.



ცოდნის ექსპლიციტური ცოდნა არის ცოდნა რომლის ვერბალიზაცია შესაძლებელია. აღნიშნული ცოდნის ნახვა შესაძლებელია ორგანიზაციის დოკუმენტებში, როგორცაა: რეპორტები, სტატიები, ანგარიშები, სახელმძღვანელოები და სხვა. ტაქტიკური ცოდნა არის ცოდნა რომელიც კონკრეტულ პიროვნებას გააჩნია. მისი გაზიარება შესაძლებელია მხოლოდ პირისპირ კომუნიკაციისას [2].

ნახ.1



რეალურად, ორგანიზაციისათვის ექსპლიციტური და ტაქტიკური ცოდნა ორივე თანაბრად მნიშვნელოვანია. ტაქტიკური ცოდნა თანამშრომლებს შორის პრაქტიკული ცოდნის გაზიარებისთვის გამოიყენება, ხოლო ექსპლიციტური ცოდნა განსაზღვრავს ორგანიზაციის იდენტურობას, კომპეტენციას და ინტელექტუალურ აქტივს. ის არის ორგანიზაციის ძირითადი აქტივი, თუმცა მისი ზრდა დამოკიდებულია მრავალფეროვან ტაქტიკურ ცოდნაზე [3].

იმისთვის, რომ აღმოვაჩინოთ ახალი ცოდნა, საჭიროა მისი მუდმივი განახლება. წლების მატებასთან ერთად, ცოდნა თავისთავად არ იზრდება. როგორც ინვესტიციის გარეშე შენახული ფულის რაოდენობა არ მოიმატებს და დროთა განმავლობაში ის დაკარგავს თავის მსყიდველებით უნარს. ასევეა ცოდნა. მას მუდმივად სჭირდება გაზიარება, მიღება და გაცვლა, რათა ახალი ცოდნა ჩამოყალიბდეს. არსებული ტაქტიკური ცოდნის ზრდა შესაძლებელია მისი საზოგადოებაში სოციალიზაციით.

ცოდნას აქვს ოთხი განსხვავებული ფაზის სასიცოცხლო ციკლი. ესენია: სოციალიზაცია, ინტერნალიზაცია, ექსტერნალიზაცია და გაერთიანება [4].

სოციალიზაცია ეს არის პირისპირ, დისკუსიის გზით ინფორმაციის გაზიარება, ამ დროს ტაქტიკური ცოდნა ერთი ადამიანიდან გადაეცემა მეორეს. ამ ფაზის დამატებით სარგებელია, ინტერაქციის დროს ცოდნის ახლებური ხედვით დანახვის შესაძლებლობა. ექსტერნალიზაციის ფაზა გულისხმობს პრაქტიკული ცოდნის ვერბალიზებულ გაზიარებას. ეს ფაზა მიიჩნევა ცოდნის შექმნის, ახალი პროცესების აღმოჩენის ფაზად. პრაქტიკული ცოდნის გაზიარებისთვის შესაძლებელია გამოყენებული იქნას: სიტყვები, საუბარი, წერა, ფოტოები, ვიდეო ან მუსიკა. რაც შეუძლებელია ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების გარეშე. მნიშვნელოვანია, ექსპლიციტური კონცეპტები სისტემატიზირებული იქნეს მატერიალური ან ელექტრონული საშუალებების გამოყენებით. ინტერნალიზაცია ნიშნავს სწავლებას სიტყვებისა და საუბრის გარეშე. ამ დროს სოციალური ღირებულებები და იდეები კონკრეტული პირების მიერ აღიქმება როგორც საკუთარი. გაერთიანება ეს არის მარტივი ფორმა, როდესაც კოდიფიცირებული ცოდნის რესურსების გაერთიანებით ხდება ახალი ცოდნის შექმნა [5]. ოთხი განსხვავებული ფაზა ერთი მთლიანი პროცესის ნაწილია. რომელიც ცოდნის შექმნის პროცესის მოდელს წარმოადგენს. მაგ. ცნობილია, რომ კომპანია Nonaka -ს ცოდნის შექმნის SECI (Socialization, Externalization, Combination, Internalization) მოდელი ერთერთი საუკეთესოა, რადგან აღნიშნული ცოდნის სრულ კოდიფიცირებას ანიჭებს უპირატესობას, რომელიც ინდივიდების მიხედვით ნაწილებად ჰყოფს ცოდნას. Nonaka გვთავაზობს ცოდნის შექმნის უნიკალურ მოდელს, რომელიც მოიცავს სამ განსხვავებულ ფაზას, ესენია: SECI მოდელი, BA კონცეპტი და ცოდნის აქტივების ცნება. პრიველი მოდელი გვაწვდის ბაზას, რომელშიც BA აწარმოებს შინაარს და ცოდნის აქტივები ორგანიზაციის სპეციფიკიდან გამომდინარე აყალიბებს ფასეულ ცოდნას. SECI მოდელი არის ცოდნის შექმნის მექანიზმი, რომელის ორ ფუნდამენტურ კომპონენტს წარმოადგენს, შინაარსი და კონტექსტი.

ცოდნის მართვისა და გაზიარების ყველაზე ოპტიმალური საშუალებაა, მისი ავტომატურად მართვა და მიზნობრივად გაზიარება. ეს ნიშნავს, რომ ცოდნის მართვის სისტემას უნდა შეეძლოს გასხვავებულ საფეხურებზე სხვადასხვა პროცესების მართვა. დასაქმებულებს შესაძლებლობა უნდა ჰქონდეთ წარმატებულ გამოცდილებაზე დაყრდნობით შეასრულონ დაკისრებული პასუხისმგებლობა. ამან, თავისი

მხრივ შესაძლოა გამოიწვიოს ახალი პროცესები ცდონაში, რამაც დასაქმებულებს არჩევანის საშუალება მისცეს თავად განსაზღვრონ პროცესების ახალი ნაწილები ან დაამატონ ახალი ქვე პროცესები. სამუშაოს მართვის სისტემის ჩამოყალიბებაში მნიშვნელობანი ადგილი უკავია ორგანიზაციულ მეხიერებას (ინსტიტუციონალური მეხიერება).

ორგანიზაციულ მეხიერებაში შენახულია ინფორმაცია ორგანიზაციის პროდუქტის და მომსახურების შესახებ. აღნიშნული ხელს უწყობს პრაქტიკული ცოდნის დაგროვებას. კორპორატიული მეხიერების მშენებლობა შესაძლებელია არასტრუქტურული გზების გამოყენებით. რომელის შექმნაც იაფი უჯდება ორგანიზაციას. მაგრამ, ასეთი ტიპის საცავებში ხშირად თავს იყრის არასაჭირო ინფორმაცია. ამიტომ, საჭიროა ხშირად გაიფილტროს ინფორმაციულ საცავებში დაგროვილი მონაცემები. განსხვავებული მიდგომა აქვთ ცოდნის ინჟინრებს, რომლებიც კორპორატიული ცოდნის სისტემის შექმნას საექსპერტო სისტემებზე აფუძნებენ. Buckingham Shum გვთავაზობს გზას, რომელიც შეიძლება იყოს განსაკუთრებით ეფექტური ცოდნის ორგანიზებისათვის. კორპორატიული მეხიერების საცავში ინფორმაციის შევსება უნდა განხორციელდეს ჰიპერტექსტების გამოყენებით. აღნიშნული გულისხმობს ორგანიზაციაში სხვადასხვა საფეხურზე მიმდინარე პროცესების აღწერას. თითოეული პროცესის შესახებ ინფორმაციის მარტივი ძიებისათვის გამოყენებული იქნება სამიუბო სიტყვებთან დაკავშირებული ჰიპერლინკები. ინფორმაციულ საცავში ინფორმაციის განთავსებაზე პასუხისმგებელი პირები იქნებიან ცოდნის ინჟინრები. ისინი განათავსებენ ისეთ ცოდნას რომელიც შეეხება კონკრეტულ სიტუაციაში პრობლემის გადაჭრას და პრაქტიკულ საკითხებს. ინფორმაციულ საცავში სასარგებლო ინფორმაციის განსათავსებლას საჭიროა სწორად განისაზღვროს ინფორმაციის მიზნობრიობა და სანდოობა. ექსპლიციტური ცოდნა ხშირად მალავს რეალურ პრობლემებს, რაც შესაძლოა ორგანიზაციული პროცესების შემაფერხებელი მიზეზი გახდეს. ამ გზით, ბაზაში არსებული ინფორმაცია მორგებული იქნება ორგანიზაციის სთეიქჰოლდერებზე. Rösner და სხვები ცოდნის ინჟინერიას მიიჩნევენ ორგანიზაციული მეხიერების შევსების მოტივაციის წყაროდ. თავდაპირველად საჭიროა ინფორმაცია შეივსოს ორგანიზაციის პროდუქტის შესახებ. ისინი ვგაჩვენებენ როგორ შევქმნათ ექსპლიციტური ცოდნა, რომელიც მომავალში ინტეგრირდება ახალ ექსპლიციტურ ცოდნაში. აღნიშნული განავითარებს ტაქტიკურ ცოდნას. ყველაფერი ეს თავს მოიყრის დოკუმენტებში და საჭირო დროს მიზნობრივად გამოიყენებს ორგანიზაციაში დასაქმებული პირები. ინფორმაციულ საცავებში განთავსებული ცოდნის მოძიება სწრაფად უნდა იყოს შესაძლებელი. რისთვისაც საჭიროა განთავსებული ინფორმაცია სწორად იყოს აღწერილი და დაკავშირებული იყოს ჰიპერლინკების საშუალებით. ორგანიზაციაში არსებული საინფორმაციო სისტემის გამოყენება ხელმისაწვდომი უნდა იყოს როგორც მენეჯერებისათვის, ასევე დაბალი რგოლის თანამშრომლებისათვის. ორგანიზაციის ინსტიტუციონალური მეხიერების შევსება შეუძლებელია შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის გარეშე. აღნიშნული კი სამ მნიშვნელოვან ფაქტორს ეფუძნება, ესენია: IT ინფრასტრუქტურა, რომელიც უზრუნველყოფას მონაცემთა ბაზების მართვას, დოკუმენტების მართვას და ბიზნეს პროცესების მხარდაჭერას. ეს ფაქტორები ქმნის კორპორატიული მეხიერების არქიტექტურას, რაც საფუძველს უქმნის ხელოვნური ინტელექტის განვითარებას.

#### ➤ ინფორმაციის გაფილტვრა

ორგანიზაციისთვის საინფორმაციო საცავების შევსება მნიშვნელოვანია, თუმცა არანაკლებ მნიშვნელოვანია გამოუსადეგარი ინფორმაციის გაფილტვრა. დღეს აქტიური მხარდაჭერა აქვს ისეთი ტიპის IT სისტემებს, რომლებიც თავად უზრუნველყოფენ არასაჭირო ინფორმაციის განადგურებას. Sorensen წარმოგვიდგენს ისეთი ტიპის სისტემას, რომელშიც ინდივიდუალურ პირებს საკუთარი პროფაილები ექნებათ. ისინი განსაზღვრვენ გრძელვადიან პერიოდში მათ ინტერესებისათვის საჭირო ინფორმაციას. აე პროფაილები ერთნაირი შინაარსის შეკითხვებს მარტივად გასცემენ პასუხს. პასუხები მორგებული იქნება იუზერების მოთხოვნებს. გარდა ამისა, მომავალში პროფაილები ცოდნის მმართველების მოთხოვნების შესაბამისად განაახლებენ ინფორმაციას. აღნიშნული სისტემა დასმულ შეკითხვას პასუხს მაქსიმალური სიზუსტით უნდა სცემდეს. რისთვისაც საჭიროა სისტემაში განთავსდეს ინფორმაცია კონკრეტული ფაქტებზე დაყრდნობით.

ამ ეტაპზე, უნივერსიტეტების ელექტრონული სისტემა მოიცავს ვებ-გვერდს, რომლიდანაც მხოლოდ ზოგადი ინფორმაციის მიღებაა შესაძლებელი. ახალი, ინფორმაციული სისტემა კი გულისხმობს ვებ-გვერდზე ინტეგრირებულ სისტემას, რომელშიც კონკრეტულ პირებს საკუთარი პროფაილების გამოყენებით შესაძლებლობა ექნებათ იმუშაონ როგორც სტუდენტებმა ან ადმინისტრაციის თანამშრომლებმა. აღნიშნული გამართულად იმუშავებს ისეთი ბიზნეს პროცესების მართვისთვის როგორცაა ფინანსური ანგარიშები, აკადემიური მომსახურება, ელექტრონული სწავლება და საბიბლიოთეკო მომსახურება.

### 3. დასკვნა

ცოდნის მოძრაობა და სწორი მენეჯმენტი ორგანიზაციებს საშუალებას აძლევს არამატერიალური აქტივების სახით მუდმივად შეინარჩუნონ ინტელექტუალური კაპიტალის სწორი ბალანსი. არამატერიალური აქტივებია: დასაქმებულთა კომპეტენცია, ორგანიზაციის შიგა სტრუქტურა, პატენტები, საკუთარი მოდელები, კონცეფციები/პროცესები, ადმინისტრაციული სისტემა, IT ინფრასტრუქტურა, ორგანიზაციის გარე სტრუქტურა, მომხმარებლებთან და მომწოდებლებთან კარგი ურთიერთობა, ბრენდული სახელი, საფირმო ნიშნები და რეპუტაცია. ცოდნის მენეჯმენტში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებას, რომელიც შესაძლებელს ხდის ავტომატურად მართვად რეჟიმში კომპანიებმა მიიღონ მათთვის მნიშვნელოვანი ცოდნა და მოხდეს ამ ცოდნის გაზიარება მიზნობრივად. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კომპანიები ანვითარებენ ცოდნის აუდიტის მეთოდოლოგიას, რაც უზრუნველყოფს ინტელექტუალური ბალანსის საჯაროდ გამოქვეყნებას, რომელიც ხელს უწყობს კომპანიათა მუშაობის გამჭვირვალობას და პარტნიორობისათვის საჭირო მნიშვნელოვანი საიმედოობის კრიტერიუმების განსაზღვრას.

#### ლიტერატურა - References - Литература:

1. Kamani A., Hundewale N. (2016). Technology framework for knowledge activity: a systems thinking approach. 2011 3RD IEEE International Conference on Information Management and Engineering, Presented at the 2016 3RD IEEE International Conference on Information Management and Engineering, Zhengzhou, China, IEEE Computer Society
2. Arif M. Egbu, C. Alom, O., Khalfan M.M.A.(2016). Measuring knowledge retention: a case study of a construction consultancy in the UAE, Engineering, Construction and Architectural Management, 16(1), 92-108
3. <https://www.emeraldinsight.com/doi/abs/10.1108/13673270610670885>
4. Drucker P.F. (2009). Post-Capitalist Society, HarperCollins Publishers, New York, NY. Eisenhardt, K.M., "Building Theories from Case Study Research," Academy of Management Review, 14(4), 1989, 532-550
5. Alavi M., Leidner D.E. (1999). Knowledge Management Systems. Communications of the AIS (1:7). February

## THE ROLE OF INFORMATION TECHNOLOGY IN KNOWLEDGE MANAGEMENT

Lili Petriashvili<sup>1</sup>, Ketevan Aervadze<sup>2</sup>, Emeliani Gogilidze<sup>1</sup>, Tsira Elgendarashvili<sup>1</sup>

1-Georgian Technical University

2-Ilia State University

### Summary

Knowledge movement and correct management allow organizations to maintain intact equity balance in the form of intangible assets. Intangible assets are: competence of employees, internal structure of organization, patents, own models, concepts / processes, administrative system, IT infrastructure, external structure of organization, good communication with customers and suppliers, brand name, trademarks and reputation. Knowledge management plays an important role in the use of information technology that makes it possible for companies to get a better understanding of their knowledge and to share this knowledge with the purpose. Taking into consideration all of the above, companies are developing the knowledge audit methodology that provides public disclosure of intellectual balance that facilitates transparency of the work of companies and determines the critical reliability criteria required for partnership.

## მოდელის გამოყენება სასწავლო პროცესში

ლელა ტაბაროკიშვილი, ნინო ახალკაცი  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
l.tabarokishvili@gmail.com

### რეზიუმე

განხილულია მრავალნიშნა რიცხვების გამოკლება მათი პოზიციური ჩაწერის პრინციპის გამოყენებით. მოდელების გამოყენებით ნაჩვენებია პოზიციური ათობითი თვლის სისტემის მოხერხებულობა და მექანიკური მოქმედებების აღმნიშვნელი, ტერმინების „ვისესხო“, „ავილოთ“ ჩანაცვლება შეგნებულ სწავლებაზე დაფუძნებული ტერმინით - „სათანრიგო ციფრთა გარდაქმნა“, ან „ციფრთა გარდაქმნა“. ექსპერიმენტულმა კვლევამ გვიჩვენა, რომ შედეგი დადებითია - მოსწავლეები მექანიკურად აღარ ასრულებენ ქვეშიწერით გამოკლების მოქმედებას.

**საკვანძო სიტყვები:** სათანრიგო ციფრთა გარდაქმნა, „ციფრთა გარდაქმნა“, „სასწავლო საქმიანობა“, მოდელების შექმნა, ფორმალიზაცია, რეალიზაცია, ინტერპერტაცია.

### 1. შესავალი

მოდელის გამოყენების რეალიზება, კერძოდ მათემატიკის სწავლების შემთხვევაში, უნდა აღინიშნოს რომ, დაზუსტებას საჭიროებს. სახელდობრ, იკვეთება ტენდენცია მეთოდური საკითხების ზოგად პედაგოგიური საკითხებით შეცვლის სწავლების პროცესში. ცნება „სასწავლო საქმიანობა“ მეთოდოლოგიაში შედარებით ნაკლებადაა შესწავლილი, სადაც მას კონკრეტული სასწავლო საგნის თავისებურებებით განპირობებული სპეციფიკა გააჩნია. ამასთან დაკავშირებით, იმ რიგი კერძო საკითხების აქტუალიზებას ახდენენ, რომლებიც ხელს უწყობს სასწავლო საქმიანობის ფორმირების ზოგად სასწავლო უნარებისა და პიროვნული თვისებების ჩამოყალიბებას მათემატიკის სწავლების პროცესში. მათი გადაწყვეტა დამოკიდებულია იმ საშუალებების შერჩევაზე, რომლებიც უზრუნველყოფს:

1. მოსწავლეთა ზოგად ინტელექტუალურ განვითარებას;
2. აზროვნებისა და შემეცნებითი საქმიანობების წესების ათვისებას;
3. საგნისადმი და სასწავლო საქმიანობისადმი ინტერესის აღძვრას.

### 2. ძირითადი ნაწილი

სასწავლო საქმიანობის სუბიექტის ფორმირების ერთ-ერთ ფაქტორად შეიძლება განვიხილოთ საგნის შინაარსობრივი განახლება და მათემატიკის კურსის პროგრამაში ისეთი კომპონენტების ჩართვით, რომლებიც ტრადიციული კურსის ფარგლებს გარეთ გადის და მოსწავლეთა შესაძლებლობებს აფართოებს ცოდნის ათვისების, სხვადასხვა მათემატიკური იდეის ილუსტრირებისა თუ მათემატიკური მეთოდების სილამაზის ჩვენების საქმეში. სასკოლო განათლების სპეციალისტთა ყურადღება მიმართულია საამოცანო მასალის მოდერნიზებისაკენ, რომლებიც უკავშირებენ მოდელების შექმნასა და გამოყენებას.

ადამიანი თავის სამეცნიერო, საგანმანათლებლო, ტექნოლოგიურ და მხატვრულ საქმიანობაში მუდმივად ქმნის და იყენებს გარემომცველი სამყაროს მოდელებს. მოდელები საშუალებას გვაძლევს, თვალსაჩინოდ წარმოვიდგინოთ ობიექტების ფორმები და პროცესები, განსაკუთრებით კი ისინი, რომელთა უშუალოდ დანახვა და წარმოდგენა შეუძლებელია. მოდელები როგორც თვალსაჩინოება ხშირად გამოიყენება სასწავლო პროცესში, ამის მაგალითს ჩვენ ქვემოთ ვიხილავთ.

მოდელირება - მოდელების შექმნასა და კვლევას მოიცავს. მოდელი - ეს არის ახალი ობიექტი, რომელიც ასახავს შესასწავლი ობიექტების, მოვლენებისა და პროცესების არსებით თავისებურებებს. ერთსა და იმავე ობიექტს შეიძლება ჰქონდეს მრავალი მოდელი, ხოლო სხვადასხვა ობიექტი შეიძლება ერთი და იმავე მოდელით იყოს წარმოდგენილი.

ანიმაციის გამოყენებით ფორმალური ფიზიკური მოდელების ვიზუალიზაციისას შესაძლებელია პროცესის დინამიკის ჩვენება, ფიზიკური სიდიდეების ცვლილებების გრაფიკების აგება და ა.შ. ვიზუალური მოდელები, როგორც წესი, ინტერაქტიულია, ანუ მკვლევარს შეუძლია, პროცესების

მიმდინარეობისას ცვალოს საწყისი პირობები და პარამეტრები და დააკვირდეს მოდელების ქცევაში მომხდარ ცვლილებებს. კომპიუტერზე მოდელების შემუშავების პროცესი და მათი კვლევა რამდენიმე ეტაპიან შედგება (ცხრ.1):

ცხრ.1

მოდელები	პროგრამული საშუალებები
ტექსტები	ტექსტური რედაქტორი
ნახატები	გრაფიკული რედაქტორი
ცხრილები, გრაფიკები, დიაგრამები	ელექტრონული ცხრილები
ალგორითმები (ალგორითმი ამოცანის ამოხსნის დინამიკური მოდელია)	პროგრამირების საპროცედურო ენები (ბეისიკი, პასკალი და სხვ.)

1. ამოცანის დასმა – მოდელირების ობიექტის განსაზღვრა; აღწერილობითი ინფორმაციული მოდელის აგება;


2. ფორმალიზაცია, ანუ მათემატიკურ მოდელებზე გადასვლა და კომპიუტერული მოდელის შექმნა;
3. კომპიუტერული ექსპერიმენტის დაგეგმვა და ჩატარება;
4. მიღებული შედეგების ანალიზი, ინტერპრეტაცია და საკვლევო მოდელის კორექტირება.

ახალი მიდგომები და მეთოდები ააქტიურებს მოსწავლის დამოუკიდებელ, კვლევით, პრაქტიკულ საქმიანობას, რაც, თავის მხრივ, კიდევ ერთხელ ამტკიცებს ცხოვრებისეულ სიბრძნეს: “მითხარი და დამავიწყდება, მანახე და დავიმახსოვრებ, გამაკეთებინე და მეცოდინება”. თუ ამ მიდგომას მივყვებით ჩვენ შეგვიძლია ძალიან მარტივად და ნათლად ავუხსნათ მოსწავლეს მათემატიკის დაწყებით სასკოლო კურსში მნიშვნელოვანი წერით (ქვეშმიწერით) გამოკლება, რომელის შესწავლაც მნიშვნელოვნად აადვილებს გამოკლების მოქმედებათა შესრულების წერით ალგორითმს. იხ. მათ. III-IV კლ.

სტატიაში ჩვენი სურვილია გაგიზიაროთ მრავალნიშნა რიცხვების გამოკლების მოქმედებათა შესრულების გამოცდილება, წერითი ალგორითმის შესახებ ახალი ჩვენეული მეთოდური მიდგომა.

მრავალნიშნა რიცხვების წერითი გამოკლებისას რიცხვებს ვწერთ ქვეშმიწერით შესაბამისი თანრიგების მიხედვით. რიცხვების გამოკლებას ვიწყებთ ერთეულების ციფრების გამოკლებით და ვაგრძელებთ თანმიმდევრობით: ათეულების ციფრების გამოკლებით, ასეულების ციფრების გამოკლებით და ა.შ. მიღებულ ციფრებს ვწერთ სხვაობის შესაბამის თანრიგებში,

$$\begin{array}{r}
 7 \quad 2 \quad 6 \\
 - \quad 5 \quad 2 \quad 3 \\
 \hline
 2 \quad 0 \quad 3
 \end{array}$$



თუ შესაბამისი სათანრიგო ციფრების გამოკლებისას საკლების რომელიმე სათანრიგო ციფრი ნაკლებია მაკლების შესაბამის სათანრიგო ციფრზე, მაშინ საკლების ეს ციფრი უნდა გაიზარდოს ამავე რიცხვის მომდევნო სათანრიგო ციფრის გამოყენებით.

ქვემოთ ჩვენ შემოგთავაზებთ ამ პროცესის აღწერას: როგორც ვიცით, რიცხვის ყოველი თანრიგის 10 სათანრიგო ერთეული არის მომდევნო თანრიგის 1 სათანრიგო ერთეული და პირიქით, ყოველი თანრიგის 1 სათანრიგო ერთეული (გარდა ერთეულების თანრიგისა) არის მისი წინა თანრიგის 10 სათანრიგო ერთეული. ვიცით, რიცხვში 758 ციფრი 7 აღნიშნავს ასეულების რაოდენობას, 5 - ათეულების რაოდენობას, 8 - ერთეულების რაოდენობას (ნახ.2).

ნახ.2

რადგან 5 ათეული (5=4+1) არის 4 ათეულისა და 1 ათეულის ჯამი, ხოლო 1 ათეული არის 10 ერთეული, ამიტომ მოცემული რიცხვი შეიძლება წარმოვადგინოთ, როგორც 7 ასეული, 4 ათეული და 18 ერთეული (ნახ.3).



დ) სათანრიგო ციფრის გარდაქმნის შემდეგ, მისი მომდევნო თანრიგის ციფრი მცირდება ერთით.

2. რიცხვი 6240 შეიძლება დავშალოთ, როგორც: 6 ათასეული, 2 ასეული, 3 ათეული და

ა) 1 ერთეული; ბ) 10 ერთეული; გ) 10 ასეული; დ) 1 ათასეული.

3. რიცხვი 5032 შეიძლება დავშალოთ, როგორც: 4 ათასეული, \_\_\_\_\_, 3 ათეული, 2 ერთეული.

გამოტოვებულია

ა) 0 ასეული; ბ) 1 ასეული; გ) 10 ასეული; დ) 100 ასეული.

4. რიცხვი დაშალეს გარდაქმნით: 1 ასეული; 8 ათეული; 12 ერთეული. სტანდარტული ფორმით ეს რიცხვი ჩაიწერება:

ა) 1812; ბ) 912; გ) 192; დ) 182

5. რიცხვი დაშალეს გარდაქმნით: 6 ათეულ ათასეული, 9 ათასეული, 9 ასეული, 9 ათეული და 10 ერთეული. სტანდარტული ფორმით ეს რიცხვი ჩაიწერება:

ა) 69991; ბ) 70000; გ) 699910; დ) 60000.

6. დააკვირდით გრაფიკულ გამოსახულებას და უპასუხეთ, რომელი თანრიგია გარდაქმნილი?

7. როგორ დაიშლება რიცხვი 391 ერთეულის ციფრის გარდაქმნის შედეგად?

8. გამოსახეთ გრაფიკულად რიცხვში 45293 ასეულის ციფრის გარდაქმნა.

9. გამოსახეთ გრაფიკულად რიცხვში 9027 ათეულის ციფრის გარდაქმნა.

10. ჩაწერეთ:

1) ხუთნიშნა რიცხვი, რომელშიც ასეულისა და ათასეულის ციფრები ნულია.

2) ათეულის ციფრის გარდაქმნის სდეგად მიღებული თანრიგები.

**დავალების პასუხები:** 1. ჭეშმარიტია: ა) და ბ) 2. ბ) 3. გ) 4. გ) 5. ბ) 6. ათეული 7. 3 ასეული, 8 ათეული, 11 ერთეული. 10. დავალება ღია ტიპისაა, ამიტომ მისაღებია მოსწავლის მიერ მოფიქრებული ყველა შესაბამისი ხუთნიშნა რიცხვი.

### 3. დასკვნა

მრავალნიშნა რიცხვების გამოკლება განვიხილეთ რიცხვების პოზიციური ჩაწერის პრინციპის გამოყენებით და აღვწერეთ მოდელების გამოყენებით, რითაც კიდევ ერთხელ ვაჩვენეთ პოზიციური ათობითი თვლის სისტემის მოხერხებულობა და მექანიკური მოქმედებების აღმნიშვნელი, ე.წ. დღემდე მთავარი ტერმინები „ვისესხოთ“, „ავილოთ“, რომლის თქმას და დაფიქსირებას ვერიდებით პედაგოგები შევცვალებთ შეგნებულ სწავლებაზე დაფუძნებული ტერმინით - „სათანრიგო ციფრთა გარდაქმნა“, ან მოკლედ ვიტყვიტ მოვახდინოთ „ციფრთა გარდაქმნა“. გამოცდილებამ გვაჩვენა, რომ შედეგი დადებითია - მოსწავლეები მექანიკურად აღარ ასრულებენ ქვეშმიწერით გამოკლების მოქმედებას.

#### ლიტერატურა - References - Литература:

1. ბლიაძე მ. (2015). მასწავლებელი. ინტერნეტ ჟურნალი

2. ჯინჯიხაძე გ. (2006). სწავლებისა და აღზრდის თეორია და მეთოდოლოგია. ქუთაისი.

#### USE OF MODELS IN THE LEARNING PROCESS

Tabarokishvili Lela, Axalkaci Nino

Georgian Technical Universitat

l.tabarokishvili@gmail.com

#### Summary

We have discussed subtraction of multi-digit numbers by using of positional writing principle of numbers and described it by using of models, by which we have shown once again the aptness of positional decimal calculating system, and mechanical actions describer, so called “let’s borrow” “let’s take”, which using we, teachers avoid to, we change by term, which is based on perceived teaching – “transformation of rating numbers”, or in brief “transforming numbers”. Experience has shown that the result is positive - the pupils do not mechanically write subtraction operation.

**PUBLISHED IN THE FORM PROVIDED BY THE AUTHORS**

**ОПУБЛИКОВАНО В ФОРМЕ, ПРЕДОСТАВЛЕННОЙ АВТОРАМИ**

**იბეჭდება ავტორთა მიერ წარმოდგენილი სახით**

კომპიუტერული უზრუნველყოფა: გ. სურგულაძე, ე. თურქია, გ. ნარეშელაშვილი,  
ბ. ქრისტესიაშვილი, გ. მაისურაძე, გ. დალაქიშვილი

გადაეცა წარმოებას 20.09.2018 წ. ქალაქის ზომა 60X84 1/8. პირობითი ნაბეჭდი  
თაბახი 21. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 20. ტირაჟი 100 ეგზ.

სტუ-ს „IT-კონსალტინგის ცენტრი“, თბილისი,  
კოსტავას 77

---